

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ზ. ჯაფარიძე

ნარკვევი ქართული მეტროლოგიის  
ისტორიიდან

(IX—XIX სს.)



თბილისი

1973

5317 (C41) (09)  
389-1 (47-022) (09)  
ჯ 272

ნაშრომში შესწავლილია ქართული მეტროლოგიის ძირითადი საკითხები: წონითი სისტემა, საწყაობები, სივრცის საზომი ერთეულები. ნაჩვენებია თითოეულ საზომის საქართველოში დამკვიდრების დრო და გავრცელების არეალი, საზომთა სიდიდე თანამედროვე მეტრულ სისტემაში.

„თანამედროვე საისტორიო მეცნიერების, მეტადრე ეკონომიური ისტორიისათვის საფას-საზომების ისტორიასა და თეორიას... მთავარი მნიშვნელობა აქვს. არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექმნება“.....  
ივ. ჟ ა ვ ა ხ ი ვ ი ლ ი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეტროლოგია, როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა, შეისწავლის წარსული ეპოქის საზომებს, საზომთა სახელწოდებებს, საზომი სისტემების ჩამოყალიბების ისტორიას, საზომ ერთეულთა ურთიერთმიმართებას და მათ რეალურ ჩიდიდეს თანამედროვე მეტრულ სისტემაში!

ისტორიული მეცნიერებისათვის მეტროლოგიის მნიშვნელობა უაღრესად დიდია. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესწავლის დროს. წარსულის საზომთა ცოდნა საშუალებას გვაძლევს უკეთ წარმოვიდგინოთ გარკვეული ეპოქის ეკონომიური ვითარება. ძნელია ვიმსჯელოთ საქონელბრუნვის, საქონლის ფასების და მწარმოებელი საზოგადოების ექს-

---

<sup>1</sup> მეტროლოგია ბერძნული სიტყვაა. „მეტრონი“ (μετρον) აღნიშნავს საზომ ხოლო „ლოგოს“ (λογος) სიტყვას, ცოდნას, მოძღვრებას. ისტორიულ სამეცნიერო დისციპლინასთან ერთად თანამედროვე მეტროლოგია მოიცავს მეცნიერებას ზუსტი გაზომვების შესახებ, რომელსაც სრულიად განსხვავებული მიზანი და დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ამოცანაა კონკრეტულად შექმნას საზომი ერთეულები უზუსტესი ნიმუშების — ეტალონების სახით. საამისოდ მეტროლოგია ამუშავებს გაზომვათა სპეციალურ მეთოდებს, რომელიც საშუალებას იძლევა მივადწიოთ სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებისათვის აუცილებელ სიზუსტეს. ჩვენი ნაშრომის თემა არის მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული მეტროლოგია.

პლოატაციის ხასიათზე, თუ არ გვეცოდინება საზომ ერთეულთა (საწონების, საწყაოების, სივრცის საზომების) რეალური სიდიდე.

ცალკეულ საზომთა შექმნა ისტორიის უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. შრომის პროცესში ადამიანი დგებოდა საზომთა გამოყენების აუცილებლობის წინაშე. წარმოების პროცესში იზრდებოდა საზომთა რიცხვი. სამეურნეო ცხოვრების გართულებასთან ერთად თავდაპირველი პირობითი და მიახლოებითი საზომები იცვლებოდა საზომთა განვითარებული სისტემებით. ასეთ სისტემებში საზომთა სიდიდე მკაცრად იყო განსაზღვრული, ხოლო ცალკეულ ერთეულთა შორის არსებობდა გარკვეული მათემატიკური თანაფარდობა.

ერთულ საზომთა სისტემებს ვხვდავთ ბაბილონში, ძვ. ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომში. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხების მეტროლოგიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ბაბილონურმა საზომმა სისტემამ, რომელიც ფინიკელებმა გაავრცელეს სირია-პალესტინაში, ეგვიპტესა და საბერძნეთში. საერთოდ კი კულტურული და ეკონომიური კავშირები, აგრეთვე დაპყრობითი ომები იწვევდა ურთიერთგავლენას მეტროლოგიის სფეროში და ცალკეულ საზომთა ფართო გავრცელებას სხვადასხვა ქვეყნებში.

საქართველოში პირველი საზომი სისტემები მისი ისტორიის უძველეს ხანაში არის საძიებელი. თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება მიუთითებს, რომ არსებობდა კავშირი ქართულსა და ძველი აღმოსავლეთის ხალხების საზომ სისტემებს შორის. ასე, მაგ., აკად. გ. ჩიტაიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ტერმინი „სილა“, რომელიც დღეისათვის საწყაოს გარკვეულ მდგომარეობას გულისხმობს და რომელიც ძველად საწყაო ჭურჭელი უნდა ყოფილიყო, ანალოგიას პოულობს ძვ. აღმოსავლეთის (სუმერულ, ასურულ-ბაბილონურ) მეტროლოგიაში<sup>2</sup>.

ძვ. წ. VI ს-დან კოლხეთის ტერიტორიაზე იჭრება ვერცხლის მონეტა, ე. წ. „კოლხური თეთრი“. უკვე ეს ფაქტი მოწმობს ჩვენში წონის გარკვეული სისტემის (ორიგინალურის თუ ნასესხების) არსებობას, ვინაიდან ამ მონეტების მოჭრას საფუძვლად უთუოდ წონის რაიმე სტანდარტი ედო<sup>3</sup>.

<sup>2</sup> გ. ჩიტაიამ, საყოფაცხოვრებო რეალიები „ვეფხისტყაოსანში“, კრ. „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1968, გვ. 27; მისივე, ეთნოგრაფიული პარალელები, 2. „სილა“ და „ლალა“, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბილისი, 1970, გვ. 73.

<sup>3</sup> თუ როგორი იყო ეს წონითი სტანდარტი—სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამის დადგენას აძნელებს „კოლხური თეთრის“ დიდი წონითი სხვადასხვაობა.



ვანში და ფიჭვნარში აღმოჩენილმა ფაქტიურმა მასალებმა საშუალება მისცა გ. ლორთქიფანიძეს გამოეტანა მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ელინისტური ხანის კოლხეთში გავრცელებული იყო გვიანატიკური ხანის წონითი სისტემა<sup>4</sup>, რაც თავისთავად არ გამო-რიცხავდა ადგილობრივი წონითი სისტემის არსებობასაც.

ძვ. წ. II—I სს. ბაგინეთის ნაგებობათა მრავალგზისმა გაზომვამ ცხადყო, რომ ბაგინეთის მშენებლები ეყრდნობოდნენ განზომილების განსაზღვრულ ერთეულს, რომელიც უახლოვდება 52 სმ-ს. ვარაუდი იმის შესახებ (იხ. ციციშვილი), რომ ეს ერთეული იყო უძველესი ქართული წყრთა, სავსებით მისაღებია. მსგავსი სიდიდის წყრთები არსებობდა ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში. სიდიდით კი მას უახლოვდება ურარტული წყრთა (51, 8 სმ)<sup>5</sup>.

უფრო გვიან, ახ. წ. IV—VI სს. სპარსული და ბიზანტიური მეტროლოგიის გავლენით მკვიდრდება საქართველოში მანძილის საზომები: ფარსანგი და მილიონი.

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან უალრესად მკვიდრო ეკონომიური კავშირების შედეგი იყო ჩვენში მარცვლეულის უძველესი საწყაოების — გრივის და კაბიწის გავრცელება IX საუკუნემდე. უცხო საზომთა გვერდით არსებობდა წმინდა ქართული საზომებიც, მაგრამ წერილობითმა წყაროებმა მათ შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, ძირითადად IX—X სს-დან შემოგვინახა.

წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, რომ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორია საზომების მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. გარდა საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული საზომებისა, როგორებიც იყო მაგ., გრივი და კაბიწი, კოკა და კოდი, მხარი და წყრთა. ცალკეულ კუთხეებში გამოიყენებოდა მხოლოდ ამ მხარისათვის დამახასიათებელი საზომებიც. მაგ., გორო — ლეჩხუმში, ატარი — ოდიშში და სხვ. ამ საზომთა უდიდესი ნაწილი აღმოცენდა ადგილობრივ ნიადაგზე და დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის მატერიალურ ყოფასთან.

გაზომვის ობიექტი ძველთაგანვე ყველგან იყო სივრცე, ტევადობა და სიმძიმე.

საქართველოშიც დანიშნულებისდა მიხედვით საზომები სამ

<sup>4</sup> Г. Л. Лордкипанидзе, О колхидской весовой системе, сб. «Культура Античного мира», Москва, 1966, стр. 133—134.

<sup>5</sup> იხ. ციციშვილი, ძველ საქართველოში ხმარებულ სიგრძის საზომთა შესახებ, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. IX, № 5, 1948, გვ. 331.

ძირითად ჯგუფად იყოფოდა. მკვრივი სხეულების საზომს „ს ა წ ო - ნ ი“ ერქვა<sup>6</sup>. ეს იყო „ნივთთა სიმძიმის საცნობი სასწორთა ზედა“<sup>7</sup>.

საწონთა რიცხვს მიეკუთვნებოდა კვერცხი, ქსანი, ლოლარი- კონი, ლიტრა, ჩარეჟი, სტილი და სხვ.

მარცვლეულის და სითხის (წყლის, ღვინის, ზეთის) მოცულო- ბისა და ტევადობის საზომს ეწოდებოდა „ს ა წ ყ ა ვ ი“, ან „ს ა წ ყ ა უ ლ ი“. საბას განმარტებით, „საწყავი და საწყაული ეწოდების ჭურჭელთა რაჲცა აიწყვის: ნოტიო კოკითა, გინა მარ- ცვალი კოდითა და მოდითა და რაჲცა“<sup>8</sup>.

სივრცის (სიგრძის და ზედაპირის) გასაზომად განკუთვნილ ერ- თეულებს „გ ა ს ა ზ ო მ ს“ ან „ს ა ზ ო მ ს“ უწოდებდნენ. ეს უკა- ნასკნელი საზოგადო ტერმინად იქცა სამივე ჯგუფის ერთეულების აღსანიშნავად<sup>9</sup>.

საზომები სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა. თიხისა იყო ისეთი საწყაოები, როგორებიცაა კოკა, დორა, დოქი, ჩა- ფი და სხვ. ხისგან კეთდებოდა, როგორც წესი მარცვლეულობის საზომი: კოდი, ჩანახი, კასრი<sup>10</sup>. ხბოს ან ცხვრის ტყავისაგან — გუდა. სპილენძისაგან<sup>11</sup> მზადდებოდა თუნგი. წყაროებში გვხვდება ცნობები სპილენძის ჩაფებისა და კოკების შესახებაც<sup>12</sup>.

XVIII ს. საქართველოში შეიმჩნევა ოფიციალური საწყაოების სპილენძისაგან დამზადების ტენდენცია. ამის კარგი მაგალითია

<sup>6</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუ- მიზმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 61.

<sup>7</sup> ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, რუსული თარგმანითურთ, ალ. ლ ო ნ ტ ის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი, 1961, გვ. 357.

<sup>8</sup> ს უ ლ ხ ა - ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტომი IV<sub>2</sub>, ავტოგრა- ფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი ლ ი ა ა ბ ჯ ლ ა ძ ე მ, თბი- ლისი, 1966, გვ. 73 (შემდეგ „ლექსიკონი ქართული“ ტ. IV<sub>2</sub>).

<sup>9</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>10</sup> ხის საწყაოების დამზადების შესახებ იხ. ჯ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მემინ- დერეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში (საქარ- თველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციის მიხედვით), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ ტ. XX—B, 1959, გვ. 285—286; ნ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ხალხური მეტროლოგიის სისტემა სამიწათმოქმედო რაჭა-ლეჩხუმში „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1, 1962, გვ. 121—122.

<sup>11</sup> 1712 წ. შეწირულების გუჯარი წინამძღვარ ონოფრე მაქუტაძისა დაეით გარე- ჯისადმი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნე- ბი და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1970, გვ. 686.

<sup>12</sup> XVIII ს. დასაწყისის სახლთუხუცესის ამილბარის ჭურჭლეულის

თუნი და მისი უაღრესად ფართო გავრცელება მთელ საქართველოში. XVIII ს-ში თუნგმა სითხის საწყაოთა სისტემაში წამყვანი ადგილი დაიკავა. ეს ტენდენცია აისახა, ვფიქრობთ, „სამოქალაქოს სჯულელილებაშიც“: „საწყაო სპილენძისა უნდა გააკეთებინოს (მოურავმა — გ. ჯ.) და მოკალული უნდა იყოს, უსპილენძოს საწყაოთი ვერვინ ვერ გაპყიდოს“...<sup>13</sup>

საწონები, თუ ყველა არა, ძირითადი ნიმუშები მაინც, მზადდებოდა სპილენძისა და ტყვიისაგან. ნ. ხანიკოვს, რომელმაც XIX ს. 50-იან წლებში გაიანგარიშა ქართული საზომების სიდიდე, ხელთ ჰქონდა სპილენძისგან დამზადებული მისხალი და დრამა (პატარა გირების სახით) და ტყვიის ორი დანგი (ერთი ფირფიტა, მეორე კი პატარა გირი)<sup>14</sup>.

გამოიყენებოდა ამა თუ იმ ერთეულის სიმძიმის ქვებიც.

XVII ს. დასავლეთ საქართველოს ერთ საბუთში ნათქვამია: „სამოცდა ცხრა ჩარეკი სანთელი გამომიგზავნია საწინდრიანთ, მისი ჩარეკით აუწონეთ, ვისაც დააკდეს, მანდვე შიათავებინეთ, ამ ჩარეკის ნაწონი ქვა (ხაზი ჩვენია — გ. ჯ.) მანდ დაიტოვე“<sup>15</sup>... ხევსურული სტილი, რომელიც აღწერა და გამოსცა გ. ჩიტაიამ, შედგებოდა სასწორისა და ბაზალტის ქვის უსწორმასწორო და მომრგვალო ნატეხებისაგან<sup>16</sup>. სხვადასხვა ერთეულის „საწონი“ ქვების ფართო გამოყენებას თბილისში კარგად მოწმობს XVIII ს. მიწურულის „სამოქალაქოს სჯულელილება“<sup>17</sup>.

ასაწონად გამოიყენებოდა სხვადასხვა ტიპის სასწორები<sup>18</sup>.

ოფიციალურად მიღებული საწყაო, საწონი თუ „საზომი“ „გამოწყული“ ანუ შემოწმებული უნდა ყოფილიყო. „გამოწყულ“ საწყაოებს, ისევე როგორც სხვა შემოწმებულ საზომებს,

---

ნუსხა. „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1955, გვ. 54; 1795 წ. ეგნატე თუმანიშვილის დანაკარგი ბარგის ნუსხა, იქვე, № 181, გვ. 259.

<sup>13</sup> სამოქალაქოს სჯულელილება, II, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1966, გვ. 100.

<sup>14</sup> Н. Ханыков, О весах и мерах Закавказского края, «Кавказский Календарь на 1852 год», Тифлис, 1851, стр. 553.

<sup>15</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოცემა მეორე, წიგნი 1, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 58.

<sup>16</sup> გ. ჩიტაია, ხევსურული სტილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. IV, ტფილისი, 1927, გვ. 285.

<sup>17</sup> სამოქალაქოს სჯულელილება, გვ. 104—105.

<sup>18</sup> სასწორების ტიპების და სასწორთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—63.

რომელთა სისწორე ექვს არ იწვევდა ბექედი უნდა ჰქონოდა დას-  
მული. „და ყოველივე... ქალაქის ადლი, წონ(ა) და საწყაო მისის  
ბექდით უნდა დაიბეჭდოს, რომელიც ექნებათ ამრიგ რასმეების  
დასაბეჭდათ ბექედი — სამეფო ღერბი“<sup>19</sup>...

საზომების ამგვარი დაბეჭდვა გავრცელებული იყო შუა საუ-  
კუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. დღემდე არის  
შემორჩენილი ეგვიპტური და სირიული მინის და ბრინჯაოს საწონ-  
საწყაოები, რომელთაც ადგილობრივი მმართველების ბექდები  
უზიოთ<sup>20</sup>.

საქართველოში იბეჭდებოდა არა მარტო ოფიციალური, სა-  
ხელმწიფო, არამედ ხალხური საზომებიც. „საწყაოების შემოწმე-  
ბა — ნიშნის დადება მიღებული იყო „ყურის ძირზე“ ან საწყაოს.  
ფსკერზე. სანიშნე ადგილს ამოჭრიდნენ და დალუქავდნენ“<sup>21</sup>.

საზომები „ქალაქითი — ქალაქად“ და „თემითი — თემად“  
არაერთგვაროვანი იყო. ამას განაპირობებდა სხვადასხვა ფაქტორი,  
მათ შორის გვიანფოდალური ხანის პოლიტიკური დაქსაქსულო-  
ბა. ერთი დასახელების საზომი შეიძლებოდა არაერთგვაროვანი  
ყოფილიყო ერთ მხარეშიც (მაგ., ჩანახი ქართლში) კი, მაგრამ სა-  
ზომთა მრავალფეროვნებაში მაინც არსებობდა ე. წ. „სწორე“ სა-  
წყაოები, რომელთაც ოფიციალური ხელისუფლება აკანონებდა (მაგ.  
8 და 10 ლიტრიანი კოდები; 10 ლიტრიანი კოკა, მისხალს და ლიტ-  
რის წონა) და რომელთაც ეს უკანასკნელი იყენებდა სამონეტო სა-  
ქმეში, ფანანსური თუ ფისკალური ღონისძიებების გატარების  
დროს.

საქართველოში ძველთაგანვე ყურადღება ექცეოდა საზომთა  
სიზუსტის დაცვას. ამას მოწმობს თუნდაც ის სპეციალური ტერ-  
მინოლოგია, რომელიც გამოავლინა და შეისწავლა ივ. ჯავახიშვილ-  
მა. ირკვევა, რომ კანონიკურ და სწორ საზომებს „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი“  
და „მ ა რ თ ა ლ ი“ ერქვა, ხოლო უკანონოსა და ყალბს კი „ნ ა კ-  
ლ ე ბ ი“, „კ ნ ი ნ ი“, „მ ც ი რ ე“, ან „მ რ უ დ ი“ და „ზ ა კ უ-  
ლ ი“<sup>22</sup>.

<sup>19</sup> სამოქალაქოს სჯულილება, გვ. 100.

<sup>20</sup> G. C. Miles, Contribution to Arabic Metrology, II, Early Arabic Glass-Weights and Stamps, «ANS Numismatic Notes and Monographs», No. 150. New York, 1963; P. B a l o g, Islamic Bronze Weights from Egypt, «JESHO», vol. XIII, pt. III, 1970, pp. 233—256.

<sup>21</sup> ჯ. ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მემინდვრობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 286.

<sup>22</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

XVII—XVIII სს. საქართველოში საზომთა კონტროლის ფუნქცია მეფის მიერ დანიშნულ ქალაქის მოურავს და ნაცვალს ეკისრებოდა<sup>23</sup>, უფრო ადრე კი, თბილისის საამიროს პოლიტიკურ ორგანიზაციასა და X—XI სს. თბილისის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ მუქთასიბის სამოხელეო ინსტიტუტის უფლება-მოსილებებში სხვა მოვალეობებთან ერთად ბაზრად ზომა-წონის ერთეულების შემოწმებაც შედიოდა<sup>24</sup>.

მეტროლოგიური პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდნენ მმართველი წრეები, მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. პირველ რიგში ამისი წყარო იყო საზომთა მონოპოლიური კონტროლი. ნაცვლები სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში აჯარიმებდნენ „კნინი“ და „მრუდე“ საზომების პატრონთ. ჯარიმის მეათედი მოურავისა იყო. მეათედი ამ მეათედისა ნაცვალს. რჩებოდა<sup>25</sup>, დანარჩენი კისახელწიფო ხაზინას ბარდებოდა<sup>26</sup>.

შემოსავალს იძლეოდა დიდო ტვირთის, ან საქონლის ასაწონად განკუთვნილი სასწორები და მათი იჯარით გაცემა.

XI ს. ბაგრატ IV-ის სიგელში იხსენიება განსაკუთრებული „საკოშრე“ გადასახადი, რომელიც საქონელის სასწორზე აწონისათვის დადებული გადასახადი უნდა ყოფილიყო<sup>27</sup>.

XVIII ს. დასაწყისში დიდ საბაზრო სასწორს „ყაფანი“ ეწოდებოდა. „დასტურლამალის“ თანახმად, ყაფანი იჯარით გაიცემოდა, ხან 40 თუმნად, ხან კი მეტ-ნაკლებად. მეათედი იჯარისა, ე. ი. 4 თუმანი სახლთუხუცესის, ვეზირისა და მდივნების სასარგებლოდ მიდიოდა, აქედან ნახევარს სახლთუხუცესი იტოვებდა, მეორე ნახევარს კი შუაზე იყოფდნენ ვეზირი და მდივნები<sup>28</sup>. 1785 წ.

<sup>23</sup> Ш. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959; стр. 254, 276.

<sup>24</sup> ვ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. 108, თბილისი, 1964, გვ. 337—339; იხ. აგრეთვე მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 150.

<sup>25</sup> 1784—1790 წწ. ქალაქის მოურავის სარგო, § 37, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 496.

<sup>26</sup> XVIII საუკ. ზოლოს ქალაქის მოურავის სარგო, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 498.

<sup>27</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907, გვ. 26; მისივე, ქართული საფას-საზომთა მკოდნეობა, გვ. 63.

<sup>28</sup> დასტურლამალი. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 283.

ყაფნის იჯარა 70 თუმანი იყო, 'ხოლო მოხელეების სარგო — 6 თუმანი. 1792 წ. ყაფნის იჯარა 115 თუმანს, მოხელეთა სარგო კი 12 თუმანს შეადგენდა<sup>29</sup>.

შემოსავლის გაზრდისაკენ იყო მიმართული გაბატონებული კლასების მეტროლოგიური პოლიტიკა, რაც საზომთა გადიდებაში გამოიხატებოდა. საუკუნეთა მანძილზე ქართულმა საზომებმა ღრმა ცვლილებები განიცადეს და XIII—XVIII სს. ერთი და იგივე დასახელები: საზომები ძირფესვიანად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ძირეული ტეხილი ამ მხრივ გვაქვს XV—XVI სს-ში, როცა ქრება ზოგი ძველი და ხმარებაში შემოდის მრავალი ახალი საზომი. ამასთან, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება ლიტრის და ლიტრაზე დამყარებული სხვა საწონების და საწყაობების სიდიდე. იმ დროს, როცა საზომის სახელწოდება უცვლელი რჩებოდა, იცვლებოდა მისი შინაარსი. აქედან გამომდინარე, იზრდებოდა გამოსაღებიც, ვინაიდან უშუალო მწარმოებელს გადასახადების დაკანონებული ნორმებისა და გამოსაღების გარიგების წიგნების დაურღვევლობის პირობებში გადასახადები სწორედ ამ გადიდებული საზომებით უნდა გადაეხადა<sup>30</sup>.

ამგვარი პოლიტიკა მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას და ამათ გამოწვეული უკმაყოფილება და პროტესტი აირეკლა კიდევ ქართულ საბუთებში<sup>31</sup>.

---

<sup>29</sup> გ. აკოფაშვილი, იჯარა XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“ ტ. I, თბილისი, 1970, გვ. 71; ყაფანს განაგებდა ყაფანდარი ან ყანთარჩიბაში. ამ შობელის უფლებამოსილებანი განხილული აქვს შ. მესხიას. III. М е с х и а, Города, стр. 293.

<sup>30</sup> ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, XV—XVIII საუკუნეები, თბილისი, 1967, გვ. 187.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 188; კ. გრიგოლია, ბეგარა ძველ საქართველოში და მისი დამახასიათებელი ნიშნები, თსუ „შრომები“, ტ. 107, თბილისი, 1964, გვ. 61—62.

## ქართული მეტროლოგიის წყაროები და ლიტერატურა

### § 1. ქართული მეტროლოგიის წყაროები

ქართული მეტროლოგიის შესწავლა შოთხეოს უაღრესად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წყაროების კომპლექსურ შესწავლას. ამათ რიცხვში შედის სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ძეგლები და ფაქტობრივი მასალები.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართული დოკუმენტები — სიგელ-გუჯრები, რომლებშიც დოკუმენტურად აისახა საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ისტორიის არაერთი მომენტი. ქართულ საბუთებში სხვადასხვა სააღაპო შეწირულებათა და გამოსაღებათა განსაზღვრისას, სავაჭრო გარიგებების, თუ ხარჯის ნუსხების აღრიცხვის დროს ხშირად არის დასახელებული ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებელი საზომები<sup>1</sup>.

XI—XVIII სს. მრავალრიცხოვანი დოკუმენტების ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ამა თუ იმ საზომი ერთეულის ჩვენში შემოსვლის და დამკვიდრების თარიღი, მისი გავრცელების არე და მოქმედების ხანგრძლიობა. აღვადგინოთ ცალკეულ საზომთა ზრდის პროცესი, საზომთა ურთიერთმიმართება თუ სიდიდე.

ქართული მეტროლოგიის შესწავლის დროს ადრე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა XI — XVIII სს. ქართულ სამკურნალო

<sup>1</sup> ქართული საბუთების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენ მიერ არის გამოყენებული, სხვადასხვა დროს გამოცემულია ქართველ მკვლევართა: თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, მ. ბერძენიშვილის, შ. ბურჯანაძის, დ. უჩანეიშვილის, ი. დოლიძის და სხვ. მიერ. ამ საბუთთა პუბლიკაციები გზადაგზა იქნება დამოწმებული.

წიგნებსა და კარაბადინებს, მაშინ როცა ეს ნაშრომები ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მასალებს შეიცავენ.

ამა თუ იმ წამლის დოზირების დროს ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.)<sup>2</sup>, ხოჯაყოფილის მიერ არაბულიდან თარგმნილ „წიგნი სააქიმოა“-ში (XIII ს.)<sup>3</sup>, ზაზა ფანასკერტელი-ციცი-შვილის „სამკურნალო წიგნ-კარაბადინში“ (XV ს. II ნახევარი)<sup>4</sup>, დაუდ-ხანის „იადიგარ-დაუდში“ (XVI ს. II ნახევარი)<sup>5</sup> და XVI—XVIII სს. მრავალ ანონიმურ, ზელნაწერის სახით დაკულ კარაბადინებში<sup>6</sup> ხშირად არის დასახელებული სხვადასხვა წონის ერთეული და განსაზღვრული მათი სიდიდე.

<sup>2</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დამუშავდა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1940. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XI ს. ეს ძეგლი გამოცემულია გაცილებით გვიანდელი ხანის ნუსხებით. აქედან ერთი, რომელიც საფუძვლად დაედო ლ. კოტეტიშვილის გამოცემას, გადაწერილია ვახტანგ VI-ის ბრძანებით. მეორე უაღრესად ნაკლულ ხელნაწერს ლ. კოტეტიშვილი ათარიღებდა XIII ს-ით (უსწორო კარაბადინი, გვ. XXVII), თუმცა დღეისათვის ის ოფიციალურად დათარიღებულია XIV—XV სს-ით (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (ა) კოლექცია. ტომი 1. შედგენილი ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ა და ქ რ. შ ა რ ა - შ ი ძ ი ს მიერ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით. თბილისი, 1957, გვ. 22—26). ამ გვიანდელი ნუსხების წყალობით „უსწორო კარაბადინის“ ტექსტში მოხვდა ზოგი ისეთი საზომი, რომელიც არ იყო დამახასიათებელი XI ს-ისათვის. ასეთია, მაგ., ჩარეკი, რომელიც ჩვენში მხოლოდ XV ს-დან ვრცელდება, ანდა სტილი, რომელიც საქართველოში XVII ს-დან ჩანს. ამ უკანასკნელმა ტერმინმა შეცვალა ორიგინალის ასთირი ან ისტირი (უსწორო კარაბადინი, გვ. XXIX), თუმცა სტილი გაცილებით მძიმე იყო ასთირზე და სხვ. ამ მიზეზით „უსწორო კარაბადინში“ დაკული მეტროლოგიური ცნობები მოითხოვს გულდასმით კრიტიკულ ანალიზს. მათი მეკანიკურად გავრცელება XI ს-ზე ყოველთვის არ შეიძლება.

<sup>3</sup> წიგნი სააქიმოა, ლ ა დ ო კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე, ტფილისი, 1936.

<sup>4</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მ ი ხ ე ი ლ ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1950, გვ. 420; ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს - კ ე რ ტ ე ლ ი - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, ტექსტი დამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ ი ხ ე ი ლ შ ვ ე ნ გ ე - ლ ი ა მ, თბილისი, 1959, გვ. 268.

<sup>5</sup> იადიგარ-დაუდი, ლ ა დ ო კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, მედიცინა ძველ საქართველოში, თბილისი, 1938.

<sup>6</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: S: 2511 (XVII ს.) Q: 827 (XVIII ს.), H: 758 (XVIII ს.), H: 1318 (1790 წ.), Q: 916 (XVII—XVIII სს). განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ეს უკანასკნელი, რომლის დათარიღებაც (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ახალი, Q კოლექცია. ტომი II. შედგენილი და დასაბუქდად გამზადებული თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს, თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს, ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს, ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს,



ამ წყაროების საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა აღვადგინოთ მცირე წონითი ერთეულების სისტემა საქართველოში, თვალი გავადევნოთ ლიტრის ზრდის პროცესს და განვსაზღვროთ ცალკეულ საზომთა, მაგ., მიტყალის და მისხალის ჩვენში გავრცელების თარიღი.

ცნობებს ქართული საზომების შესახებ ვხვდებით V—XVIII სს. საერო და სასულიერო მწერლობის ორიგინალურ თუ ნათარგმანებ წერილობით ძეგლებშიც<sup>7</sup>. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა დაბადების და სწარების ქართული თარგმანები<sup>8</sup>, სადაც ბევრ უცხოურ საზომს ქართული შესატყვისი აქვს და ეს კი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათი გამოყენების ადრეული თარიღი. ზოგჯერ კი ასეთი შესატყვისების საშუალებით შეიძლება ვავინგარიშოთ კონკრეტული ერთეულის სიდიდეც. ასე მაგ., „ვისრამიანში“ ორიგინალის ფარსანგს ზოგჯერ ეჭი ცვლის<sup>9</sup>, რაც მიუთითებს ამ ორი საზომის ტოლფასობაზე.

ასევე მცირე, მაგრამ საინტერესო მეტროლოგიური მასალა მოიძიება XI—XIII სს. ქართულ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ და XVIII ს. მათემატიკურ ნაშრომებში, რომელთა დიდი ნაწილიც დატულია ხელნაწერების სახით<sup>10</sup>.

ლ. ქუთათელიაძის და ქრ. შარაშიძის მიერ. ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958, გვ. 342), ალბათ ქაღალდის და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მოხდა, თორემ შინაარსით ის ვატილებით აღრინდელი ხანის ძეგლია, ვინაიდან ძირითად ნაწილში იმეორებს ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ნაშრომს და „უსწორა კარაბადინს“. ამ ანონიმურ კარაბადინში, ორჯერ, ჯერ 919-ე ხოლო მერე კი 1148-ე გვერდზე არის მოტანილი ვრცელი მეტროლოგიური ცნობები. პირველ შემთხვევაში ძირითად ნაწილში გამეორებულია ის ცნობები, რომლებიც გვხვდება ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში (კარაბადინში)“, (მ. საკაშვილის რედაქციით, გვ. 420). მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტროლოგიურ დანართთან, რომელიც XVII—XVIII სს. მიეწინააღმდეგება უნდა იყოს შედგენილი. ეს დანართი უაღრესად ახლოს დგას ს. ს. ორბელიანის იმ ცნობებთან, რომლებიც დალაგებულია სიტყვა „ლიტრიის“ ქვეშ. სულ ხანსა და ორბელიანის, თხზულებანი, ტომი IV, ლექსიკონი ქართული. ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაყვამდ მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1965, გვ. 421—424 (შემდეგში — „ლექსიკონი ქართული“, ტ. IV).

<sup>7</sup> ამგვარად ყველა მათგანს ჩვენ არ დაეასახლებთ. გზადაგზა ისინი შესაბამის ადგილებზე იქნება დამოწმებული.

<sup>8</sup> ამ ძეგლებში დატული ცნობები სათანადოდ გაანალიზებული აქვს ივ. ჭავჭავაძის თაყის ნაშრომში „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“.

<sup>9</sup> ვისრამიანი. ტექსტი გამოსაყვამდ მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიაშვილმა და მამაკალი თოდუაშვილმა, თბილისი, 1967, გვ. 137. 186.

<sup>10</sup> ამ ნაშრომებში დამოწმებულ საზომთა უმრავლესობა გაანალიზებული აქვს დ. ცხაკაიას ნაშრომში *История математических наук в Грузии с древнейших времен до начала XX века*, Тбилиси, 1959, стр. 26—40.

ქართული მეტროლოგიის შესწავლისათვის უაღრესად ძვირფას ცნობებს შეიცავს ვახტანგ VI-ის ორი ნაშრომი — „სამართლის წიგნი“ და „დასტურლამალი“. „სამართლის წიგნში“ (დაიწერა 1705—1708 წწ.) ვახტანგ VI ორჯერ უშუალოდ შეუხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს. კარში „თეთრის გარიგების შესახებ“ მან განიხილა წონის მცირე ერთეულები ხაშხაშის მარცვლიდან — მისხლამდე და განსაზღვრა მისხალის წონა ორშაურნახევრის კვალბაზე. შემდეგ კი კანონმდებელმა მოგვცა კოდის და კოკის ტევადობა ლიტრებში, განსაზღვრა სტილის და ჩარეკის წონითი ოდენობა<sup>11</sup>, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ ლიტრის წონაც.

მრავალი საზომი ერთეულია წარმოდგენილი „დასტურლამალში“<sup>12</sup> (დაიწერა XVIII ს. დასაწყისში). ეს ძეგლი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ფოხალის, ურემის, აქლემის, ცხენის და ვირის საპალნეების ზომა, წარმოდგენა ვიქონიოთ XVIII ს. დასაწყისში ქართლში საზომთა კონტროლის ორგანიზაციაზე. ამ მხრივ, საინტერესო მასალა შეიძლება მოვიძიოთ აგრეთვე იოანე ბაგრატიონის მიერ 1798 წ. შედგენილი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ პროექტში — „სჯულდებაში“<sup>13</sup>, XVIII ს. მიწურულის კანონპროექტთა კრებულში „სამოქალაქოს სჯულვილებაში“<sup>14</sup> და მრ. სხვ.

ქართული საზომების შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლექსიკონში<sup>15</sup> დაცულ მეტროლოგიურ ცნობებს. ამ ლექსიკონზე საბა, როგორც დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, 39 წელი მუშაობდა, პირვანდელი სახით ის ბერად აღკვეცამდე<sup>16</sup>, 1698 წლამდე ჩამოუ-

<sup>11</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 486, 513.

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, გვ. 235—327.

<sup>13</sup> იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბილისი, 1957, გვ. 16.

<sup>14</sup> სამოქალაქოს სჯულვილება, ტ. II. ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1966.

<sup>15</sup> ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის რამდენიმე პუბლიკაცია არსებობს. ამათგან უმნიშვნელოვანესია — უკანასკნელის, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით, რომელიც მოამზადა ილია აბულაძემ.

<sup>16</sup> ლილიქუთათელაძე, სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 53, 51.

ყალიბებია და სიკვდილამდე (1725 წ.) არ შეუწყვეტია მისი შეესება-რედაქტირება.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში დაცული მეტროლოგიური ცნობები ორი რიგისაა: I. ცნობები უცხოური საზომებისა და II. ცნობები ქართული საზომების შესახებ.

ვინაიდან ლექსიკოგრაფის მთავარი წყარო იყო „საღვთო წერილი“, მის თვალსაწიერში მოექცა ბიბლიური საზომები, სხვადასხვა სახის საერო და სასულიერო ნათარგმანები შრომების ლექსიკის დამუშავებისას კი ბერძნულ-რომაული საზომებიც. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა ისეთი ბიბლიური და ბერძნულ-რომაული საზომები, როგორებიცაა: ა ს ს ა რ ო ნ ი, ა რ ტ ა ე ი, მ ა რ ი, ხ ო ი ს ი, ლ ო მ ო რ ი, გ რ ა მ ა, დ რ ა პ კ ა ნ ი, უ ნ კ ი ა, ს ა ტ ი რ ი, ს ი კ ი ლ ა, ტ ა ლ ა ნ ტ ი, კ ე ნ ტ ი რ ა ნ ი, რ ო მ ა უ ლ ი ლ ი ტ რ ა<sup>17</sup> და მრ. სხვა.

საბამ არა მარტო უბრალოდ შეიტანა ეს საზომები თავის შრომაში, არამედ დაახასიათა ისინი და ერთმანეთს შეუფარდა. საამისოდ მას სხვადასხვა უცხოური ლიტერატურის გაცნობა დასჭირებია. თავისი წყაროებიდან საბა ასახელებს „სომხურ ლექსიკონს“<sup>18</sup>, „ხონოლრაფს“<sup>19</sup>, ძველი აღთქმის წიგნებს, იოსიპოსს (იოსებ ფლა-

<sup>17</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 421; „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV<sub>2</sub>) გვ. 73.

<sup>18</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს სომხური ლექსიკონი არის სომხური ბარგირკი. ი ლ ი ა ა ბ ო ლ ა ძ ე. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, ტსუ „შრომები“, III, 1936, გვ. 262.

<sup>19</sup> ქართული მწერლობა რამდენსამე ხრონოლრაფს იცნობს. ერთი მათგანია გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს (ამბარტლოს) „ხრონოლრაფი“, რომელიც ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად XI ს. უკანასკნელ მეოთხედსა თუ XII ს. პირველ წლებში. მასში წარმოდგენილია მსოფლიო ისტორია, რომელშიც საშუალო საუკუნეთა საკრისტიანოში იგულისხმებოდა ებრაელებისა და ქრისტიანული ბიზანტიის ისტორია და მოიცავდა აღმოსავლეთის ერების მოკლე აღწერასაც, იმ ერებისა, რომლებიც ბიბლიაში ებრაელებს ხედებიან (იხ. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ ს უ „შრომები“, ტ. 1. 1936. გვ. 114, 108). ეს ნაშრომი მეცნიერულად გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. იხ. ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ხრონოლრაფი გიორგი მონაზონისა, ტფილისი, 1920. ნაშრომის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ის იყო საბას ერთ-ერთი წყარო. ასე, მაგ., ბ რ ა ლ ი ს შესახებ, საბა წერს: ხრონოლრაფსა შინა წერილ არს საზომად ორმოცი წურთა და ათი ბრჭალი“... („ლექსიკონი ქართული“, ტ. IV<sub>1</sub>, გვ. 121). გიორგი მონაზონის ხრონოლრაფში კი წერია (გვ. 137) „სიდიდე თითოეულისა ქვისა იყო ორმოცი ბრჭალი... ხოლო ქვათა შენებ ლებისა მისისათა აქუნდა თითოეულსა ოცი წურთა სიგრძე და ათი ბრჭალი სიერცე“. გ რ ი ვ ი ს შესახებ საბა წერს „ხონოლრაფში ეწერა — ოცდაათი მოდი ერთი გრივიათ“ („ლექსიკონი ქართული“, ტ. IV<sub>1</sub> გვ. 173). გიორგი მონაზონის ხრონოლრაფში (გვ. 90) მართლაც აღნიშნულია, რომ „გრივი... დაიტევდა მოღსა ოცდაათსა...“

ციოსის ისტორიას) და დაუსათაურებლად იხსენიებს კიდევ „სხუა წიგნებსაც“<sup>20</sup>.

საბას დიდი შრომა დაუხარჯავს ამ უცხოური საზომების შესწავლისას. ის ამა თუ იმ საზომის ოდენობის განსაზღვრის დროს აღნიშნავს კიდევ: „ამ საწყავეების საზომი მრავალგვარად ვეძიე, მრავალგან სხვადასხვა რიგად ეწერა“-ო... „ეს რიცხვი მრავლის კირით(ა) გამოვიძიეო“... არაერთხელ ის ცნობათა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათსაც „შეუწუჭებია“ და „დაულონებია“<sup>21</sup> კიდევ, რაც მის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს.

საბას მიერ განხილულ უცხოურ საზომებზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ზოგიერთ ქართულ მეტროლოგიურ ნაშრომში ზოგი მათგანი ქართული მეტროლოგიის კუთვნილებად არის გამოცხადებული. ს.-ს. ორბელიანი, როგორც ვნახეთ, უცხოური საზომების დახასიათების დროს იყენებდა უცხოურ წყაროებს და ამდენად მათი მისადაგება ქართული სინამდვილისათვის აბსოლუტურად გაუმართლებელია.

სულ სხვა საქმეა, როცა საბა ახასიათებს ქართულ საზომებს. საამისოდ მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცნობები აქვს მოტანილი

<sup>20</sup> ერთ-ერთ ასეთ „სხუა წიგნად“, რომელიც საბას შესაძლებელი წყარო უნდა გამხდარიყო ჩვენ მიგვაჩნია ის მეტროლოგიური დანართი, რომელიც თან ახლავს კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონს. ეს ლექსიკონი წარმოადგენს სახარების „ძნელოვან“ სიტყვათა ახსნა-განმარტებას და მისი უძველესი ნუსხა XIII ს-ისაა. (Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея карталино-кахегицского духовенства, Тифлис, 1903, № 65, стр. 62—64) ეს დანართი თან ახლავს კ. ალექსანდრიელის ლექსიკონის XVIII ს-ში გადაწერილ ნუსხასაც. იხ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. A:1132, გვ. 69 ო. საფიქრებელია, რომ ის ლექსიკონის შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან შეიცავს სწორედ სახარებაში დამოწმებულ ბიბლიურ თუ რომაულ საზომთა განმარტებას. ეს დანართი ჯერ თ. ქორდანიამ გამოქვეყნა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებში (იხ. Описание рукописей, стр. 63—64), მერე კი მას ივ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ვ ი ლ მ ა ც მიაქცია ყურადღება და მიიჩნია „ხრონოლოგიის ხელნაწერში სქოლიოს სახით შეტანილ განმარტებად“ (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 64). კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, როგორც ცნობილია, მთლიანად შევიდა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში (ალ. დ ლ ო ნ ტ ი. მოკლე შენიშვნები. II, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი. „ნ. ბართაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. II, გორი. 1947. გვ. 170—176). ამდენად ლექსიკოგრაფს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამოეჩინოდა ეს დანართიც. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ საბასეული განსაზღვრა ტალანტის, ლებტონის დ. მწულილის (ლექსიკონი ქართული, ტ. IV, გვ. 423, CD რედაქცია) აბსოლუტურად ემთხვევა კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონის მეტროლოგიურ დანართში მოცემულ აღნიშნულ ერთეულთა განსაზღვრას (შდრ. Описание рукописей, стр. 62—64).

<sup>21</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV, გვ. 423).

და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მის ლექსიკონში შევიდა XVIII ს-მდე ჩვენში გავრცელებული ყველა უმნიშვნელოვანესი საზომი. ამ საზომებს ლექსიკოგრაფი თავისი დროის კვალობაზე საზღვრავს იმდროინდელი ლიტრის სიდიდის მიხედვით. წონის ერთეულები მას ძირითადად დალაგებული აქვს სიტყვა „ლიტრის“ ქვეშ<sup>22</sup>. საწყაოები განხილულია სიტყვა „კოდთან“, „კოკასთან“<sup>23</sup>, „საწყაულთან“<sup>24</sup> და სხვ. ამასთან თითოეულ ტერმინს საბა ხელაჲლა, ანბანის მიხედვით, ლექსიკონის შესაბამის ადგილებზე უბრუნდება. შედარებით ძუნწობს ლექსიკოგრაფი სივრცის საზომების დახასიათებისას, თუმცა ეჯის, ბიჯის, ნაბიჯის, მთარის, მილიონის და ასპარეზის მისეულ განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რიგ შემთხვევაში ს.-ს. ორბელიანი ცალკეულ საზომთა წარმომავლობაზეც (მაგ., ჩარქეი, სტილი, ფოხალი, ქილაკი) მსჯელობს<sup>25</sup>.

სამწუხაროდ, საბა ქართული საზომების დახასიათებისას არ ასახელებს წყაროებს, მაგრამ მისი ცნობები რომ უეჭველად ქართულ სინამდვილეს უკავშირდება, ეს დასტურდება სხვა ქართული წყაროების შესწავლის შედეგად. საზომთა ერთი ნაწილის განსაზღვრისას (მაგ., ლიტრის შემადგენელი უმცირესი ერთეულების) ს.-ს. ორბელიანი ეყრდნობოდა წყაროთა შესწავლას<sup>26</sup>, სხვა შემთხვევებში კი იღებდა იმ მონაცემებს, რომლებიც მის დროს პრაქტიკულად არსებობდა.

თანამედროვე მკვლევარმა საბას ნაშრომში შეიძლება უზუსტობანიც აღმოაჩინოს, რაც ცალკეულ ერთეულთა განსაზღვრას ეხება, მაგრამ ლექსიკოგრაფს ვერ მოეთხოვთ ყველაფერში ზუსტი იყოს. შეცდომებისაგან დღესაც კი არაფერ არის დაზღვეული. ჩვენი ვალია მისი ნაშრომის პოზიტიური ნაწილის გამოვლენა, მისი სათანადო კრიტიკული ანალიზი და შეფასება.

ქართული საზომების დახასიათებისას საბას ლექსიკონის გარდა გარკვეული დახმარება შეიძლება აღმოგვიჩინოს დავით რექტორის (მესხიშვილის) მიერ საბას ლექსიკონის გადამუშავებულმა ნუსხამ<sup>27</sup>, დავით და იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიულმა

<sup>22</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 423.

<sup>23</sup> ი ქ ვ ე, გვ. 383.

<sup>24</sup> ი ქ ვ ე, (ტ. IV<sub>2</sub>), გვ. 73—74.

<sup>25</sup> ი ქ ვ ე (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 383.

<sup>26</sup> ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საბას წყარო უნდა ყოფილიყო ქართული საზომების ხასიათის შრომები. ამის შესახებ იხ. ქვემოთ თავ. II, § 1.

<sup>27</sup> ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q: 401. ობ. ააგრეთვე პროფ. ვ. ბ. ე. რ. ი. ძ. დავით რექტორი-ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, პირველი სერია. საზოგადოებათმეცნიერება, I, 1936, გვ. 324.

ნაშრომებმა<sup>28</sup>, ნიკო ჩუბინაშვილის<sup>29</sup>, დავით ჩუბინაშვილის<sup>30</sup> და სხვ. ლექსიკონებმაც.

ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე აღნიშნავდა: იმ ფაქტს, რომ ვახუშტი ბაგრატიონს „საზომებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიაო“<sup>31</sup>. მაგრამ შემდეგ ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიის მეცნიერულმა გამოცემამ უჩვენა, რომ ამ ნაშრომში შესულია ცნობები სივრცის საზომთა შესახებაც. საქართველოს სივრძე-სივრცის დახასიათებისას ვახუშტი სქოლიოში იძლევა ეჯის და სხვა ერთეულების: მ ხ ა რ ი ს, ა დ ლ ი ს, თ ი თ ი ს, ქ ე რ ი ს მ ა რ ც ვ ლ ი ს ა და ც ხ ე ნ ი ს ფ ა ფ რ ი ს მოკლე განმარტებას<sup>32</sup>.

გარდა ამისა, ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს რუკები შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ ე ჯ ი ს, ა ლ ა ჯ ი ს და ფ ა რ ს ა ნ გ ი ს სიდიდე. მასშტაბი ამ რუკებზე ათვლილია აღნიშნულ ერთეულებსა და რუსულ ვერსებში<sup>33</sup>.

ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, 1794 წ. დავით ბაგრატიონის მიერ რუსულიდან ნათარგმნი „სამგზავრო გეოგრაფია“<sup>34</sup>, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს ადლის სიდიდე და ამ მონაცემის შედარება სხვა ცნობებთან<sup>35</sup>.

ქართული მეტროლოგიის საკითხებს შეეხო გიორგი XII-ის

---

<sup>28</sup> დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ ი ლ ი ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1947, გვ. 115.

<sup>29</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი...

<sup>30</sup> ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ. СПб., 1840.

<sup>31</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 65.

<sup>32</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურიისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 29.

<sup>33</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Н: 2079; იხ. აგრეთვე ს. ცხაკაია, ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიული ატლასები, „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები“, I, თბ., 1947, გვ. 134.

<sup>34</sup> ორიგინალი ამ ნაშრომისა არის «География (дорожная), содержащая описание о всех в свете государствах и их качества, климате, нравах и обычаях и жителей и проч. (Перевод с французского, М., 1765). ამის შესახებ იხ. „ხელნაწერთა აღწერილობა“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (Исторический) კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი III, შედგენილი და დასაბუქდად გამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 1—2.

<sup>35</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Н:1003, გვ. 5, 9r; S:141, გვ. 11-

კაეი, რუსეთის აკადემიის წევრი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1840) 1834 წ. 16 ნოემბრით დათარიღებულ, ცნობილ ქართველოლოგ მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში<sup>36</sup>. ამ წერილში დახასიათებულია წონის მცირე ერთეულები, ლიტრა და მის სისტემაში შემავალი ერთეულები, მარცვლეულის, სითხის საწყაოები და სივრცის საზომები.

განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ცნობები სივრცის საზომების შესახებ, როცა თეიმურაზ ბაგრატიონი განიხილავს ადლს, წყრთას, მტკაველს ანუ ჩარექს, ციდას, გოჯს და სხვ. მისი ცნობების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს ისეთი ერთეულები, როგორებიცაა ფარჩი-ჩარექა, საპალნე, ურემი, ჩაფი; ის იძლევა ამა თუ იმ ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინების (მაგ. სტილის, ლიტრას, კასრის) სადაურობასაც.

ცალკეულ შემთხვევებში წერილში მოტანილი ცნობები არაზუსტია და მათი გასწორება ხერხდება სხვადასხვა მასალის შეპირისპირებით. ასე, მაგ., ცდება თეიმურაზ ბაგრატიონი, როცა მისხლის ქართულ შესატყვისად მიაჩნია დრამი. ის სტილს საბას მიხევით 33 1/2 მისხალით საზღვრავს, თუმცა ეს ერთეული მის დროს უკვე გადიდებული იყო და სხვ., მაგრამ, ამისდა მიუხედავად, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობებს საბას შემდეგ ქართული მეტროლოგიის შესწავლის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ<sup>37</sup>.

ქართული საზომების შესახებ ცნობები მოეპოვებათ არა მარტო ქართველ ავტორებს, არამედ უცხოელებსაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა აკად. გიულდენშტედტი, რომელიც XVIII ს. 70-იანი წლებში რუსეთის აკადემიის დავალებით ჩამოვიდა საქართველოში. მკვლევარს რუსულ და ინგლისურ საზომებში გადაყვანილი აქვს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს

---

<sup>36</sup> აღნიშნული წერილის სრული თარგმანი ფრანგულად მ. ბროსემ სწრაფად გამოაქვეყნა. იხ. *Dissertation sur les monnaies géorgiennes traduite d'une lettre du prince Théimouraz, avec des éclaircissements, par M. Brosset.* «JA» Mai, t. XV, 1835, გვ. 401—445. ქართულად ის არასრული სახით გამოსცა ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე მ სტატიაში საფასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, I, ტფილისი, 1925, გვ. 31—35. სრული სახით წერილის ორიგინალი დაბეჭდილია წიგნში: თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. ბ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძებლები დაურთო ს ო ლ ო მ ო ნ ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა. თბილისი, 1964, გვ. 39—47.

<sup>37</sup> მითუმეტეს, რომ სრული სახით თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობები ჯერ არცერთ მკვლევარს არ გამოუყენებია. არასრული სახით ისარგებლეს ამ ცნობებით სარგის კაკაბაძემ და ე. კარსტმა.

საზომები: ადლი, ლიტრა, ბათმანი, პინა, მისხალი, თუნგი, ჩარეკი, სტილი, კოდი და დოქი<sup>38</sup>.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ორესტ ევეცკის ნაშრომში „Статистическое описание Закавказского края“ (СПб, 1835) დაცული მეტროლოგიური ცნობებიც. სპეციალურ თავში — „Омонет, вес и мерах употребляемых в Грузии“ — ავტორმა დაახასიათა ქართლ-კახეთში გავრცელებული მთელი რიგი საწონ-საწყაოები და სივრცის საზომები (ლიტრა, კოკა, კოდი, თლარი, საპალნე, თუნგი, ჩარეკა, ადლი, დლიური და სხვ.) და გადაიყვანა ისინი რუსულ ზომა-წონის ერთეულებში.

ზემოაღნიშნულ წერილობით წყაროების გარდა ქართული მეტროლოგიის ცალკეული საკითხების დამუშავების დროს გარკვეული დახმარება შეიძლება აღმოგვიჩინოს ნუმისმატიკურმა<sup>39</sup>, ეთნოგრაფიულმა<sup>40</sup> და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილმა მასალებმაც (საწონების სახით)<sup>41</sup>.

## § 2. ლიტერატურა

ქართული მეტროლოგიის შესწავლის პირველი ეტაპი თამამად შეიძლება დაუკავშირდეს სულხან-საბა ორბელიანისა და თეიმურაზ ბაგრატიონის სახელებს. საბამ დაახასიათა არა მარტო მისი ეპოქის საზომები, არამედ წარსულ საუკუნეთა ქართული წონითი სისტემის მცირე ერთეულები, განსაზღვრა ამ ერთეულთა ოდენობა. ის შეეხო უცხოურ საზომებსაც და ამდენად მის მიერ ჩატარებული სა-

---

<sup>38</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გ ე ლ ა - შ ე ი ლ მ ა, თბილისი, 1962, გვ. 237, 287.

<sup>39</sup> მხედველობაში გვაქვს საქართველოში მოპირილი როგორც უცხოური, ისე ეროვნული მონეტები.

<sup>40</sup> ამ შემთხვევაში ძირითადად ვეყრდნობით ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებს. ამას გარდა, მოხმობილი გვაქვს შინამრეწველობის არქივის მასალები, რომლებიც დატულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში და აგრეთვე ზოგიერთი ინფორმაცია, რომელიც ზეპირად მოგვაწოდეს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებლებმა.

<sup>41</sup> სამწუხაროდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ფაქტიური მასალები, რომლებიც მეცნიერულად არის დამუშავებული და გამოცემული, მხოლოდ ანტიკურ და ადრეფეოდალურ (VI—VII სს.) ხანებს განეკუთვნება.



მუშაო ფაქტიურად სცილდება იმ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება განმარტებით ლექსიკონს წავუყენოთ.

თეიმურაზ ბაგრატიონი ეყრდნობოდა ვახტანგ VI-ის და საბას ნაშრომებს. მას აქვს თავისი საკუთარი უაღრესად ორიგინალური ცნობებიც, მაგრამ მიუხედავად დიდი ღირსებებისა, არც თეიმურაზის და არც ს.-ს. ორბელიანის შრომებში ქართული მეტროლოგია მთელი სისრულით არ აისახა.

ქართული მეტროლოგიის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება XIX ს. 40—50-იან წლებში. ეს განპირობებული იყო პრაქტიკული საჭიროებებით, ვინაიდან საქართველოში რუსული ზომა-წონის ერთეულების დამკვიდრება მოითხოვდა ქართულ საზომთა განსაზღვრას, მათ შეფარდებას რუსულ საზომებთან და შედარებითი ცხრილების შექმნას.

ამ მიზნით, 1837 წ. 22 ნოემბრის № 4018 მიწერილობაში რუსეთის ფინანსთა მინისტრმა გრაფმა კანკრინმა მოთხოვა ამიერკავკასიის მთავარმართებელს ბარონ როზენს, რათა მისთვის გადაეგზავნათ ა/კავკასიის (მათ შორის საქართველოს) მოსახლეობაში გავრცელებული საზომები, ანდა ამ საზომთა ზუსტი ასლები, ყოველი პროვინციის და გუბერნიის საზომი სისტემების დეტალური აღწერითურთ<sup>42</sup>.

თავის მხრივ ბარონმა როზენმა ფინანსთა მინისტრის ეს მოთხოვნა გადაუგზავნა ა/კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის მოხელეებს, მაგრამ მათგან პასუხის მიღება დაყოვნდა და რაც მოვიდა, ისიც არაზუსტი და არაღამაჯერებელი იყო ...კანკრინმა მისთვის საჭირო მასალები მიიღო მხოლოდ და მხოლოდ 1841 წ. უკვე ახალი მთავარმართებლის გენერალ გოლოვინისაგან<sup>43</sup>.

გენერალ გოლოვინის მიერ შედგენილი ბარათი ა/კავკასიის სხვადასხვა მხარეში გავრცელებული საზომი ერთეულების შესახებ შედგებოდა 6 გრაფისაგან. 1 გრაფაში მითითებული იყო, თუ სად და რა სახის საზომები გამოიყენებოდა, II, III, IV და V გრაფაში კი ამ ერთეულების შესატყვისობები რუსულ ფუთთან, „ფუნტთან“, „ზოლოტნიკთან“ და „ვერშოკთან“<sup>44</sup>. VI გრაფა შეი-

<sup>42</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах Закавказского края, Кавказский календарь на 1852 год, Тифлис, 1851, стр. 546.

<sup>43</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 546.

<sup>44</sup> აქ და ქვევით ფუთის გარდა ჩვენ უცვლელად ვტოვებთ საზომთა რუსულ სახელწოდებებს და არ ვიძლევივთ მათ ქართულ შესატყვისს (გირვანქას— ფუნტის ნაცვლად, მისხალს— ზოლოტნიკის ნაცვლად და ა. შ.).

ცავდა ერთეულებთან დაკავშირებულ რიგ ახსნა-განმარტებებს. საზომების გაანგარიშება მოცემული იყო „ვერშოკისა“ და „ზოლოტნიკის“ 1/35 ნაწილშიაც კი<sup>45</sup>, თუმცა, როგორც თავის დროზე აღნიშნავდა ნ. ხანიკოვი, არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მსგავს სიზუსტეს. საამისოდ იმ დროს თბილისში არ მოიპოვებოდა სათანადო ინსტრუმენტები<sup>46</sup>.

გრაფმა კანკრინმა აღნიშნული ბარათი გადასცა ცნობილ მეტროლოგს აკადემიკოს კ. ი. კუბფერს<sup>47</sup>, მაგრამ ვინაიდან გოლოვინის ბარათის თანმხლები საზომთა ნიმუშების უმეტესობა გზაში გადატანის დროს დაზიანდა, კუბფერს აღარა ჰქონდა საშუალება, რომ პრაქტიკულად შეემოწმებინა გოლოვინის ბარათში მოტანილი გაანგარიშების სიზუსტე და შეესწორებინა უზუსტობანი. ასე შეუსწორებელი, გაუკონტროლებლად ამონაწერი გოლოვინის მოხსენებითი ბარათიდან 1843 წ. გადაეგზავნა ა/კავკასიაში საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორსა და კასპიისპირეთის ოლქების მმართველს სახელმძღვანელოდ<sup>48</sup>, შემდეგ კი დაიბეჭდა ივ. აბესალომოვის ავტორობით 1846 წ. „კავკასიის კალენდარში“<sup>49</sup>.

მაგრამ ვიდრე რუსული ადმინისტრაცია ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას აწარმოებდა, უკვე 1840 წ. თბილისის გიმნაზიის ყოფილმა უფროსმა მასწავლებელმა კ. ვორონკევიჩი — ბასსანცმა თავისი საკუთარი ინიციატივით გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი, რომელშიც აღწერილი იყო ა/კავკასიის საზომები, საწონები და მონეტები. ყველა ადგილობრივი საზომი ერთეული, მათ შორის ქართული საზომებიც, კ. ვორონკევიჩი-ბასსანცს გადაყვანილი ჰქონდა რუსულ საზომ სისტემაში<sup>50</sup>.

ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯი; ჯერ 1840 და მერე 1846 წწ რაც მიზნად ისახავდა ქართული საზომი ერთეულების რუსულ სა-

<sup>45</sup> Н. Ханыков, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 516.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 548.

<sup>49</sup> Ив. Абессаломов, *О весах и мерах, употребляемых в Закавказском крае в сравнении их с Русскими*, «Кавказский календарь на 1846 год». СПб, 1846.

<sup>50</sup> К. Воронкевич-Бассанц, *Описание мер, весов и монет Закавказского края, с переводением их к русским и французским мерам и разными примечаниями о местном их употреблении и взаимных отношениях*. «Журнал министерства внутренних дел», ч. 37, № 9, 1840, стр. 379—415.

ზომებთან შეფარდებას, მაგრამ მალე პრაქტიკამ უჩვენა, რომ ეს პირველი სამუშაო ნაჩქარევი და არაზუსტი იყო. მოსახლეობიდან შემოვიდა მრავალი საჩივარი და აუცილებელი გახდა ამ გაანგარიშებათა შემოწმება. ამჯერად წინა ცდის გამოცდილების საფუძველზე ადგილობრივ ადმინისტრაციას მოეთხოვა ადგილობრივი საზომების არა რუსულ საზომებთან შეფარდება, არამედ მოცემული რაიონის საზომთა სისტემის ზუსტი აღწერა და ცალკეული საზომების ნიმუშების ცენტრში გადაგზავნა იმისათვის, რომ ყველა გაანგარიშება ადგილზე ჩატარებულიყო<sup>51</sup>. მართლაც, მიღებული იქნა მრავალი საზომის ნიმუში და ადგილობრივი სისტემების ზუსტი განმარტებანი. მათ შესწავლას თბილისში შეუდგა ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ნ. ხ ა ნ ი კ ო ვ ი, რომელსაც რთულ გაანგარიშებებში დიდი დახმარება აღმოუჩინა ადგილობრივი მაგნიტური და მეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა გ. მ ო რ ი ე მ ა მ<sup>52</sup>.

ჩატარებული სამუშაოს ვრცელი ანგარიში „О всех и мерах Закавказского края“ რომელიც ერთოდა „Таблица мер и весов Закавказского края по последним сведениям“ დაიბეჭდა 1851 წ. „კავკასიის კალენდარში“.

ქართული საზომების ნიმუშებიდან ნ. ხანიკოვს ხელთ ჰქონდა: მისხალი, დრამა, დანგი, ნიშანი, რუბი — ქუთაისის გუბერნიიდან და მისხალი, დანგი, გოჯი — თბილისის გუბერნიიდან<sup>53</sup>. ეს ერთეულები დაედო საფუძვლად ნ. ხანიკოვის მიერ ქართული საზომების განსაზღვრას. საზომები ნ. ხანიკოვს დალაგებული აქვს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში შემავალი მაზრების მიხედვით. განხილულია: თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ქუთაისის, ოზურგეთის, შორაპნის, რაჭის და ახალციხის მაზრების საზომები<sup>54</sup>.

რიგ შემთხვევებში ნ. ხანიკოვი სარგებლობდა უკვე აღრე ჩატარებულ განსაზღვრებით. ასე, მაგ., თბილისის და გორის მაზრების საზომთა გადაყვანა რუსულ საზომთა სისტემაში ემყარება წინამორბედ (ივ. აბესსალომოვისეულ) გაანგარიშებებს. გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნიის რიგი მაზრების საზომების განსაზღვრაც ჩაუტარებიათ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას<sup>55</sup>.

<sup>51</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 548.

<sup>52</sup> ი ქ ვ ე, გვ. 549.

<sup>53</sup> ი ქ ვ ე, გვ. 553.

<sup>54</sup> ი ქ ვ ე, გვ. 557—564.

<sup>55</sup> ი ქ ვ ე, გვ. 560, 561.

ნ. ხანიკოვის მიერ ჩატარებულ სამუშაოს ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. მას ხელი უნდა შეეწყო ჩვენში რუსული საზომი სისტემის გავრცელება-დამკვიდრებისათვის. ქართული ისტორიული მეტროლოგიით ნ. ხანიკოვი არ დაინტერესებულა და თუმცა იგი შეეცადა ეჩვენებინა რიგი საზომების სადაურობა-წარმომავლობა, ამაზე შორს ის აღარ წასულა.

„კავკასიის კალენდარში“ დაცული მასალები ქართული მეტროლოგიის შესახებ მკვლევართაგან მოითხოვს კრიტიკულ დამოკიდებულებას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ნ. ხანიკოვის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაში, მაგრამ ის ემყარებოდა რუსული ადმინისტრაციის მოწვევების მიერ შედგენილ ანგარიშებს და ამ მოხელეებს კი ცოტა რამ ჰქონდათ საერთო მეტროლოგია სთან. ამის გამო არ შეიძლება ეჭვი არ გამოიწვიოს რიგმა გაანგარიშებებმა. მაგალითისათვის მოვიყვანთ კოკის სიდიდეს ქუთაისის მაზრაში, რომელიც განსაზღვრულია 30 „ბუტილკით“<sup>56</sup> ე. ი. დაახლ. 18 ლ. ჩვენ ვიცით, რომ კოკა სულ მცირე უნდა ყოფილიყო 8 ქართული ლიტრა მინც. ლიტრა ამ პერიოდის დას. საქართველოში 9 გირვანქაზე (ე. ი. 3,7 კგ-ზე) ნაკლებს არ შეადგენდა, ამდენად ყველაზე მცირე, 8 ლიტრიანი კოკაც კი 30 ლ-ზე ნაკლებს არ დაიტევდა და სხვ.

ნ. ხანიკოვის განსაზღვრები ეხება XIX ს. I ნახევარს და ამდენად, ამ პერიოდის რეალურ სინამდვილეს ასახავს. მათი მექანიკური გადატანა უფრო ადრეულ წარსულზე ყოველთვის არ შეიძლება. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ლიტრას, კოდს, კოკას და ამ ერთეულთა სისტემებში შემავალ ზოგიერთ საზომს, რომელთა ოდენობა განუწყვეტილ იზრდებოდა. ამის და მიუხედავად, მინც საყურადღებოა საზომთა დაყოფადობის და ურთიერთმიმართების პრინციპი, რაც შედარებით ნაკლებ ცვალებადობას განიცდიდა. ამდენად, თუ კრიტიკული თვალთ შევხედავთ, ნ. ხანიკოვის ნაშრომი ქართული მეტროლოგიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს.

ნ. ხანიკოვის მიერ შედგენილი ცხრილები ჯერ უცვლელად, მერე კი მცირე დამატებებით (ავტორის დაუსახელებლად) იბეჭდებოდა „კავკასიის კალენდრის“ ფურცლებზე 1917 წლამდე. მათგან ოდნავ განსხვავებული მეტროლოგიური ცხრილები იბეჭდებოდა აგრეთვე „საქართველოს კალენდრის“ ფურცლებზეც, რომელსაც

<sup>56</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნშრ., გვ. 557.

ჯერ ლ ი ა ძ ე, ხოლო შემდეგ ვ. გ უ ნ ი ა (1889 წ-დან) უშვებდა.

1849 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა რუსი მეტროლოგის თ. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი ს „Общая метрология“. ნაშრომში დახასიათებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საზომი სისტემები. ერთ-ერთ პარაგრაფში მოცემულია ქართული საზომებიც და მათი სიდიდე რუსულ საზომთა სისტემაში. ფაქტიურად აქ ახალი არაფერი არ არის ნათქვამი, რადგანაც ავტორი ემყარებოდა კ. ვორონკევიჩ-ბასსანცის და ივ. აბესსალომოვის ნაშრომებს, მაგრამ ამ ნაშრომს აქვს სხვა საინტერესო მხარე. მასში იმდროინდელი ცოდნის კვალობაზე განხილულია ირანის და თურქების საზომი სისტემები, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ისინი ქართული მეტროლოგიისათვის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სრულყოფილად თურქული და ირანული მეტროლოგიის საკითხები, მიუხედავად ვ. პინცის ცნობილი გამოკვლევისა — *Islamische Masse und Gewichte*,<sup>57</sup> დღემდე არ არის შესწავლილი.

მიუხედავად ზემოწარმოდგენილი მუშაობისა, ქართული მეტროლოგიის შესწავლას მყარი მეცნიერული საფუძველი მაინც ჩვენდროში შეექმნა. ახალი ეტაპი ქართული მეტროლოგიის შესწავლის საქმეში დაკავშირებულია აკად. ივ. ჭავჭავიძის სახელთან. მეტროლოგიას ეხება მისი ნაშრომის „ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“ (ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ტფილისი, 1925), მეორე განყოფილება — „საზომი“ (გვ. 59—140).

ნაშრომში შესწავლილია ქართულ საზომებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, წონის ერთეულები, საწყაოები, სივრცის საზომები, რომლებიც გავრცელებული იყვნენ როგორც მთელ საქართველოში, ისე მხოლოდ ცალკეულ კუთხეებში; საგანგებო საზომები მცენარეულობისათვის, ნართის, სამოსელისა და საჭმელისათვის.

ივ. ჭავჭავიძელმა პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ო ი ძ ი ა ქართული საზომების შესახებ ცნობები მრავალრიცხოვან პირველწყაროებში, უჩვენათითოეული საზომის გაჩენის თარიღი და მისი მოქმედების ხანგრძლიობა საქართველოში, განსაზღვრა საზომთა სადაურობა, მათი გავრცელების არეალი და ოდენობა.

<sup>57</sup> იხ. მისი რუს. თარგმანი В. Х и н ц, Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему. Перевод с немецкого Ю. Б р е г е л я, Москва, 1970.

ივ. ჭავჭავაძის მიერ ქართული საზოგადოებრივი განხილვა მათ ისტორიულ განვითარებაში, წარმოადგინა ძირითად საზოგადოებრივ ზრდა-ცვალებადობა სხვადასხვა ეპოქაში, ახსნა მიზეზები ამ ცვალებადობისა.

ქართული წყაროების გარდა ივ. ჭავჭავაძის მიერ მოხსენიებული უცხოური წყაროებიც (შარდენი, გიულდენშტედტი), მან პირველად ქართული საზოგადოებრივი შეისწავლა უცხოურ — ბერძნულ, სპარსულ თუ არაბულ საზოგადოებრივ შედარებით. ამ ფაქტს თვით მკვლევარი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე, მაგ., ქართული წონის სისტემის სადატრობის გარკვევისათვის ის საპიროდ მიიჩნევდა სხვა ქვეყნების წონის სისტემების უფრო ფართოდ შესწავლას<sup>58</sup>, რისი გაკეთებაც ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევის შემდეგ ნაწილში ჰქონდა განზრახული<sup>59</sup>.

ივ. ჭავჭავაძის „ქართული საფასურ-საზომთა მცოდნეობა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოცემამდე ჯერ ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“ (№ 2, 1924 და № 3—4 1925 წწ) დაიბეჭდა, გამოიწვია სარგის კაკაბაძის მძაფრი რეცენზია. ავტორი მიუთითებდა რიგ შეცდომებზე, რომლებიც შეინიშნებოდა ივ. ჭავჭავაძის ნაშრომში ცალკეული ერთეულების განსაზღვრისას, მაგრამ კამათს დროს მან სრულიად უსაფუძვლოდ უწოდა ამ გამოკვლევას „საბუთებიდან მხოლოდ ნედლი მასალის ამოკრეფის ცდა“<sup>60</sup>.

დღეისათვის ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, რომლისგანაც არცერთი ნაშრომი არ არის დაზღვეული, ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევა იდგა მეტროლოგიის შესახებ იმდროინდელ ევროპულ საუკეთესო ნაშრომთა დონეზე და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მას გვერდს ვერ აუვლის ქართული მეტროლოგიის ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი.

შემოხსენებული რეცენზიების გარდა სარგის კაკაბაძემ ქართული მეტროლოგიის ახლებურად განხილვა სცადა ნაშრომში „ქართული მეტროლოგია“, რომელიც 1925 წ. დაიბეჭდა (ქრ. „საისტორიო მოამბე“, წიგნი 1, 1925, გვ. 51—85). ამ ნაშრომში ავტორს აქვს მთელი რიგი საინტერესო დაკვირვებებისა, რაც განსაკუთრებ-

<sup>58</sup> ივ. ჭავჭავაძის მიერ, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> სარგის კაკაბაძე (რეცენზია), ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქართული საზოგადოებრივი მცოდნეობა ანუ მეტროლოგია, ჩვენი მეცნიერება, № 2, 1924 წ. № 3—4, 1925 წ. „საისტორიო მოამბე“, წიგნი. I, ტფილისი, 1925, გვ. 286.

ბით ეხება საწყაობებს (მაგ., თუნგს, ლიჯი-ჯამი-ატარის ურთიერთმიმართებას), საწონებს (ლიტრის ოდენობას და მის ცვალებადობას საუკუნეთა მანძილზე) და სივრცის ზოგიერთ საზომს.

გარდა ამ ნაშრომისა, სარგის კაკაბაძე ქართული მეტროლოგიის საკითხებს შეეხო სხვა წერილებშიც, როგორცაა მაგ., „საფასის ისტორიისათვის საქართველოში მე-13—17 საუკ.“<sup>61</sup>, „ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისათვის საქართველოში მე-13—17 საუკ.“<sup>62</sup> და სხვ.

ქართული მეტროლოგია აისახა სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ე. კარსტის წიგნში „Précis de Numismatique Géorgienne, avec 12 planches et une appendic sur la Métrologie des Géorgiens“ (Paris, 1938). ავტორი მეტად შეზღუდულია გამოგმოყენებული წყაროებით და ლიტერატურით<sup>63</sup>. ის განიხილავს მხოლოდ წონის ერთეულებს და საწყაობებს და არ ახასიათებს მანძილის და ფართობის საზომებს.

ამა თუ იმ ერთეულის განსაზღვრაში ე. კარსტი არ არის ორიგინალური, სამაგიეროდ საინტერესოა მისი მოსაზრებები ცალკეულ საზომთა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ.

შედარებით ვრცლად ქართულ მეტროლოგიას შეეხო აგრეთვე დ. ცხაკაია ნაშრომში „История математических наук в Грузии с древних времен до начала XX века“ (Тбилиси, 1959). ნაშრომის II თავის სახელწოდებაა „მეტროლოგია“. მისი პირველ ქვეთავში (გვ. 26—40) განხილულია სიგრძის და ფართობის საზომები, ხოლო მეორეში (გვ. 41—47) წონის, მარცვლეულის, ჰითხის და ფულის საზომი. მეტროლოგია დ. ცხაკაიას ნაშრომში შევიდა ქართული მათეტიკის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ავტორის განცხადებით „Всякий народ создавая свою метрологию, тем самым создавал первую ступень собственной математики“<sup>64</sup>... საბას ლექსიკონის, ქართულ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ და მათემატიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით და სხვა სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით დ. ცხაკაია მიზნად ისახავდა „შეძლებისდაგვარად მოეცა მკითხველისათვის სრული და ნათელი სურათი

<sup>61</sup> „საისტორიო მოამბე“, წიგნი I, ტფილისი, 1925, გვ. 1—35.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 36—50.

<sup>63</sup> ე. კარსტი ემყარება საბას ლექსიკონს, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნს“, თეიმურაზ ბაგრატიონის მეტროლოგიურ ცნობებს, რომლებიც მ. ბ რ ო ს ე მ გა მოსცა, ე. კლაპროტის და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში შესულ მასალას, გამოკვლევებიდან კი ივ. ჭავჭავაძის „ქართულ საფას-საზომთმცოდნეობას“.

<sup>64</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

საზომთა იმ სისტემებისა, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოში სხვადასხვა დროს სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ვაჭრობაში<sup>65</sup>. მაგრამ ამ მხრივ ნაშრომი არ არის სრული. მასში არ აისახა მრავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი საზომი, არ არის გარკვეული, თუ რომელი საზომი რომელ ეპოქაში გამოიყენებოდა და რაც მთავარია ავტორმა უკრიტიკოდ მიიღო საბას მთელი რიგი ცნობებისა უცხოური საზომების შესახებ და მიიჩნია ისინი ქართულად. ასეთებია, კერძოდ, ბიბლიური საზომი — ღომორი (პომორი), შაბათის გზა<sup>66</sup> და სხვ.

ამისდა მიუხედავად, დ. ცხაკაიას „მეტროლოგია“ მაინც საყურადღებო გამოკვლევაა და მისი დამსახურება ის არის, რომ ქართველ მკვლევართაგან პირველმა მოიხმო ასტრონომიული და მათემატიკური ნაშრომები, რომელთა საფუძველზე ორიგინალურად გააშუქა ქართული მეტროლოგიის (განსაკუთრებით კი სივრცის საზომების) არა ერთი საკითხი.

გარდა ამ ზოგადი ნაშრომებისა, ცალკეული ქართული საზომების შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ლ. მუსხელი-შვილმა<sup>67</sup>, ირ. ციციშვილმა,<sup>68</sup> ა. სოხაძემ,<sup>69</sup> ვ. პარკაძემ<sup>70</sup> და ქარ-

<sup>65</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ. გვ. 23.

<sup>66</sup> შორს რომ არ წაივლიდეთ „შაბათის გზის განმარტებას“ იძლევა ნ. ჩ უ ზ ი ნ ა - შ ვ ი ლ ი: „სკული ურისათა არ შეუნდობდა შაბათთა შინა შორად სლუას, არამედ სახლოთგან ტაძრად მისილსთვის დადებულ იყო განლა ვიდრე ათასს ნაბიჯამდე, ასე არს შაბათის გზა“.... „ქართული ლექსიკონი“, გვ. 415; ბიბლიურ და რომაულ-ბიზანტიურ საზომებს და არა ქართულს მიეკუთვნება: უ ე ც ი ა, ქ ა ნ ქ ა რ ი, დ ი დ რ ა ქ მ ა, მ ა ი ო მ ი (Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 40, 41, 42). იოანე ბაგრატიონის მათემატიკური ნაშრომიდან შევიდა დ. ცხაკაიას „მეტროლოგიაში“ ლ ა ს ტ ი (გვ. 45, 44), რომელიც რუსული მეტროლოგიის კუთვნილებაა. შეუძლებელია საზომთა რიცხვს მივავსოთ ლ ე ლ წ ა მ ი ც (გვ. 35), ანუ შ ი მ შ ა. ეს უკანასკნელი იყო არა რაიმე კონკრეტული ერთეული, არამედ საზომი იარაღი სახაზაის ტიპისა, რომელზედაც აღინიშნებოდა სხვადასხვა დანაყოფები.

<sup>67</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დასავლეთ საქართველოში XVI—XVIII სს., საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XI—B, 1941.

<sup>68</sup> ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ძველ საქართველოში ხმარებულ სივრცის საზომთა შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის, „მოამბე“, ტ. IX, № 5, 1948. აღნიშნული ნაშრომი საყურადღებოა იმიტ, რომ ავტორი შეეცადა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ნაგებობებს მრავალგზისი გაზომვის შედეგად დაედგინა უძველესი ქართული წყრთის სიდიდე.

<sup>69</sup> ა. ს ო ხ ა ძ ე, სივრცის საზომი ერთეულები ძველ საქართველოში. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 11, 1949.

<sup>70</sup> ვ. პ ა რ კ ა ძ ე ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო თავის სადოქტორო



თველმა ეთნოგრაფებმა აკად. გ. ჩიტაიამ<sup>71</sup>, ჯ. სონღულაშვილმა<sup>72</sup>, ნ. ბრეგაძემ<sup>73</sup>, მ. აბესაძემ<sup>74</sup>, ლ. ფრუიძემ<sup>75</sup> და სხვ., რომლებმაც ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ქართული მეტროლოგიის არა ერთი საინტერესო მხარე გააშუქეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართული მეტროლოგიის შესწავლის საქმეში ბევრი რამ არის გაკეთებული. სახეზეა დიდი ლიტერატურა, რომელთა შორის არის კლასიკური გამოკვლევებიც. მაგრამ დღეისათვის შესაძლებელია ხელახლა დამუშავდეს ქართული ისტორიული მეტროლოგიის არა ერთი საკითხი. ამის საფუძველს გვაძლევს მრავალრიცხოვანი ქართული წყაროები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მხრივ გამოყენებული დარჩა და მეზობელ ქვეყნების (სომხეთის, ირანის, თურქეთის, ბიზანტიის) საზომი სისტემების სათანადო გათვალისწინება.

ქართული საზომები ქვემოთ განხილული გვაქვს შესაბამის თავებში: წონის ერთეულები, საწყაოები და სივრცის საზომი ერთეულები. თითოეულ საზომის წარმომავლობის, საქართველოში მისი დამკვიდრების თარიღის და გავრცელების არეალის მითითებასთან ერთად შეძლებისდაგვარად განსაზღვრული იქნება ამ საზომთა სიდიდე თანამედროვე მეტრულ სისტემაში.

---

დისერტაციაში «Роль русских физиков в развитии физики в Грузии за последние два века (1757—1957)». Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора физико-математических наук, Тбилиси, 1964. ი). აგრეთვე В. Д. П а р к а д з е, Вопросы метрологии в «Толковом словаре» Сулхан-Саба Орбелиანი, თსუ პროფესორ მანუალებელთა საიუბილეო-სამეცნიერო სესიაში ძღენილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1961, გვ. 14.

<sup>71</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხეცურული სტილი, „საქ. მუზეუმის მოამბე“, ტ. IV, ტფილისი, 1927; მისივე. საყოფაცხოვრებო რეალები „ვეფხისტყაოსანში“. „შოთა რუსთაველი“, კრებული. თბ., 1968. გვ. 89—98 მისივე. ეთნოგრაფიული პარალები. 2. „სილა“ და „ლალა“ „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბილისი, 1970.

<sup>72</sup> ჯ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მემინდერეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები...

<sup>73</sup> ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1970 (შემდეგ ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.), გვ. 173—197.

<sup>74</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1957, გვ. 78—115 (მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული საწონ-საწყაოთა ერთეულები საქართველოში).

<sup>75</sup> ლ. ფ რ უ ი ძ ე, ღვინის საწყაივი ჭურჭლები რაჭაში, „მეცნიერება და ტექნიკა“ № 10, 1965.

ქრონოლოგიურად ნაშრომი მოდის XIX ს. 30—50-იან წლებამდე, თუმცა მასში შევიდა თანამედროვე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი<sup>76</sup> და წერილობით წყაროებისათვის უცნობი ზოგიერთი საზომიც. მაგრამ აქვე ნახვასმით უნდა აღვნიშნოთ რომ ჩვენ გამოვდივართ, როგორც წესი წერილობითი წყაროებიდან და ხალხური მეტროლოგიის შესწავლა არ შეადგენს ჩვენს ამოცანას.

ნაშრომში არ შევიტანეთ ნართის, სამოსის, საჭმელის და მცენარეულობის საზომები, ვინაიდან ისინი საკმაოდ სისრულით შესწავლილია აკად. ივ. ჯაფარიშვილის მიერ<sup>77</sup>.

ნაშრომში არ აისახა აგრეთვე მეტროლოგიის შემადგენელი „ფულის ანგარიში“. ქართული ფულის ცალკეული ნომინალების ურთიერთმიმართება უაღრესად ფართო და რთული თემაა, რომელსაც მომავალში სპეციალური კვლევა-ძიება ესაჭიროება.

---

76 სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ფაქტიური მასალის მოპოვებაში (იხ. ტაბ. I—VIII) დახმარება აღმოგვიჩინეს დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ი. ბედუკაძემ, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ ისტ. მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ჯალაბაძემ, ამავე განყოფილების თანამშრომლებმა ისტ. მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ვასიტაშვილმა და ც. კაკაბაძემ. ც. კაკაბაძემ თავაზიანად მოგვაწოდა დორას, დოქის, კოკას და ჩაფის ფოტოსურათები.

77 ივ. ჯაფარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123—131. გარდა ამისა, დამატებით, საზომთა აღნიშნულ ჯგუფში შემაველი ერთეულების შესახებ იხ. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV<sub>1</sub>, გვ. 388 (კობე); ტ. IV<sub>2</sub>, გვ. 249 (ღეო), გვ. 273 (ყუნცული); „ქართული სამართლის ძეგლები“, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 45, 195 (შეკანული), გვ. 818 (პირი); ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 181, 197 (ყმალი, ნეში); ნ. ბრეჯაძე, მთის მიწათმოქმედება, გვ. 180, 189, (ცაბეტი); ნ. აბესაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—110 (ქუმის და მანჯანიკის თაობაზე).

წონის ერთეულები

შესავალში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ფაქტიური მასალები მოწმობენ ელინისტური ხანის კოლხეთში გვიანბნობითი წონითი სისტემის გავრცელებას<sup>1</sup>, ხოლო VI—VII სს. ქართლში კი ბიზანტიური საწონების გამოყენებასაც<sup>2</sup>. წონის აღნიშნულ სისტემებს თავის დროზე ფართო გავრცელება ჰქონდათ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და წარმოდგენდნენ თავისებურად საერთაშორისო საზომებსაც. ამდენად თავის დროზე მათი გავრცელება და გამოყენება საქართველოში სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ეს თავის მხრავ არ გამოორიციხავს ჩვენში ორიგინალური საწონების გამოყენებასაც.

რაც შეეხება წერილობით წყაროებს, აქ ცნობები საქართველოში გავრცელებული საწონებისა და წონის ერთეულების სისტემების შესახებ შედარებით გვიან გვხვდება. მთავარი საწონი ერთეული ლიტრა ჩანს IX ს-დან, დრამა, დანგი, კერატი-ყერატი, მიტყალი — მუტყალი, უკია, ასთირი X—XV სს-ში, ჩარეჟი — XV ს. მიწურულიდან. XVI—XVII სს-ს ქართულ წყაროებში საწონების რიცხვი მატულობს. გვხვდება საწონთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური ცვლილებებიც — კერატ-ყერატს ცვლის ყირათი, მიტყალ-მუტყალს — მისხალი და სხვ.

წყაროების დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ IX—XVIII სს-ს საქართველოში გავრცელებული მცირე და უფრო მოდიდო ერთეულების სხვადასხვა სისტემები.

<sup>1</sup> Г. А. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 133—134.

<sup>2</sup> М. М. Ивашенко, *Находка византийского эксагия в Грузии*, «Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры», XIX, М., 1948, стр. 43—45.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ლიტრის განხილვის დროს დახასიათებულია ქართული წონითი სისტემის მცირე ერთეულები:

„4 ქრთილის მარცვალი ერთი ყირათია, რომელ არს კერატი

3 კერატი ერთი დანგია,

6 დანგი ერთი დრამია

დრამნახევარი ერთი მიტყალია“<sup>3</sup>.

ეს ცნობები ლექსიკონში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მწიგნობრული გზით არის შესული და ასახავს არა XVIII ს-ის დასაწყისის, არამედ უფრო ადრეული საუკუნეების სინამდვილეს. საამისო მასალებს გვაწვდიან ქართული სამკურნალო წიგნები.

XI ს-ის ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ ვხვდებით პირველ მითითებას იმის შესახებ, რომ დრამა ოთხ დანგს იწონიდა<sup>4</sup>.

დრამის ასეთსავე განმარტებას ვხედავთ XV ს. II ნახევრის ავტორის ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო ნაშრომში<sup>5</sup> და XI—XVIII სს-ის ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანართში<sup>6</sup>.

ზაზა ფანასკერტელის განმარტებით „ექვესი კარეტი ნახევარ დრამს ჰრქვიან“ — ე. ი. დრამი (დრამა) წონით 12 კარეტი<sup>7</sup> (კერატი — გ. ჯ:) ყოფილა.

დანგი 3 კერატად არის განსაზღვრული ზემოხსენებული ანონიმური კარაბადინის ტექსტსა<sup>8</sup> და მეტროლოგიურ დანართში<sup>9</sup>.

ამავე დანართში კერატის წონა ოთხი ქრთილის მარცვლით არის განსაზღვრული<sup>10</sup>. კერატის მსგავს განმარტებას ვხვდებით XII ს. ერთ ქართულ ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტრაქტატშიც<sup>11</sup>. მართალია, აქ ის დროისა და სივრცის საზომად ჩანს, მაგრამ 4 ქრთილის მარცვლით განსაზღვრა საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კერატის სიდიდისათვის.

<sup>3</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sup>1</sup>), გვ. 422.

<sup>4</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, გვ. 31.

<sup>5</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ო ო ც ი შ ვ ი ლ ი. სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, გვ. 268.

<sup>6</sup> Q: 916, გვ. ჩსპგ (1148).

<sup>7</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი) გვ. 420.

<sup>8</sup> Q: 916, გვ. 17.

<sup>9</sup> ი ქ ვ ე, გვ. 1148.

<sup>10</sup> ი ქ ვ ე.

<sup>11</sup> Д. П. х. а. к. а. я, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

მეტყალი ან მიტყალი დრამნახევრის წონით აქვს განსაზღვრული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს<sup>12</sup>.

აქ მოტანილი ცნობები საბასგან მხოლოდ ერთით განსხვავდება. დრამი ლექსიკონში 6 დანგით არის განსაზღვრული მაშინ, როცა სხვა წყაროებში ის 4 დანგად იყოფა.

საფიქრებელია, რომ ს.-ს. ორბელიანმა ამ ერთეულის განსაზღვრისას შეცდომა დაუშვა (ამ საკითხს ქვემოთ ჩვენ ისევ დავუბრუნდებით). დრამის ოთხდანგიანობა წყაროების მონაცემებით უფრო სარწმუნოა და ამ კორექტივის შემდეგ წონის მცირე ერთეულების ეს სისტემა ასეთ სახეს მიიღებს:

4 ქრთილის მარცვალი უდრის 1 კერატს

3 კერატი=1 დანგს.

4 დანგი=1 დრამს

დრამნახევარი იწონის ერთ მიტყალს.

დრამი ამ სისტემაში არის 4 დანგი — 12 კერატი ან 48 ქრთილის მარცვალი.

რას წარმოადგენს ამ სისტემაში შემავალი ერთეულები, ან როგორია თვით ამ სისტემის წარმომავლობა?

დრამა ან დრამი მომდინარეობს ბერძნული  $\delta\rho\alpha\chi\mu\eta$  — დან, რომელიც როგორც მონეტა, ფაროდ გავრცელდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. დრამის (dram) ფორმით ის

შეთვისებული იქნა ირანელებისა და სომხების, დირჰამის (درهم)

ფორმით კი — არაბების მიერ<sup>13</sup>.

საქართველოში დამკვიდრებული ამ ტერმინის ფორმა — დრამა (დრამი) ფონეტიკურად ყველაზე ახლო ფალაურთან დგას და მოწმობს, რომ ის ჩვენში ირანის გზით უნდა შემოსულიყო. ამდენად საქართველოში მისი გავრცელება არაბთა გაბატონებამდეა მოსალოდნელი. ეს სახელი ერქვა, ცხადია, საქართველოში მიმოქცევაში არსებულ სასანურ ვერცხლის მონეტებს და ალბათ VI—VII სს. ქართულ-სასანურ მონეტებსაც, მაგრამ წყაროებში ის მხოლოდ IX—X სს-დან ჩანს, ჯერ როგორც მონეტის სახელწოდება; მერე კი როგორც წონის ერთეულიც<sup>14</sup>.

<sup>12</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), გვ. 420.

<sup>13</sup> მ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 312.

<sup>14</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 70.

დადგენილია, რომ IX—X სს-ში დრამა, როგორც მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, უკვე შეესაბამებოდა არაბულ ღირჭამს<sup>15</sup>, ამდენად, როგორც წონის ერთეულიც, ის შეიძლებოდა არაბული საწონის ღირჭამის შესატყვისი ყოფილიყო.

ჩვენ მიერ ზემოგანხილული დრამის წონითი სისტემა სწორედ ამის დამამტკიცებელი ფაქტია.

12 კერატის ან 48 ქრთილის მარცვლიან დრამას ანალოგია მოეპოვება არაბულ წონით სისტემაში.

აღრინდელი და გვიანი შუა საუკუნეების ერაყში ვერცხლის ღირჭამი შედგებოდა 12 კირატის (მისი ქართ. სინონიმი არის კერატი) და 48 ჰაბბასაგან<sup>16</sup> (ჰაბბა არის ქერის მარცვალი; ქერის მარცვალი კი ქრთილის მარცვლის ტოლფასია<sup>17</sup>).

ეს ღირჭამი იწონიდა 2.97 გ-ს.

ამდენად საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართული დრამის წონა და მისი სისტემა შეესაბამება არაბულ ვერცხლის ღირჭამსა და მის სისტემას.

არაბულ წონით სისტემასთან კავშირს ნათლად მოწმობს დრამის სისტემის დაკავშირება მიტყალთან. დ რ ა მ ნ ა ხ ე ვ ა რ ი უ დ რ ი დ ა მ ი ტ ყ ა ლ ს.

მიტყალი ნაწარმოებია არაბული მისკალიდან (مِثْقَالٌ), რაც

თავის დროზე აღნიშნა აკად. ივ. ჯავახიშვილმა<sup>18</sup>.

ქართულ წერილობით წყაროებში მიტყალი პირველად გვხვდება XI ს-ში<sup>19</sup>. მასთან ერთად XI—XVII სს. ძეგლებში დადასტურებულია ამ ტერმინის სხვა ფორმებიც: მ უ ტ ყ ა ლ ი, მ ი თ ყ ა ლ ი და მ ი თ კ ა ლ ი<sup>20</sup>.

მაგრამ ქართულში ძირითადად დამკვიდრდა არაბული მისკალის ორი ფორმა მ ი ტ ყ ა ლ ი და მ უ ტ ყ ა ლ ი<sup>21</sup>.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე, გვ. 17; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 49.

<sup>16</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>17</sup> „გაზაფხულ ნათეს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისას—ქრთილი“, „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 220.

<sup>18</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

<sup>19</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, გვ. 6, 12.

<sup>20</sup> „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 63, 74, 103, 236; ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ო ც ი ე შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, გვ. 117, 119, 121; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

<sup>21</sup> რამდენიმე სიტყვით შეეჩერდებით არაბულისაგან ნაწარმოებ ამ ფორმათა

არაბულ წონით სისტემაში მისკალი უმნიშვნელოვანესი ერთეულია. ყველა სხვა ერთეულის წონითი ოდენობა ფაქტიურად მისკალის და აგრეთვე დირჰამის ბაზაზე იანგარიშებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც მიტყალის საფუძველზე ანგარიშობდნენ სხვა ერთეულების, მაგ. ლიტრის წონას<sup>22</sup>.

არაბულ წონით სისტემაში განასხვავებდნენ ორი სახის მისკალს: მონეტის წონას — 4,25 გ, რომლის საფუძველზეც იჭრებოდა ოქროს მონეტა — დინარი და სავაჭრო წონას. ეს უკანასკნელი მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა იყო. კანონიერი, ერაყული მისკალი უდრიდა, 4,46 გ-ს<sup>23</sup>.

მისკალის წონითი შეფარდება დირჰამთან თეორიულად, კანონმდებლობით შეადგენდა 7:10-ს. მაგრამ პრაქტიკაში ისინი ისე შეეფარებოდნენ ერთმანეთს, როგორც 2:3-ს<sup>24</sup>.

ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოშიც მიტყალის წონითი შეფარდება დრამასთან იყო 2:3-თან, ე. ი. პრაქტიკული შეფარდება. ამგვარად ჩვენში დრამა — მიტყალის ურთიერთობაში დაცული იყო არაბული წონის სისტემისთვის დამახასიათებელი თავისებურება.

როგორი იყო საქართველოში მიტყალის (მუტყალის) წონა?

მრავალგვარობაზე. არაბული **ق** (ق) ქართულში გადმოიღის როგორც „ს“, მაგრამ

ზოგჯერ ის იძლევა „თ“-საც. მაგ., არაბული **ق** ქართულში გვაძლევს არა „სა-

კილს“, არამედ „თაკილს“. არაბული **ك** ქართულში გადმოიღის როგორც „კ“ და როგორც „ყ“. (იხ. მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულშიც. თსუ „ზრომები“, ტ. 105. თბილისი, 1965, გვ. 302). თუ ამ კანონზომიერებას გავითვალისწინებთ მისკალს სავსებით ბუნებრივად შეეძლო მოეცა მითყალი, მითყალი და მცირე სახესხვაობითაც — მიტყალი. ანალოგიურად წარმოიშვა „მუტყალი“ ფორმაც. იმ განსხვავებით, რომ არაბული ქესრა (ق), რომელიც ქართულში შესაბამის „ი“ ხმოვანს გვაძლევს, „უ“ ხმოვანმა შეცვალა. აქაც გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. არის შემთხვევები, როცა არაბული ქესრა ქართულში სწორედ „უ“ ხმოვანს გვაძლევს. მაგ., არაბ. **ق** ქარ-

თულში გადმოვიდა როგორც ლ უ რ ს მ ა ნ ი, ხოლო **ق** — როგორც უ ნ ა ბ ი.

(მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების..., გვ. 309).

<sup>22</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, გვ. 105.  
<sup>23</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 11—17.  
<sup>24</sup> ი ქ ე ე, გვ. 13, 15.

სამწუხაროდ, პირდაპირი, ფაქტიური მასალები არ გაგვაჩნია, მაგრამ დრამის წონად თუ მივიღებთ 2,97 გ-ს და ეს სავსებით დამაჯერებელი ჩანს, მიტყალის წონა არსებული პრაქტიკული შეფარდების თანახმად 4.46 გ გამოდის. ეს არის ის მაჩვენებელი, რომელიც ჰქონდა ერაყულ, კანონიკურ სავაჭრო მისკალს.

დრამის მეოთხედი ჩვენ წონით სისტემაში არის დ ა ნ გ ი. ეს ტერმინი არამეულია და ნიშნავს მარცვალს<sup>25</sup>. ის შევიდა ფალაურში dānk -ის და ახალ სპარსულში dang-ის ფორმით<sup>26</sup>, არაბულში

კი დამკვიდრდა დ ა ნ ი კ ი ს (دنانير) სახით.

ქართულ წყაროებში ტერმინი დანგი მონეტის მნიშვნელობით პირველად სახარების ქართულ თარგმანში გვხვდება (მათე, 526)<sup>27</sup>, მაგრამ წონის ერთეულის სახით ის მხოლოდ XI ს-დან ჩანს („უსწორო კარაბადინში“).

არაბულ წონით სისტემაში დანგი შეადგენს მისკალის 1/6-ს და იშვიათად ღირჰემის 1/6-საც. ამდენად, უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო დრამის ექვსდანგიანობა, რომელსაც საბა იძლევა. მაგრამ დრამის ოთხდანგიანობა სრულიად არ არღვევს დრამის სისტემას და უფრო მართებულიც ჩანს.

თუ საბას მიხედვით დაეუშვებთ, რომ დრამი 6 დანგია, მაშინ დრამის წონად მივიღებთ 18 კერატს, ხოლო მიტყალის წონად კი — 27 კერატს (5 გრამზე მეტს). ამ წონის დრამი ან მიტყალი (შესაბამისად ღირჰამი და მისკალი) არ არსებობდა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად<sup>28</sup>.

დანგი, როგორც დრამის 1/4 იწონის 0,74 გ-ს. 6 დანგი კი ისევე როგორც არაბულ წონით სისტემაში მოგვცემს მიტყალის (მისკა-

<sup>25</sup> A. G r o h m a n n, Einführung und Chrestomathie zur arabischen papiruskunde, Bd. I, Praha, 1954 (Monographie Archivi Orientalního, vol. XIII), ff. 145—146.

<sup>26</sup> მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 314.

<sup>27</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949, გვ. 129.

<sup>28</sup> საბაზე დაყრდნობით 6 დანგითაა განსაზღვრული დრამი ივ. ჯ ა ვ ა ხ ი - შ ვ ი ლ ი ს (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 107) და დ. ც ხ ა კ ა ი ა ს (История математических наук, გვ. 44) შრომებში. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ ი ა რ ა უ ლ ა, რომ საბამ 6 დანგად დრამის განსაზღვრისას შეცდომა დაუშვა, ვინაიდან ამის კვალობაზე მისხალი 9 დანგი გამოვიდოდა. „ქართული მეტროლოგია“, გვ. 75, მაგრამ მაინც არ მოუცია დანგის წონითი ოდენობის სწორი განსაზღვრა. ე. კ ა რ ს ტ ი დ რ ა მ ს 4 დანგით ანგარიშობდა (Précis de Numismatique Géorgienne, გვ. 72), მაგრამ მისი განსაზღვრა დაუსაბუთებელია.



ლის) წონას. ამრიგად დანგის დრამის მეოთხედად გაანგარიშება სავსებით გამართლებულია.

დრამის 1/12 ნაწილს შეადგენს კერატი. ეს ტერმინი ბერძნული წარმომავლობისაა (κέραιον) და ცერცვის მარცვალს აღნიშნავს<sup>29</sup>.

კერატი ფართოდ გავრცელებული საზომი იყო ძვირფასი ქვებისა და ლითონებისათვის და ამ დანიშნულებით დღესაც გამოიყენება (კარატი).

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ერთეულს სხვადასხვა წონა ჰქონდა. ასე მაგ., ეგვიპტური კარატი იწონიდა 0.196 გ, ხოლო ბერძნულ-

რომაული 0,189 გ; არაბებმა ის კირატის (كِرَات) ფორმით შეითვისეს. სირიულ-არაბული კირატი იწონიდა 0.212 გ<sup>30</sup>, ხოლო ერაყში ვერცხლის ღირჰამის კირატი კი 0.247 გ-ს<sup>31</sup>.

ქართულ წყაროებში კერატი პირველად XI ს-ში (ქანანელის „უსწორო კარაბადინში“) გვხვდება. XVIII ს-მდე წყაროებში დამოწმებულია ამ ტერმინის სხვა ფორმებიც: კერატი და კარეტი<sup>32</sup>.

არსებული მასალებით საქართველოში კერატი დრამის 1/12 ნაწილს შეადგენდა და ამდენად ერაყული კირატის ტოლფასი, ე. ი. 0.247 გ იყო.

აღმოსავლურ მეტროლოგიაში წონის უკნინესი ერთეულის სახით, ჩვეულებრივ, რაიმე მარცვალი გვევლინება. დრამის სისტემაში ეს იყო ქრთილის მარცვალი, რომელიც 0.062 გ იწონიდა<sup>33</sup>.

<sup>29</sup> Ph. Grierson, The Monetary Reforms of 'Abdal-Malik. their Metrical Basis and their Financial Relationships. «JESHO», vol. III, pt. 3, 1960, p. 251.

<sup>30</sup> ი ქ ვ ე, გვ. 252—253.

<sup>31</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>32</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 141, 154; Q: 916, გვ. 919.

<sup>33</sup> ვ. დ. პარკაძემ პრაქტიკული შემოწმებით უჩვენა, რომ ქრთილის მარცვლის საშუალო წონა საქართველოში არის 41,5 მგ (0,0415 გ). В. Д. Паркадзе, Вопросы метрологии в «Толковом словаре» Сулхан Саба Орбелиани, გვ. 14; ამასთან დაკავშირებით აღენიშნავთ, რომ არაბი ავტორები ჰაბბას შესახებ უაღრესად მრავალრიცხოვან ცნობებს გვაწვდიან, რომელთა თანახმადაც ამ ერთეულს სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვა ადგილი ეკავა (მისკალის 1/100, 1/96, ღირჰამის 1/60, 1/48) და მისი წონა 0.0446—0.065 გგ შუა მერყეობდა (В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42). ამდენად 0.0446 გ-იანი ჰაბბა (შდრ. ვ. პარკაძის 0,0415 გ) შესაძლებელია თავდაპირველად მართლაც იყო ბუნებაში არსებული მარცვლის იდენტური, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ის სხვადასხვა სისტემაში მოექცა, სხვა წონითი მნიშვნელობა შეიძინა და ამრიგად, ეს სახელწოდება პირობითი გახდა. მსგავსი შემთხვევები ხშირია ყველა ხალხების მეტროლოგიაში. ანალოგიურ შემთხვევას აქვს

ამრიგად, წონის მცირე ერთეულების ზემოგანხილული სისტემა ძირითად ნაწილში არაბული წარმომავლობისაა და ბუნებრივი ექნებოდა მისი ჩვენში შემოტანა-დამკვიდრება არაბთა ბატონობის ხანისათვის დაგვეკავშირებინა.

როგორც ცნობილია, არაბები საქართველოში ფეხს მტკიცედ იკიდებენ VIII ს. 30-იან წლებში. ამავე პერიოდში აარსებენ ისანი თბილისის საამიროს, რომელმაც 1122 წლამდე იარსება. საამიროს გზით საქართველოში გავრცელდა არაბული სამოხელეო ინსტიტუტები და სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ფორმები<sup>34</sup>.

თბილისის საამიროს გზითვე არის მოსალოდნელი დრამის სისტემის დამკვიდრება საქართველოში. წონის მცირე ერთეულები გამოიყენებოდა ფარმაკოლოგიაში, ძვირფასი ქვების და ლითონების ასაწონად და რაც მთავარია, გამოიყენებოდა სამონეტო საქმეში.

არაბული მონეტები იჭრებოდა დირჰამისა და მისკალის ბაზაზე. სამონეტო საქმეში არსებული წონის კანონიკური სისტემის (დირჰამი = 14 კირატს, მისკალი = 20 კირატს) გარდა არსებობდა კიდევ სხვა სისტემებიც<sup>35</sup>, რომელთა თავისებურებათა მიუხედავად ძირითადი სამონეტო ერთეულები — დირჰამი და მისკალი (დინარი) ერთი და იგივე წონის იყო (შესაბამისად 2.97 და 4.25 გგ). დირჰამის განხილული სისტემა არ იყო კანონიკური, თუმცა მას გავრცელების საკმაოდ დიდი არეალი ჰქონდა. ერაყსა და საქართველოს გარდა ის, ვ. ჰინციის მიხედვით, გამოიყენებოდა ირანშიც<sup>36</sup>.

დრამის სისტემაში წამყვანი და ძირითადი იყო დრამი, რომლის საფუძველზეც უნდა მოჭრილიყო ვერცხლის მონეტა. დრამის წონიდან გამოყვანილია მიტყალ-მუტყალის წონა<sup>37</sup>.

---

ადგილი არაბული ვერცხლის დირჰამის და ქართული დრამის შემადგენელი ჰაბბა—ქრთლის მარცვლის დროსაც. აქ ამ ერთეულს სხვა წონითი მნიშვნელობა აქვს მიღებული.

<sup>34</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, „მსკი“, ნაკვ. 30, 1954; ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, 1964. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველო, პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 227—236.

<sup>35</sup> St. Lane-Poole, The Arabian Historians on Mohammadan Coinage, «NC», vol. IV, 1894, pp. 74—76.

<sup>36</sup> В. Хинц, даსახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>37</sup> საქართველოში არაბთა ბატონობის დროს და მის შემდეგ არ იჭრებოდა მისკალის წონის (4.25 გ) ოქროს მონეტა. მას არც ისე ჰქონდა ჩვენში რაიმე გავრცელება. საფიქრებელია, რომ სწორედ ამის გამო საქართველოში დამკვიდრდა მისკალის მხოლოდ სავაჭრო წონა. დრამის, როგორც მონეტის წონა მიტყალის სავაჭრო

თბილისის ზარაფხანაში პირველი არაბული ვერცხლის მონეტა — დირჰამი მოიქრა 705 წ., მაგრამ შემდეგი ხანის ომაური დირჰამები უცნობია. თბილისის ზარაფხანამ რეგულარულად მოქმედება განაახლა აბასელთა დროს. 825/6—942/3 წწ. თბილისში დირჰამები იჭრებოდა აბასელი ხალიფების სახელით, ხოლო 953/4—1027/8 წწ. ადგილობრივი ჯაფარიანთა საგვარეულოს ამირების მიერაც.

თბილურ-არაბული დირჰამების რემედიუმი დიდი. ჩვენთვის ცნობილი 26 ნიმუში<sup>38</sup> საშუალოდ, უმნიშვნელო დამრგვალებით იძლევა 3 გ-ს, რაც მის თეორიულ წონას (2.97 გ) მცირედით აღემატება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ IX ს. შუა წლებიდან მთელ მახლობელ და შუა-აღმოსავლეთში დირჰამის ფაქტიური წონა ამკლავნებს მიდრეკილებას ზრდისაკენ<sup>39</sup>. სახალიფოს ნებისმიერ ზარაფხანაში მოჭრილი დირჰამების საშუალო წონა აღემატება თეორიულს (2.97 გ-ს), ამასთან წერილობითი წყაროები არ მიუთითებენ რაიმე ცვლილებაზე მონეტების წონით სტანდარტში. ამდენად სავსებით დასაშვებია, რომ თბილურ-არაბულ დირჰამებს საფუძვლად დავედოთ ზემოგანხილული დრამის სისტემა და მისი დამკვიდრების თარიღიც არა უგვიანეს IX ს-ით განვსაზღვროთ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დრამის წონით მნიშვნელობასთან უაღრესად ახლო კავშირს ამკლავნებს წონის ის სტანდარტი, რომელსაც ემყარებოდა VI—VII სს-ში მოჭრილი ქართულ — სასანური ვერცხლის მონეტები — დრამები. ჩვენთვის ლიტერატურიდან ცნობილი 11 ასეთი მონეტის საშუალო წონა გვაძლევს 2.83

---

წონასთან თანაფარდობაში მოექცა. ასე შეიქმნა ის ტრადიცია, რომლის თანახმადაც საქართველოში არ არსებობდა სხვადასხვა საზომი ძვირფასი ქვებისა და სავაჭრო საქონელისათვის, რაც XVIII ს-ისთვის კარგად შეამჩნია ნ. ქლიაევი. იხ. ნ ი კ ო ლ ო ზ ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბილისი, 1963, გვ. 14.

<sup>38</sup> მონეტების წონითი მაჩვენებლები ავიღეთ ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი ს ნაშრომიდან «Монеты Грузии», Тбилиси, 1970, стр. 41—49; სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილებაში რ. ფასმერის ხელნაწერი კატალოგის მიხედვით — Р. Ф а с м е р, Каталог мусульманских монет Гос. Эрмитажа, т. II, стр. 43, 79, 107, 120 და თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში — ქართული ფულების ძირითადი ფონდი. №№ 4061—63; 1711—1712, 1752. 4064—4069.

<sup>39</sup> ეს საკითხი შესწავლილი გვაქვს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში „არაბული ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის ისტორიიდან“ (IX—X სს.), თბილისი, 1968; (ხელნაწერი). გვ. 116—118.

გ-ს<sup>40</sup>, რაც ძირეულად განსხვავდება სინქრონული ხანის სასაანური დრამების წონისაგან. სასაანური დრამები, რომელთაც საქართველოშიც ფართო გავრცელება ჰქონდათ 4,06 გ-ს იწონიდნენ. ამდენად ქართულ-სასაანური მონეტები სრულიად განსხვავებულ წონითი სტანდარტის მიხედვით იჭრებოდნენ და ეს, ვფიქრობთ, სწორედ ეროვნულ ტრადიციის ამსახველი იყო. თუ ეს ასეა, არაბული ღირჰამის დამკვიდრებას არ შეიძლებოდა რაიმე რადიკალური ცვლილებები მოეხდინა ქართულ წონით სტანდარტში. სიახლეს წარმოადგენდა დრამის სისტემა, დრამთან დაკავშირებული ერთეულების ერთობლიობა, თუმცა ეს საწონებიც, ალბათ სხვა ერთობლიობაში არაბთა გაბატონებამდეც უნდა ყოფილიყო ჩვენში ცნობილი. ამას მოწმობს იგივე დანგის თუ დრამის არაარაბული ფორმები.

ცხრილი 1			
დრამის სისტემა			
		დრამი=2.97 გ-ს	
დრამა	. 1		
დანგი	4	1	
ქერატი	. 12	3	1
ქართლის მარცვალი	. 48	12	4
		3 დრამი=2 მიტყალს.	

დრამა და დრამის ზემოგანხილული წონითი სისტემა წყაროების მიხედვით უცვლელი რჩება XVII ს-მდე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სისტემა უცვლელად გამოიყენებოდა X ს. შემდგომ ქართულ სამონეტო საქმეში. მონეტა დრამა ხმარებიდან ქრება XV ს-დან. ამას გარდა XI ს-დან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მონეტის სახელწოდება დრამა ყოველთვის აღარ შეესაბამებოდა თავის რეალურ წონით მნიშვნელობას<sup>41</sup>.

ძირეული ცვლილებები საქართველოში მცირე წონითი ერთეულების სისტემაში მოხდა XVII ს-ში.

<sup>40</sup> ქართულ-სასაანური მონეტების წონითი მაჩვენებლები აღებული გვაქვს ე. პახოშვილის წიგნიდან «Монеты Грузии», стр. 19—32, და დ. კაპანაძის წიგნიდან «Грузинская нумизматика», Москва, 1955, стр. 48.

<sup>41</sup> ანალოგიური მოვლენა შეინიშნება არა მარტო საქართველოში. ყველგან, როგორც წესი, ფულადი სახელწოდებები წარმოიშვა წონითი სახელწოდებებიდან. თავდაპირველად ფულის ერთეულის სახელწოდება იყო წონითი სახელწოდება და ნაწილადი მონეტების სახელწოდება კი—წონითი ერთეულების სახელწოდება. მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა საშინაო და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით ფულადი სახელწოდებები სცილდება თავდაპირველ წონით სახელწოდებას. მონეტის სახელწოდება რჩება, მაგრამ ის არ გამოხატავს მის რეალურ წონით მნიშვნელობას.

ვახტანგ VI თავის „სამართლის წიგნში“, რომელიც შედგენილია 1705—1708 წწ-ში იმეამინდელი საფასის ანგარიშთან დაკავშირებით ნათქვამია:

„ოთხი ზ ა შ ხ ა შ ი ს მარცვალი ერთი ფ ე ტ ვ ი ს მარცვლის წონა არის,

ოთხი ფეტვის მარცვალი ერთი ქ ე რ ი ს მარცვლის წონა არის,

ოთხი ქერის მარცვალი ერთი ც ე რ ც ვ ი ს მარცვლის წონა არის,

ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დ ა ნ გ ი არის,

ერთს ცერცვის მარცვალს ყ ი რ ა თ ი ც ჰქვიან,

ექვსი დ ა ნ გ ი, გინა ოცდაოთხი ყირათი ერთი მ ი ს ხ ა ლ ი იქნების“<sup>42</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეული და საბას ლექსიკონში შესული დრამის სისტემა (რა თქმა უნდა კონიექტურის გარეშე) დიდი ზანია ცნობილია ქართული მეტროლოგიის მკვლევართათვის, მაგრამ განსხვავება, რომელიც ამ სისტემებს შორის არსებობს, შემჩნეველი დარჩა.

ერთი ეპოქის ეს ორი მოღვაწე კი წონის მცირე ერთეულებს სხვადასხვა სისტემებს იძლევიან. საბას სისტემა აგებული იყო დრამის განსაზღვრაზე. დრამის წონიდან გამოყვანილია მიტყალის წონა. მისი სადაურობა-წარმომავლობა ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ.

ვახტანგისეული სისტემა მისხალის განსაზღვრაზეა აგებული. აქ დრამა საერთოდ არ იხსენიება.

კანონმდებელი ასახელებს წონის ისეთ ერთეულებს, რომლებიც ლექსიკოგრაფს არ მოაქვს. ესენია: ზაშხაშის, ფეტვის და ცერცვის მარცვლები.

გარდა ამისა სხვადასხვაობაა ერთი და იგივე წარმომავლობის წონის ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინებს შორისაც. საბა იყენებდა კერატს და ყირათს, ვახტანგ VI — მხოლოდ ყირათს. ამ უკანასკნელს თავის სისტემაში დასახელებული აქვს მისხალი, საბას კი მიტყალი.

ვახტანგ VI იცნობდა საბას ლექსიკონს. უფრო მეტიც, მას ხელთ ჰქონდა ლექსიკონის ერთი ნუსხა, რომელშიც გარკვეული ცვლილებები და დამატებები შეიტანა<sup>43</sup>, მაგრამ ის არ დაეკვებულა მცირე წონითი ერთეულების სისტემაში, რომელსაც საბა იძლეოდა.

<sup>42</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, გვ. 486.

<sup>43</sup> ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 100—136. ვახტანგისეული ჩამატებები განხილულია იქვე, გვ. 111—136.

ვახტანგმა ალბათ იცოდა, რომ ეს სისტემა ლექსიკონში მწიგნობრული გზით შევიდა, მას სამართლიანად მიიჩნევდა და ამავე დროს კანონმდებლობით შემოქმედდა წონის მცირე ერთეულების ახალი სისტემა.

რას წარმოადგენს ეს სისტემა და როგორია მისი წარმომავლობა?

ვახტანგისეულ სისტემაში მისხალი = 6 დანგს = 24 ყირათს (ცერცვის მარცვალის) = 96 ქერის მარცვალს = 384 ფეტვის მარცვალს = 1536 ხაშხაშის მარცვალს.

მისხალი მიტყალის მსგავსად, წარმომავლობით არაბული მისკალიდან მომდინარეობს, მაგრამ საქართველოში დამკვიდრებული ამ ტერმინის ფორმაზე ამჯერად სპარსულმა ფონეტიკამ მოახდინა გავლენა. სპარსული «*კ*» ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში გამოითქმის როგორც „*ხ*“<sup>44</sup>. ამდენად მისკალმა, რომელმაც სპარსული ფილტრაცია განიცადა, ქართულში მოგვცა მისხალი.

მისხალი ქართულ წერილობით წყაროებში XVII ს-დან არის დადასტურებული. XVII ს-ის ერთ ანონიმურ კარაბადინში ის მიტყალის პარალელურად იხმარება<sup>45</sup>.

სპარსულის ზეგავლენით მივიღეთ ფორმა ყირათიც, რომელიც ისევე როგორც კერატი, ბერძნული კერატიონიდან მომდინარეობს. საბა როგორც ზემოთ ვნახეთ, იცნობდა ამ ფორმას, მაგრამ უპირატესობას მაინც კერატს ანიჭებდა, რადგანაც ის ქართულ სიტყვად მიაჩნდა<sup>46</sup>.

გარდა იმისა, რომ ეს ორი ერთეული ამჟღავნებს სპარსულის გავლენას საერთოდ მთელი ვახტანგისეული სისტემა ახლო დგას სეფიანთა ირანში არსებულ წონის მცირე ერთეულების სისტემასთან.

ვახტანგისეული 6 დანგიანი, ან 24 ყირათიანი მისხალი დამახასიათებელი იყო სწორედ იმდროინდელი ირანისათვის<sup>47</sup>.

<sup>44</sup> Дж. Ги у н а ш в и л и, К вопросу о произношении *غ/ق* в современном персидском языке, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბილისი, 1960, გვ. 69, 75.

<sup>45</sup> ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, S: 1122 ბ, გვ. 81, 83.

<sup>46</sup> ასე აცხადებს საბა ლექსიკონის ერთ ადრეულ ნუსხაში. „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>) 83. 423.

<sup>47</sup> H. L. Rabino Di Borgomale, Coins, Medals and Seals of Shāhs of Irān, (1500—1941), Hertford, 1945, p. 7.

ირანში, მისკალის 1/96-ე ნაწილს, ისევე როგორც ვახტანგ VI-ის სისტემაში შეადგენდა ქერის მარცვალი — ჯ ო უ<sup>48</sup>.

ცერცვის მარცვალის ადგილი სპარსულ წონით სისტემაში ეკავა მ უ ხ უ დ ო ს მარცვალს, რომელიც ასევე მისკალის 1/24-ს შეადგენდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა, როცა შეეხო ქართული წონითი სისტემის მცირე ერთეულებს, ცერცვის მარცვალი შეცვალა მუხუდოს მარცვლით: „მუხუდო ნ უ ხ უ დ არის. ნუხუდ სპარსული სახელი არის. ქართულად ერენდი ეწოდება. ესეც ცერცვის გვარი არის, ამისათვის სამართლის წიგნში (იგულისხმება ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“ — გ. ჯ.) ცერცი სწერია, მაგრამ თუ განრჩევით არ დაიწერა, ცერცვის მარცვლები უფროსი ერთი ასეთი არის, რომ თითო მგონია თორმეტსა და თხუთმეტ ქერს აიწონის“<sup>49</sup>...

მართალია, სპარსულ საზომთა სისტემაში ჩვენ ვერ მოვიძიებთ ხაშხაშის და ფეტვის მარცვლების წონა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ძირითად ნაწილში ვახტანგისეული სისტემა სპარსულის ანალოგიაა.

ამას კარგად ადასტურებს თუნდაც XVIII ს. ერთი მოკლე ანონიმური კარაბადინი. მის ერთ-ერთ ნაწილში, სადაც დახასიათებულია ძვირფასი ქვები და მათი წონა, მოტანილია სწორედ ვახტანგისეული სისტემა. კარაბადინის ამ ნაწილის შესახებ კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის გადმოღებულია სპარსულიდან („ქ. სახელითა ღვთისათა ესე წიგნი სპარსთაგან გარდმოწერილი არის თუალმარგალიტისა და სხუათა მრავალთა საჯავართა სინჯისა, თუალადობისა, ფასისა და ხასიათის განაჩენისა“)<sup>50</sup>.

ვახტანგ VI-ის წონის მცირე ერთეულების სისტემის სპარსულთან ნათესაობის გარკვევის შემდეგ ბუნებრივია დაისვას კითხვა მიტყალის მისხალით შეცვლა მარტო ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილება იყო, თუ მოხდა 4,46 გრამიანი მიტყალის უფრო მოზრდილი ერთეულით შეცვლა, რომელიც ირანული მისკალის ტოლფასი (4,6 გ) იყო?

<sup>48</sup> ი ქ ე ე. B. X и и и, დასახ. ნაშრ., გვ. 21. ჟოუს ტოლფასი იყო გ ა ნ დ უ შ ი — ხორბლის მარცვალი. ირანში მისკალი 96 ვანდუმადაც იყოფოდა. R a b i n o D i B o r g o m a l e, დასახ. ნაშრ. გვ. 7; B. X и и и, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

<sup>49</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსეს დმი, გვ. 40. მუხუდოს მარცვლის გამოყენება საწონად საქართველოში ჩვეულებრივი ამბავი იყო. იხ. მაგ. „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“. წიგნი III, გვ. 65 (ლეონ ბატონიშვილის 1778 წ. 20 აპრილის დანახარჯის ნუსხა)

<sup>50</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, H:758, გვ. 51.

მისხალის წონის განსაზღვრა, რომელიც დღეისათვის მიღებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ეკუთვნის აკად. ივ. ჯავახიშვილს. მან თავისი გაანგარიშებისათვის გამოიყენა ვახტანგ VI-სა და სულხან-საბა ორბელიანის ზემოგანხილული ცნობები.

ვახტანგ VI-ის თანახმად მისხალი 24 ყირათია. ყირათის წონად ივ. ჯავახიშვილმა მიიღო ბერძნულ-რომაული საზომთა სისტემის კერატის (ლათინურად siliqua) წონა, რაც უდრიდა 0,189 გ-ს. აქედან  $(0,189 \times 24)$  მან მისხალის წონად 4,436 გ იანგარიშა<sup>51</sup>.

საბას თანახმად მისხალი 1,5 დრამია, დრამი კი — 18 კერატი (კერატი = 0,189 გ). აქედან მისხალის წონა 5,116 გ გამოდის<sup>52</sup>.

ამ უქანასკნელ განსაზღვრას ივ. ჯავახიშვილი თავის სხვა გაანგარიშებებში არ იყენებდა და ეყრდნობოდა მხოლოდ პირველს.

საბას ცნობების რეკონსტრუქციის შემდეგ მისი 'მიტყალის წონითი ოდენობა ჩვენთვის უკვე ნათელი გახდა. ის 4,46 გრამს იწონიდა.

რაც შეეხება მისხალის 4,436 გ-ით განსაზღვრას, დღეისათვის ის არ შეიძლება მიღებული იქნას. იმის შემდეგ რაც გაირკვა ვახტანგ VI-ისეული სისტემის სპარსულ წონით სისტემასთან კავშირი, მისხალის გაანგარიშება ძველ ბერძნულ-რომაული კერატის ბაზაზე გაუმართლებელი იქნებოდა.

ამის გარდა, თვით ივ. ჯავახიშვილის გაანგარიშებაშიც უბრალო არითმეტიკული შეცდომაა გაპარული.  $0,189 \text{ გ} \times 24$  გვაძლევს არა 4,436 გ-ს, არამედ 4,53 გ-ს. მაგრამ არც ამგვარი შესწორება მოგცემს მისხალის ნამდვილ წონით მნიშვნელობას.

ვახტანგ VI თავის „სამართლის წიგნში“ მიუთითებს, რომ მისხალი იყო ორშაურნახევრის წონა<sup>53</sup>.

ვახტანგ VI ცხადია ამ შემთხვევაში გულისხმობდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ შაურიანებს (თუ ორშაურნახევრს).

თბილისის ზარაფხანაში კი ამ დროს, უკვე XVII ს. 20-იანი წლებიდან მაინც, სისტემატურად იჭრებოდა ტიპოლოგიურად ირანული ყაიდის მონეტები — ყოველგვარი ეროვნული ნიშნების გარეშე. თბილისის ზარაფხანა უშვებდა აბაზიანებს, ორშაურიანებს, შაურიანებს და სხვ., რომელთა წონა და ზომა პროფ. დ. კაპანაძის აღნიშვნით შეეფარდებოდა ირანში მიღებულ სტანდარტს<sup>54</sup>.

<sup>51</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98—99.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>53</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 486.

<sup>54</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნემიზმატიკა, გვ. 139.



სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ შაჰ აბას 1-ის (1587—1629) სამონეტო რეფორმის შემდეგ, ირანში ახლად შემოღებული ნომინალი აბაზი იჭრებოდა. მისკალის ბაზაზე. ის იწონიდა 1 2/3 მისკალს, თეორიულად 7,8 გ-ს, პრაქტიკულად კი — 7,62 გ-ს<sup>55</sup>.

შაჰ აბას I მემკვიდრეების დროს აბაზის წონა შემცირდა. ამასთან ერთად შესაბამისად შემცირდა სხვა რეალიების წონაც.

შაჰ ჰუსეინის დროს 1695—1717 წწ. მოჭრილი აბაზიანის საშუალო წონა იყო 7,29 გ, ორშაურიანის (მაჰმუდის) — 3,64 გ, ხოლო შაურიანის — 1,80 გ<sup>56</sup>.

ვახტანგ VI-ის ცნობა, რომ მისხალი ორშაურნახევარს იწონიდა, მოწმობს იმას, რომ ეს ერთეული გახდა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების მეტროლოგიური საფუძველი. დღეისათვის მისი წონა რომ განვსაზღვროთ, უნდა ვიცოდეთ თბილური შაურიანის ან ორშაურიანის საშუალო წონა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების (დ. კაპანაძე) თანახმად ამ მონეტების ზომა-წონა შეეფარდებოდა ირანში მიღებულ სტანდარტს.

მართლაც, ამას კარგად ადასტურებს ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი ფაქტიური მასალა, რომელიც დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

1642/3 — 1712 წწ. თბილისში მოჭრილი. 30 აბაზიანიდან 26-ის წონა მერყეობს 7,10—7,40 გგ შუა<sup>57</sup>. ოთხი მონეტა, რომელთა წონა იყო 6,5; 6,46; 6,93 და 5,75 გგ<sup>58</sup>, როგორც საერთო მასის ფონზე არადაშახსიათებელი ჩვენ გამოვრიცხვით და აბაზის საშუალო წონა 26 რეალიის საფუძველზე გამოვთვალეთ. მივიღეთ 7,28 გ, რაც ფაქტიურად ემთხვევა ამ პერიოდის ირანული აბაზის პრაქტიკულ წონას. ეს მონაცემი შაურისათვის, რომელიც აბაზის მეოთხედს შეადგენდა, გვაძლევს 1,82 გ-ს.

<sup>55</sup> А. М. Р а д ж а б л и, Из истории монетного дела в Сефевидском государстве, «Материалы по истории Азербайджана», «Труды Музея истории Азербайджана», IV, Баку, 1961, стр. 46.

<sup>56</sup> А. М. Р а д ж а б л и, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>57</sup> ქართული ფულის ძირითადი ფონდი. №№ 4856 — 4857—7,33; 7,25; № 4859—7,30; № 4861—4862—7,38; 7,30; № 4874—7, 27; №№ 4876—4879—7,34; 7,10; 7, 16; 7, 10; № 4881—7,03; № 4889—4890—7, 37; 7, 53; №№ 4897 — 4899 —7,23; 7, 34; 7,12; №№ 4901—4904—7,30, 7,30, 7,40, 7,38; № 4907—7,30; № 4909—7,40; № 4911—7,08; № 4913—7,33; № 4915—7,30.

<sup>58</sup> ი ქ ვ ე. №№ 4858, 4882, 4885, 4906; მონაცემები აღებულია ამ მონეტების ხელნაწერ კატალოგიდან, განყოფილების გამგის, აწ განსვენებულ პროფ. დ. კ ა ნ ა ძ ი ს ნებართვით.

მოქრის და მიმოქცევის პროცესში შაურისათვის წონის შესაძლებელი დანაკარგი 0,03 გრამითაც რომ ვიანგარიშოთ მისხალის წონა ორშაურნახევარის კვალობაზე მოგვეცემს დამრგვალებულად 4,6 გ-ს.

საქიროა აღინიშნოს, რომ XVIII ს. 70-იან წლებში აკად. გიულდენშტედტმა მისხალის წონა 1 დრამითა და 10 გრამით ე. ი. 4,35 გ-ით განსაზღვრა<sup>59</sup>.

ეს მონაცემი განსხვავდება ჩვენ მიერ ზემოთ გაანგარიშებულ მისხალის წონით მნიშვნელობისაგან.

გიულდენშტედტის განსაზღვრა ქვემარტივებად რომ ჩავთვალოთ, უნდა დავუშვათ XVIII ს. 70-იან წლებში მისხალის წონის შემცირება, რაც დამაჯერებელი არ იქნებოდა. ს. კაკაბაძის სწორი შენიშვნით, მისხალი სხვა ერთეულთა შორის ყველაზე ნაკლებად განიციდდა ცვალებადობას<sup>60</sup>.

გიულდენშტედტის ცნობას ვაჩტანგ VI-ის მასალებისთვის თუ გამოვიყენებთ (მისხალი ორშაურნახევრის წონაა), მაშინ შაურის თეორიულ წონად 1,7 გ ხოლო აბაზისას კი 6,8 გ-ს მივიღებთ, რაც ეწინააღმდეგება ფაქტობრივ მონაცემებს.

გარდა ამისა, გვაქვს სხვა საფუძველიც უარყოფით გიულდენშტედტის განსაზღვრა.

ერეკლე II-ის დროს XVIII ს. II ნახევრის ქართლ-კახეთში მოხდა სამონეტო რეფორმა. მოიჭრა სირმა აბაზიანები, შაურიანები და ორშაურიანები (უზალთუნები).

1783 წ. ერთი საბუთი მოწმობს, რომ ამ პერიოდში ერთ მისხალს უკვე ჰქონდა 6 შაურის წონა ამ საბუთში ნათქვამია: „სურგუნაშვილო სააკ! ჩვენთვის ექვსი ოქროს შაური გამოგზავნე, რომ ექვსივე მისხალი გამოვიდეს“<sup>61</sup>...

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობითაც, რომელიც ამ პერიოდს ეხება, თითო შაური დანგის წონისა იყო, 6 შაური კი 1 მისხალს იწონიდა<sup>62</sup>.

გიულდენშტედტი კი მისი დროის შაურიანს 12 1/2 გრანით, ანუ 0,775 გ-ით საზღვრავს. აქედან მისხალის წონად (0,775×6) 4,65 გ ვღებულობთ.

<sup>59</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 237.

<sup>60</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 75.

<sup>61</sup> დამოწმებული გვაქვს ნ. ქოიჯას მიხედვით. ფულის მიმოქცევა კრედიტი და ფინანსები..., გვ. 31.

<sup>62</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 41.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულია რიგი ვერცხლის ნივთებისა, რომლებზედაც აღნიშნულია მათი წონითი ოდენობები მისხლებში. ასე მაგ., 1782 წ. ვერცხლის შანდალზე (კ № 176) მითითებულია, რომ ის 22 მისხალს შეადგენდა. საათთაქო სასწორზე აწონვამ გვიჩვენა, რომ მისი ფაქტიური წონა შეადგენს 101,4 გ-ს. აქედან მისხლისათვის ვლებულობთ 4,6 გ-ს. 1775 წ. ვერცხლის ფეშხუმზე (კ № 177) აღნიშნულია, რომ ის 50 მისხალია. ფეშხუმის ფაქტიური წონა არის 229 გ, ხოლო მისხალისა — 4,58 გ. გიორგი მეფის ვერცხლის ჩარეკაზე (?) წარწერაა, რომ ის 63 მისხალს იწონის (კ № 6)<sup>63</sup>. მისი ფაქტიური წონა 290 გ-ია, მისხალის კი — 4,61 გ. მართალია, რამდენიმე ნიმუშმა (კ № 157, კ № 159) გვიჩვენა მცირე გადახრა ამ ნორმიდან, მაგრამ ზემომოტანილი მნიშვნელობების ერთგვარობა შემთხვევითი არ არის.

უმნიშვნელო დამრგვალებით 4,6 გ იწონიდა მისხალი ქართლში XIX ს. I ნახევარში ნ. ხანიკოვის განსაზღვრითაც<sup>64</sup>.

ამ რიგად, მისხალის წონად შეიძლება 4,6 გ მივიღოთ. 4,6—4,63 გრამიანი მისკალი კი დამახასიათებელი იყო სპარსული წონითი სისტემისათვის სეფიანთა ხანაში<sup>65</sup>. ამდენად ქართული მისხალის, ისევე როგორც მისხალის სისტემაში შემავალი ერთეულების კავშირი სპარსულ წონით სისტემასთან უეჭველი ფაქტია. მისხალის და მისი სისტემის დამკვიდრება საქართველოში XVII ს-ში დაიწყო, იმ პერიოდში, როცა აღმოსავლეთ საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა და თბილისის ზარაფხანა ირანული ყაიდის მონეტების კრას შეუდგა.

მისხალის ბაზაზე იჭრებოდა ჯერ წმინდა ირანული, მერე კი ერეკლე II-ის დროის ეროვნული მონეტებიც.

მისხალის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ მის სისტემაში შემავალი სხვა ერთეულებიც.

დანგი, მისხალის 1/6 იყო 0,77 გ

ყირათი, მისხალის 1/24 — 0,192 გ

ქერის მარცვალი — 0,05 გ

ფეტვის მარცვალი — 0,0175 გ

ხაშხაშის მარცვალი — 0,004375 გ., ამ უკანასკნელს რეალური გამოყენება ალბათ არ ექნებოდა და მხოლოდ თეორიულად თუ არსებობდა.

<sup>63</sup> ექსპონატების გაცნობაში დახმარება აღმოგვიჩინა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. აბრამიშვილმა.

<sup>64</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах Закавказского края, стр. 560.

<sup>65</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16.

XVII—XVIII სს-ში მისხალის დამკვიდრებასთან ერთად უმნიშვნელო ზრდა განიცადა დ რ ა მ ა მ.

დრამის მისხალთან არსებული წონითი შეფარდების (3:2) მიხედვით დრამის წონად მივიღებთ 3,07 გ-ს, იმდენივეს, რამდენიც

ც ხ რ ი ლ ი II						
მ ი ს ხ ა ლ ი ს ს ი ს ტ ე მ ა						
მისხალი	1	მისხალი=4,6 გ-ს.				
დანგი . . . . .	6	1				
ყირათი (მუხულოს ან ცერცვის მარცვალი)	24	4	1			
ქერის მარცვალი .	96	16	4	1		
ფეტვის მარცვალი	384	24	16	4	1	
ხაშხაშის მარცვალი .	1536	256	64	16	4	1

უნდა აეწონა თეორიულად XVIII ს. II ნახევრის ქართულ სირმა აბაზიანს.

ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ძველი ქართული დრამა, 4 დანგს შეადგენდა<sup>66</sup>.

დრამის ოთხდანგიანობის პრინციპი უცვლელი დარჩა საქართველოში საუკუნეების მანძილზე.

ჩვენ მიერ განხილული წონის მცირე ერთეულების სხვადასხვანის სისტემებს შორის წონითი განსხვავებები, შეიძლება ითქვას, არ არის თავისთავად ძალზე დიდი, მაგრამ სხვა უფრო მოზრდილ ერთეულებთან მიმართებაში ამ განსხვავებას უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წონის ეს მცირე ერთეულები ედო საფუძვლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული წონითი ერთეულის ლიტრის და ლიტრის სისტემაში შემავალი სხვა საწონების განსაზღვრას.

## § 2. ლიტრა და მისი სისტემა

ტერმინი ლიტრა ბერძნულია (λίτρα). და იხმარებოდა კურკლის აღსანიშნავად. როგორც საწონი ერთეული პირველად გვხვდება რომაულ მეტროლოგიაში (libra)<sup>67</sup>. შემკვიდრებოდა მხოლოდ ის ბიზანტიურმა მეტროლოგიამაც.

<sup>66</sup> 4 დანგიანი სირმა აბაზიანები ხშირად არის მოხსენებული XVIII ს. მეორე ნახევრის ქართულ საბუთებში. იხ. დ. უ რ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბილისი, 1967, გვ. 103, № 107; გვ. 106, № 111.

<sup>67</sup> Friedrich Hultsch; Griechische und Römische Metrologie,

ლიტრა შევიდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მრავალ ხალხთა მეტროლოგიაში. ფართო გავრცელება ჰპოვა მან საქართველოშიაც.

ქართულ წყაროებში ტერმინი „ლიტრა“ საზომად პირველად IX ს-დან, ადიშის ოთხთაეში (იოანე, 1939, 123<sup>68</sup>) ჩანს, თუმცა ამ სახით მისი გამოყენება გაცილებით უფრო ადრე არის სავარაუდო. ასე მაგ., საქართველოს მეზობელ სომხეთში ლიტრა VII ს-შია დამოწმებული<sup>69</sup>. ბიზანტიური წონის ერთეულები კი უცხო რომ არ იყო VI—VII სს. ქართლში, ამას ადასტურებს სამთავროს ნეკროპოლში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბიზანტიური ჰექსაგია და სხვადასხვა ზომის საწონები<sup>70</sup>.

როგორი იყო ლიტრის სიდიდე საქართველოში თავდაპირველად?

სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში ლიტრის დახასიათების დროს ერთმანეთისაგან განასხვავა. „პირველ ქამთა ლიტრა“, რომელიც „უმცირეს“ ყოფილა „ვითარცა არს.... ჩვეულება რომთა“<sup>71</sup>.... იმ ლიტრისაგან, მის დროს რომ ყოფილა გავრცელებული აღმოსავლეთში და კერძოდ კი საქართველოში.

საბას თანახმად, ეს „პირველქამური“ რომაული ლიტრა 12 უნკიას ან 72 დრაჰკანს იწონიდა. დრაჰკანი იყო 4 გრამა, გრამა 6 კერატი, კერატი კი 4 ქრთილის მარცვალი<sup>72</sup>.

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით საბას ამ ცნობებს როცა განიხილავდა აღნიშნავდა, რომ „ძეგლების ცნობების შესწავლაზეა დამყარებული ეს თუ მისი პირადი დასკვნაა და რაიმე წყაროებში ამ გარემოებას აღნუსხვილს წააწყდა არა ჩანსო“<sup>73</sup>.

შესავალში ჩვენ მივუთითეთ, რომ საბას ცნობები უცხოური საზომების შესახებ გარკვეულ წერილობით წყაროებს ემყარება.

რომაულ-ბიზანტიური ლიტრის შესახებ საქართველოში წარმოდგენა ჰქონდათ მაშინაც კი, როცა ის ხმარებიდან ფაქტიურად გამოსული იყო.

Berlin, 1862, S. 314—319; Греческая и Римская метрология по Г ю л ь т ш у, Москва, 1873, стр. 24.

<sup>68</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთაეის სიმფონია ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1948—1949, გვ. 279.

<sup>69</sup> И. А. О р б е л и, Вопросы и решения Вардапета Анани Ширакского, армянского математика VII века. Птр. 1918 стр. 43.

<sup>70</sup> М. М. И в а ш е н к о, დასახ. ნაშრ., გვ. 43—45.

<sup>71</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV, ), გვ. 421.

<sup>72</sup> ი ქ ვ ე, გვ. 422.

<sup>73</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 99.

ამ ლიტრის შესახებ მაგ., ცნობები დაცულია XIII ს-ში გადაწერილ კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონის ზემოხსენებულ მეტროლოგიურ დანართში, XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანართში<sup>74</sup> და სხვ. ეს ლიტრა გარკვეულ შემთხვევაში გამოიყენებოდა მედიცინაშიც. ასე მაგ., XV ს. II ნახევრის ავტორი ზაზა ფანასკერტელი თავისი ნაშრომის პირველი ნაწილის ბოლოს ამბობს, რომ მის მიერ გამოყენებული „საწონი ბერძნული ლიტრაა“—ო<sup>75</sup>.

საბა წყაროების შესწავლისას ცხადია შეამჩნევდა, რომ რომაული (ან ბიზანტიური) ლიტრის დანაყოფები, როგორც უმცირესი, ისე მოდიდო განსხვავდებოდნენ მისი დროის ლიტრის დანაყოფებისაგან და სათანადოდ აღნიშნა კიდევ ეს.

რომაულ-ბიზანტიური ლიბრა-ლიტრა 327.45 გ იწონიდა. საფიქრებელია, რომ საქართველოში თავდაპირველად ლიტრის სწორედ ეს მნიშვნელობა დამკვიდრდა.

მაგრამ უკვე მომდევნო საუკუნეებში ამ საწონმა ძირფესვიანი ცვლილება განიცადა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ არაბთა გაბატონებას საქართველოში მოჰყვა წონის მცირე ერთეულების შემოტანა. ამათგან დრამა და მიტყალი გახდნენ ის ძირითადი საწონები, რომელთა საფუძველზე დაიწყო ლიტრის განსაზღვრა. მზავსი რამ არა გვხვდება რომაულ-ბიზანტიურ მეტროლოგიაში და დამახასიათებელი იყო მხოლოდ არაბული და შემდეგ კი სპარსული მეტროლოგიისათვის.

ლიტრის სიდიდის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქართული სამედიცინო ხასიათის წერილობითი ძეგლები.

XI ს. ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ ძირითად საწონ ერთეულად გამოიყენება „ბაღდადური ლიტრა“<sup>76</sup> და ჩვეულებრივი „ლიტრა“ ყოველგვარი განსაზღვრის გარეშე<sup>77</sup>.

ბაღდადური ლიტრა, რომელსაც XV ს-შიაც კი იცნობდა და იყენებდა ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი<sup>78</sup>, იგივე ბაღდადური რატლია (رطل البغدادي). ბაღდადური რატლი, არაბული წონითი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ერთეული, 90 მისკალს შეადგენდა

<sup>74</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q:916, გვ. 1148.

<sup>75</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, გვ. 268.

<sup>76</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 61, 133.

<sup>77</sup> ი ქ ე ე.

<sup>78</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, გვ. 232.

და 406.25 გ-ს იწონიდა<sup>79</sup>. ვფიქრობთ, რომ საქართველოში მას მსგავსი წონითი მნიშვნელობა დაუმკვიდრდა.

რაც შეეხება ჩვეულებრივ ლიტრას, „უსწორო კარაბადინში“ დაცული ერთი ცნობა გვაძლევს მისი განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ წყაროში აღნიშნულია, რომ ასთირი 6 დრამს იწონიდა<sup>80</sup>. ასთირი საერთოდ რატლის (ლიტრის) 1/20-ს შეადგენდა და ამდენად ეს ლიტრა (6×20) 120 დრამიანი ან 356 გ გამოდის.

არაბული მეტროლოგიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ 120 დრამიანი (დირჰამიანი) რატლი-ლიტრა უცხო არ იყო X—XI სს. მახლობელ აღმოსავლეთში.

აღ-ხვარაზმის ცნობით, უკია ზეთისთვის 10 დირჰამს შეადგენდა<sup>81</sup>. 12 უკია უდრის 1 რატლს. აქედან რატლი 120 დირჰამი გამოდის. 120 დირჰამს იწონიდა XI ს. არაბი ავტორის აზ-ზაჰრავის ცნობით სამედიცინო რატლი<sup>82</sup>.

ამრიგად, „უსწორო კარაბადინში“ დასახელებულ ორთავე ლიტრას შესატყვისი მოეპოვება არაბულ წონით სისტემაში.

ასე, რომ XI ს. ქართული წონითი სისტემა იცნობდა ორი სახის ლიტრას — 356 და 406.25 გრამიანს. მათგან, ვფიქრობთ, რომ 356 გრამიანი ლიტრა მხოლოდ მედიცინაში გამოიყენებოდა, ხოლო ბაღდადურ ლიტრას გამოყენება ეკონომიკის სფეროშიც იქნებოდა.

მართალია ბაღდადური ლიტრა XI ს-დან (XV ს. ჩათვლით) გვხვდება წყაროებში, მაგრამ ლოგიკური იქნებოდა საქართველოში მისი გავრცელების თარიღი IX—X სს. ფარგლებში მოგვეთავსებინა, როცა არაბებს მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური დასაყრდენი გააჩნდათ ქართლში თბილისის საამიროს სახით.

ბაღდადური ლიტრის საქართველოში დამკვიდრება თავისთავად მეტყველებს ლიტრის წონითი ოდენობის ზრდის დაწყებას, ვინაიდან რომაულ-ბიზანტიურთან შედარებით ის 78.8 გ-ით მეტი იყო.

ამრიგად, ლიტრის ზრდის პროცესი ჩვენში გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე ამას ქართველი მკვლევარები ვა-

<sup>79</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>80</sup> „უსწორო კარაბადინი“, გვ. 255.

<sup>81</sup> Al-K how a r e z m i, Liber Mafatih al-Olum, ed. G. Van Vloten, Leiden, 1896, p. 15; გ. ჟ ა რ ი ძ ე, IX—X საუკუნეების არაბული მეტროლოგიის ისტორიიდან, თსუ „მომეხი“, ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, VII, თბილისი, 1967, გვ. 278.

<sup>82</sup> (Az-Z a h r a w i), M. S. S a u v a i r e, Arab Metrology, «JRAS» NS, t. XVI, London, 1884, p. 510.

რაუდობენ (ს. კაკაბაძე — XIII ს-დან, ივ. ჯავახიშვილი XIII ს. შემდეგ).

XI ს. შემდგომ ლიტრის წონითი ოდენობის შესახებ საინტერესო ცნობა შეიძლება მოვიძიოთ ხოჯაყოფილის მიერ XIII ს-ში არაბულიდან ქართულად თარგმნილ სამედიცინო ხასიათის ნაშრომში „წიგნი სააქიმოა“. აქ ტექსტში მითითებულია, რომ „მანი ლიტრისა უნცროა არს სამოცთა დრამის წონითა“—<sup>83</sup>.

მანი უცხოა ქართული წონათი სისტემისათვის. ის დამახასიათებელი იყო მუსლიმური მეტროლოგიისათვის. მისი ოდენობა მახ. აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა იყო, მაგრამ არსებობდა ერთი, კანონიერი მანიც, რომელიც ორ ბალდადურ რატლს, ე. ი. 180 მისკალს ან 260 დირჰამს იწონიდა, რაც თანამედროვე მეტრულ სისტემაში 812,5 გ გვაძლევს<sup>84</sup>.

ხოჯაყოფილის თარგმანში მანი უცვლელად არის დატოვებული და განსაზღვრულია ამ უცხო საზომის მიმართება ქართულ ლიტრასთან.

თუ მანის ქვეშ ამ შემთხვევაში 260 დირჰამიან კანონიკურ მანს ვიგულისხმებთ და ეს სავესებით გამართლებული იქნება, ვინაიდან სამედიცინო ხასიათის ნაშრომებში მიღებული იყო სწორედ წონის კანონიკური ერთეულები, შესაძლებელია XIII ს-ის ქართული ლიტრის გაანგარიშებაც. ის 320 დრამს, ანუ 950 გ-ს იწონიდა..

ამრიგად, XIII ს. ლიტრა XI ს-თან შედარებით ორჯერ მეტად გაზრდილი გვევლინება.

XIII ს. II ნახევრის ერთ საბუთში 1270—1271 წწ. კათალიკოზ ნიკოლოზის მიერ არვანბეგ საბაისძისადმი გაცემული წყალობის სიგელი ნათლად მიუთითებს, რომ XIII ს-ში არსებობდა „ახალი ლიტრა“, რომელიც განსხვავდებოდა „ძველისგან“.

სიგელში ნათქვამია: „აწ ესრე განვაჩინეთ, რ-მე ძველი ბეგარი ზედა სდებოდა შეუბანს. თერთმეტი ლიტრაჲ ცუილი. მას ზედა ცხრა ლიტრაჲ ცუილი სსუიი მოგიმატეთ და შეეკმენით ოც ლიტრად მით ლიტრითა, რომელი ძუელად ყოფილა“<sup>85</sup>.

სამწუხაროდ, ამ სიგელში არა ჩანს, რომელი ლიტრა იგულისხმებოდა „ძუელ“ ლიტრაში, 320 დრამიანი თუ უფრო მომცრო.

XII—XIII ს-ში ლიტრის სიდიდის განსაზღვრა სცადა ს. კაკა-

<sup>83</sup> „წიგნი სააქიმოა“, გვ. 158.

<sup>84</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

<sup>85</sup> ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, ორი სიგელი XIII საუკუნისა, „საისტორიო მოამბე“, I, თბილისი, 1945, გვ. 5.





გამოკვლევამ<sup>92</sup>, რომელიც XX ს. 20-იან წლებშიც კი ჰ. სოვერისა<sup>93</sup> და ჟ. დეკურდემანშის<sup>94</sup> შრომების გამოსვლის შემდეგ უკვე მოძველებული იყო.

არ არსებობდა არც 50 მისხლიანი ლიტრა.

სტეფანოს ორბელიანის ცნობაში გარკვეული ოქროს ბალიშის ჩუქების ფაქტზე<sup>95</sup> საუბარი და არა 50 მისხლიანი (მიტყალიანი) ლიტრის საქართველოში და სომხეთში გავრცელების თაობაზე.

ასე რომ XII—XIII ს. I ნახევრის საქართველოში 50—66,6 მიტყალიანი ლიტრის გავრცელებაზე საუბარი უსაფუძვლოა.

ს. კაკაბაძის აზრით, XIII ს. II ნახევარში საქართველოს მმართველ წრეებში გაჩნდა მიდრეკილება ლიტრის გადიდებისაკენ. ამ შემთხვევაში მკვლევარი დაეყრდნო იმ მეტროლოგიურ ცნობებს, რომლებიც ერთვის კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონს და მიიჩნია ისინი „ლიტერატურული გზით ლიტრის გადიდების დაკანონების ცდად“<sup>96</sup>.

ამ მეტროლოგიურ დანართში ლიტრა 72 დრაჰკანით არის განსაზღვრული რაც, ს. კაკაბაძის აზრით, 72 მისხალს შეესაბამებოდა. ეს კი მკვლევარის აზრით მიუთითებდა იმაზე, რომ „საქართველოს მთავრობამ ლიტრას XIII საუკ. ნახევარსა და მეორე ნახევარში 72 მისხლის ზომაზე ანგარიშობდა“<sup>97</sup>.

მთელი ზემომოყვანილი მსჯელობა არ ემყარება მყარ არგუმენტებს. კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონის მეტროლოგიურ დანართში განსაზღვრულია რომაულ-ბიზანტიური ლიტრა და მისი იმგვარად გაგება, თითქოს ის მოწმობდეს ამ საზომის „ლიტერატურული გზით გადიდების დაკანონების ცდას“ — უმართებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე უნდა გვეთქვა XVIII ს. ქართული

<sup>92</sup> V. V a z q u e z O u e i p o, Essai sur les systemes métriques et monétaires des anciens peuples, t. II, Paris, 1859.

<sup>93</sup> H. S a u v a i r e, Matériaux pour servir à l'histoire de la métrologie musulmanes. «JA», tt. XIV, XV, XVIII—XIX, 1879—1882, tt. III—VIII, 1884—1886.

<sup>94</sup> J. D e c o u r d e m a n c h e, Etude métrologique et numismatique sur miscals et les dirhems Arabes, Paris, 1908; მისივე, Traite pratique des poids et mesures des peuples Anciens et des Arabes, Paris, 1909.

<sup>95</sup> ამ შემთხვევაში „ბალიში“ უფრო საჩუქარს რომ ჰგავს ჯერ კიდევ ივ. ჯ ა - ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა აღნიშნა. იხ. ქართული საფას-საზომთაშეცდენობა, გვ. 21.

<sup>96</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფულის გაძვირებისა და გაიაფების საკითხისათვის, გვ. 40; მისივე, ქართული მეტროლოგია, გვ. 70.

<sup>97</sup> ი ქ ე ე. გვ. 41—42.

ლიტრის მიმართაც, ვინაიდან კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, თავისი მეტროლოგიური დანართითურთ, სადაც ლიტრა 72 დრაჰკანით არის განსაზღვრული გადაწერილი იქნა XVIII ს. ბოლოსაც<sup>98</sup>...

XIV ს-ში ლიტრის გადიდების პროცესი ს. კაკაბაძემ დაუკავშირა ყაზან ყაენის რეფორმებს (1301 წ.), რომლებმაც მოაწესრიგეს საზომთა სისტემა ილხანთა ირანში. ამ დროს დაკანონდა წონა თავრიზული მანისა, რომელიც 260 დირჰამით განისაზღვრა. ვინაიდან მანში (ს. კაკაბაძის ტერმინოლოგიით მ ე ნ-ში) ორი ლიტრა ითვლებოდა, ს. კაკაბაძის მიხედვით, ლიტრა აიწონიდა 86,6 მისხალს. ეს ლიტრა მისი აზრით, დამახასიათებელი იქნებოდა „ილხანების ხელქვეით მყოფ საქართველოს სამეფოსათვისაც“ და „ეს იყო ყოველს შემთხვევაში პირველი თვალსაჩინო გადიდება ლიტრისა“<sup>99</sup>.

მაგრამ ჩვენ ზემოთ უკვე დავრწმუნდით, რომ XIII ს-ის დასაწყისის ქართულმა ლიტრამ მიიღწია 320 დრამას, ე. ი. 213 მიტყალს, ე. ი. გაცილებით მეტს იწონიდა, ვიდრე ამას ს. კაკაბაძე ვარაუდობდა XIV ს. დასაწყისისათვის.

XIV—XV სს-ში ლიტრის გადიდების პროცესს შეიძლება სხვა წყაროებით გავაღვეწოთ თვალი.

პირველ რიგში აღვნიშავთ ქანანელის „უსწორო კარაბადინს“. მართალია, ეს წყარო XI ს-ისაა, მაგრამ შემორჩენილია გვიანდელი ხელნაწერებით, სადაც აისახა ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელიც არაერთაზრ შემთხვევაში არ იყო დამახასიათებელი XI საუკუნისათვის (მაგ. ჩარეჟი, სტილი...), ერთ ასეთ გვიანდელ ჩამატებად ჩვენ მიგვაჩნია ლიტრის განსაზღვრა: „ნახევარი ლიტრა შაქარი 120 მიტყალი არის“-ო<sup>100</sup>, რაც ამ ერთეულისათვის მთლიანად 240 მიტყალს, ანუ 1,07 კგ გვაძლევს.

ეს ცნობა შესულია „უსწორო კარაბადინის“ XIV—XV ს-ით დათარიღებულ ხელნაწერში და დამახასიათებელი უნდა იყოს სწორედ ამ ეპოქისათვის.

ლიტრის აღნიშნული განსაზღვრა გამეორებული აქვს XV ს. II ნახევარში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს<sup>101</sup>, რომლის ნაშრომი უაღრესად ახლოს დგას „უსწორო კარაბადინთან“, მაგრამ ეს ცნობა მას მექანიკურად აქვს გადმოტანილი. ასევე მექანიკურად არის

<sup>98</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A:1132, XVIII ს. დოკუმენტიკურ-პოლემიკური და კანონიკური კრებული, გვ. 69v.

<sup>99</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 71.

<sup>100</sup> ქანანელი, უსწორო კარაბადინი, გვ. 105.

<sup>101</sup> ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), გვ.

შეტანილი ლიტრის ხსენებული განსაზღვრა XVII—XVIII სს. ანონიმურ კარაბადინში<sup>102</sup>, რომელიც ძირითადად იმეორებს ქანანელის და ზაზა ფანასკერტელის ნაშრომებს.

ამგვარი ლიტრა, ვფიქრობთ, რომ ჩვენში XV ს. I ნახევრამდე იქნებოდა გავრცელებული.

XV ს. 50-იან წლებში გვაქვს ცნობა საერთოდ საწყაოთა და კერძოდ, ლიტრის გადიდების შესახებ.

1454 წ. დავით კათალიკოზის მიერ ნაბოძებ მცხეთის სიგელში ნათქვამია, რომ „ჯუარის მსახლობელთა მეკულუხეთა“ გამოსაღები უნდა „იმავე პირველითა საწყეთათა“ მოერთმიათ და კათალიკოზიც აღთქმას უდებდა „არა შეგიცვალოთ და არცა კოკა და ლიტრა გაგდიდოთ“-ო<sup>103</sup>.

მითითება ამ გადიდებული ლიტრის შესახებ არის 1524 წ. დავით ქართლის მეფის მიერ მცხეთის ტაძრისადმი მიცემულ საბუთში. აქ გორული ლიტრა ოთხასი მუტყალთ<sup>104</sup>, ე. ი. 1,780 კგ-ით არის განსაზღვრული.

400 მიტყალამდე ლიტრის გადიდება საკმაოდ თვალსაჩინო იყო. მან მოკლე ზანში იმაზე მეტი მოიმატა ვიდრე 7 საუკუნის მანძილზე VIII ს.-დან — XV ს. I ნახევრამდე. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ასაბუთებს ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომ „მე — XV ს.-ში ი ერთ გ ვ არი ფ ინ ა ნ ს უ რ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ი თ ს ა ზ ო მ ე ბ ი დ ა მ ე ტ ა დ რ ე ლ ი ტ რ ა დ ა კ ო კ ა ი ქ მ ნ ა გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ი“-ო<sup>105</sup>...

შემდგომი განსაზღვრა ლიტრისა მოეპოვებათ სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ VI-ს—„სამართლის წიგნში“.

საბას ლექსიკონის ყველაზე ადრეულ E ნუსხაში, რომელიც XVII ს.-ის მიწურულისაა, ლიტრა განსაზღვრულია 670 მიტყალით<sup>106</sup>. ასეთივე განსაზღვრაა ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაშიც.

რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, ის ლიტრის წონად 560 მისხალს ასახელებს<sup>107</sup>.

<sup>102</sup> Q:916, გვ. 262.

<sup>103</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მკოდნეობა, გვ. 71.

<sup>104</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 10

<sup>106</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV,) გვ. 424. (საბას თანახმად ლიტრა=20 სტილს, სტილი კი— 3 1/2 მიტყალს. აქედან ლიტრა=670 მიტყალს).

<sup>107</sup> „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“ გვ. 513 (ვახტანგ VI-ის მიხედვით სტალი არის 3 მინა ლთუნის და 10 შაურის წონა. მისხალი 2 1/2 შაურს იწონის, ამიტომ სტილი გამოდის 28 მისხლიანი, ლიტრა კი (28×20) 560 მისხლიანი).

ამგვარად, ამ შემთხვევაშიც ეს ორი ავტორი სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან.

ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია ამ წინააღმდეგობას და ივარაუდა, რომ 670 მიტყლიანი ლიტრა იყო „ახალი ლიტრა“, რომელსაც საბა აღრინდელი ლიტრისგან განასხვავებდა. ეს უკანასკნელი კი, მისი აზრით, 560 მისხალს შეადგენდა<sup>108</sup>. მაგრამ ს.-ს. ორბელიანს სრულიად გარკვეულად აქვს ნათქვამი, რომ მის მიერ ნახსენები ახალი ლიტრა უპირისპირდებოდა მხოლოდ ძველ რომაულ ლიტრას.

საბას და ვახტანგის ცნობების წინააღმდეგობის გადაჭრა არ არის ძნელი.

როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის წონის უმცირესი ერთეულების სისტემა სპარსული წარმომავლობისაა. ამ სისტემასვე ემყარება კანონმდებლის მიერ განხილული სხვა ერთეულებიც: სტილი, ჩარეკი და ლიტრა<sup>109</sup>.

ტერმინები სტილი და ჩარეკი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სპარსული მეტროლოგიის კუთვნილებაა. ისინი ქართულმა საზომმა სისტემამ გარედან შეითვისა. გვრჩება მხოლოდ ლიტრა.

ლიტრის სიდიდის საწონი იმდროინდელ ირანში იყო მანი:

XVI ს. II ნახევარში ქართლის მეფის დაუდ ხანის მიერ შედგენილ სამედიცინო ძეგლში „იადიგარ დაუდი“ საწონ-საზომთა შორის მოხსენიებულია თავრიზული ლიტრა. დაუდ ხანი მას არაერთხელ საზღვრავს 800 დირჰამით<sup>110</sup>.

ძნელი არ არის თავრიზულ ლიტრაში უაღრესად გავრცელებული და პოპულარული საწონი თავრიზული მანი დაეინახოთ. მხოლოდ ქართულ ტექსტში ტერმინი მანი ლიტრამ შეცვალა<sup>111</sup>. ჩანს, რომ XVI ს.-ის II ნახევარში ლიტრა უკვე მანის სინონიმი იყო.

XVIII ს.-შიც ვხვდებით მსგავს მაგალითს. ირანიდან საქართველოში გავრცელებული დიდი საწყაო ხარვარი ჩვენში ჩვეულებრივ 100 ლიტრით ისაზღვრებოდა<sup>112</sup> — ირანში კი 100 მანით<sup>113</sup>.

თავრიზულმა მანმა ირანში საუკუნეების მანძილზე დიდი ევოლუცია განიცადა. ეს დაწვრილებით აქვს გამოკვე-

<sup>108</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 72—73.

<sup>109</sup> „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“, გვ. 513.

<sup>110</sup> იადიგარ დაუდი, გვ. 221, 503.

<sup>111</sup> აღრინდელ სამედიცინო ძეგლებში ამას ვერა ვხვდავთ. მაგ., „უსწორო კარბადინში“ ბაღდადურ რატლს ცვლის ბაღდადური ლიტრა (გვ. 161, 133). აქ ლიტრა რატლის სინონიმად გვევლინება.

<sup>112</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, 1745 წ. მალუჯათის ნუსხა თუმანიშვილისა, გვ. 151.

<sup>113</sup> В. Х н и ц, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

უ ლ ი ვ ა ლ ტ ე რ ჰ ი ნ ც ს. თავდაპირველად ის 260 ღირჰამს, ე. ი. 812,5 გ იწონიდა<sup>114</sup>. XVI—XVIII სს-ში კი ეს სახელწოდება დაუ-  
მკვიდრდა საშუალოდ 3 კგ-იან საწონს<sup>115</sup>.

800 ღირჰამით, ე. ი. დამრგვალებულად 2,5 კგ-ით თავრიზული მანის (ლიტრის) დაუდ-ხანისეული განსაზღვრა უაღრესად საინტე-  
რესოა. თავისი ნაშრომის შედგენისას ის სარგებლობდა სპარსული წყაროებით და ამდენად მის ცნობასაც პირველწყაროს ხასიათი აქვს. ეს კი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ვ. ჰინცი ამ ერთე-  
ულის განსაზღვრისას მხოლოდ ევროპელ მოგზაურთა ცნობებს ეყრდნობოდა. ეს ცნობები კი 1566 წლიდან მოდიან და თავრიზული მანისათვის XVI—XVII სს-ში იძლევიან 2,88—2,9 კგ-ს<sup>116</sup>, ხოლო XVIII ს. დასაწყისიდან კი 3 კგ-ს<sup>117</sup>. საფიქრებელია, რომ 800 ღირ-  
ჰამით თავრიზული მანის განსაზღვრა ოფიციალურად მიღებული იყო ირანში XVI ს. I ნახევარში მაინც.

და აი ეს, 800 ღირჰამიანი ერთეული სხვა არაფერია თუ არა ვახტანგ VI-ისეული 560 მისხლიანი ლიტრა. 800 ღირჰამი, თუ მას მისკლებში გადავიყვანთ თეორიული შეფარდებით (10:7) გვაძლევს სწორედ 560 მისკალს (მისხალს). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თავ-  
რიზულმა მანმა თავისი პირვანდელი სახით გავრცელება ჰპოვა სა-  
ქართველოშიც. მისმა დამკვიდრებამ კი ავტომატურად გამოიწვია 400 მიტყალიანი ლიტრის ზრდაც. ამ ლიტრას მართალია XVI ს-ში იცნობდა დაუდ-ხანი, მაგრამ საქართველოში და განსაკუთრებით მია-  
აღმოსავლეთ ნაწილში ის XVII ს-ში უნდა შემოსულიყო. ეს კი ის ხანაა, როცა აღმ. საქართველო ირანის გავლენის ქვეშ მოექცა და აღინიშნა აგრეთვე სხვა სპარსულ საზომთა მოძალებითაც. მაგრამ 560 მისხლიანი ლიტრა XVIII ს. დასაწყისში (როცა დაიწერა ვახ-  
ტანგ VI-ის სამართლის წიგნი) თეორიულად თუ არსებობდა. აქ რო-  
გორც XVII ს. მიწურულისათვის, ისე XVIII ს. დასაწყისისათვის ლიტრის განსაზღვრისას უფრო მისაღებია ს-ს. ორბელიანის გან-  
საზღვრა, რომლის თანახმადაც ლიტრა 670 მიტყალს იწონიდა. XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიური დანარ-  
თი ლიტრას 1000 დრამით საზღვრავს<sup>118</sup>. ეს კი ემთხვევა საბას ცნო-  
ბას, ვინაიდან 670 მიტყალი (შეფარდებით 2:3) უმნიშვნელო დამრ-  
გვალებით სწორედ 1000 დრამია. ამის მიხედვით ეს ლიტრა 3 კგ-ით შეიძლება განისაზღვროს.

<sup>114</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

<sup>115</sup> ი ქ ვ ე, გვ. 28.

<sup>116</sup> ი ქ ვ ე.

<sup>117</sup> ი ქ ვ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>118</sup> Q:916, გვ. 1148.

XVIII ს. II ნახევარში ლიტრა კვლავ იზრდება.

გიულდენშტედტის ცნობით აღმ. საქართველოში ლიტრა XVIII ს. 70-იან წლებში 8 3/4 „ფუნტი“, ან 720 მისხალი ყოფილა<sup>119</sup>, რაც საშუალოდ 3,45 კგ გვაძლევს<sup>120</sup>.

დასავლეთ საქართველოში ამავე ავტორის ცნობით, ლიტრა 8 რუსულ „ფუნტს“<sup>121</sup>, ე. ი. 3,276 კგ იწონიდა.

ეს არის პირველი განსაზღვრა დასავლურ ქართული ლიტრისა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ დასავლეთ საქართველოში ლიტრა აღმოსავლეთ საქართველოს ლიტრის შესაბამისად ვითარდებოდა და იზრდებოდა.

დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XVI ს. მიწურულში, აქ იხსენიება „შამახური ლიტრა“<sup>122</sup>. XVII—XVIII სს-ის საბუთებშიც ხშირად შევხვდებით ამ ლიტრის კვალობაზე აწონილ სანთელს („შ ა მ ა ხ უ რ ს ა ნ თ ე ლ ს“)<sup>123</sup>.

კათოლიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ 1696—1742 წწ. ბიჭვინტისადმი გაცემულ შეწირულების წიგნში ნათქვამია: „ქმათხოვს: სხვას ბეგარას გარდა თეთრის ბეგარა მართებს ყველას; თეთრის ბეგრისაგან სანთელი დაგვიც: ჩარეჟი რუბის თავს, მარჩილის თავს შამახური ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღმრთისშობელსა მიერთმეოდეს ბიჭვინტას“<sup>124</sup>.

იმავე წლებით დათარიღებულ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ ბიჭვინტისადმი მიცემულ სანთლის ბეგარის დავთარში აღნიშნულია: „ზოგს ბეგრის თეთრი ემართა. იმ თეთრის ნაცვლად სანთლის ბეგარა დავდევით: რუბისთვის ჩარეჟი და მარჩილისთვის შამახური იმერეთს, ოდიშსა და გურიას ლოლარკით“<sup>125</sup>...

ამრიგად, ამ ცნობებით ირკვევა, რომ სანთლის ბეგარი რუბის თავზე იყო ჩარეჟი, ხოლო მარჩილის თავზე შამახური (ლიტრა). ვინაიდან მარჩილი ოთხ რუბს შეიცავდა (მარჩილი = 12 შაურს, რუბი — 3 შაურს), შამახურიც ოთხი ჩარეჟის სიდიდისად უნდა ვიგულისხმოთ.

XVIII ს-ის მონაცემით დასავლეთ საქართველოში ჩარეჟი 2 „ფუნტს“ იწონიდა<sup>126</sup>. ასევე იყო ჩარეჟის წონა XIX ს. დასაწყისის

<sup>119</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>120</sup> 720 მისხალი იმლევა 3,3 კგ-ს, 8 3/4 „ფუნტი“ კი — 3,6 კგ-ს. ჩვენ ავიღეთ საშუალო ამ ორი მონაცემიდან.

<sup>121</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>122</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 72.

<sup>123</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 766, 772 და ა. შ.

<sup>124</sup> ი ქ ვ ე, გვ. 766.

<sup>125</sup> ი ქ ვ ე, გვ. 772.

<sup>126</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

იმერეთში<sup>127</sup>. სხვა წონის ჩარეკი ჩვენ აქ არ გვეგულება. ამიტომ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ შამახური ლიტრა XVIII ს-ში მაინც, თუ აღრე არა, 3—3,3 კგ-იან ლიტრას გულისხმობდა<sup>128</sup>, ე. ი. თითქმის იმავე სიდიდის იყო, როგორც აღმოსავლურ ქართული ლიტრა, მაგრამ ამ ლიტრის კვალობაზე იწონებოდა მხოლოდ სანთელი. სხვა საგნების ასაწონად ის ჩვენ არ შეგვხვედრია.

თვალსაჩინოებისათვის ლიტრის ზრდის პროცესს XVIII ს. ბოლომდე ერთხელ კიდევ წარმოვადგენთ:

პ ე რ ი ო დ ი	წ ო ნ ა
თვლადპირველი ბიზანტიური ლიტრა	327,45 გ
IX—XI სს.	406,25 გ
XIII ს.	50 გ
XIV ს. XV ს. I ნახევარი	1,07 კგ
XV ს. II ნახევარი—XVI ს.	1,780 კგ
XVII ს.	2,5 კგ
XVII ს. უკანასკნელი ათეული—XVIII ს. I ნახევარი	3 კგ
XVIII ს. II ნახევარი—აღმ. საქართველო	3,4 კგ
დას. საქართველო	3,3 კგ

XIX ს-ში ქართული ლიტრისათვის სხვადასხვა მონაცემები გვაქვს. თბილისის მაზრაში XIX ს. I ნახევარში ის დამრგვალებულად, 9 „ფუნტი“, ე. ი. 3,7 კგ-ით იანგარიშებოდა<sup>129</sup>, ასეთივე იყო ლიტრა XIX ს. 30-იანი წლების ბოლომდე იმერეთში კ. ვორანკევიჩი — ბასსანცის მიხედვით<sup>130</sup>, ხოლო კახეთში, სიღნაღისა და თელავის მაზრებში მისი წონა 3,2—3,4 კგ-ზე მოდიოდა<sup>131</sup>. XIX ს. ზოგიერთი მასალებით ლიტრა 10 „ფუნტიცა“, კერძოდ ნ. ხანიკოვი ასე საზღვრავს შორაპნის მაზრაში გავრცელებულ ლიტრას, მაგრამ ძირითადად, ლიტრის წონა ამ ხანებში 3,7 კგ-ით შეიძლება განესაზღვროთ<sup>132</sup>.

ლიტრა საწონს გარდა საწყაოდაც გამოიყენებოდა. ლიტრით

<sup>127</sup> ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიური ისტორიისათვის. საისტორიო კრებული. წიგნი III. თბილისი, 1928, გვ. 67; კაცხის მონასტრის გლეხების და მათი ვალდებულებების ქართულად და რუსულად შედგენილ ნუსხებში (მაგ. სოფ. რკვიეთში) ქართულ ნუსხაში მითითებულ ჩარეკს, რუსულად შეესატყვისება 2 გირვანქა (გვ. 71).

<sup>128</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სრულიად დაუსაბუთებლად შამხურ ლიტრას 4 გირვანქით, ე. ი. 1, 6 კგ-ით ანგარიშობს, იქვე, გვ. 59.

<sup>129</sup> К. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560.

<sup>130</sup> К. В о р о н к е в и ч-Б а с с а н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 396.

<sup>131</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნაშრ. გვ. 562—563.

<sup>132</sup> ი ქ ე ე, გვ. 553.



აიწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX ს. I ნახევრის მასალებით საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,7 კგ მარცვლეულს<sup>133</sup> იტევდა. სიღნაღის მაზრაში 3,2 კგ-ს, ზოლო თელავის მაზრაში 4,5—5 კგ-ს<sup>134</sup>.

### ჩ ა რ ე ქ ი

ტერმინი სპარსულია — كسارچو, რაც ქართულად მეოთხედს, ნაოთხალს შეესატყვისება. ირანში ის მანნის მეოთხედი იყო.

საქართველოში ჩარექი გამოიყენებოდა საწონად, საწყაოდ, მანძილის და ფართობის საზომად.

წონის საზომად ჩარექი საქართველოში XV ს. II ნახევრიდან ჩანს. 1474 წ. ვამიყ შაბურისძის და დულარდუხთის მიერ ბოდორნის ეკლესიისათვის სოფ. ბანდაკის შეწირულების წიგნში კაბიწის და კოკას გვერდით დასახელებულია ჩარექიც<sup>135</sup>.

ჩარექი დამოწმებულია აგრეთვე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ნაშრომშიც, რომელიც XV ს. II ნახევარში არის დაწერილი<sup>136</sup>.

თუმცა ჩარექი „უსწორო კარაბადინშიც“ გვხვდება<sup>137</sup>, მაგრამ მისი აქ გაჩენა გვიანდელ გადამწერელთა ინიციატივის შედეგი უნდა იყოს და ჩარექის საქართველოში გავრცელების თარიღი XV ს-ს არ უნდა ცილდებოდეს.

XVI ს-დან ჩარექი ვრცელდება დასავლეთ საქართველოშიც<sup>138</sup>. ჩარექობით იწონებოდა ყველა სავაჭრო საგანი<sup>139</sup>. როგორც საწონი ის შეადგენდა ლიტრის მეოთხედს და ამდენად ჩარექის ოდენობა ფაქტიურად ლიტრის სიდიდეზე იყო დამოკიდებული.

XVIII ს. მიწურულამდე ჩარექის წონა ასე წარმოგვიდგება:

პ ე რ ი ო დ ი	წ ო ნ ა
XV ს. II ნახევარი XVI-ს.	100 მიტყალი—446 გ
XVII ს.	140 მისხალი—444 გ
XVIII ს. I ნახევარი	168 მისხალი—772 გ
XVIII ს. II ნახევარი	180 მისხალი—828 გ

<sup>133</sup> Н. Ханьков, დასახ. ნაშრ., გვ. 560.

<sup>134</sup> ი ქ ე ე, გვ. 562—563.

<sup>135</sup> ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთო Ad:873.

<sup>136</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), გვ. 255.

<sup>137</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, გვ. 92.

<sup>138</sup> ივ. ქ ა ე ა ხ ე შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 82.

<sup>139</sup> ი ქ ე ე .

ჩარექის წონის ზრდა ჩვენი აზრით, თანაბრად ზღვებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ყოველ შემთხვევაში განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ ჩარექებს შორის დიდი არ უნდა ყოფილიყო.

ამის ნათელი ილუსტრაციაა გიულდენშტედტის ცნობა, რომლის თანახმად დასავლეთ საქართველოში XVIII ს. 70-იანი წლებში ჩარექი 2 „ფუნტს“<sup>140</sup>, ე. ი. 819 გ-ს იწონიდა.

XIX ს. I ნახევარში ჩარექის წონის სხვადასხვა მონაცემები გვაქვს, რაც როგორც ადრე, განპირობებული იყო ლიტრის წონის სხვადასხვაობისაგან. ქართლში ჩარექი 921 გ-ს იწონიდა<sup>141</sup>. კახეთში, თელავის მაზრაში 848 გ-ს, სიღნაღის მაზრაში კი 811 გ-ს<sup>142</sup>. დასავლეთ საქართველოში ჩარექი უფრო მოზრდილი, დამრგვალებულად 1 კგ ჩანს<sup>143</sup>.

### ქ ს ა ნ ი

ეს საწონი საბუთებში XVII ს-დან ჩანს და იხმარებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (ძირითადად სანთელ-საკმეველის, ნიგვზის და ერბოს საწონად)<sup>144</sup>.

ს. კაკაბაძის აზრით, ტერმინი (ქსანიე) სომხურია<sup>145</sup>, მაგრამ სომხურში ის პატარა პარკს, ქისას ნიშნავს და საზომთან საერთო არა აქვს. თ. ბაგრატიონი<sup>146</sup>, ნ. ხანიკოვი<sup>147</sup> და ე. კარსტი<sup>148</sup> ქსანს ქართულ ტერმინად მიიჩნევენ. ე. კარსტი ქსანს აწარმოებს „ექვს, ათექსანისაგან“<sup>149</sup> და ეს აზრი შორს არ უნდა იყო სიმათლისაგან, ვინაიდან საწონი ქსანი მართლაც ლიტრის 1/16-ს აღნიშნავდა. მსგავსი საწონი უცხოურ საზომთა სისტემებში, თუნდაც თავრიზულ მანის სისტემაში ჩვენ არა გვხვდება.

ლიტრის 1/16-ით განსაზღვრავენ ქსანს საბა<sup>150</sup>, გიულდენშტედ-

<sup>140</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>141</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560—561.

<sup>142</sup> ი ქ ე ე, გვ. 563.

<sup>143</sup> ი ქ ე ე, გვ. 558.

<sup>144</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, გვ. 84.

<sup>145</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 81.

<sup>146</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45 („ქსანი საკუთარი ქართული სახელი არის“).

<sup>147</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 543.

<sup>148</sup> J. K a r s t, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

<sup>149</sup> ი ქ ე ე.

<sup>150</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 424.

ტი<sup>151</sup> და თეიმურაზ ბაგრატიონი<sup>152</sup>. ს.-ს. ორბელიანი თავისი ლექსიკონის უძველეს ნუსხაში ქსანის წონად 2 1/2 თუხტს<sup>153</sup>, ე. ი. 383 გ იძლევა, მაგრამ შემდეგდროინდელ ნუსხებსა და საბოლოო რედაქციაში კი — 1 1/4 თუხტს<sup>154</sup>, ე. ი. 191 გ-ს. ეს ფაქტი კარგად მიუთითებს, რომ ქსანს ამ ხანებში ორგვარი წონითი მნიშვნელობა ჰქონდა და ალბათ ასევე ექნებოდა შემდეგშიაც. ამის მიზეზს თვით ლექსიკოგრაფი განმარტავს: „სადა ლიტრათა მცირე-დიდობა არის, ეგრეთვე ნაოთხალი და ქსანი განიყოფ(ვ)იან“-ო<sup>155</sup>.

საბას დროს სწორე ქსანი 1 1/4 თუხტის წონა იქნებოდა, ვინაიდან 670 მისხლიანი ლიტრის 1/16-ს სწორედ ის უდგება. 2 1/2 თუხტიანი ქსანი ლიტრის 1/8-ს იძლევა.

XVIII ს. 70-იან წლებში იმერეთში გიულდენშტედტის ცნობით ქსანი ჩარეჟის 1/4 იყო და 1/2 „ფუნტს“<sup>156</sup>, ე. ი. 205 გ-ს იწონიდა. გიულდენშტედტი ქსანს აღმ. საქართველოში არ იხსენიებს და ამის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ აქ ეს საზომი ამ დროს იშვიათად იყო ხმარებაში<sup>157</sup>. ეს მართლაც ასე უნდა იყოს, ვინაიდან XIX ს. მეტროლოგიურ შრომებში ქსანი აღმ. საქართველოში საერთოდ არ იხსენიება.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, XIX ს-ში ქსანის წონა აქ დიდად გაზრდილი ჩანს. კ. ვორონკევიჩ-ბასსანცი, რომელიც ქსანს ჩარეჟის 1/4-ით საზღვრავს მის წონად 2 სტილს იძლევა<sup>158</sup>. ნ. ხანიკოვი ქსანს მართალია 2 სტილით საზღვრავს, მაგრამ ის ჩარეჟის 1/3-ად მიაჩნია<sup>159</sup>. ამასთან დას. საქართველოში ის ქსანს ძირითადად ბათმანთან მიმართებაში — ბათმანის 1/24-ად ასახელებს. ლიტრასთან მიმართებაში ქსანი, ამ საწონის 1/12-ად ჩანს შორაპნის მაზრაში<sup>160</sup>. ასეთი პროპორცია ეწინააღმდეგება ჩვენ წარმოდგენას ქსანის, როგორც ლიტრის 1/16 ნაწილის შესახებ, მაგრამ ამგვარი განსაზღვრა, ვფიქრობთ, პრაქტიკულმა საჭიროებებმა განაპირობეს. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ „სწორე“ ქსანის გარდა არსებობდა ორჯერ უფრო მოზრდილი ქსანიც. როცა დაისვა საკითხი ქართული სა-

<sup>151</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>152</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>153</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 424, E რედაქცია.

<sup>154</sup> ი ქ ვ ე, გვ. 424.

<sup>155</sup> ი ქ ვ ე, გვ. 422.

<sup>156</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>157</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 85.

<sup>158</sup> К. Воронкевич-Бассанц, დასახ. ნაშრ., გვ. 396.

<sup>159</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 557—558.

<sup>160</sup> ი ქ ვ ე. აქ ლიტრა ზუსტად ბათმანის 1/2 იყო და 24 სტილს შეიცავდა.



## ს ტ ი ლ ი

ეს საწონი წარმომავლობით უკავშირდება არაბულ ისთარს, მაგრამ ჩვენში ის სპარსული გზით შემოვიდა.

პირველად, თუ არა ვცდებით, სტილი 1619 წ. ორბელიანთა სა-შემოსავლო ნუსხაშია ნახსენები („თორმეტი სტილი ერბო“) <sup>166</sup>. გვხვდება ის XVII ს. სხვა საბუთებშიც, მაგრამ უფრო ფართოდ ის XVIII ს-ში ჩანს. გამოიყენებოდა ის საქართველოს მეზობელ მუს-ლიმურ სახანოებშიც <sup>167</sup> და საერთოდ მისი გავრცელება თავრიზული მანის შემოსვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სტილის სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითა ჯერ კიდევ თეი-მურაზ ბაგრატიონმა. „სტილი სპარსული სახელი არის ის ტ ი ლ ქართულად ნაოცალი“—<sup>168</sup>. თავისი ფუნქციით ეს საწონი ასთირის მსგავსად მართლაც გამოხატავდა ნაოცალს. XVII—XVIII სს-ში კანონიკური სტილი ჩვეულებრივ ლიტრის 1/20-ს შეადგენდა <sup>169</sup>, თუმცა „ქალაქითი ქალაქად“ „განწესების და მიხედვით“ ის მეტ-ნაკლები შეიძლებოდა ყოფილიყო <sup>170</sup>.

სტილის წონა იცვლებოდა ლიტრის წონის ცვლასთან ერთად. ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ თანახმად სტილი 28 მისხალს <sup>171</sup>, ე. ი. 128,8 გ იწონიდა. ეს იყო ჩვენი აზრით, სტილის თავდაპირველი წონა XVIII ს. ბოლომდე.

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. I მეოთხედში ს.-ს. ორბელიანის ცნობით სტილი უკვე 33 1/2 მისხალი (მიტყალი) იყო <sup>172</sup>. 33 მის-

---

<sup>166</sup> ქრონიკები, II, გვ. 442; როგორც აღრე აღვნიშნეთ, სტილი გვხვდება ქანანელის „უსწორო კარაბადინში“, (გვ. 333), მაგრამ ეს ტერმინი, როგორც ლ. კოტეტი-შვილმა გაარკვია, ვახტანგ VI-ის დროს გადაწერილ ნუსხაშია შეტანილი ისტირის სანაცვლოდ (გვ. XXIX). გადამწერებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ სტილი, რომელიც ისთარის მსგავსად თავისი ფუნქციით ნაოცალს ნიშნავდა, ზომით რამდენჯერმე აღემატებოდა ამ უკანასკნელს.

<sup>167</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 564, 565, 567, 569.

<sup>168</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>169</sup> 1696 წ. არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილებისადმი მიცემული სააღაპე წიგნი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, წიგნი I, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დაქციით, თბ., 1940, გვ. 99, № 138; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, 124-ე მუხლი, გვ. 513; Q:916, გვ. 1148, ხარჯის გარიგება ბართაანთ და ყორღანანთ ყმებისა, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, გვ. 143, № 197; 1771 წ. ერეკლეს ბრძანების წიგნი, „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან“, წიგნი III, № 48, გვ. 61; 1790 წ. პურის და ქერის ანგარიშის გასწორების წიგნი, იქვე, გვ. 84, № 66 და სხვ.

<sup>170</sup> ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული (ტ. IV), გვ. 422.

<sup>171</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 513.

<sup>172</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 422.

ხალით არის განსაზღვრული სტილი 1750—1760 წწ. შუა კახეთის მბაქების გარიგებაში<sup>173</sup>, ხოლო XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანართში კი — 50 დრამით<sup>174</sup>.

ამგვარად, ამ ცნობების თანახმად XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. I ნახევრის ჩათვლით სტილის წონა შეიძლება 153 გ-ით განესაზღვროთ<sup>175</sup>.

XVIII ს. II ნახევარში აკად. გიულდენშტედტის ცნობით სტილი 36 მისხალს<sup>176</sup>, ე. ი. 165,6 გ-ს იწონდა.

XIX ს. I ნახევარში სტილი ქართლში უკვე 184 გ-ს იწონიდა<sup>177</sup>. ამ დროს ის უკვე გავრცელებული ჩანს მთელ საქართველოში. რაჭაში, იმერეთში, გურიასა და კახეთში (თელავის მაზრაში) XIX ს. 40—50-იან წლებში<sup>178</sup> მისი წონა საშუალოდ შეიძლება 170 გ-ით განესაზღვროთ.

როგორც აღვნიშნეთ, სტილი იზრდებოდა ლიტრის ზრდასათან ერთად, რომელიც თავის მხრივ მისხლების რაოდენობის ზრდის ხარჯზე დიდდებოდა, მაგრამ შესაძლებელი იყო ლიტრის ზრდა სტილების რაოდენობის გაზრდის ხარჯზეც.

1721—1722 წწ. კონსტანტინე კახთა მეფე გავაზის მოურავს უსაყვედურებდა იმის თაობაზე, რომ ის სახასო გამოსაღებებს მცირე ლიტრით იღებდა და მოითხოვდა მისგან დაწესებული 24 სტილიანი ლიტრის გამოყენებას<sup>179</sup>.

„სამოქალაქოს სჯულვილებაში“ აისახა ლიტრის და მისი ტოლფასი თუნგის 22 სტილით განსაზღვრის ტენდენცია<sup>180</sup>.

22 სტილიანი ლიტრა გამოიყენებოდა რუსი ხელისუფლების მიერ XIX ს. დასაწყისში საქართველოში სურსათის გამოსაღების

<sup>173</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფილისი. 1910. გვ. 137.

<sup>174</sup> Q:916, გვ. 1148.

<sup>176</sup> ჩვენი გაანგარიშების სისწორე და სიზუსტე კარგად შეიძლება შევამოწმოთ სხვა მასალით. საბას ცნობით ოყა უდრიდა 8 სტილს, ე. ი. 1, 224 კგ-ს. რუსულ წონით ერთეულებში ოყა იყო 3 „ფუნტი“. ე. ი. (409, 512 > 3)—1,228 კგ. როგორც ვხედავთ, განსხვავება 0,004 გრამით გამოიხატება. აქედან კი ერთხელ კიდევ შეიძლება დაერწმუნდეთ ჩვენ მიერ მისხალის 4, 6-გ-ით განსაზღვრის სიზუსტეშიაც.

<sup>178</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 237.

<sup>177</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560.

<sup>178</sup> ი ქ ე ე. გვ. 557, 558, 565.

<sup>179</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd:14211, მოწერილობა კონსტანტინე კახთა მეფისა გიო გავაზის მოურავისადმი და ნაცვლებისადმი, სახასო მამულების გამოსაღებისა და საწყაოების ძველი სიდიდის აღდგენის შესახებ.

<sup>180</sup> „სამოქალაქოს სჯულვილება“, გვ. 105.

აკრეფისას, იმ მოტივით, რომ მსგავსი სიდიდის ლიტრა ხმარებაში იყო ქართველი შეფეების დროსაც<sup>181</sup>. ამასთან ეს სტილი იყო ისეთივე სიდიდის, როგორც გიულდენშტედტისა (2 1/2 სტილი უდრიდა 1 რუსულ „ფუნტს“<sup>182</sup>, ე. ი. სტილი = 164 გ-ს).

XIX ს. I ნახევრის მასალებით იმერეთის ზოგიერთ რაიონში ლიტრის წონა შეეფარდა ბათმანისას. ვინაიდან ბათმანი უდრიდა 48 სტილს, ლიტრა როგორც ბათმანის 1/2, განისაზღვრა 24 სტილით. ასეთი ლიტრა, რომლის წონაც 4 კგ-ს აღემატებოდა ნ. ხანიკოვის მიხედვით გამოიყენებოდა შორაპანის მაზრაში<sup>183</sup>.

### თ უ ხ ტ ი

სტილს ქართულ წყაროებში სხვაგვარად თუხტიც ეწოდებოდა<sup>184</sup>. ტერმინი სპარსულია—تخت. ირანში ეს საწონი 600 დირჰამს<sup>185</sup> (1,9 კგ) შეადგენდა, მაშინ როცა XVII—XVIII სს. საქართველოში თუხტის ანუ სტილის წონა 28—36 მისხალზე მოდიოდა.

XIX ს. I ნახევარში ნ. ხანიკოვის მიერ თუხტი საწონად არის დასახელებული ახალციხის მაზრაში<sup>186</sup>, სადაც ის 50 დრამს, ან 170 გ-ს იწონიდა. სხვათა შორის 50 დრამითვეა განსაზღვრული თუხტი, XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანართშიც<sup>187</sup>.

### კ ვ ე რ ც ხ ი

კვერციხი, კვერცხის წონა გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში<sup>188</sup>. კვერცხის წონა დაკავშირებულია ჩვეულებრივ ქათმის კვერცხის წონასთან, მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზევსურეთში, სადაც ქათმების მოშენებას ჩვეულებრივ არ მისდევდნენ, გ. ჩიტაიას თანახმად შემონახულია წონითი ოდენობის ათვლა კვერცხებში<sup>189</sup>.

„კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში „საწონი ძველად იყო სამი კვერციხი, ერთ სტილად

<sup>181</sup> ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, სახელმწიფო ბეგარა გადასახადები აღმ. საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 1960, გვ. 61, შენ. 62.

<sup>182</sup> ი ქ ვ ე .

<sup>183</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 558.

<sup>184</sup> ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 422;—Q: 916, 33. 1148.

<sup>185</sup> F. S t e i n g a s s, Persian-English Dictionary, p. 286.

<sup>186</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559.

<sup>187</sup> Q: 916, გვ. 1148.

<sup>188</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 127; Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.

<sup>189</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, ზევსურული სტილი, გვ. 288.

ჩაგდებული და სამოცი კვერცხის წონა ერთ ლიტრად ჩაგდებულ<sup>190</sup>... აქედან გამომდინარე, თუ მეცნიერი ბატონიშვილი XVIII ს. საქართველოს სინამდვილეს გულისხმობდა, კვერცხის წონა 50—60 გ-ზე მოდის.

6. ხანიკოვის მიხედვით შორაპანის მაზრაში კვერცხის წონა დამრგვალებულად 50 გ იყო<sup>191</sup>.

6. ხანიკოვის ცნობითვე სიღნაღის მაზრაში კვერცხის წონა ორჯერ მოზრდილი ჩანს<sup>192</sup>, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ექვი არ გაგვიჩნდეს, ვინაიდან სხვა ცნობებით კვერცხის წონა 50—60 გრამზე მოდიოდა. ეს კარგად დასტურდება ეთნოგრაფიული<sup>193</sup> მასალებითაც.

ლიტრის სისტემა XVII—XVIII სს-ს საქართველოში		ცხრილი IV		
ლიტრა	1			
ჩარქვი	4	1		
ქსანი	16	4	1	
სტილი	20	5	1 1/4	1
კვერცხი	60	15	3 3/4	3 1

### § 3. სხვა საწონები

#### ბათმანი

ეს ერთეული, რომლის შემოღებაც XV ს-ში აყ-ყოიუნლუს თურქმანთა ტომების გამგებელს უზუნ ჰასანს უკავშირდება<sup>194</sup>, საქართველოში გავრცელებული ჩანს XVIII ს-ში. ის გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის, პურის და სხვა საქონლის ასაწონად<sup>195</sup>.

<sup>190</sup> იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 227.

<sup>191</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.

<sup>192</sup> ი ქ ე ე, გვ. 561.

<sup>193</sup> ჯ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მემინდერობასთან დაკავშირებული ხის საწყობები, გვ. 289. სტილში კვერცხების რაოდენობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ეთნოგრაფიული მასალებით სტილში 4 კვერცხია (ჯ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 289). ეს კი ჩვენი აზრით განპირობებული იყო სტილის და ლიტრის ზრდით. ამის გამო, თუ XVIII ს-ში ლიტრა შეიძლებოდა 60 კვერცხად განსაზღვრულიყო, XIX ს-ში მას უკვე 80 კვერცხის კვალობაზე ანგარიშობდნენ. თავდაპირველად სტილში ორი კვერცხი უნდა ყოფილიყო. ეს ტრადიცია შემორჩა ალბათ ზეესურეთში, სადაც სტილს დღეს ორი კვერცხის კვალობაზე ანგარიშობენ ნ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხეესურეთი, თბილისი, 1936, გვ. 66.

<sup>194</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>195</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 81; „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი III, გვ. 130 № 87, გვ. 132, № 90.



ივ. ჭავჭავაძის<sup>196</sup> და ს. კაკაბაძის<sup>197</sup> საქართველოში ამ ერთეულის დამკვიდრებას ოსმალეთის გავლენას უკავშირებდნენ. დასავლეთ საქართველოში ეს საესეებით რეალურია, მაგრამ აღმ. საქართველოში დასაშვებია ბათმანის ირანის გზით გავრცელების შესაძლებლობაც. ამას კარგად მოწმობს აღმ. საქართველოს ბათმანის წონა, რომელიც გიულდენშტედტის მიხედვით ლიტრისას ემთხვეოდა<sup>198</sup>.

ირანშიც ბათმანის სახელით აღინიშნებოდა თავრიზული მანი<sup>199</sup>, რომელიც წონით ქართულ ლიტრას უახლოვდება.

სულ სხვა ვითარებაა დასავლეთ საქართველოში. გიულდენშტედტის ცნობით, ბათმანი აქ 18 „ფუნტს“<sup>200</sup> ე. ი. 7,37 კგ-ს იწონინდა. ეს ბათმანი წონით შეესაბამება სტამბოლის ბათმანს, რომლის ოდენობაც ს.-ს. ორბელიანის მიხედვით იყო 48 თუხტი<sup>201</sup>, ანუ 7,34 კგ. 48 თუხტიანი ბათმანი იყო ე. წ. ჩვეულებრივი ბათმანი და 6 ოყას შეადგენდა (დიდი ბათმანი უდრიდა 8 ოყას, ხოლო მცირე კი — 2 ოყას)<sup>202</sup>.

6 ოყიანი ბათმანი ოფიციალურად გამოიყენებოდა ახალციხის ნაზრანში<sup>203</sup>. ამდენად, ჩვეულებრივმა, ანუ სტამბოლის ბათმანმა გავრცელება კპოვსა დასავლეთ საქართველოში. ამ სიდიდისად უნდა მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს საბუთებში დამოწმებული საწონი — ბათმანი.

48 თუხტიანი ბათმანი არც აღმ. საქართველოსთვის იყო უცხო, მაგრამ აქ მას თ ი ლ ა ნ ი ს ბ ა თ მ ა ნ ი, ან უბრალოდ თ ი ლ ა ნ ი ეწოდებოდა. ეს ორივე ტერმინი დადასტურებულია XVIII ს. აღმ. საქართველოს წყაროებში<sup>204</sup>.

დასავლეთ საქართველოში ბათმანის წონა უცვლელი ჩანს XIX

<sup>196</sup> ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 81.

<sup>197</sup> ქართული მეტროლოგია, გვ. 83.

<sup>198</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 237.

<sup>199</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 28, იხ. ვეროპელ ავტორთა А. Е. Е d w a r s-ის და J. N e w b e r g-ის ცნობები.

<sup>200</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>201</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ვეროპაში. ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 131.

<sup>202</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 495.

<sup>203</sup> Н. В о р о н к е в и ч - Б а с с а н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 390; Н. Х а н ы - к о в, О весах и мерах, стр. 559.

<sup>204</sup> ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 422; Q:916 გვ. 1148; „მასალები საქართველოს ეკონომიური იტორიისათვის“, წიგნი III, გვ. 130, № 87; გვ. 132, № 90.

ს. 30-იანი წლების ბოლომდე<sup>205</sup>, მაგრამ შემდეგ ივ. აბესსალომოვის (1846 წ.)<sup>206</sup> და ნ. ხანიკოვის (1851 წ.) გაანგარიშებებში მისი სიდიდე გაზრდილია. ნ. ხანიკოვი სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში ზათმანისთვის 20—21 „ფუნტს“ (8—8,5 კგ-ს) იძლევა<sup>207</sup>. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ზათმანის წონა ხალხში თანდათან გაიზარდა, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დრამა, რომლის საფუძველზეც ნ. ხანიკოვი ახდენდა თავის გაანგარიშებებს დასაშვებთან შედარებით საკმაოდ მძიმე, 3,3 გ იყო<sup>208</sup>. ასეთ არასწორ ფიქსირებას, რომელსაც დაკანონებული ხასიათი ეძლეოდა, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ზათმანისათვის გადიდებული წონითი მნიშვნელობის დამკვიდრება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ზათმანი როგორც საწონი ძირითადად ცვლის ლიტრას. ის გამოიყენებოდა აგრეთვე საწყაოდაც.

ზათმანთან გარკვეულ თანაფარდობაში იყო რიგი ადგილობრივი, თუ ოსმალეთიდან საქართველოში დამკვიდრებული საწონები: ო ყ ა, ლ ი ტ რ ა, ქ ს ა ნ ი, თ უ ხ ტ ი-ს ტ ი ლ ი და დ რ ა მ ა.

სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ოსმალური წონითი სისტემა ასეთი სახისაა:

	ც ხ რ ი ლ ი V		
ზ ა თ მ ა ნ ი .	1		
ო ყ ა	6	1	
ნ უ ქ ი	12	2	1
თ უ ხ ტ ი .	48	8	4 1
დ რ ა მ ა .	2400	400	200 50 <sup>209</sup>

დასავლეთ საქართველოში ზათმანი XVIII ს. II ნახევარში უდრიდა 2 ლიტრასა და 1 ჩარექს, ჩარექი კი — 4 ქსანს. ამდენად ზათმანში შედიოდა 9 ჩარექი და 36 ქსანი<sup>210</sup>, მაგრამ XIX ს-ში ლიტრის ზრდის გამო ზათმანი გაუთანაბრდა 2 ლიტრას. ამასთან XIX ს. 40—50-იან წლების მონაცემებით ზათმანის და ლიტრის წონითი მონაცემებიც გაზრდილი ჩანს და საერთოდ სხვა საწონების სიდიდეც

<sup>205</sup> Дмитрий Гордеев, Материалы к обследованию гелатских древностей, „საისტორიო მოამბე“, I, თბილისი, 1925, გვ. 127; К. В о р о н к е в и ч-Б а с с а н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 396.

<sup>206</sup> Ив. А б е с с а л о м о в, О весах и мерах, стр. 129.

<sup>207</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557—558.

<sup>208</sup> ი ქ ვ ე.

<sup>209</sup> ი ქ ვ ე. გვ. 559. მიუხედავად წონითი ოდენობის ზრდისა, რასაც ნ. ხანიკოვი იძლევა, თვით ზათმანის წონით სისტემაში ცვლალება არ მომხდარა.

<sup>210</sup> გიულენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

ჩაღაც ხელოვნურად არის ბათმანთან თანაფარდობაში მოქცეული, ამიტომ თავს ვიკაეებთ XIX ს-ს დას. საქართველოში ბათმანის წონითი სისტემის წარმოდგენაზე.

### გ ი რ ვ ა ნ ქ ა

ეს ტერმინი მომდინარეობს რუსული გრივენკადან. გრივენკა სავაჭრო ურთიერთობების შედეგად გავრცელდა სპარსეთში, სადაც მიიღო გირვანქის ფორმა და ამ სახით დამკვიდრდა საქართველოში და კავკასიის ბევრი ზალხების მეტყველებაში<sup>211</sup>.

ს. კაკაბაძე სამართლიანად ფიქრობდა, რომ გირვანქა „სპარსელებიდან იყო შეთვისებული ახლო ხანებში“<sup>212</sup> თუმცა XVIII ს-ში ეს ერთეული ქართულ საბუთებში მას არ ეგულებოდა<sup>213</sup>.

ამჟამად შეიძლება ვთქვათ, რომ გირვანქა საქართველოში გამოიყენებოდა XVIII ს. დასაწყისიდანვე.

XVIII ს. 20-იან წლებში ფრანგულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად თარგმნილ „საარტილერიო წიგნში“ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი იყენებს ტერმინ „გირვანქას“ რუსული „ფუნტის“ შესატყვისად<sup>214</sup>.

1758 წ. 15 აგვისტოს ჯულაბაშვილების დავთრის ჩანაწერში დასახელებულია „ერთი გ(ი)რვანქა ვერცხლის ძაფი“<sup>215</sup>.

1797 წ. ერთ საბუთში კი — „ჩაი გირვანქა ქ, იმ გირვანქა ვერცხლი“<sup>216</sup>...

ხშირად გამოიყენება გირვანქა XVIII ს. ქართულ მათემატიკურ ხელნაწერებში<sup>217</sup>.

გირვანქა წონით შეესაბამებოდა მის ორიგინალს, გრივენკა — ფუნტს<sup>218</sup>, ე. ი. 409. 512 გ იყო.

<sup>211</sup> А б а е в, Из истории слов. Русское гривенка „Вопросы языкознания“ № 4, 1958, стр. 196—198.

<sup>212</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 85.

<sup>213</sup> ი ქ ვ ე.

<sup>214</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Н კოლექცია, № 1069, გვ. 2 v.

<sup>215</sup> დ. შ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ჯულაბაშვილების დავთარი. „მსკი“. 35, 1962, გვ. 217.

<sup>216</sup> შ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ე ი ლ ი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა). ქართული წყაროთმცოდნეობა, კრ. I, თბილისი, 1965. გვ. 42, № 18, გვ. 186.

<sup>217</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები, Q:224, გვ. 11 v. H:2115. გვ. 27 r.

<sup>218</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559.

## კ ა ნ ტ ა რ ი

ეს საწონი დამახასიათებელი იყო მუსლიმური მეტროლოგიისა-  
თვის (كantar). ჩვენშიაც ის სამხრეთ საქართველოში, ახალციხის მაზ-

რაში იყო გავრცელებული, სადაც 30 ბათმანს იწონიდა, ბათმანი  
კი — 6 ოყას<sup>219</sup>. ამდენად კანტარის წონად დაახ. 220 კგ ვლებულობთ

## კ უ ლ ო

წონის უმცირესი ერთეულია, რომელიც XIX ს. მასალებით  
ახალციხის მაზრაში იყო გავრცელებული და დრამის მეოთხედს<sup>220</sup>,  
ე. ი. 0,8 გ. იწონიდა.

## ლ ო ღ ა რ ი კ ო ნ ი

ეს საწონი სანთლის საზომად გვხვდება XVI ს. 60-იანი წლები-  
დან ოდიშში<sup>221</sup> და ზნირად მოიხსენიება XVII—XVIII სს. საბუთებ-  
შიც<sup>222</sup>. ლოლარიკონის გარდა დამოწმებულია მისი პარალელური  
ფორმები ლოლარიკი, ლალარიკონი და ლალარიკი. XVIII ს. ერთი  
საბუთით ირკვევა, რომ ლოლარიკონი გურიაშიც ყოფილა გავრცე-  
ლებული. კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიჭვინთის სან-  
თლის ბეგარის დავთარში ნათქვამია: „ზოგს ბეგარის თეთრი ემარ-  
თა. იმ თეთრის ნაცვლად სანთლის ბეგარა დაედევით: რუბისათვის  
ჩარეკი და მარჩილისათვის შამაზური იმერეთს, ო დ ი შ ს ა და  
გ უ რ ი ა ს ლ ო ღ ა რ ი კ ო ნ ი თ<sup>223</sup>... ნ. ხანიკოვი ლოლარიკონს  
(რუს. ტრანსკრიპციით ლაგარიკს) ოზურგეთის მაზრაში გავრცელე-  
ბულად ასახელებს და მას 2 ქსანით, 4 სტილით<sup>224</sup>, ან 680 გ-ით  
საზღვრავს. უფრო აღრინდელი ცნობა ლოლარიკონის განსაზღვრი-  
სათვის არ გაგვაჩნია.

## მ ა რ ჩ ი ლ ი

ჩვეულებრივ, ფულის ერთეულის აღმნიშვნელი ეს ტერმინი  
წონის საზომადაც გვხვდება იმერეთში — 1550 — 1570 წწ. ვახუშ-  
ტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში („თვითო მარჩილი წონა საკმე-  
ველი“<sup>225</sup>), მაგრამ კონკრეტულად რა სიდიდისა იყო მარჩილი, ამ  
შემთხვევაში არ ჩანს.

<sup>219</sup> Н. Х а н ы к о в, о весах и мерах, стр. 559.

<sup>220</sup> ი ქ ვ ე .

<sup>221</sup> 1569 წ. შეწირულების წიგნი ხოფელ ნიკოლოზ წულუკიძისა ხოფისადმი,  
„ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 275.

<sup>222</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 581, 649, 670, 733.

<sup>223</sup> ი ქ ვ ე ., გვ. 772.

<sup>224</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 558.

<sup>225</sup> „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, ტ. I, გვ. 23; ივ. ჭ ა ვ ა -  
ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომამეცოდნეობა, გვ. 91.

## ნუკი

ამ საწონის გავრცელების არე ჩვენში სამხრეთ საქართველო იყო. XV ს. II ნახევარში მას იხსენიებს ზაზა ფანასკერტელი—ციციშვილი<sup>226</sup>, XIX ს. I ნახევარში კი ახალციხის მაზრაში მის გავრცელებაზე მიუთითებს ნ. ხანიკოვი<sup>227</sup>.

საბა ნუკის წონად რამდენსამე მნიშვნელობას—4,5 ან 6 თუხტს<sup>228</sup> ასახელებს და აღნიშნავს, რომ ნუკი იყო სპარსული ჩარეკისა და ქართული ნაოთხალის სომხური შესატყვისი<sup>229</sup>. ცხადია, როცა ნუკი 5 თუხტს (სტილს) იწონიდა, ის შეიძლებოდა ჩარეკის ტოლი ყოფილიყო, მაგრამ საერთოდ ეს საწონი მეოთხედის მნიშვნელობით არ იხმარებოდა.

ნუკი ოსმალური საზომია—ნუგი<sup>230</sup>. ტერმინი მომდინარეობს ლათინური uncia-დან<sup>231</sup>. ამდენად ტრადიციულად ის რაიმე მოზრდილი საწონის 1/12 უნდა ყოფილიყო. XVI ს. დასაწყისის ანატოლიაში, მარდინში ვ. ჰინცი გაოცებით აღნიშნავს ერთდროულად 78 და 200 ღირჰამიანი ნუკის არსებობას<sup>232</sup>. თუ ზემოთქმულს გავიხსენებთ—78 ღირჰამიანი ნუკი 3 კგ-იანი მანის 1/12, ხოლო 200 ღირჰამიანი ნუკი კი ოსმალური ბათმანის 1/12 გამოდის. ბათმანის 1/12-ად ჩანს სწორედ ნუკი ახალციხის მაზრაში XIX ს. I ნახევარში<sup>233</sup> (იხ. V ცხრილი).

XV ს. II ნახევარში ზაზა ფანასკერტელის ცნობით, ნუკი 108 დრამა<sup>234</sup>, ე. ი. 320 გ იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში სამხრეთ საქართველოში ამ საწონმა სახე იცვალა და XIX ს. I ნახევარში უკვე 680<sup>235</sup> გ-ს შეადგენდა.

## ოყა

ოსმალური წონის ერთეულია (آق). მომდინარეობს არაბული آق—დან. ოსმალეთში ის 400 ღირჰამს, ან 1,28 კგ<sup>236</sup> იწონიდა. საქართველოში ოყა XVI ს-დან ვრცელდება. XVI—XVIII სს.

<sup>226</sup> სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, გვ. 267.

<sup>227</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 559.

<sup>228</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 424. რედაქცია D.

<sup>229</sup> იქვე, გვ. 422.

<sup>230</sup> В. Хинци, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>231</sup> J. Karsl, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>232</sup> В. Хинци, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>233</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 559; სომხური ნუკი ზელინსკის მახედით 1 2/3 რუსულ „ფუნტს“, ე. ი. 246 გ იწონიდა (С. П. Зелинский, Объяснительный словарь, стр. 127); რაც სომხური ლიტრის 1/16-ს შეადგენდა.

<sup>234</sup> სამკურნალო წიგნი—კარაბადინი, გვ. 267.

<sup>235</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 559.

<sup>236</sup> В. Хинци, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

წყაროებში ვხვდებით ამ ტერმინის სხვა ფორმებსაც: ჰოყას და ოკას<sup>237</sup>. ამ საწონის გავრცელების არე ძირითადად დასავლეთი და სამხრეთი საქართველო იყო.

საბას ლექსიკონში და XVII — XVIII ს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანარში ოყა 8 თუხტით (სტილით) არის განსაზღვრული<sup>238</sup>, რაც 1,224 კგ-ს იძლევა. XIX ს. მასალებით ოყა 3 რუსულ „ფუნტს“, ე. ი. 1,228<sup>239</sup> კგ იწონიდა. ამრიგად, აშკარაა, რომ ეს ერთეული ჩვენში უშუალოდ ოსმალეთიდან დამკვიდრდა.

XIX ს. I ნახევარში ოყა ქუთაისის, რაჭის ოზურგეთის და ახალციხის მაზრებში მარცვლეულის საწყაოდაც გამოიყენებოდა და 1,36 კგ მარცვლეულს<sup>240</sup> იტევდა.

რ უ ბ ი

ტერმინი არაბულია (كراج) და შინაარსობრივად მეოთხედს აღნიშნავს. არაბთა სახალიფოში ის გამოიყენებოდა საწონად და საწყაოდ<sup>241</sup>, მაგრამ საქართველოში ეს საწონი თავისი დანიშნულებით არაბულისგან განსხვავებულ საზომად ჩანს.

ქართულ წყაროებში რუბი იხსენიება XV ს-დან. ზაზა ფანასკერტელი — ციციშვილი მას მიტყალის მეოთხედად<sup>242</sup>, ე. ი. 1,11 გ-ს ფარდად მიიჩნევს.

მისხალის მეოთხედად ჩანს რუბი XVIII ს. არითმეტიკის ერთ სახელმძღვანელოშიც<sup>243</sup>. ამ შემთხვევაში ის 1,15 გ-ს უდრიდა. მაგრამ სხვა მასალებით ირკვევა, რომ ის არა მარტო მიტყალი-მისხა-

<sup>237</sup> იაღიგარ დაუდი, გვ. 221; ცაგერის დავთრის გამოსავლას დაეთარი. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 374, 375; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი III, გვ. 130.

<sup>238</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 423—424. Q:916, გვ. 1148.

<sup>239</sup> გ ი ო რ გ ი ა ე ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა. თბილისი, 1967, გვ. 318, სქ. 1; Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.

<sup>240</sup> Н. Х а н ы к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 557—558.

<sup>241</sup> გ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, IX—X საუკუნეების არაბული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 285—286.

<sup>242</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, გვ. 268.

<sup>243</sup> კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H: 2280, გვ. 6 V, აქ მოტანილი ერთი ამოცანის მოცემულობა და პასუხში გვითხულობთ: „1 მისხალი მინდა შევიტყო რამდენი რუბი იქნება... 4 ამდენი იქნება“... მისხალის 4 რუბად დაყოფა გვხვდება XVIII ს. სხვა მათემატიკურ ხელნაწერებშიც. Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

ლის მეოთხედს შეადგენდა. რუბი, როგორც საწონი, შეიძლებოდა სტილის ნაოთხალიც ყოფილიყო.

ასე, მაგ., XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის მეტროლოგიურ დანართში ვკითხულობთ, რომ რუბი სტილის მეოთხედი იყო და 12 1/2 დრამს<sup>244</sup>, ე. ი. 38,25 გ იწონიდა.

XIX ს. 50-იან წლებში თბილისის მაზრაში რუბი ასევე სტილის 1/4-ს ან 10 მისხალს<sup>245</sup>, ე. ი. 46 გ იწონიდა. ეს გამოიწვია ერთი საუკუნის მანძილზე სტილის ოდენობის ზრდამ. რუბი გამოიყენებოდა აგრეთვე საწყაოდაც<sup>246</sup> (იხ. ქვემოთ).

### ს ი კ ი ლ ა

ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავდა, რომ „სიკილა ებრაული წონითი ერთეულია და დაბადების ქართულ თარგმანთან ერთად შემოსულა საქართველოში“<sup>247</sup>.-ო. სხვა ქართული წყაროებიდან („დაბადების“ გარდა) ამ ერთეულს ვახტანგ VI-ის „დასტურლამალშიც“ ვხვდებით<sup>248</sup>.

აქ ნათქვამია, რომ „სიკილა... თოთხმეტი შაურია“<sup>249</sup>. ვიცით, რომ შაურის წონა ამ პერიოდში იყო 0,4 მისხალი. ამდენად სიკილა 5,6 მისხალი ანუ 25,76 გ გამოდის.

### ფ უ ნ დ უ ხ ი

ეს ტერმინი ოქროს წონით ერთეულად არის დასახელებული აფხაზეთის საკათალიკოზო განძეულების აღმწესხველ 1776 წ. სიაში („სამას ორმოცდა თოთხმეტი ფუნდუხის წონა ზოდები ოქროსი ექვსი“<sup>250</sup>) აქ უეჭველად იგულისხმება თურქული ოქროს მონეტის ფუნდუქლის წონა.

თურქული ოქროს მონეტა ფუნდუქლი იჭრებოდა აჰმედ III-ის მიერ ჰიჯრის 1115 (1703—1704) წლიდან და იწონიდა 53 გრანს<sup>251</sup>, ე. ი. 3.4 გ-ს. შემდეგში ამ მონეტის წონა 50 გრანამდე<sup>252</sup> ე. ი. 3.2

<sup>244</sup> Q:916, გვ. 1148.

<sup>245</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560.

<sup>246</sup> რუბი, როგორც საწონი და როგორც საწყაო, გვხვდება საქართველოს მეზობელ ყოფილ მუსლიმურ სახანოებში XIX ს. 50-იანი წლებში. Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559.

<sup>247</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 72.

<sup>248</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 280—281.

<sup>249</sup> ი ქ ე

<sup>250</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 93.

<sup>251</sup> St. L a n e-P o o l e, On the Weights and Denominations of Turkish Coins, NC, II (third series), 1882, p. 170.

<sup>252</sup> A. R. F r e y, Dictionary of Numismatic Names, 1947, p. 90.

გ-მდე დავიდა. ამ ფარგლებში უნდა ტრიალებდეს სწორედ ქართულ საბუთში ნახსენები ფუნდუხის წონაც. მონეტის წონის გამოყენება ამ შემთხვევაში არ უნდა გავივიკვირდეს, თუ გავიხსენებთ, რომ ასევე წონის საზომად ჩვენში მარჩილიც იხმარებოდა.

#### ჩ ა გ ი რ დ ა გ ი

ეს საწონი, თუმცა იშვიათად, ამგრამ მინც გვხვდება XVI—XVIII სს. ძეგლებში<sup>253</sup>. საბა მას „სხუათა ენად“ თვლიდა და მის ქართულ შესატყვისად „ვოილს“ მიიჩნევდა<sup>254</sup>, თუმცა ეს უკანასკნელიც არ იყო დამახასიათებელი ქართული მეტროლოგიისათვის.

ჩაგირდაგი ივ. ჭავჭავიძის განმარტებით თურქულიდან არის შემოსული, სადაც ის კურკას, თესლს და საწონს — გრამს ნიშნავდა<sup>255</sup>.

საბას თანახმად ჩაგირდაგი დანგის 1/5-ია, დანგი კი—დრამის მეოთხედი<sup>256</sup>. ე. ი. ჩაგირდაგი დრამის 1/20 გამოდის. მაგრამ ლექსიკოგრაფი ამ შემთხვევაში ცდება. XVII—XVIII სს. ანონიმური კარაბადინის ტექსტში მითითებულია, რომ „თექვსმეტი ჩაგირდაგი ერთი დრამი“<sup>257</sup> იყო, რაც დასტურდება XIX ს. მასალებითაც<sup>258</sup>. ამდენად ეს საწონი შეიძლება 0,2 გ-ით განვსაზღვროთ.

#### წ ო ნ ა, ს ა წ ო ნ ი

ეს ორი ერთეული, რომლებიც ტოლფასი უნდა იყვნენ, გვხვდება XVI ს. და XVII ს. 20-იანი წლების დასავლეთ საქართველოსთან (იმერეთი, გურია, ოდიში) დაკავშირებული საბუთებში<sup>259</sup>. ქართულ წყაროებში წონა-საწონის ოდენობა განსაზღვრული არ არის. ჩვენი აზრით, ამ საზომის ქვეშ იგულისხმება ოსმალური ვ ე ვ ზ ნ ე (რომელიც ტერმინოლოგიურად შეესაბამება წონა-საწონს) და რომელიც 11,5 კგ იწონიდა<sup>260</sup>.

<sup>253</sup> ი ა დ ი გ ა რ დ ა უ დ ი, გვ. 730; Q: 916, გვ. 1148; „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 312.

<sup>254</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV.), გვ. 312.

<sup>255</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი ძ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა. გვ. 108.

<sup>256</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV.), გვ. 315.

<sup>257</sup> Q: 916, გვ. 919.

<sup>258</sup> К. В о р о н к е в и ч-Б а с с а н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 390.

<sup>259</sup> XVI ს. ყმა-მამულის და გადასახადების დაწესების წიგნი მიცემული ბაგრატ მეფის შიერ გელათისადმი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული საბუთები Sd: 2836; XVI ს. ნუსხა ოცხანის საკათალიკოზო გლეხების ბეგარისა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III. გვ. 380; 1621 წ. აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის დაეთარი, იქვე, გვ. 401—402; 1616—1621 წ. საციოშლოს გამოსავლის დაეთარი, იქვე, გვ. 472—475. წ ო ნ ა-ს ა წ ო ნ ი გამოიყენებოდა ღომის, მატყლის, სანთლის, რკინის და სპილენძის საზომად.

<sup>260</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 20.



გარდა ზემოთ განხილული საწონებისა, XVI ს. საბუთებში დასავლეთ საქართველოში მოხსენებულია საზომი „ქ უ ა“<sup>261</sup> (ღომის საწონად) და „მ უ ნ ი ს წ ო ნ ა“<sup>262</sup> (სანთლის საზომად). ამ ერთეულების ოდენობის განსაზღვრა არა ხერხდება. არსებული მასალებით არცერთ მათგანს არა ჰქონდა გავრცელების დიდი არეალი, ანდა ფართო გამოყენება პრაქტიკაში.

---

<sup>261</sup> დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1, გვ. 32; ივ. ჯ ა ვ ა ხ ლ ი, შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 92, 117.

<sup>262</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ლ ი, შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

## თ ა ვ ი III

### საწყაოები

ძველ საქართველოში, როგორც აღინიშნა, სითხისა და მარცვ-  
ლეულის საზომებს ერთი სახელი „საწყაო“ ჰქონდათ.

წარსული საუკუნეების (XIX ს-მდე) ფაქტიური მასალები,  
თვით საწყაოები არ გაგვანჩნია და ამდენად მთლიანად დამოკიდე-  
ბული ვართ წერილობითი წყაროების მონაცემებზე. წერილობითი  
წყაროები კი სათანადო ცნობებს IX ს-დან გვაწვდიან. XV ს-მდე ეს  
ცნობები მწირი და ფრაგმენტულია, მაგრამ მათი ანალიზი მაინც  
იძლევა საშუალებას გამოვყოთ ერთი ჯგუფი უძველესი საწყაოები-  
სა, რომლებიც ამ პერიოდამდე გამოიყენებოდა. ესენია: კ ა ბ ი წ ი,  
გ რ ი ვ ი, მ ო დ ი, გ უ ე რ დ ი, ს ა პ ა ლ ნ ე, კ ო კ ა, კ ა რ ა ს ე-  
უ ლ ი, კ ვ ა ნ ჩ ხ ი, კ ა რ ჩ ხ ა ლ ა, ზ უ რ გ ი, კ ე ფ ი, უ რ ე მ ი და  
ჩ ა ფ ი.

კაბიწი და გრივი გამოიყენებოდა მთელ საქართველოში. იგივე  
შეიძლება ვივარაუდოთ კოკას, მოდის, გუერდის, ურემის და საპალ-  
ნის შესახებ.

გავრცელების შედარებით შეზღუდული არეალი ექნებოდათ  
კარჩხალას და კვანჩხს. ჩაფის გავრცელების სფერო, რომელიც XVI  
— XVIII სს-ში უპარესად ფართოა, ამ დროს შეზღუდული ჩანს.

XV—XVI სს. როგორც აღვნიშნეთ ტ ე ხ ი ლ ი ა ქ ა რ თ უ ლ ი  
მ ე ტ რ ო ლ ო გ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი. ამ პერიოდში მნიშვნელოვ-  
ნად იზრდება ლიტრის წონა და ამასთან ერთად ლიტრაზე დამოკი-  
დებული საწყაოების ტევადობაც. XV ს. შუა წლებიდან ქართულ  
საბუთებში აისახა ერთგვარი დაპირისპირება „პ ი რ ვ ე ლ“ და „ც ო-  
ტ ა“ საწყაოთა და ა ხ ა ლ, უ ფ რ ო დ ი დ ს ა წ ყ ა ო ე ბ ს შ ო-  
რ ი ს, რასაც სათანადო ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, გვ. 187.

XV ს-ში ხმარებიდან ქრება უაღრესად გავრცელებული საზომი — გ რ ი ვ ი, XVI ს-დან კი თანდათან გამოდის ხმარებიდან კ ა ბ ი-წ ი. XVI ს—დან ქართულ წყაროებში ბევრი ახალი საწყაო ჩანს. უაღრესად ფართოდ გავრცელებულ საწყაოთა — კ ო დ ი, კ ო კ ა, ფ ო ხ ა ლ ი, — გვერდით გვხვდება ლოკალური საწყაოებიც, გავრცელების შეზღუდული არეალით. არის მთელი რიგი საწყაოებისა, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ კუთხეებში გამოიყენებოდა. ეს უეჭველად აიხსნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობით. ანალოგიური მოვლენა შეიძლება დავინახოთ არა მარტო საქართველოში, არამედ აღნიშნული ხანის მახლობელი და შუა აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც.

ფ ე ო დ ა ლ უ რ ი და ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ა ი ყ ო მ ი ზ ე ზ ი ი მ ი ს ა, რომ XVI—XVIII სს. საქართველოში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ცდა საწყაოთა უნიფიკაციისა.

საწყაოთა სიმრავლე XVI—XVIII სს-ში შეიძლება წყაროების უფრო მრავალრიცხოვნობითაც აიხსნას. გარკვეული ნაწილი ამ პერიოდის საწყაოებისა (კასრი, დორა, დოჭი, გორო და სხვ.) შესაძლოა უფრო ადრეც გამოიყენებოდა ჩვენში, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული მასალა რაიმე კონკრეტული მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

XVI—XVIII სს. საქართველოში გავრცელებულ საწყაოთა შორის შედარებით მცირეა უშუალოდ ირანიდან თუ თურქეთიდან შეთვისებული საზომები.

ქართულმა საზომმა სისტემამ, რომელმაც შეითვისა აღმოსავლური წარმომავლობის მრავალი საწონი, შეინარჩუნა ორიგინალური და ტრადიციული ქართული საწყაოები. საქართველოში დამოწმებულია უაღრესად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სითხის საზომები, რომელთა მსგავსს არ იცნობს მუსლიმური მეტროლოგია<sup>2</sup>. ამ საწყაოთა დიდი ნაწილი ღვინის საზომებია და ამდენად მათი გაჩენა მკიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის მატერიალურ ყოფას.

ძირითადი საწყაოების განსაზღვრა საქართველოში ემყარებოდა ლიტრის ოდენობას. ლიტრის რეალური სიდიდის ცოდნა კი საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ კაბიწის, კოკას, კოდის და სხვ. საზომთა ტევადობა.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში უდავოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მუსლიმურ აღმოსავლეთში, კერძოდ კი სპარსეთში აწყვას აწონას ამქობინებდნენ. В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

წინამდებარე თავში ჩვენ უარყავით სითხის და მარცვლეულის საწყაოების ცალ-ცალკე დაყოფა, ვინაიდან ბევრი საწყაო ძველად გამოიყენებოდა როგორც ერთი, ისე მეორე დანიშნულებით.

თავი შევიკავეთ გარკვეულ პერიოდებად დაყოფისგანაც, ვინაიდან თითოეული საწყაო, თუკი მასალა ამის საშუალებას გვაძლევს, როგორც წესი, განხილული გვაქვს არა სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ განვითარების პროცესში.

საწყაოებს ჩვენ ძირითადად ვალაგებთ ანბანურ რიგზე, რაც თავიდან აგვაცილებს გამეორებებს. მეტროლოგიური მასალის ამგვარი გადმოცემა უკვე დიდი ხანია დამახასიათებელი გახდა ევროპული და საბჭოთა მეტროლოგიური ნაშრომებისათვის (პ. სოვერი, ვ. ჰინცი, ე. დავიდოვიჩი).

საწყაოთა უდიდესი ნაწილი ახლებურად არის დამუშავებული და მათი ტევადობის განსაზღვრა (მარცვლეულის საზომებისა კილოგრამებში, სითხისა კი—ლიტრებში<sup>3</sup>) ემყარება მეორე თავში ჩატარებულ გაანგარიშებებს, აქვე სისრულის მიზნით ჩვენ უცვლელად შევიტანეთ სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილი და განსაზღვრული საწყაოებიც.

#### ატარი

ლომისა და პურის ეს საწყაო გამოიყენებოდა XVI—XVII სს. ოდიშიში<sup>4</sup>. მისი ტევადობა 0,4 ლ-ით განისაზღვრება<sup>5</sup>.

#### ბარდაკი

ტერმინი თურქულია (قار) და თიხის დოქს ნიშნავს<sup>6</sup>. XIX ს. იმერეთში ბარდაკი (ან ბარდახი) საერთოდ დოქის მნიშვნელობით იხმარებოდა<sup>7</sup>. საწყაოდ ის ჩანს მხოლოდ რაჭაში, სადაც დამრგვალებულად 4 ლ შეადგენდა<sup>8</sup>.

<sup>3</sup> ამიერიდან, ქვემოთ, საერთაშორისო მეტრულ სისტემაში გადმოყვანის დროს ეს ერთეული მითითებული გვექნება შემოკლებით—(ლ) რათა თავიდან ავიცილოთ მისი აღრევა ქართულ ლიტრასთან.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 382, 465; ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 95.

<sup>5</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 65. შევსრულად ატარი ნიშნავს ხის ჯამს.

<sup>6</sup> В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, часть II, СПб, 1911, стр. 1486.

<sup>7</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, СПб, 1878, стр. 173.

<sup>8</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 558.

## ბორჩხულა

ეს საწყაო მხოლოდ ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება. სხვა წყაროებში, ან ეთნოგრაფიულ ყოფაში არა ჩანს და ამდენად, მისი გავრცელების არეალის დადგენა ძნელია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ის უფრო დასავლურ ქართული საზომი იყო<sup>9</sup>.

საბას ცნობით ბორჩხულა დოქის ნახევარს, ე. ი. კოკის 1/16-ს, ანუ 1,5 ლ შეადგენდა<sup>10</sup>. ამავე დროს ის ბორჩხულას „ლიტრიან ჩაფსაც“ ე. ი. 3 ლ-იან საწყაოსაც უწოდებს<sup>11</sup>.

## გობი

ლომის ეს საზომი საბუთების მიხედვით ჩანს XVI ს. მიწურულისა და XVII ს. დასაწყისის ოდიში (ნაქანეულში)<sup>12</sup>. XIX ს. დასაწყისის იმერეთის საქონლის ფასების ნიხრში მოხსენიებულია „დიდი გობიც“, რომლის ფასიც „მენახევრეს“ ფასს ემთხვევა<sup>13</sup>. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დიდი გობი“ მენახევრეს ფარდი იყო და მასში 18 კგ მარცვლეული ჩადიოდა.

## გოდორი

ერთგვარ საზომად გოდორი პირველად ჩანს სახარების ქართულ თარგმანში (IX ს.)<sup>14</sup>, შემდგომ კი დამოწმებულია XVI—XVII სს. იმერეთში ლომისა და მჭადის საზომად<sup>15</sup> და XVIII ს. აღმ. საქართველოში — თევზის საზომად<sup>16</sup>.

მომცრო გოდორს კალათი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი XVII ს. დასავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა მჭადის საზომად<sup>17</sup>.

<sup>9</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 79.

<sup>10</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV), გვ. 383.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 115. ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ ბორჩხულა უდრიდა იმერეთში XIX ს-ში რუსულის მიხედვით შემოღებულ „მანერკას“ რომელც 1,5 ლ იტედა (ქართული მეტროლოგია, გვ. 79).

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 383—386; ივ. ჭავჭავაძის წიგნი, ქართული საფას-საზომთა მკვლევარობა, გვ. 96.

<sup>13</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1938, გვ. 262.

<sup>14</sup> ი. იმნაიშვილი, ქართულ-აზიურ სიქონია-ლექსიკონი, გვ. 108.

<sup>15</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჯორჯანიას მიერ, წიგნი II (1213 წლიდან—1700 წლამდე), ტფალისი, 1897, გვ. 338; ივ. კაკაბაძის წიგნი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

<sup>16</sup> ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1964, გვ. 54.

<sup>17</sup> ივ. ჭავჭავაძის წიგნი, დასახ. ნაშრ., გვ. 131. კალათის და გოდორის ტევადობა წყაროებში ფიქსირებული არ არის. ივ. ჭავჭავაძის ფიქრობდა, რომ გობი. გ. ჭავჭავაძის

## გოზაური

ტერმინი შეიძლება დაუკავშირდეს ახ. სპარს. *كوزه*-ს (ქართ. თიხის დოქი, ქოთანის)<sup>18</sup>. საწყევად მას პირველად იხსენიებს და ზოგადად განმარტავს საბა<sup>19</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, გოზაური 1 1/2 — 2 თუნგ ღვინოს, ე. ი. 5,8—7 ლ იტევდა<sup>20</sup>.

## გორა — გორა

ტერმინის ეტიმოლოგია უცნობია. XVI ს-დან გორა ღვინისა და მარცვლეულის საწყაოდ გამოყენებოდა ლეჩხუმში<sup>21</sup>. მარცვლეულის საზომად ის აქ დღესაც იხმარება<sup>22</sup>.

XVII—XVIII სს. ანონიმურ კარაბადინში გორა 1960 სტილით არის განსაზღვრული<sup>23</sup>. ეს ციფრი ძალზე მაღალია და თუ დავუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში სტილი მისი წინამორბედი ასთირი-ასთარის გვიანდელი კორექტურაა, გორას ტევადობად 34 კგ/ლ-ს მივიღებთ.

საბას ერთი ცნობით, გორა 2 კასრს შეადგენს<sup>24</sup>. თუ ეს კასრი მარცვლეულის საწყაოა, მაშინ ლექსიკოგრაფი სწორია, მაგრამ მისი მეორე ცნობით გორა 16 დოქსაც უდრიდა<sup>25</sup>, რაც სხვა მასალებით არ დასტურდება.

XIX ს. მასალებით ლეჩხუმში გორა 29—32,7 კგ მარცვლეულს იტევდა<sup>26</sup>. ამდენად ეს საწყაო საშუალოდ 32 კგ/ლ-ით შეიძლება განსაზღვროს.

## გრივი

მარცვლეულის ეს საზომი საქართველოში აღმოსავლური მეტ-

---

დორი უდრიდა 1/3 წონას (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 116). მაგრამ ეს უკანასკნელი 11,5 კგ უტოლდება და ამდენად გოდორის ტევადობა საკმაოდ მცირე გამოდის.

<sup>18</sup> მ. ა. ნ. დ. რ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ნარკვევები, გვ. 306. ამ ტერმინს მკვლევარი უკავშირებს სენურ ყოშს და ხეესურულ ყოშს. თვით *كوزه* ქართული წყაროებიდან დამოწმებულია XVII ს. ერთ ლიტერატურულ ძეგლში—იხ. რუსულანიაძე, ილია აბულაძის და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 466. („... ზოგან ოყა იდგა, ზოგან ქუზა“).

<sup>19</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 169, 383.

<sup>20</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>21</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 374, 376, 520.

<sup>22</sup> ნ. ბ. რ. ე. გ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

<sup>23</sup> Q:916, გვ. 919.

<sup>24</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>) გვ. 227.

<sup>25</sup> ი. ქ. ე. ე., გვ. 383.

<sup>26</sup> საქართველოს კალენდარი 1892 წ. გვ. 130; *Кавказский календарь на 1917 г.*, Тифлис, 1916, стр. 88; ნ. ბ. რ. ე. გ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

როლოგიის გავლენით დამკვიდრდა<sup>27</sup> და საყოველთაო გავრცელება კპოვა. პირველად ის მოხსენიებულია IX ს. სახარების ქართულ თარგმნაში (მათე, 13ვე)<sup>28</sup> და ხშირად გვხვდება ქართულ წყაროებში XV ს-მდე<sup>29</sup>, მაგრამ XV ს-დან, როგორც ოფიციალური საზომი გრივი ქრება ყოველდღიური ცხოვრებიდან<sup>30</sup>, თუმც XVII—XVIII სს. მიჯნაზე ის სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული ხალხში.

ქართული წყაროები საბამდე არ იძლევიან გრივის განსაზღვრის შესაძლებლობას. ერთადერთი, რაც მკვლევარებმა შეამჩნიეს იყო ის, რომ გრივი რკონის სიველის (1259 წ.) მიხედვით მოზრდილი ერთეული ჩანდა კ ა ბ ი წ თ ა ნ შედარებით<sup>31</sup>.

საბას დროს ეს საწყაო იმდენად მოძველებული და მივიწყებული იყო, რომ ლექსიკოგრაფს დიდი შრომა დაუხარჯავს მისი ოდენობის დაზუსტებისათვის. საამისოდ საბამ გამოიყენა ეზეკიას თარგმანი, გიორგი ამარტოლის „ხრონოლოგია“. სომხური წყაროები, რომელთა დასახელებასაც არ იძლევა და ყურადღება მიუქცევია ხალხურ ყოფაში შემორჩენილი ცნობებისათვისაც<sup>32</sup>.

სხვადასხვა, უცხოური წყაროების ანალიზით საბა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი გრივი ოცდაორ ქსეტს შეადგენდა, მაგრამ ეს იყო არა ქართული, არამედ უცხოური საზომის იდენობა.

22 ქსესტიანი გრივი რომაელთა და სასანელთა ეპოქაში სომხეთსა და ირანში პურის ძირითადი საწყაო იყო. 22 ქსესტიან გრივს ებრაელები უწოდებდნენ დიდ მოდის (სატონს), რომაელები კი-მოდის<sup>33</sup>. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ უცხოური წყაროებიდან გამომდინარე ს.—ს. ორბელიანი მოდის ზომასაც 22 ქსესტით საზღვრავდა<sup>34</sup>.

<sup>27</sup> ფალაურში და სომხურში ეს საზომი გვაქვს გ რ ი ვ ი ს ფორმით (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, გვ. 302). ახ. სპარსულში და არაბულში კი გ ა რ ი ბ-ჯ ა რ ი ბ ი ს სახით.

<sup>28</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 109.

<sup>29</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 68.

<sup>30</sup> ი ქ ე ე, გვ. 68—69.

<sup>31</sup> ი ქ ე ე, გვ. 106; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 69.

<sup>32</sup> საბას მიერ ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო კარგად აქვს გაანალიზებული ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, „სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-Б, 1956, გვ. 24—25.

<sup>33</sup> Я. А. М а п а н д я н, Римско-Византийские хлебные меры и основанные на них индексы хлебных цен, «ВДИ», II, (XXVII), 1949, გვ. 63.

<sup>34</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 500.

ამასთან ერთად საბა გვაწვდის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც მას სამცხესა და გურიაში მოუპოვებია.

ლექსიკოგრაფი აღნიშნავს, რომ სამცხესა და გურიაში ათს საწყავეს ერთს გრივს უკმობენო<sup>35</sup>.

ეს ცნობა კი მიუთითებს, რომ გრივის დაყოფა საქართველოში ათობით პრინციპს ემყარებოდა.

საქართველოს მეზობელ ირანში გრივს (გარიბს ან ჯარიბს) სწორედ 10 ნაწილად დაყოფა ახასიათებდა. ის 10 კაფიზისაგან შედგებოდა<sup>36</sup>.

ანალოგიურ მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი საქართველოშიც. ჩვენი აზრით, გრივი 10 კაბიწს შეიცავდა.

თუ ამ დაყოფას მივიღებთ XIII—XIV სს-ში გრივის ზომა საშუალოდ 100 კგ გამოდის. ო.

### ზ უ დ ა კ,

ღვინისა და ღომის საზომად ჩანს XVII ს. ოდიშიში<sup>37</sup>. 1808 წ. საპატრიარქო ბაყების ნუსხა მოწმობს. რომ გულა აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოიყენებოდა. აქ ის ხიზილალას საზომად გვევლინება<sup>38</sup>. XVIII ს. არითმეტიკის ერთ სახელმძღვანელოში კი გულა ერბოს საზომადაც ჩანს<sup>39</sup>.

გულა ცხერისა და ხბოს ტყავისაგან მზადდებოდა<sup>40</sup> და ამდენად მისი ტევადობა შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. მხოლოდ ზემოხსენებულ არითმეტიკის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ერთ ვაჭარს ჰქონდა ორმოცი გულა ერბო... თითო გულაში იყო ორმოც-ორმოცი ლიტრა“<sup>41</sup>... ამგვარად გულაში შეიძლებოდა ორმოცი ლიტრა ე. ი. 120 კგ-მდე ჩასულიყო.

### ზ უ ე რ დ ი კ

ეს საზომი უძველეს ქართულ საწყავეთ რიცხვს მიეკუთვნება. გვხვდება ია უ ივე დაბადების ქართულ თარგმანში („ოიონო შესაწირად მიოთხეიო გუერდისა“, რიცხუთაჲ XV)<sup>42</sup>, მაგრამ შემდეგ სისტემატურად ჩანს XV ს-დან.

<sup>35</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.) გვ. 173 (რედ. DE).

<sup>36</sup> В. Х и н ц., დასახ. ნაშრ., გვ. 47.

<sup>37</sup> ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა. გვ. 94, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოია, გვ. 81.

<sup>38</sup> ქრონიკები, ტ. II, გვ. 7; ქ. ს ო 5 ღ უ ლ ა მ კ ი ლ ო, მასალები, გვ. 51.

<sup>39</sup> კ. კ ე ე ლ ი ძ ი ს სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H: 2280, გვ. 43v.

<sup>40</sup> С. П. З е л и н с к и й, Объяснительный словарь, გვ. 28.

<sup>41</sup> H:2. 80, გვ. 43v.

<sup>42</sup> ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 68.



XV ს-ით დათარიღებულ ერწო — თიანეთის საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნში გუერდი მარცვლეულის (ქრთილის) საზომია<sup>43</sup>.

1474 წ. ბოდორნის ღვთისმშობლის მონასტრისადმი ვამიყ შაბურისის შეწირულობის წიგნში გუერდი კაბიწთან და კოკასთან დაკავშირებულ მარცვლეულისა და ღვინის საწყაოდ ჩანს<sup>44</sup>. XVI—XVIII სს-ში გუერდი დამოწმებულია მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს საბუთებში იმერეთთან<sup>45</sup> და გურიასთან<sup>46</sup> დაკავშირებით. ამ პერიოდში გუერდი ჩანს მარცვლეულის საწყაოდ.

გუერდი ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით ძველ ქართულში ნახევარს ნიშნავდა და შემდეგ საზომის ნახევარსაც ეწოდებოდა<sup>47</sup>. კერძოდ კი მას გუერდი XV ს. ბოლო მეოთხედის ვამიყ შაბურისის შეწირულობის წიგნის მიხედვით კოკის და კაბიწის ნახევრად მიაჩნდა<sup>48</sup>. ამ ორი საზომის 10 ლიტრიანობის კვალობაზე XV ს. მიწურულის გუერდი დამრგვალებულად 9 კვ/ლ მარცვლეულის ან ღვინის დამტევი გამოღის.

გუერდმა ამგვარი სიდიდე მომდევნო საუკუნეებშიც შეინარჩუნა. საბა გუერდს ჩაფს უიგივებს<sup>49</sup>. მისი ჩაფი კი 12 ლიტრიანი კოკის მეოთხედობის კვალობაზე სწორედ 9 ლ იტეკდა. XVI—XVII სს-ში კოკის ზრდის პროცესში გუერდი ტევადობით კოკის ნახევრიდან მისი მეოთხედი გახდა. ამის გამო იყო ალბათ, რომ ლექსიკოგრაფი გუერდს მეოთხედის მნიშვნელობით ხმარობდა<sup>50</sup>.

ჩვენი განგარიშების სისწორე შეიძლება შევეამოწმოთ XIX ს. მასალებით. ვ. მ. მაჩაბლის მიხედვით, თიანეთის მაზრაში გავრცელებ-

<sup>43</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 236.

<sup>44</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

<sup>45</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 276, 277, 297, 895.

<sup>46</sup> 1601—1627 წწ. შეწირულობის წიგნი მამია გურიელისა ქრისტეს საფლავს „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამ ფოსა და გურია-აიღვის სამთავროებისა“ (1466—1470 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1952, № 147, გვ. 138.

<sup>47</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 83. ს. კაკაბაძის მიხედვით, გუერდი მეგრულში „გარკვეულად ნიშნავს ნახევარს“ „ქართული მეტროლოგია, გვ. 61). მართლაც ეთნოგრაფიული მონაცემებით სამეგრელოში გუერდი საზომის ნახევარს ნიშნავს. ასე, მაგ., ქილა-გუერდი—ქილა-ნახევარია. შინამრეწველობის მასალები. M, დასავლეთ საქართველო. ავეჯ-ქურჭელი. გვ. 641.

<sup>48</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 84.

<sup>49</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 178.

<sup>50</sup> საბამ გუერდი ჩარეჟის ტოლფასად მიიჩნია, რაც აშკარად არ არის სწორი („ლექსიკონი ქართული“, ტ. IV<sub>1</sub>, გვ. 422). გუერდი, როგორც ლიტრის მეოთხედი, ქართულ წყაროებში საერთოდ არა გვხვდება.

ბული ეს საზომი 2 ლიტრას შეადგენდა, ლიტრა კი — 12 „ფუნტს“. ამდენად გვერდისთვის ვლებულობთ 9,7 კგ/ლ-ს, რაც უმნიშვნელოდ განსხვავდება ზემომოტანილი მნიშვნელობისაგან<sup>51</sup>.

XVII ს. საცაიშლოს გამოსავლის დავთარში იხმარება ო გ ო რ - ლ უ ლ ო (დომის საზომად), რომელიც გვერდის შესატყვისი უნდა იყოს<sup>52</sup>.

გ უ შ ი

ამ საზომს ეხება და განმარტავს მხოლოდ საბა. გუში მარცვლეულის საწყაო იყო, კოდის 1/4-ს შეადგენდა<sup>53</sup> და XVIII ს. დასაწყისისთვის 7,5 კგ-ს უდრიდა.

და ს ტ ი

დასტი-საღვინედ არის დასახელებული „ამირანდარეჯანიანი“<sup>54</sup>. საბას თანახმად დასტს „ჭანნი კოკას უქმობენ“-ო<sup>55</sup>, მაგრამ თუ რომელი კოკის ტოლფასი იყო ის, ამას ლექსიკოგრაფი არ მიუთითებს.

დ ო რ ა

ტერმინი სპარსულია, მომდინარეობს ახ. სპარს. دراهم -დან<sup>56</sup>. ღვინის საწყაოდ დორა გამოიყენებოდა იმერეთში. საბუთებში ის XVI ს. დასაწყისიდან ჩანს<sup>57</sup> და დღეისათვის შემორჩენილია რაკაში<sup>58</sup>.

<sup>51</sup> В. М. М а ч а б е л и, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда Тифлисской губернии. «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», том V, Тифлис, 1887, стр. 451.

<sup>52</sup> ი ე. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>53</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV.), გვ. 383, გუში სხვა ქართულ წყაროებში ჩვენ არ შეგვხვდებიან. ტერმინი სემანტიკურად ახლო დგას, ვფიქრობთ, კ ო შ - თ ა ნ, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ახ. სპარს. کوزه-ს.

<sup>54</sup> შ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოცემა მოაზადა ლ ი ლ ი ა თ ა ნ ე ლ ა შ ე ი ლ შ ა, თბილისი, 1969, გვ. 65, შდრ. Н. Я. М а р р, Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани. Подготовка сборника к печати, исследование, комментарии и примечания, И. В. Мегрелидзе, Тбилиси, 1964, стр. 184.

<sup>55</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 206.

<sup>56</sup> იხ. H. S a u v a i r e, A Treatise on Weights and Measures by Eliya Archbishop of Nisibin (Supplement), «RAS», t. 12, 1880, p. 102; ირანში დორა არის 45 სმ სიმაღლის თიხის ჭურჭელი. M a n o o c h e r S o t o o ' d e h, Fah-range Samnāni - Sorkhei — Lāsgerdi — Sangesari — Shahmizad, Teheran, 1964, გვ. 122.

<sup>57</sup> ქრონიკები, ტ. II, გვ. 340—341; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 261, გვ. 402—405.

<sup>58</sup> ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქარ-

დორას ტევადობას საზღვრავს ს.—ს. ორბელიანი. მისი ერთი ცნობით, დორა 10 ლიტრიანი კოკის ნახევარი<sup>59</sup> ე. ი. 15 ლ. იყო, მეორე ცნობით კი 3 დოქი, ან 120 თუხტი<sup>60</sup> ე. ი. 18 ლ. ეს უკანასკნელი 12 ლიტრიანი კოკის ნახევარს შეადგენდა XVIII ს-ში.

### დოქი /

ტერმინი და საწყაო ქართული წარმომავლობისაა. ს. კაკაბაძე მას ძალზე ძველად მიიჩნევდა<sup>61</sup>, თუმცა წყაროებში მხოლოდ XVIII ს-დან გვხვდება<sup>62</sup>. დოქი უპირატესად მართალია დას. საქართველოში გამოიყენებოდა ლეინის საწყაოდ, მაგრამ აღმ. საქართველოს ერთ საბუთში ის მარცვლეულის საზომადაც ჩანს<sup>63</sup>.

საბა დოქს კოკის სისტემაში (იხ. კოკა) განიხილავს და ის 10 ლიტრიანი კოკის მერვედად მიაჩნია<sup>64</sup>. ამ შემთხვევაში დოქის წონითი მნიშვნელობა 25 თუხტია, ე. ი. 3,7 ლ, მაგრამ სხვაგან, როგორც წესი, ლექსიკოგრაფი 40 თუხტს<sup>65</sup> ე. ი. 6 ლ იძლევა. ამ შემთხვევაში დოქი ორლიტრიანი საწყაო გამოდის.

სხვა ცნობებით 1763 წ. აღმ. საქართველოს ერთ საბუთში დოქი კოდის მეოთხედად ჩანს. აქ აღნიშნულია „ცამეტი კოდი ფეტვი, ოთხი დოქის აწყული“<sup>66</sup>. ვინაიდან „სწორე“ კოდი ქერისათვის და ალბათ ფეტვისთვისაც იყო 8 ლიტრიანი, დოქი ამ შემთხვევაში ორლიტრიანად უნდა ვიგულისხმოთ. ასეთივე სიდიდისად უნდა მივაჩნიოთ დოქი 1578 წ. ქუთაისის საყდარის გამოსავლის დავთარის XIX ს. მინაწერში<sup>67</sup>, სადაც ის კოკის მეოთხედად ჩანს. აქ ალბათ 8 ლიტრიანი კოკაა საგულისხმებელი.

გიულდენშტედტის ცნობით XVIII ს. 70-იან წლებში იმერეთში

---

თული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. 676; ლ. ფ რ უ ი ძ ე, ლეინის საწყაო კურკლები რაჭაში, გვ. 37.

<sup>59</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 383.

<sup>60</sup> ი ქ ე ე, გვ. 227, ტ. IV<sub>2</sub>, გვ. 73.

<sup>61</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 79.

<sup>62</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>) გვ. 228 და სხვ.

<sup>63</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 488.

<sup>64</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 383.

<sup>65</sup> ი ქ ე ე, გვ. 228.

<sup>66</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 488.

<sup>67</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 342.

დოქი იყო კოკის 1/6 და უდრიდა ნახევარ „ვედროს“<sup>68</sup>, ე. ი. 6,2 ლ-ს. ვინაიდან გიულდენშტედტი იმერულ ლიტრას 3,3 კგ-ით საზღვრავს, ეს დოქი ფაქტიურად ორლიტრიანი საწყაო გამოდის.

XIX ს. 50-იან წლებში ნ. ხანიკოვის მიხედვით იმერეთში დოქი იყო კოკის 1/6 და 5 „ბუტილკას“ იტევდა<sup>69</sup>, მაგარამ ვინაიდან ეს კოკა რეალურზე ორჯერ მცირეა (იხ. კოკა), დოქიც საგულისხმოა, რომ შეცდომით არის წარმოდგენილი და ის 10 „ბუტილკიან“, ე. ი. 6,1 ლ საწყაოდ უნდა მივიჩნიოთ.

5 „ბუტილკიანი“, ე. ი. 3,07 ლ ტევადობის დოქი, როგორც ოფიციალური საწყაო, დამახასიათებელი იყო გურიისათვის, სადაც საწყავის 1/6-ს შეადგენდა<sup>70</sup>. ამდენად ეს მონაცემი უახლოვდება საბასეულ 3,7 ლ-იან დოქს და მოწმობს, რომ ამ უკანასკნელსაც გააჩნდა რეალური საფუძველი.

### ზ ა რ ი, ძ ა რ ა ე

შინაარსობრივად ეს ორი ტერმინი იდენტურია, მხოლოდ „ზარი“ გავრცელებული იყო აღმ. საქართველოში (ის მოხსენებულა XVIII ს. დასაწყისის „დისტურლამალში“<sup>71</sup>), რაც შეეხება „ძარას“, ის დამახასიათებელი იყო ოდიშისათვის და ჩანს აქ XVII ს-ში<sup>72</sup>. ს. პ. ზელინსკის განმარტებით ძარა 25 ბათმანს, ან 10 ფუტს<sup>73</sup>, ე. ი. 163,8 კგ იტევდა.

### ზ უ რ გ ი

XV—XVI სს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში ზურგი ჩანს თივის, ფეტვის, კანაფის, სელის და ღვინის საზომად<sup>74</sup>. გვხვდება ის XVII ს-ში<sup>75</sup> და უფრო გვიან XIX

<sup>68</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიულდენშტედტი რუსულ „ვედროს“ არასწორად საზღვრავს 8 რუსული „ფუნტით“, რაც, ვფიქრობთ, მექანიკური შეცდომის ბრალია, ვინაიდან მკვლევარი ნახევარი „ვედროს“ შესატყვისად სავსებით სწორედ იძლევა 4 „მ ა ა ს ე ს“. იხ. მოგზაურობის გერმანული ტექსტი, გვ. 286.

<sup>69</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.

<sup>70</sup> ი ქ ვ ე.

<sup>71</sup> ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 124.

<sup>72</sup> ი ქ ვ ე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 412—413.

<sup>73</sup> С. П. З е л и н с к и й, Объяснительный словарь, стр. 90; საბას განმარტებით ძარა არის „ღიღი ურეში ბზის მოსატანად, ლასტებამოკრული“. აქედან ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ ძარა იყო ურმისდაგვარი, მხოლოდ უფრო მომცრო ერთეული (ქართული მეტროლოგია, Addenda № 3, გვ. 312).

<sup>74</sup> ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 125; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ე. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბილისი, 1955, გვ. 29.

<sup>75</sup> მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, გამოსცა, გამოკვლევა და

ს-შიც. ამ პერიოდში ის შემორჩენილი იყო თიანეთის მაზრაში<sup>76</sup>. „ზურგი“ გულისხმობდა ისეთი სიძიმის ტვირთს, რომლის მოკიდებაც შეეძლო ერთ ადამიანს და ამდენად მისი სიდიდე დამოკიდებული იყო ადამიანის ფიზიკურ მონაცემებზე. საშუალოდ ზურგი 32 კგ ტვირთს გულისხმობდა<sup>77</sup>.

თ ა ლ ა რ ი / i

მარცვლეულის ეს საწყაო ჩვენში ირანიდან დამკვიდრდა (არა). XIII—XIV სს. ირანში თალარს ჰქონდა ორი მნიშვნელობა: 1. ნატურალური გადასახადისა, რომელიც იკრიბებოდა რაიათებისაგან ლაშქრის სურსათ-სანოვავით მოსამარაგებლად და 2. საზომისა — ძირითადად ზორბლისათვის<sup>78</sup>.

როგორც საწყაო-საწონი ირანში თალარის წონა განსაზღვრული იყო 100 თავრიზული მანით (მანი = 260 ღირჰამს = 812 გ), რაც 83,2 კგ<sup>79</sup> შეესაბამება.

საქართველოში „თალარი“ სიტყვა დამოწმებულია XIII ს-ის ზოჯაყოფილის მიერ ნათარგმნ „წიგნი სააქიმოა“<sup>80</sup>ში, მაგრამ საზომად ის მხოლოდ XVIII ს. დასაწყისიდან ჩანს.

ივ. ჯავახიშვილმა „დასტურლამალის“ ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ თალარი 30 ლიტრას შეესაბამებოდა<sup>81</sup>. ასეთი განსაზღვრა დასტურდება XIX ს. მასალებითაც.

1813 წ. ერთ საბუთში ნათქვამია, რომ თალარანახევარი პური ღირდა 2 თუმანი, 2 მინალთუნი და 10 შაური, 8 ჩანახი პური კი — 4 მინალთუნი<sup>82</sup>. აქედან თალარი პურის ღირებულება 1 ჩანახ პურთან შედარებით 30-ჯერ მოზრდილი გამოდის. ამდენად საწყაო თალარიც

---

ვარიანტები დაურთო მ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა, კრ. „მრავალთავი“, თბილისი, 1964, გვ. 67.

<sup>76</sup> В. М. М а ч а б е л и, Экономический быт государственных крестьян стр. 451.

<sup>77</sup> ი ქ ვ ე.

<sup>78</sup> И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., Москва, Ленинград, 1960, стр. 383.

<sup>79</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>80</sup> „წიგნი სააქიმოა“, გვ. 310.

<sup>81</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 116. თალარი საქართველოში ეწოდებოდა თიხის დიდ ჭურჭელსაც, რომელიც კახეთში გამოიყენებოდა ყურძნის დაწურვის და ღვინის გადმოღების დროს. ლ. ბ ო ქ ო რ ი შ - ე ი ლ ი, ქართული კერამიკა, I. კახური, გვ. 221.

<sup>82</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 329, № 3758.

ჩანახთან შედარებით 30-ჯერ მოზრდილი უნდა ყოფილიყო. მცირე ჩანახი კი ქართლში ლიტრას შეესაბამებოდა. ნ. ზანიკოვის განსაზღვრით თბილისის მაზრაში თალარი შეადგენდა 3 კოდს<sup>83</sup> — ე. ი. 30 ლიტრას. ასე რომ XVIII—XIX სს-ში კოდის ზრდის გათვალისწინებით, თალარის ტევადობა საშუალოდ შეიძლება 90 — 100 კგ-ით ვიანგარიშოთ.

თ ე ვ შ ი |

სიტყვა სპარსულია — تیشی. XVII — XVIII სს. დასავლეთ საქართველოში თეფში ან თევში გვხვდება პურის და ღომის საწყაოდ<sup>84</sup>, ქართლში კი ის ერთგვარ საზომად ჩანს საქმელისათვის<sup>85</sup>. 1808 წ. იმერეთის საქონლის ფასების ნიხრში მითითებულია, რომ „მენახევრე“ კოკა 6 ფარა ღირდა, თებში (თევში)<sup>86</sup> კი-3 ფარა<sup>87</sup>. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტევადობითაც თეფში „მენახევრეზე“ ორჯერ მცირე იქნებოდა და 9 კგ-მდე მარცვლეულს დაიტევდა.

თ უ ნ გ ი

სიტყვა სპარსულია — تون (თონგ) და აღნიშნავს თიხის მაღალყელიან ქურქულს<sup>88</sup>. საქართველოში თუნგი ძირითადად სპილენძისგან მზადდებოდა. ის სითხის საწყაო იყო და როგორც საზომი, ამ სახით, ვფიქრობთ, ადგილობრივ ნიადაგზე შეიქმნა. ირანში თუნგს მსგავსი ფუნქცია არ ეკისრა, ყოველ შემთხვევაში სპეციალურ მეტროლოგიურ ლიტერატურაში ის ფიქსირებული არ არის<sup>89</sup>.

ქართული მეტროლოგიის შესახებ სპეციალურ ნაშრომებში აღნიშნულია, რომ თუნგი საქართველოში XVIII ს-დან გამოიყენება<sup>90</sup>. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება უფრო ადრეული ცნობაც. 1593 წ. ალექსანდრე II კახთა მეფის მიერ გაცემულ ქიაურის უფლის წიგნში დასახელებულია საწყაო „დიდი სპილენძის თუნგი“<sup>91</sup>...

<sup>83</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 561.

<sup>84</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 386; ი. ე. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 87.

<sup>85</sup> ი. ე. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

<sup>86</sup> „თებში“ ფორმა დადასტურებულია რუსულდანიანშიც. იხ. Н. Марр, Вспросы, стр. 191.

<sup>87</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 262.

<sup>88</sup> Ю. А. Р у б и н ч и к, Персидско-русский словарь, т. I, М., 1970, стр. 403.

<sup>89</sup> აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ მსგავსი ტერმინი - „თანგ“ - ბრინჯაოს ან სპილენძის მრგვალი ფორმის თასი — დღესაც არის ხმარებაში ირანში და გამოიყენება სახნავ მიწაზე წყლის ან ღროის საზომად. იხ. И. Петрушевский, Земледелие, стр. 129, მაგრამ აქაც, თანგის და ქართ. თუნგის ფუნქცია განსხვავებულია.

<sup>90</sup> ი ქ ვ ე, გვ. 77. ი. ე. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 89.

<sup>91</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 207.

XVII ს. წყაროებში თუნგი იშვიათად, მაგრამ მაინც ჩანს<sup>92</sup>. საფიქრებელია, რომ ფართოდ გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში მან სწორედ ამ ხანებიდან დაიწყო, ვინაიდან XVIII ს. დასაწყისში, „დასტურლამალის“ მიხედვით, თუნგს მტკიცედ ეკირა ადგილი ქართულ საწყაოთა სისტემაში<sup>93</sup>.

„დასტურლამალში“ თუნგი ლიტრასთან ერთად წარმოდგენილია სითხის, კერძოდ კი ღვინის საწყაოდ. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ თუნგი შემოვიდა ლიტრის, „როგორც სითხეულობის საზომის ექვივალენტი და მის პარალელურად“<sup>94</sup>. მკვლევარმა მართებულად მიიჩნია, რომ XVIII ს-ში თუნგმა თანდათანობით დაიჭირა სითხეულობის საწყაოთა სისტემაში ლიტრის ადგილი. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ლ. ბოჭორიშვილმაც, რომელმაც ყურადღება მიაქცია 1794 წ. ქალაქის მოურავის სარგოს, სადაც სითხის საწყაე ერთეულად მხოლოდ თუნგია დასახელებული, საწონად კი — ლიტრა<sup>95</sup>.

როგორი იყო თუნგის ტევადობა?

1593 წ. ჭიაურის უფლის წიგნში ნათქვამია: „ამას გარეთ დაგუიდეგამს ბაკანი ორი ლიტრიანი მთელის ულუფისთვის. შემძლე კაცი გავაზურს ჩუენს დიდს სპილენძის თუნგს სამს მისცემდნენ... სამი ერთი ცალი იქნება“<sup>96</sup>...

აქ განსაკუთრებულ, „დიდ თუნგთან“ გვაქვს საქმე, რომელიც ცალის 1/3, ე. ი. საპალნის 1/6-ს შეადგენდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, XVIII ს-ში როცა თუნგმა სითხის საწყაოთა სისტემაში ლიტრის ადგილი დაიჭირა, ის ამ უკანასკნელის ფარდი იყო.

ასე, მაგ., XVIII ს. 70-იან წლებში აკად. გიულდენშტედტი გვაცნობებს, რომ თუნგი ლიტრას უდრიდა<sup>97</sup>. ასევე იყო XIX ს. I ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში ნ. ხანიკოვის მიხედვით<sup>98</sup>. მაგრამ, ვინაიდან ლიტრა იზრდებოდა, შესაბამისად იზრდებოდა თუნგის ტევადობაც.

თუ XVIII ს. დასაწყისში თუნგი 3 ლ იტევდა, XVIII ს. II ნახევარში ის 3,4 ლ შეადგენდა. XIX ს. I ნახევარში თბილისში,

<sup>92</sup> იხ. მაგ. 1688 წ. ახლო ხანის სევეტიცხოველის განძეულობის სია, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 78.

<sup>93</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 299, 316.

<sup>94</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 77.

<sup>95</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, გვ. 203.

<sup>96</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 207.

<sup>97</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 237.

<sup>98</sup> Н. Х а н и к о в, О весах и мерах, стр. 560, 562.

შორაპნის მაზრასა და ახალციხის მაზრაში თუნგი 3,7 ლ იტევდა, კახეთში — თელავის მაზრაში კი — 3,4 ლ-ს<sup>99</sup>. გამოიყენებოდა ეს საწყაო საქართველოს მეზობელ სომხეთშიც, სადაც, ერევნის მაზრაში, 3,2 ლ<sup>100</sup> შეადგენდა.

თუნგთან გარკვეულ თანფარდობაში იყო რიგი საწყაოებისა: ნახევართუნგიანი (ჰელადა), ნახევარჩარეჭა, ჩარეჭა (ფარჩი) და კიკლა.

თუნგის სისტემა					ცხრილი VI
თუნგი . . . . .	1				
ჰელადა . . . . .	2	1			
ჩარეჭა-ფარჩი . . . . .	4	2	1		
ნახევარი ჩარეჭა . . . . .	8	4	2	1	
კიკლა . . . . .	16	8	4	2	1

### კ ა ბ ი წ ი

მარცვლეულის ეს საწყაო ჩვენში აღმოსავლური მეტროლოგიის გავლენით დამკვიდრდა. ეს საზომი მოეპოვებოდა არამეელებს, სპარსელებს, არაბებს, სომხებს და მახ. აღმოსავლეთის სხვა ხალხებს.

ივ. ჭავჭავიძის განსაზღვრით კაბიწი ფართოდ გამოიყენებოდა ჩვენში VI—XVI სს-ში, უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც XVII—XVIII სს-შიც<sup>101</sup>.

კაბიწის ოდენობის შესახებ თავისი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ივ. ჭავჭავიძის და სარგის კაკაბაძეს.

ივ. ჭავჭავიძის აზრით, კაბიწი საქართველოში თავდაპირველად სასანურ ირანში მიღებული ამ საწყაოს ზომის მიხედვით 8 ლიტრიანი იქნებოდა<sup>102</sup>.

ს. კაკაბაძე რკონის XIII ს. სიგელის მიხედვით ფიქრობდა, რომ „კაბიწი მარცვლეულობისათვის ისეთივე საწყაო იყო, როგორც კოკა სითხისთვის“<sup>103</sup>. ვინაიდან კოკა ამ სიგელში 24 ლიტრით არის განსაზღვრული მკვლევარის აზრით კაბიწიც, როგორც კოკას შესატყვისი, 24 ლიტრიანი იქნებოდა. აქ მას მოაქვს ის საბუთი, რომ კოკა და კაბიწის შემკვლელი კოდი (იხ.) დაახლოებით ერთი სიდიდისა იყვნენ<sup>104</sup>.

<sup>99</sup> Н. Ханьков, О весах и мерах, стр. 558—560.

<sup>100</sup> ი ქ ვ ე, გვ. 562.

<sup>101</sup> ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 70.

<sup>102</sup> ი ქ ვ ე, გვ. 105—106.

<sup>103</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 67.

<sup>104</sup> ი ქ ვ ე.



ს. კაკაბიძის არგუმენტაცია სუსტია იმდენად, რამდენადაც კოკა ქართულ წყაროებში სხვადასხვა სიდიდისაა, 8 — 24 ლიტრის ფარგლებში. კოდი იმ შემთხვევაში უდრიდა ტევადობით კოკას, როცა ის 8—10 ან 12 ლიტრიანი იყო და არავითარ შემთხვევაში არ ეთანაბრებოდა 24 ლიტრიან კოკას. ამდენად 24 ლიტრიანი კაბიწის არსებობა გამორიცხულია.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდიც მხოლოდ ვარაუდად რჩება, ვინაიდან ქართულ წერილობით წყაროებში 8 ლიტრიანი კაბიწი არ დასტურდება.

არსებული მასალით, 1524 წ. დავით მეფის სიგელის თანახმად, კაფიზი იყო 10 ლიტრიანი<sup>105</sup>, საგულისხმებელია, რომ ტრადიციულად ასევე 10 ლიტრიანი იქნებოდა ის წინა საუკუნეებშიც.

ამდენად XIII—XV ს. I ნახევარში ამ ერთეულის სიდიდედ საშუალოდ 10 კგ<sup>106</sup>, ხოლო XV ს. II ნახევრიდან XVI ს. ბოლომდე 17,8 კგ უნდა მივიღოთ.

XVIII ს. დასაწყისში ს. —ს. ორბელიანი კაბიწს 3 კოდთან საწყაოდ მიიჩნევს<sup>107</sup>. აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის „უცხო შესატყვისობებში“ კაბიწის თურქულ შესატყვისად მოხსენებულია თალარი<sup>108</sup> თალარი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, 3 კოდისანი საწყაო იყო. ამდენად კაბიწი — თალარი<sup>109</sup> XVIII ს. დასაწყისში 90 კგ მარცვლელს დაიტევდა.

ქ ა რ ა ს ე უ ლ ი

ტერმინი ბერძნულია. *καρασιβλίον* აღნიშნავდა ღვინის პატარა ქურჭელს, რომელიც საზომადაც გამოიყენებოდა<sup>110</sup>.

<sup>105</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 105.

<sup>106</sup> 10 კგ-ს შეადგენდა კაბიწი-კაფიზი საქართველოს მეზობელ ირანში XIV ს-ში. В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

<sup>107</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV,) გვ. 349.

<sup>108</sup> ი ქ ე ე (ტ. IV), გვ. 515.

<sup>109</sup> საბას ცნობ., რომ კაბიწი 3 გრიეს, ანდა 10 კოდს უდრიდა, ჯერ-ჯერობით სხვა მასალებით არ დასტურდება. ძნელია განისაზღვროს აგრეთვე წყაროებში მოხსენიებული სეფე-კაბიწი (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69). თუ კაცხური კაბიწი (სარგის კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის. 1515—1535 წწ. ამირეჯიბისშვილის აბულახსარის შეწირულების წიგნი მოდებამეთა და სოფ. რჯანის შესახებ. „საისტორიო კრებული“, წიგნი III, ტფილისი, 1924, გვ. 43).

<sup>110</sup> E. A. Sophocles, Greek Lexicons of the Roman and Byzantine Periods, New York, 1960, p. 689. ამავე ძირიდან უნდა იყოს წარმომდგარი სომხური „კარას“, რომელიც დიდ ქვევრს აღნიშნავდა და გამოიყენებოდა საზომადაც. XVII—XVIII სს-ში ის 100 ლ-ს იტევდა. Б. М. А р у т ю н я н, Крупное монас-

ქართულ წყაროებში კარასეული (იგივე კარასოული, ან კრასო-  
ვული) X—XVI სს-ში გვხვდება. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა,  
რომ სამონასტრო ცხოვრებაში კარასეული აუცილებელი საწყაო  
იყო. ბერებს ღვინოს სატრაპეზოში სადილ-სერობის დროს კარა-  
სეულობით აძლევდნენ<sup>111</sup>. მისი ტევადობა ფიქსირებული არ არის.

კ ა რ ჩ ხ ა ლ ა

ღვინის საწყაოდ გვხვდება XIII—XV სს. წყაროებში<sup>112</sup>.

XV ს. სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში  
კარჩხალა ხუთი ლიტრით არის განსაზღვრული („სამი კარჩხალა  
ღვინო ხუთი ლიტრითა“)<sup>113</sup>.

XIII—XV სს-ში ლიტრის ზრდის გამო კარჩხალას ტევადობა  
5—9 ლ-ზე მოდის.

კ ა ს რ ი |

კასრი<sup>114</sup> თავდაპირველად XVI ს-დან ჩანს. XVI ს. უკანასკნელი  
მეოთხედიდან ის დამოწმებულია იმერეთში მარცვლეულის საწყა-  
ვად<sup>115</sup>. 1578 წ. ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარი მოწმობს,  
რომ კასრი ღვინის საწყაოდ გამოიყენებოდა რაჭაში<sup>116</sup>. ასევე  
ღვინის საწყაოდ ჩანს კასრი XVI ს. ბოლოს ლეჩხუმში — ცაგერის  
საყდრის გამოსავლის დავთარის მიხედვით<sup>117</sup>.

საბა კასრს ასახელებს როგორც ღვინის საწყაოს<sup>118</sup>. საფიქრე-  
ბელია, რომ მას რაჭა-ლეჩხუმის კასრი ჰქონდა მხედველობაში,

---

тырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., Ереван, 1940, стр. 113;  
„კარასეულის“ მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „კარას“  
სახელწოდებისათვის ქართულში, „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუ-  
ზეუმის მოამბე“, XV-B, თბილისი, 1948, გვ. 61—63.

<sup>111</sup> ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 74.

<sup>112</sup> ი ქ ვ ე, გვ. 73.

<sup>113</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 198.

<sup>114</sup> ნ. მარის აზრით, ტერმინი კასრი უნდა მდინარეობდეს კარასიდან. ამ  
უკანასკნელში, როგორც მკვლევარი ფიქრობდა, ორი უკანასკნელი თანხმოდანი „რს“  
— შეეცალა „სრ“ -მ ამასთან ნ. მარი შესაძლებლად თვლიდა ეს ტერმინი დაეკავში-  
რებინა ურარტულ a-kaḡ-ki-სთვის, რომელიც აგრეთვე საწყაო იყო. Н. М а р р,  
Материалы по халдской эпиграфике из командировки И. А. Орбели в Туре-  
цкую Армению, «ЗВО», XXIV, 1917, стр. 123.

<sup>115</sup> ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 86.

<sup>116</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 308.

<sup>117</sup> ი ქ ვ ე, გვ. 375.

<sup>118</sup> „ლექსიკონი ქართული“, ტ. IV, გვ. 227.

ვინაიდან იმერეთში და აღმ. საქართველოშიც, კერძოდ კი ქართლში კასრი მხოლოდ მარცვლეულის საზომი იყო<sup>119</sup>.

XVII—XVIII სს. ანონიმურ კარაბადინში კასრის წონით ოდენობად მოცემულია 960 სტილი<sup>120</sup>, რაც ძალზე დიდ მნიშვნელობას იძლევა და აშკარად არასწორია. თუ დავუშვებთ, რომ აქ სტილი ასთირ-ასთარის გვიანდელი კორექტურაა, კასრის ტევადობად ამ ცნობის თანახმად შეიძლება 17 კგ მივიღოთ.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, კასრი, რომელიც გამოიყენებოდა აღმ. საქართველოსა და იმერეთში, კოდის 1/2-ს შეადგენდა<sup>121</sup>. ერთ ფუტს უდრიდა კასრი „საქართველოს კალენდრის“ ცნობითაც<sup>122</sup>. ამდენად მარცვლეულის ეს საწყაო 16,5—17 კგ ტევადობისა გამოდის.

ღვინის საწყაო კასრის ტევადობა უფრო დიდი იყო.

საბაჟ ცნობით კასრი 8 ღოქს შეადგენდა, ღოქი კი 40 თუხტს<sup>123</sup>, რაც დამრგვალებულად 49 ლ-ს გვაძლევს.

XIX ს. მასალებით კასრი რამდენადმე განსხვავებული სიდიდისაა. ნ. ხანიკოვის განსაზღვრა, რაც კასრისთვის საბასეულთან შედარებით 2-ჯერ ნაკლებ ტევადობას გვაძლევს<sup>124</sup>, არასწორი უნდა იყოს. უფრო შეესაბამება სინამდვილეს XIX ს. 80-იან წლებში ი. ბაქრაძის ცნობა, რომ კასრი 4 ჩაფს, ჩაფი კი 3 1/2 თუნგს უდრიდა<sup>125</sup>. ამ პერიოდში თუნგს ჩვეულებრივ 1/2 რუსული „ბუტილკით“ ე. ი. 3,07 ლ-ით საზღვრავდნენ, რის გამოც კასრის ტევადობა 43 ლ იქნება. თუ საბაჟ ცნობასაც გავითვალისწინებთ კასრი საშუალოდ 46 ლ ღვინის დამტვევი საწყაო გამოდის<sup>126</sup>.

### ქ ა ს რ უ ლ კ ა

ამ საწყაოს ასახელებს თეიმურაზ ბაგრატიონი. მისი ცნობით

119 აქ კასრი ჩანს XIX ს. მასალებით — Н. Х а н ы к о в, О весах и мерах стр. 561.

120 Q: 916, გვ. 919.

121 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

122 საქართველოს კალენდარი, 1892 წ. გვ. 130.

123 „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV), გვ. 73.

124 Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 558.

125 И. Л. Б а к р а д з е, Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда Кутаисской губернии, стр. 89; შტრ. С. П. З е л и н с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 103; Кавказский календарь на 1917 г., стр. 189.

126 დღეისათვის, ლ. ფ რ უ ი ძ ი ს შენიშვნით, რაქმი კასრი ცალკე ქურქელი არ არის და მხოლოდ „თეორიულად“ არსებობს. ლ. ფ რ უ ი ძ ე, ღვინის საწყაო ქურქლები, გვ. 33.

კასრულკა იმერეთში პურის საწყავი იყო და კოდის 1/16-ს<sup>127</sup> ე. ი. 2,3 კგ შეადგენდა. სხვა წყაროებში ეს საზომი ჩვენ არ შეგვხვედრია.

### კ ე ფ ი

სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნში კეფი თივის საზომ ერთეულად არის დასახელებული. აქ ის „ზურგის“ შემადგენელი ნაწილია („სამი ზურგი თივა ხუთი კეფითა“-ო<sup>128</sup>).

### კ ე ა ნ ჩ ხ ი

ღვინის ეს საწყაო, რომლის ტევადობაც ჭერ-ჭერობით უცნობია, გვხვობა XI—XIII სს. წყაროებში<sup>129</sup>.

### კ ე ა წ ი ა

საბას კვაწია განმარტებული აქვს როგორც „მცირე კოჭობი“<sup>130</sup>. დღეისათვის იმერეთში კვაწია ჩარექიანს და ჩარექიანზე მომცრო ქოთანს აღნიშნავს, ე. ი. 1 ლ-ზე ცოტა ნაკლები სითხის დამტევია<sup>131</sup>.

### კ ე ი დ ო ლ ა

კვიდოლა ან კიდოლე მარცვლეულის საწყაო იყო ლეჩხუმსა და სვანეთში ლეჩხუმში ის 2,5 ფუტს, ე. ი. დამრგვალებულად 40 კგ შეადგენდა, ხოლო სვანეთში კი 2 ფუტს<sup>132</sup>, ე. ი. 32,7 კგ-ს.

### კ ი ს ტ ი

კისტი აბაბული ტერმინია— $\text{طـ} \text{ق}$ , რომელიც ბერძნული ქსესტიდან მომდინარეობს. საქართველოში ის გამოიყენებოდა მედიცინაში და ჩვეულებრივ სამედიცინო ხასიათის ნაშრომებში არის დამოწმებული<sup>133</sup>.

### კ ო დ ი

ამ ტერმინის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არის გამოთქმული. მეუბიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის უცხო წარმომავლობისაა.

ნ. ხანიკოვი ფიქრობდა, რომ კოდი მომდინარებდა არაბული  $\text{ق د}$  (კადაკ)<sup>134</sup>.

<sup>127</sup> თეიმურაზ ბა რატონის წერილები, გვ. 45.

<sup>128</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 198.

<sup>129</sup> ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადნი, გვ. 375; ი ე. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამყოფნეობა, გვ. 75.

<sup>130</sup> „ლეჩიკონი ქართული“ (ტ. IV ), გვ. 378.

<sup>131</sup> ლ. ბ ო კ ო რ ი შ ე ი ლ ი, ზემოიმერული კერამიკა, გვ. 37.

<sup>132</sup> ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება, გვ. 178.

<sup>133</sup> ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), გვ. 151. ერაყში კისტი ორი ზომისა იყო: დიდი 2,4 ლ და მცირე 1,2 ლ. В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 53, ქართულ წყაროებში კისტის ზომა არ არის ფიქსირებული.

<sup>134</sup> Н. Х а н и к о в, «О весах и мерах», стр. 579.

სარგის კაკაბაძის აზრით კოდი წარმოიშვა „ძველი სპარსული შესატყვისი ტერმინისაგან, რომელიც კვახს აღნიშნავდა (ახ. სპარს. *كود*). ტერმინი კე დ უ პირველი მნიშვნელობით კვახი, მეორეთი კი — სითხისთვის განკუთვნილი ჭურჭელი (ჯამი), ს. კაკაბაძის აზრით, შემდეგ გადაიქცა საზომ ერთეულად<sup>135</sup>.

ე. კარსტი მიიჩნევდა, რომ კოდი ნაწარმოებია ბერძნულ კოტილიდან, რაც ნიშნავს თასს, ჯამს, ფიალას<sup>136</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „კოდის“ მსგავსი სიტყვები მოიპოვება სხვა ენებში, ეს არ მიუთითებს მის უცხოურ წარმოშობაზე. კოდის მსგავს საზომს საქართველოს მეზობელი ქვეყნების საზომი სისტემები არ იცნობდა.

ტერმინ „კოდის“ ქართულ წარმომავლობას უფრო მყარი საფუძველი აქვს.

აკად. არნ. ჩიქობავა კოდ ძირს საერთოდ მიიჩნევს ქართული-სა და მეგრულ-ჭანურისთვის. ის შესაძლებლად თვლის, რომ „კოდ“ დაუკავშირდეს და გაუიგივდეს ზმნა „კოდავს“<sup>137</sup>. სიტყვა კოდი იხმარება ჭანურში, სადაც იგი საფუძველეს ნიშნავს<sup>138</sup>.

ე. გუდიაშვილის აზრითაც სიტყვა კოდი ქართულია და დაკავშირებულია სწორედ კოდვა-გამოკოდვა ზმნასთან, რაზედაც ამ საწყაივი ჭურჭლის ფორმა და დამზადების წესი მიუთითებს. გარდა ამისა, კოდს ქართულში ეძახიან აგრეთვე გულამოღებულ უძირო მორს, რომელიც ამომდინარე წყაროშია ჩადგმული წყლის შესაკრებად. აქაც ამოსავალი არის ამოკოდვა, გულის ამოთლა, ამოღება<sup>139</sup>.

საწყაო კოდი, როგორც მარცვლეულობის საზომი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. თავის დროზე მის უაღრესად დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი და თვით საზომი შევიდა სომხურში<sup>140</sup>. დადასტურებულია ის წალკის თურქულენოვან ბერძენთა მეტყველებაში, დმანისის აზე-

<sup>135</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 66.

<sup>136</sup> J. Karst, დასახ. ნაშრ., გვ. 73, შენ. 18.

<sup>137</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 107.

<sup>138</sup> ს. თლენტი, ჭანური ტექსტები, ტფილისი, 1938, გვ. 191.

<sup>139</sup> ე. გუდიაშვილი, ზოგიერთი ქართველური ლექსიკური ელემენტის შესახებ თურქულ დიალექტებში, თსუ „შრომები“, ტ. 121. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, VII, თბილისი, 1967, გვ. 117.

<sup>140</sup> Ф. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 465.

რბაიჯანულ მეტყველებაში, არზრუმის და გუმუშანეს მეტყველებაში<sup>141</sup>.

კოდი პირველად 1401—1415 წწ. ამირეჯიბთა გვაროვნებით სიგელშია დამოწმებული („თვითო კოდი პური“)<sup>142</sup>, მაგრამ ეს სიგელი გადაწერილია XVII ს-ში<sup>143</sup> და არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში ის გვიანდელი შეტანილი იყოს სხვა რომელიმე საწყაოს ნაცვლად.

მსგავსი მაგალითი გვაქვს სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის სახით, რომელიც XV ს-ით თარიღდება და რომელიც XVII ს-შია განახლებული. აქ აღჩინდელი საწყაო კაბიწი ამოფხეკილია და მის ადგილზე ჩაწერილთა კოდი<sup>144</sup>.

სხვათა შორის, ამ ფაქტზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა გაპოთქვა მოსაზრება, რომ საწყაოთა ქართულ სისტემაში კოდმა დაავა სწორედ კაბიწის ადგილი<sup>145</sup>.

კოდი საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს XVI ს-დან. ამ პერიოდის კაბიწის ხმარება ქართულ საბუთებში თანდათან იშვიათი ხდება, თუმცა მან, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVIII ს-ის დასაწყისისთვისაც შემოინახა თავი.

XVI—XVII სს-ში კოდის სიდიდის შესახებ პირდაპირი ცნობები არ გავაჩნია.

XVIII ს. დასაწყისისთვის ვახტანგ VI-ის ცნობით კოდი შეიძლება 8, 10 ან 12 ლიტრიანიც ყოფილიყო<sup>146</sup>.

ს. — ს. ორბელიანი „სწორედ“ საწყაოდ 10 ლიტრიან კოდსა თვლიდა<sup>147</sup>. ასეთი იყო ხორბლეულის კოდი. ქერისთვის კოდი უფრო მცირე ლიტრიანი იყო. „ქერი რვა ლიტრა ჩავა კოდში, პური 10 ლიტრა“. — აღნიშნავდა ვახტანგ VI<sup>148</sup>.

ამ ცნობებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინა ეპოქაშიც, კოდი ტრადიციულად 8—10 ლიტრიანი, უფრო კი 10 ლიტრიანი იქნებოდა წონით.

<sup>141</sup> ე. გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 118; არზრუმში 1 კოდი ხორბალი დამრგვალებულად იწონიდა 22 კგ-ს. Ф. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 500.

<sup>142</sup> ქრონიკები, ტ. II, გვ. 212.

<sup>143</sup> ი ქ ვ ე.

<sup>144</sup> ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 78, 108.

<sup>145</sup> ი ქ ვ ე.

<sup>146</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (მუხლი 124-ე), გვ. 513.

<sup>147</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 382.

<sup>148</sup> დასტურლამალი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 257.

თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ XVI ს-ში კოდის სიდიდე წონებში დაბრგვალეზულად 18 კგ გამოდის.

თავდაპირველად კოდის ამ წონით ოდენობას ასაბუთებს ის ფაქტი, რომ სამხრეთ საქართველოში, (ახალციხეში), კოდი დაბრგვალეზულად 18 კგ იწონიდა<sup>149</sup>. აქ კოდს, საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით (ლიტრის ზრდის გამო), ცვლილებები არ განუცდია და შეინარჩუნა თავდაპირველი მნიშვნელობა.

ლიტრის ზრდის კვალობაზე 10 ლიტრიანი კოდის წონითი ოდენობა, ცხადია, იზრდებოდა ამის გამო XVII ს-ში ასეთი კოდი 25,8 კგ ზორბალს ჩაიტევდა. XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. I ნახევრის ჩათვლით „სწორე“ კოდი უკვე 30 კგ ზორბლის საწყაოდ უნდა მივიღოთ, ხოლო XVIII ს. II ნახევარში 34 კგ-იან საწყაოდ<sup>150</sup>.

XIX ს-ში 10 ლიტრიანი კოდი შემდგომ ზრდას განიცდის. ქართლში კოდი XIX ს. 50-იანი წლებისათვის დაბრგვალეზულად 37 კგ-ს იწონიდა<sup>151</sup>.

კახეთში, თელავის მაზრაში, ნ. ხანიკოვი კოდის წონით ოდენობად 3 ფუტს, ე. ი. 49 კგ იძლევა, ზოლო სიღნაღის მაზრაში კი 33 კგ-ს<sup>152</sup>.

დასავლეთ საქართველოში ნ. ხანიკოვი კოდს მხოლოდ რაჭაში იხსენიებს<sup>153</sup> და მას 55 კგ-ით განსაზღვრავს. მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან XIX ს. სხვა მასალებით რაჭაში გავრცელებული იყო მხოლოდ 2—2,5 ფუთიანი (შესაბამისად 33 და 41 კგ) კოდები. 2,5 ფუთიან კოდს „ლომკაცის კოდი“ ეწოდებოდა<sup>154</sup>.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში კოდის განხილვის დროს იძლევა კოდთან ურთიერთმიმართებაში მყოფ სხვა ერთეულებსაც ე. ი. კოდის სისტემას, საზღვრავს კოდის წონას (200 თუხტით, ე. ი. 10 ლიტრით) და ამდენად—სხვა ერთეულების წონასაც.

საბას თანახმად კოდი = 2 ქილაკს ანუ ფოხალს = 4 გუშს = 8

<sup>149</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559; კოდის განსაზღვრა ახალციხის მაზრაში, როგორც ჩანს, ლიტრას არ ემყარებოდა.

<sup>150</sup> 10 ლიტრიანი იყო კოდი - ე. ი. სწორე კოდი-XVIII ს. II ნახევარში გიულდენშტედტის მიხედვითაც, გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 237.

<sup>151</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 561.

<sup>152</sup> ი ქ ვ ე, გვ. 562—563.

<sup>153</sup> ი ქ ვ ე, გვ. 558.

<sup>154</sup> И. Л. Б а к р а д з е, Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда, стр. 89. საქართველოს კალენდარი 1892 წ. გვ. 130; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 176; ზემო რაჭაში ძირითადად გავრცელებული იყო „ლომკაცის კოდი“.

ტავანას = 16 კოდიკს = 32 მათხირს<sup>155</sup>. იყო თუ არა ეს სისტემა დამახასიათებელი XVI—XVII სს-სთვის, ძნელი სათქმელია, ამ ერთეულებიდან წყაროებში მხოლოდ ფოხალი გვხვდება და თანაც ის ალმ. და დას. საქართველოში სხვადასხვა სიდიდისა იყო. უფრო საფიქრებელია, რომ ლექსიკოგრაფმა ალმ. საქართველოში გავრცელებული ეს ერთეულები იმ დროს არსებული მათი რეალური სიდიდის კვალობაზე შეუფარდა კოდის წონას.

		ცხრილი VII				
		კოდის სისტემა ალმ. საქართველოში XVIII ს-ში				
		„სწორე“ კოდი=10 ლიტრას				
კოდი . . . . .	1					
ქილაქი—ფო-						
ხაჯი . . . . .	2	1				
გუში . . . . .	4	2	1			
ტავანა . . . . .	8	4	2	1		
კოდიკი . . . . .	16	8	4	2	1	
მათხირი . . . . .	32	16	8	4	2	1

### კოდიკი

საბა განმარტებით მარცვლეულის ეს საზომი კოდის 1/16-ს<sup>156</sup> შეადგენდა და ამდენად მე-18 ს-ის დასაწყისში 1,8 კგ იწონიდა. მისი გავრცელების არეალის დადგენა ძნელია, ვინაიდან სხვა წყაროებში, ანდა ეთნოგრაფიულ ყოფაში კოდიკი არა ჩანს.

### კოთხო

ეს საწყაო გავრცელებული იყო სამეგრელოსა და გურიაში და გამოიყენებოდა სიმინდის, ლობიოს, ღომის ასაწყავად და აბრეშუმის საზომადაც. დადასტურებულია ის 1800 წ. კაცია წულუკიძის „წყალობის წიგნი“<sup>157</sup>. კოთხო შეადგენდა დაახ. 1/4 ფუტს, ე. ი. 4 კგ-ს<sup>158</sup>. აბრეშუმის კოთხო უდრიდა 666-გ-ს<sup>159</sup>.

### კოკა

სითხის ეს საწყაო ქართულ წყაროებში X საუკუნიდან არის დადასტურებული<sup>160</sup>. ის ფართოდ იყო გავრცელებული მთელს საქართველოში XIX ს-ს ჩათვლით.

ცნობები კოკის შესახებ ქართულ წყაროებში ხშირია. ჩვეულებრივ კოკასთან ერთად გვხვდება მითითება „დიდი კოკის“, „მო-

<sup>155</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV,) გვ. 382—383.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> ნ. აბესაძე, მუაბრეშუმეობა საქართველოში, გვ. 94.

<sup>158</sup> იქვე.

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> ივ. ჭავჭავაძის, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 73.



ნასტრული დიდი კოკის“, „ცოტა კოკის“, „საულუმბო კოკის“<sup>161</sup> და სხვ. შესახებ.

კოკის ტევადობის განსაზღვრას საქართველოში. XIII ს-დან მაინც, თუ უფრო ადრე არა, ლიტრის სიდიდე ედო. არსებობდა სხვადასხვა ლიტრიანი კოკები, რომელთა ტევადობაც ლიტრის განუწყვეტელი ზრდის გამო სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო. კოკის მკვეთრი ზრდის ტენდენცია XV ს. II ნახევარში აისახა კიდევ ქართულ დოკუმენტებში<sup>162</sup>.

ივ. ჭავჭავაძის აზრით, თავდაპირველად კოკის ტევადობა ლიტრების რაოდენობის ზრდის ხარჯზე იზრდებოდა. ეს იყო თანდათანობითი პროცესი და ყველაზე გვიან 24 ლიტრიანი კოკა უნდა შექმნილიყო<sup>163</sup>.

24 ლიტრიანი კოკა უკვე XIII ს. შუა წლებში არის დადასტურებული რკონის სიგელში<sup>164</sup>. ასეთი კოკა იმ ხანებში დამრგვალებულად 23 ლ იტევდა.

უფრო მომცრო კოკების შესახებ ცნობები XVI—XVIII სს-ში გვაქვს. ირკვევა, რომ 24 ლიტრიანის გარდა არსებობდა 8, 9, 10, 12, 14, 15 და 16 ლიტრიანი კოკებიც<sup>165</sup>.

კოკათა ასეთი მრავალფეროვნება თანაბრად იყო დამახასიათებელი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთვის. ასეთ პირობებში კი უადრესად ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ იყო სხვადასხვა ეპოქაში „სწორე საწყავი“, „სწორე“ კოკა.

XVIII ს. დასაწყისისათვის, ს. — ს. ორბელიანის ცნობით, „საწყავი კოკისა არს 10 ახალი ლიტრა“<sup>166</sup>. ე. ი. საბას დროს აღმოსავლეთ საქართველოში 10 ლიტრიანი კოკა იყო სწორე, კანონიკური საწყავი და ამდენად ის 30 ლ-ს შეადგენდა.

მაგრამ, თუ „სწორე“ კოდისთვის ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი ტევადობა თავიდანვე 10 ლიტრიანობის პრინციპს ემყარე-

<sup>161</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 74; 1401—1415 წწ. ამირაჩიბთა გვაროვნული სიგელი, ქრონიკები, ტ. II, გვ. 210.

<sup>162</sup> 1454 წ. 10 იანვრის კულუხის გამოსაღების წიგნი დავით კათალიკოზისა შეკულუხე ჭუარის მსახლობლებისადმი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 195.

<sup>163</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 120.

<sup>164</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 60.

<sup>165</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 317; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულთა, გვ. 513.

<sup>166</sup> „ლექსიკონი ქართული“. (ტ. IV<sub>1</sub>) გვ. 383.

ბოდა, იგივეს თქმა არ შეგვიძლია კოკის შესახებ. ამის და მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ 10 ლიტრიანი კოკის განსაზღვრით დავკმაყოფილდებით<sup>167</sup>.

XVI ს-ში 10 ლიტრიანი კოკა 17,8 ლ-ს იტევდა, XVIII ს-ში 25, 8 ლ-ს XVIII ს. I ნახევარში 30 ლ-ს, ხოლო XVIII ს. II ნახევარში კი 34 ლ-ს.

იყო თუ არა 10 ლიტრიანი კოკა „სწორე“ საწყაავი იმერეთში? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენ ამ შემთხვევაში ვემყარებით საბას მიერ მოცემულ კოკის სისტემას. ისევე როგორც კოდის დახასიათების დროს კოკის განხილვისას ლექსიკოგრაფი უჩვენებს კოკის ურთიერთმიმართებას სხვა ერთეულებთან<sup>168</sup>. ესენია: დორა-ქარიკი, ჩაფი-გუერდი, დოქი და ბორჩხულა.

ამ საწყაავების შესწავლამ (იხ. თითოეული) დაგვარწმუნა, რომ საბას დროს მხოლოდ ჩაფი იყო დამახასიათებელი აღმ. საქართველოსათვის. დორა-ქარიკი, დოქი და ალბათ ბორჩხულაც დახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოსათვის.

ლექსიკოგრაფმა ეს ერთეულები განიხილა 10 ლიტრიან კოკასთან ურთიერთმიმართებაში. ამის გამო დორას წონით მნიშვნელობად უნდა მიგვეღო 100 თუხტი (სტილი), ჩაფისთვის — 50, დოქისთვის — 25, ხოლო ბორჩხულასთვის კი 12 1/2 თუხტი. მაგრამ თავის ლექსიკონში, უკვე სხვა ადგილზე, სიტყვა „საწყაავთან“ საბა მიუთითებს დორასთვის 120 თუხტს, ჩაფისთვის — 60, დოქისთვის 40, ხოლო ბორჩხულასთვის კი 25 თუხტს<sup>169</sup>.

120 თუხტიანი დორა, თუ ის მართლაც კოკის ნახევარი იყო, იქნებოდა არა 10, არამედ 12 ლიტრიანი კოკის მეოთხედი. იგივე შეიძლება ითქვას 60 თუხტიან ჩაფზე. რაც შეეხება დოქს, თუ მას კოკის 1/6-ად ვიანგარიშებთ (იხ. დოქი), ისიც აგრეთვე 12 ლიტრიანი კოკის შემადგენელ საწყაავად წარმოგვიდგება.

ამგვარად აშკარაა, რომ ეს დასავლურ ქართული საწყაავები მიმართებაში არიან მხოლოდ 12 ლიტრიან კოკასთან. ასეთი კოკა კი XVIII ს. დასაწყისსა და I ნახევარში 36 ლ იტევდა.

<sup>167</sup> სხვა მრავალრიცხოვანი კოკების განსაზღვრას ჩვენ არ შევეუდგებით, ვინაიდან ეს შორს წაგვიყვანდა. მათი გაანგარიშება სასურველ შემთხვევაში არ წარმოადგენს სიძნელეს, თუ კონკრეტული კოკის ლიტრების რაოდენობას მოცემული ეპოქის ლიტრის სიდიდეზე გავამრავლებთ.

<sup>168</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV ), გვ. 383.

<sup>169</sup> ი ქ ვ ე (ტ. IV ა), გვ. 73—74.

XVIII ს. 70-იანი წლებისათვის იმერული კოკა აკად. გიულდენ-შტედტმა 3 რუსული „ვედროთი“<sup>170</sup>, დაახ. 37 ლ-ით განსაზღვრა. ასეთი კოკა 6 დოქს შეადგენდა, დოქი კი—6,15 ლ-ს, ე. ი. ფაქტიურად 2 ქართულ ლიტრას უდრიდა<sup>171</sup> და ამრიგად, გიულდენშტედტისეული კოკაც 12 ლიტრიანი გამოდის.

ცხრილი VIII				
12 ლიტრიანი კოკის სისტემა დას. საქართველოში (იმერეთში) XVIII ს-ში				
კოკა	1			
დოქა	2	1		
ჩაფი	4	2	1	
დოქი	6	3	1 1/2	1

საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორე საწყევად 12 ლიტრიანი კოკი მიჩნევა შესაძლოა დამახასიათებელი იყოს აღმ. საქართველოსათვისაც XVIII ს-ში, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის მიწურულს.

XIX ს. 30-იან წლებში თეიმურაზ ბაგრატიონი<sup>172</sup> და ორესტ ევეცკი<sup>173</sup> ქართლ-კახეთში კოკის ტევადობას 12 თუნგით საზღვრავენ. თუნგმა კი, როგორც ვიცით, სითხის საწყვათა სისტემაში ლიტრის ადგილი დაიკავა XVIII ს-ში. XVIII—XIX სს. მიჯნაზე 12 თუნგის კოკა დამრგვალებულად 40 ლ შეადგენდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კოკა XVIII ს. აღმ. საქართველოში იყოფოდა აგრეთვე ჩაფებად (იხ.) და ჩარექებად (იხ.), ამდენად 10 და 12 ლიტრიანი კოკების სისტემა XVIII—XIX სს. I მესამედის აღმ. საქართველოში ასე წარმოგვიდგება:

10 ლიტრიანი კოკა				12 ლიტრიანი კოკა			
კოკა	1			კოკა	1		
ჩაფი	4	1		ჩაფი	4	1	
ლიტრა	10	2 1/2	1	ლიტრა-თუნ-			
				გირეკა	12	3	1
				ჩარეკა	48	12	4 1

XIX ს. 50-იან წლებში ნ. ხანიკოვი კოკას საწყვად ასახელებს მხოლოდ იმერეთში და მას 30 რუსული „ბუტილკით“ — ე. ი. 18,4 ლ საზღვრავს<sup>174</sup>, მაგრამ ეს მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა, ვინაიდან

<sup>170</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 287.

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45—46.

<sup>173</sup> Орест Евецкий, Статистическое описание, стр. 155.

<sup>174</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 557.

ყველაზე პატარა 8 ლიტრიანი კოკაც კი მოგვეცემა 30 ლ-ს. ამ დროს იმერული 12 ლიტრიანი კოკა 39 ლ უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოში კოკასთან იყო დაკავშირებული ორი საწყაო: მ რ თ ე ლ ი და მ ე ნ ა ხ ე ვ რ ე.

მ რ თ ე ლ ი კოკა, რომელიც XVI ს. მიწურულისა და XVII ს. 20-იანი წლების საბუთებში ჩანს, ლ. მუსხელიშვილის დაკვირვებით შეადგენდა 24 ლიტრას<sup>175</sup>. ლიტრის ზრდის პროცესის გათვალისწინებით ამ პერიოდის 24 ლიტრიანი კოკა საშუალოდ შეიძლება 50 ლ-ით განვსაზღვროთ. ამავე პერიოდის წყაროებში იხსენიება ნ ა ხ ე ვ ა რ ი მ რ თ ე ლ ი ც, რომელიც ბუნებრივია 12 ლიტრიანი იქნებოდა და რომელიც 25 ლ-ით იანგარიშება.

მ ე ნ ა ხ ე ვ რ ე ღვინის საწყაოდ დასახელებულია XVI—XIX სს. წყაროებში<sup>176</sup>. ლ. მუსხელიშვილმა აჩვენა შენიშნა, რომ მენახევრე XVIII ს-ში შეადგენდა კოკის 1/2-ს<sup>177</sup>, მაგრამ ვფიქრობთ, შეცდა, როცა ეს კოკა 16 ლიტრიანად, ხოლო მენახევრე კი 8 ლიტრიან საწყაოდ მიიჩნია<sup>178</sup>. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია 1808 წ. იმერეთის საქონლის ფასების ნიხრმა. აქ „მენახევრე კოკის“ ფასია 6 ფარა. დოქისა—2 ფარა, ხოლო ნიტრის (ლიტ-

<sup>175</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 23.

<sup>176</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მკვლევარობა, გვ. 93; ლ. ფ რ უ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 33; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, № 2161, გვ. 262.

<sup>177</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21—22.

<sup>178</sup> ლ. მუსხელიშვილი დაეყრდნო 1730 წ. ალექსანდრე V-ის შეწირულობის წიგნს (დასახ. ნაშრ., გვ. 21—22), სადაც გლეხების ღვინის გამოსაღები გარდაკვეთილია მენახევრეებში, ჩვეულებრივ კოკებსა და 8 ლიტრიან კოკებში. მკვლევარი ანგარიშობს 207 მენახევრეს, 24 ჩვეულებრივსა და 9 რვალიტრიან კოკას და მიაჩნია, რომ 8 ლიტრიანი კოკა ფარდია მენახევრისა და ჩვეულებრივი კოკისა. ამის დამამტკიცებელ საბუთად ლ. მუსხელიშვილს მიაჩნდა ის, რომ მათი საერთო ჯამი (207 + 24 + 9) უდრიდა 240-ს, რაც ზუსტად ორჯერ მეტი იყო შეწირულობის წიგნის ჭუმალში დასახელებულ 120 კოკაზე (ეს კოკა მკვლევარს 16 ლიტრიანად მიჩნდა). მაგრამ ლ. მუსხელიშვილის ანგარიშში ზედმეტია 4 კოკა, ვინაიდან ისინი შედიან ცალკეულ გლეხებზე ხელოსნისა და წინამძღვრის სასარგებლოდ გარდაკვეთილ ნორმებში. თუ მათ მაინც მივიღებდით მხედველობაში, მაშინ 207 მენახევრესაც უნდა დაეუმატოთ 5 მენახევრე, რომლებიც გარდაკვეთილი იყო გლეხებზე ხელოსნის სასარგებლოდ (იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 1, გვ. 121—123) და რომელთაც მკვლევარი მხედველობაში არ იღებდა. ამის გათვალისწინებით ის მწყობრი სურათი, რომელიც ლ. მუსხელიშვილმა წარმოადგინა, ირღვევა.

რის) — 1 ფარა<sup>170</sup>. ფასები მათ შორის პროპორციულად ასე გამოიხატება: 1 : 3 : 6. თუ ამ საწყაოთა ტევადობის მიმართაც ასეთ-სავე პროპორციას დავუშვებთ და ეს სავსებით გამართლებული იქნებოდა, გამოდის, რომ მენახევრე = 3 ღოქს = 6 ლიტრას. აქედან გამომდინარე კი ის 12 (და არა 16) ლიტრიანი კოკის ნახევრად გვევლინება, რომელიც ჩვენი აზრით, XVIII ს. იმერეთში იყო კანონიკური, „სწორე“ საწყაეი.

ამრიგად, მენახევრეს ტევადობა 18—19 ლ-ით განისაზღვრება და ის ფაქტიურად ემთხვევა გურული საწყაისა (იხ.) და კოკის იმ სიდიდეს, რომელსაც ნ. ხანიკოვი XIX ს. I ნახევრის იმერეთისათვის იძლევა.

თუ დავუშვებთ, რომ XVI—XVII სს-შიც მენახევრე 12 ლიტრიანი კოკის ნახევარი იყო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოხდა მისი ტევადობის ზრდა 10,8 ლ-დან 15,5 ლ-მდე<sup>180</sup> (XVII ს-ში). მეორე კი 18 ლ-მდე (XVIII ს-ში), მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ XVIII ს-მდე მენახევრე მიმართებაში იყო სხვა სიდიდის კოკასთან.

მენახევრე ღვინის გარდა მარცვლეულობის საწყაოდაც ჩანს. ამ სახით არის დადასტურებული ის 1621 წ. აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის დიდ დავთარში<sup>181</sup> და რაჭის ეთნოგრაფიულ ყოფაში<sup>182</sup>. ამჟამად ის კოდის 1/2-ია. ასევეა სავარაუდო წინამორბედ საუკუნეებშიც.

კო რ უ ა ი

კორუა, ან კოფია, მარცვლეულის საწყაო რაჭაში ლეჩხუმურ ყურიანას და გურია-სამეგრელოს კოთხოს შეესატყვისება. ის 4 კგ. უდრის<sup>183</sup>.

კ უ ა ზ ი

ლომის საზომად ჩანს XVII ს. იმერეთში<sup>184</sup>. მისი ტევადობა ფიქსირებული არ არის.

<sup>170</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის; წიგნი III, გვ. 262.

<sup>180</sup> დამრგვალებულად 15 ლ-ს შეადგენს მენახევრე ლეჩხუმში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

<sup>181</sup> ი ვ. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 93.

<sup>182</sup> ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

<sup>183</sup> იქვე, გვ. 183; ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, გვ. 93—94;

<sup>184</sup> ი ვ. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 92;

ივ. ჭავჭავიძე იმა თავის ნაშრომში საწყაოთა რაბეში შეიტანა: კ ე ბ ი ე (გვ. 65). ეს ტერმინი მოხსენებულია 1782 წ. დას. საქართველოს ერთ საბუღო, მხოლოდ შეცდომით-კუახის ნაცვლად (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 65)

## ლქშქნი

მარცვლეულის ეს საწყაო გავრცელებული იყო ლქნსუში და ეთნოგრაფილი მასალებით ერთ ფუტს, ე. ი. 16,38 კგ უდრიდა. ის რაპულ მენახეერეს შეესაბამებოდა<sup>185</sup>.

## ლიჯი

ლომის საწყავი XVII ს. ოდიშში. გვხვდება ამ ტერმინის სხვა ფორმაც — ლიჯიბი<sup>186</sup>, რაც მისი მრავლობითი უნდა იყოს. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით და ს. კაკაბაძის განსაზღვრით ჭამი უდრიდა 2,3—2,5 ლიჯს<sup>187</sup>. თუ ჭამს (იხ.), 1,3 კგ-ით განესაზღვრავთ, მაშინ ლიჯის ოდენობად ვღებულობთ 0,5 კგ/ლ-ს.

## მათხირი

მარცვლეულის ეს საწყაო მოხსენებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ საბას. XVIII ს. დასაწყისში მათხირი კოდის 1/32-ს შეადგენდა<sup>188</sup> და 0,9 კგ-ს იწონიდა.

## მარხილი

ეს საზომი გამოიყენებოდა XVI—XVIII სს. დასაუღეთ საქართველოში თივის ოდენობის გამომხატავ ერთეულად<sup>189</sup>.

## მანხათელი

ლომის და მარლის ეს საწყავი XVII ს. დასაუღეთ საქართველოში უდრიდა 2 ქილას<sup>190</sup>, ე. ი. 29 კგ-ს.

## მკლავი

ეს ტერმინი ფეტვის საზომად დასახელებულია 1578 წ. ქუთაისის საყდრის დავთარში<sup>191</sup>, მაგრამ რა იგულისხმებოდა მის ქვეშ, როგორი იყო მისი სიდიდე, გაურკვეველია.

## მოდო

მეტროლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მოდი უძველესი ებრაული საწყაო იყო, რომელმაც შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში<sup>192</sup>.

ქართულ წყაროებიდან მოდი დამოწმებულია XI ს. გიორგი

<sup>185</sup> ნ. ბ რ ქ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

<sup>186</sup> ივ. ჭ ა ვ ა ძ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 95; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 63.

<sup>187</sup> ივ. ჭ ა ვ ა ძ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 95; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 64.

<sup>188</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 383.

<sup>189</sup> ივ. ჭ ა ვ ა ძ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

<sup>190</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

<sup>191</sup> ივ. ჭ ა ვ ა ძ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>192</sup> Я. А. М а н а н д я н, Римско-Византийские хлебные меры, გვ. 63.

ათონელის თბზულებაში „ცხოვრება შამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთემესი“<sup>193</sup>. რამდენჯერმე გვხვდება XI საუკუნის მიწურულის „ათონის აღაპებში“ და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებშიც XIII ს-მდე<sup>194</sup>.

უფრო მოგვიანებით, ეს სახელი დაუმკვიდრდა დასავლეთ საქართველოში მიწის სარგებლობისათვის დაწესებულ გადასანადს<sup>195</sup>.

ქართულ წერილობით ძეგლებიდან მოდის ზომა საბას ლექსიკონშია განსაზღვრული 22 ქსესტით<sup>196</sup>, მაგრამ ეს ცნობა უცხოური წყაროებიდან მომდინარეობა.

22 ქსესტიანი მოდი, ან დიდი მოდი-სატონი, წონით 9,792 კგ., როგორც ეს ქ. მანანდიანს აქვს გარკვეული, მან აღმოსავლეთში გავრცელებული რომაული მოდის ტოლფასი იყო<sup>197</sup>. ანანია შირაქელის ცნობით, ბიზანტიურ-სასანურ ეპოქაში, მოდი სომხეთში პურის მთავარ საზომს წარმოადგენდა. გავრცელებული იყო ის სასანურ ირანშიც<sup>198</sup>. უფრო გვიან, X ს-ში მოდი ირანში 8,3 კგ შეადგენდა<sup>199</sup>.

არ არის გამორიცხული მსგავსი სიდიდის მოდის საქართველოში დამკვიდრებაც. საბა მოდის ქართულ შესატყვისად ჩ ა ნ ა ხ ს ასახელებს<sup>200</sup>. ჩანახი (იხ.) კი ქართლში, ზოგ ადგილებში, სწორედ 8 კგ შეესატყვისებოდა

ნ ა ო თ ხ ა ლ ი —

საბა ნაოთხალს ლიტრის სისტემაში განიხილავს. „სპარსნი ლიტრისა ნაოთხალს ჩარექს(ა) უზმობენ, რომელსა სომხურად ნუქი და ქართულად გუერდი, გინა ნაოთხალი ეწოდება“<sup>201</sup>...

საბასეული ნაოთხალი ტერმინოლოგიურად მართლაც სპარსული ჩარექის ზუსტი შესატყვისია, მაგრამ შინაარსით კი ამ ორ საზომს საერთო არა აქვთ რა. ნაოთხალი გამოიყენებოდა მარცვლეულის საწყაოდ და ისიც დასავლეთ საქართველოში.

ნაოთხალი გვხვდება იმერეთში უკვე XVI ს. დასაწყისიდან<sup>202</sup>

<sup>193</sup> ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 302.

<sup>194</sup> ი. ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

<sup>195</sup> ო. ს ო ს ე ლ ი ა, მასალები აგარაული ურთიერთობების ისტორიისათვის გვიან ფეოდალურ საქართველოში, მ ს კ ი, 31, 1954, გვ. 159, შენ. 2.

<sup>196</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 500.

<sup>197</sup> მ. ა. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

<sup>198</sup> ი ქ ე ე, 83-64.

<sup>199</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

<sup>200</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 499.

<sup>201</sup> ი ქ ე ე, გვ. 422.

<sup>202</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 1, გვ. 6.

— მთელი საუკუნის მანძილზე<sup>203</sup>. დადასტურებულია ის 1621 წ. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხობის დიდ დავთარში, იმერეთისა და რაჭის სოფლებთან დაკავშირებით<sup>204</sup>, XVII ს. „ქუჭუხიძეების ბეგარის“ ნუსხაში<sup>205</sup>, მაგრამ შემდეგ, იმერეთში აღარ გვხვდება. რაჭაში კი ნაოთხალი დღემდე შემორჩა.

ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ნაოთხალი იყო მსხვილი ერთეულის გრივის მეოთხედი და რომ XVI ს. იმერეთში მოხდა ნაოთხალის კოდით შეცვლა, მაგრამ ამგვარი რამ წყაროებში არა ჩანს<sup>206</sup>. პირიქით, ეს ორი საწყაო XVI ს-ში ერთნაირად გამოიყენებოდა და ზოგჯერ ერთსა და იმავე საბუთში არიან დასახელებულნი<sup>207</sup>.

უფრო სარწმუნოა ვივარაუდოთ, რომ ნაოთხალი იყო კოდის მეოთხედი. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში, საგენათლოს გამოსავალში, ღომის გამოსადები აღნუსხულია კოდებში და ნაოთხალებში. ჩამოთვლილია 38 კოდი და 10 ნაოთხალი, ჯამალში კი მოცემულია 41 კოდი. სხვაობა შეადგენს 3 კოდს, რომელზედაც მოდის 10 ნაოთხალი, თითო კოდზე კი 3,3 ნაოთხალი იანგარიშება, რაც შეიძლება ოთხამდე დამრგვალდეს.

რაჭაში XIX ს-ისა და დღევანდელი ეთნოგრაფიული მასალებით ნაოთხალი შეადგენს კოდის 1/4-ს<sup>208</sup>.

ნაოთხალის ტევადობა XVI ს-ში შეიძლება 4,5 კგ მარცვლეულით განისაზღვროს, ხოლო ამ პერიოდში მისი თანაფარდობა სხვა საწყაოებთან. კი ასე გამოიხატოს:

ცხრილი X			
კოდი . . . . .	1		
ტევადობა . . . . .	2	1	
ნაოთხალი . . . . .	4	2	1

XVII ს. 20-იანი წლებისთვის, თუ კი ამ პერიოდში კოდის დაუყონებლივ ზრდას დაეუშვებთ, ნაოთხალი 6 კგ-ს შეადგენდა. კოდის შემდგომი ზრდის გამო ნაოთხალის ტევადობა უნდა დაახლოებოდა ფოხალისას, რამაც გამოიწვია ალბათ მისი გაქრობა.

<sup>203</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 81.

<sup>204</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>205</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, № 612, გვ. 439.

<sup>206</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 69; იხ. აგრეთვე მისი რეცენზია ივ. ჭავჭავაძის ნაშრომზე, გვ. 288—289.

<sup>207</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 402.

<sup>208</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 558; ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 179—180.



რაქაში XIX ს-ში, კოდის 2—2,5 ფუთობის კვალობაზე, ნაოთხალი 8 — 10 კგ-ს<sup>209</sup> უდრიდა. ასევეა დღესაც<sup>210</sup>. კოდში აქ შედის 4 ნაოთხალი და 8 ფოხალი.

პ ი ნ ა ,

ეს ტერმინი ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბერძნულია და აღნიშნავს თეფშს<sup>211</sup>. ასევე ფიქრობს ს. კაკაბაძე<sup>212</sup>, მაგრამ როგორც საზომი, პინა მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

პინა მარცვლეულის საწყაოდ ჩანს XVI ს. II ნახევრიდან, ჯერ იმერეთში<sup>213</sup>, მერე კი XVII ს-დან ქართლშიც<sup>214</sup>. მის განსაზღვრას პირველად იძლევა აკად. გიულდენშტედტი. XVIII ს. II ნახევარში პინა აღმ. საქართველოში ორ ლიტრას<sup>215</sup>, ე. ი. 6,8 კგ შეადგენდა. XIX ს. I ნახევარში, დუშეთის მაზრაში, პინა ასევე 2 ლიტრიანი საწყაო იყო<sup>216</sup>. აქ პინას, ეთნოგრაფიული მასალებით, ო რ ი ა ნ ს უწოდებენ<sup>217</sup>.

XIX ს. მასალებით პინა გამოიყენებოდა ჯავახეთსა და აჭარაშიც, სადაც საშუალოდ 24 კგ მარცვლეულს იტევდა<sup>218</sup>.

რ უ ბ ი ,

რუბი მარცვლეულის საწყაოდ გვევლინება სამხრეთ საქართველოში. აქ — ახალციხის მაზრაში, ის კოდის მეოთხედს შეადგენდა და 4,5 კგ მარცვლეულს<sup>219</sup> იტევდა.

ს ა მ ა დ გ ა ნ ი

XVI ს. მიწურულის ოცხანის საკათალიკოზო გლეხების ბეგარის ნუსხისა<sup>220</sup> და XVII ს. დასაწყისის მამია გურიელის შეწირულე-

<sup>209</sup> И. Л. Б а к р а д з е. Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда Кутаисской губернии, стр. 89.

<sup>210</sup> Б. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 179—180.

<sup>211</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 80.

<sup>212</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 77.

<sup>213</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 402.

<sup>214</sup> ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

<sup>215</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 237.

<sup>216</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 561.

<sup>217</sup> Б. ს ო ნ დ ლ ა შ ვ ი ლ ი, მემინდერეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები, გვ. 288; მთიულეთში დღეისთვის პინა ნახევარ ფუთს პურს იტევს, ლ. კ ა - ო შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967, გვ. 107.

<sup>218</sup> საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131, შდრ. Кавказский календарь на 1917 г., стр. 189.

<sup>219</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559.

<sup>220</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 381.

ბის წიგნის მიხედვით<sup>221</sup> სამადგანო ღომის საზომად ჩანს გურიაში. XVII ს. სხვა მასალებით სამადგანი ოდიშშიც გამოიყენებოდა<sup>222</sup>, მაგრამ მისი ტევადობა არსად ფიქსირებული არ არის<sup>223</sup>.

ს ა მ ე ს ხ ო

XVI ს. მიწურულის ოცხანის საკათალიკოზო გლეხების ბეგარის ნუსხის თანახმად, ეს საწყაო გამოიყენებოდა გურიაში<sup>224</sup>. ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ სამესხოს ქვეშ „საწყავი“ (იხ.) იგულისხმებოდა<sup>225</sup>, თუმც კონკრეტული ცნობა ამგვარი განმარტებისათვის არ მოგვეპოვება.

ს ა მ ი ა ნ ი

„სამიანი ღვინო“ მოხსენებულია 1550—1670 წწ. ერთ სიგელში<sup>226</sup>. სავარაუდოა, რომ ის სამლიტრიან საწყაოს გულისხმობდა, ისევე როგორც „ორიანი“ — ორლიტრიან საწყაოს — პინას. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ეს ტერმინი დღემდე შემორჩა. წილკანსა და მის მეზობელ სოფლებში სამიანში სამი ქართული ლიტრა ჩადის და კოკის მეოთხედს უდრის<sup>227</sup>.

ს ა პ ა ლ ნ ე

ძირი ამ ტერმინისა არის ახ. სპარსული *ساق*, რაც აღნიშნავს ნავს, კეხს. უნაგირს<sup>228</sup>. დაბადების ქართულ თარგმანში ის აქლემთან დაკავშირებით არის მოტანილი („ხოლო რაქელ მოიხუნა კერპნი იგი და ქუეშ შესხნა იგონ პალანთა აქლემისათა და დაჯდა მთზა“),<sup>229</sup> საბას განმარტებით კი პალანი აქლემის კურტანია.<sup>229a</sup> ამდენად, ივ. ჭავჭავაძის მიხედვით სამართლიანად შენიშნავდა, რომ „საპალნე თავდაპირველად აქლემის ტვირთის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყო-

<sup>221</sup> ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა, გვ. 138.

<sup>222</sup> საციოლოს გამოსავალი მოსაკრებლობის დაეთარი (1616—1621 წწ.), „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 473.

<sup>223</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, რომ „სამადგანი მესამედს ნიშნავს და შესაძლებელია ამ საზომის სახელი აქეთგან იყოს წარმომდგარი“ — თ. (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 95—96), მაგრამ ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი საზომის მესამედი იყო სამადგანი.

<sup>224</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 387—381.

<sup>225</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 78.

<sup>226</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 118.

<sup>227</sup> ჟ. სონდულოვი, შემინდერეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები, გვ. 288.

<sup>228</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, გვ. 262.

<sup>229</sup> იქვე; ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 75—76.

<sup>229a</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV), გვ. 615.

ფილიყო“-ო<sup>230</sup>. შემდგომში ის ყოველგვარი სახედარი საქონლის ტვირთის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

„დასტურლამალის“ ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში გამოიყენებოდა არა მარტო აქლემის, არამედ ცხენის, ჯორის, ხარის და ვირის საპალნეებიც<sup>231</sup>. ამის კარგი დადასტურებაა ს. — ს. ორბელიანის ცნობა: „საპალნე ულაყის სატვირთავია“-ო<sup>232</sup>, ხოლო ულაყი მისი განმარტებით კი არის „საკიდარი ცხენი, ჯორი, აქლემი, ვირი, აზავერი (საკიდარი ჯარი) და მისთანანი“<sup>233</sup>...

მუსლიმურ მეტროლოგიას თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ეს საზომი ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სახალიფოში, მაგ., გამოიყენებოდა საზომი „ვ ა ს კ ი“, (وق) რაც აღნიშნავდა აქლემის ტვირთს<sup>234</sup>. არსებობდა საზომი ვირის ან ჯორის ტვირთი-ვ ი კ რ ი (وقر)<sup>235</sup> და დასასრულს ირანში გამოიყენებოდა საზომი ხ ა რ ვ ა რ ი (حروار) — რაც სიტყვა-სიტყვით ვირის ტვირთს ნიშნავს<sup>236</sup>.

საპალნე საქართველოში ჩანს XIII ს-დან<sup>237</sup>. საპალნეობით ჩვენში ზომავდნენ ღვინოს და სხვადასხვა საქონელს — მაგ. აბრეშუმს, ბამბას, ფართალს, თუთუნს, მარილს, ბრინჯს, ერბოს, თაფლს, რკინას, მარყულს, თევზს, ენდროს, ზეთისხილს და სხვ.<sup>238</sup>.

ამიტომ საესებით მართებულად აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ საპალნე „ყოველნაირი საქონლისთვის იყო საზომად მიჩნეული“<sup>239</sup>...

პირველი ავტორი, რომელიც საპალნის ზომას იძლევა, არის შ ა რ დ ე ნ ი. მისი ცნობით ცხენის საპალნე 300 ლიტრას იწონიდა<sup>240</sup>. შარდენის მიერ მოხსენიებული ლიტრა, საფიქრებელია, რომ

<sup>230</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

<sup>231</sup> დასტურლამალი, „ქართლის სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 304, 284, 392, 393.

<sup>232</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 49.

<sup>233</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>234</sup> A. I. Khowarezmi, Liber Mafatih al-Olum, ed. G. Van Vloten, Leiden, 1895, p. 14.

<sup>235</sup> იქვე.

<sup>236</sup> В. Хиниц, დასახ. ნაშრ., გვ. 42—43.

<sup>237</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

<sup>238</sup> დასტურლამალი, „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. II, გვ. 283, 284, 285, 391; ყანუნ-ლამა როსტომ მეფისა თბილისის ციხის კარზე ბაქების შესახებ (1639 წ.). „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, გვ. 216.

<sup>239</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამაყოდნეობა, გვ. 76.

<sup>240</sup> იქვე, გვ. 114.

პარიზული ლიტრაა. ამავე ერთეულით საზღვრავდა სწორედ ფრანგი მოგზაური თავრიზული მანის წონასაც<sup>241</sup>. პარიზული ლიტრა 489,506 გ იწონიდა და ამდენად, XVII ს-ში, ცხენის საპალნე 146,85 გ ან დამრგვალებულად 147 კგ შეადგენდა.

XIX ს. მასალებით იმერეთში, გურიაში, რაქასა და ლეჩხუმში გავრცელებული საპალნის ოდენობა 8—10 ფუტს შორის, ე. ი. 131—163 კგ-ზე<sup>242</sup> მოდიოდა, რაც აგრეთვე საშუალოდ 147 კგ-ს გვაძლევს.

„დასტურლამალის“ ცნობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ აქლემის საპალნის ოდენობა.

ირაკვევა, რომ თბილისში შემოტანილ ამა თუ იმ საქონელზე დაწესებული ბაჟი სხვადასხვა სახის საპალნეზე სხვადასხვა იყო.

„ენდროს საპალნე აქლემისაზე (ბაჟი-გ.ჯ) ორი აბაზია და ცხენზე ერთი აბაზი“... „წინდის (ბაჟი — გ.ჯ.) საპალნე აქლემზე ათი შაური და ცხენზე ხუთი შაური“... „აბრეშუმში თუ... მიზანში აწონეს (ბაჟი — გ.ჯ.) ბათმანზე ერთი აბაზი და თუ საპალნობით გავა, აქლემის საპალნეზე ცხრა მინალთუნია და ცხენის საპალნეზე — ექუსი მინალთუნი“<sup>243</sup>... ქიშმირის აქლემის საპალნეზე (ბაჟი—გ.ჯ.) ლიტრანახევარია და ცხენის საპალნეზე ერთი ლიტრა“<sup>244</sup>...

მოტანილ მაგალითებში აქლემის საპალნის ბაჟი ცხენის საპალნესთან შედარებით 1,5—2 ჯერ მეტი გამოდის<sup>245</sup>. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქლემის საპალნეც ცხენის საპალნის ზომასთან შედარებით 1,5—2 ჯერ მეტი იყო და თუ ამ უკანასკნელს საშუალოდ 147 კგ-ით ვიანგარიშებთ აქლემის საპალნე 224—294 კგ შუა არის სავარაუდო.

ახლა შევეუდაროთ ამ მონაცემებს ქართული წყაროების ცნობები ღვინის საპალნის შესახებ.

1798 წ. 22 ნოემბრით დათარიღებულ სულხან თუმანიშვილის

<sup>241</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>242</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557—558; საქართველოს კალენდარი 1892 წ., გვ. 131; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 184—185; ლეჩხუმელი მთხრობელის გადმოცემით „საპალნე რვა ფუთიც ქვეა. მეტი ათფუთიანზე არ შეიძლება ცხენზე მოსაყიდებლათ“. ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., იქვე. 10 ფუთი ცხენის საპალნისათვის მაქსიმუმი იყო.

<sup>243</sup> ქართული სამართლის ძეგლები; ტ. II, გვ. 284.

<sup>244</sup> ი ქ ე ე, გვ. 285.

<sup>245</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ საქონელზე, როგორც იყო ბამბა და ურდვარის ფარჩა, ბაჟი აქლემის და ცხენის საპალნეზე ერთნაირად აიღებოდა (დასტურლამალი, გვ. 284). მაგრამ სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, დატული იყო ბაჟის ზემოაღნიშნული პროპორცია.

ერთ წერილში მოხსენიებულია „ოთხმოცის თუნგის საპალნე“<sup>246</sup>, რაც 272 ლ-ს გვაძლევს. თუ გავიხსენებთ, რომ 4 თუნგი იყო 1 კოკა, კოკის 10 ლიტრიანობის კვალობაზე ამ საპალნეში შემავალი საწყაობების ერთობლიობა ასე წამოგვიდგება:

					ცხრილი XI
ს ა პ ა ლ ნ ე	1				
კოკა	8	1			
ჩაფი	32	4	1		
თუნგი	80	10	2 1/2	1	
ჩარეჭა	320	40	10	4	1

ლ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, XIX ს. დასაწყისში იმერეთში საპალნე (საპანე) 6 თორმეტლიტრიან კოკას შეადგენდა<sup>247</sup>. სხვა მასალით, 1808 წ. იმერეთის ფასების ნიხრით ირკვევა, რომ აქ „ღვინო საპანე სამ მარჩილათ და სამი დოქი ერთ რუბათ“ იყიდებოდა<sup>248</sup>. აქედან ცხადია, რომ საპალნეში 36 დოქი შედიოდა, ხოლო რადგანაც ამავე ნიხრში დოქი 2 ლიტრიანია<sup>249</sup>, აშკარაა, რომ საპალნეში 72 ლიტრა შედიოდა (საპალნე = 12 კოკას = 36 დოქს = 72 ლიტრას). ამრიგად ასეთი საპალნე 227 ლ გამოდის.

XIX ს. 30-იან წლებში თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით კახეთში საპალნე ურემის 1/3 იყო და 81 თუნგს უდრიდა<sup>250</sup>, ორესტ ევეცკის თანახმად კი 28 ჩაფს შეადგენდა, ხოლო ჩაფი — 3 თუნგს<sup>251</sup>. ე. ი. საპალნეში 84 თუნგი შედიოდა. ასეთი საპალნე საშუალოდ 280 ლ იყო.

										ცხრილი XII
ღვინის საპალნის სისტემა აღმ. საქართველოში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში, თეიმურაზ ბაგრატიონის და ორესტ ევეცკის ცნობებით										
ს ა პ ა ლ ნ ე	1				ს ა პ ა ლ ნ ე	1				
(კოკა)	6	3/4	1)		კოკა	7	1			
ჩაფი	27	4	1		ჩაფი	28	4	1		
თუნგი	81	12	3	1	თუნგი	84	12	3	1	
ჩარეჭა	324	48	4	4.1	ჩარეჭა	336	48	16	4.1	

<sup>246</sup> შამისა ბერძნიშვილი, მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა), გვ. 176.

<sup>247</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

<sup>248</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 261.

<sup>249</sup> იქვე, გვ. 262.

<sup>250</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 46.

<sup>251</sup> О. Е в е ц к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

ამრიგად, როგორც ვხედავთ XVIII—XIX ს. I მესამედის ცნობებით ღვინის საპალნეს სიდიდე ფაქტიურად მოდის იმ მონაცემებზე, რომლებითაც განისაზღვრება აქლემის საპალნე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დასტურლამალი“ ცხადყოფს, რომ არსებობდა ჯორის, ვირის და ჯარის საპალნეებიც.

1736 წ. ქალაქის ბაჟის, ყაფნის და ციხის კარის შართლამაში ნათქვამია, რომ ხმელი ტყავის ბაჟი ცხენის, ჯორის და ხარის საპალნეზე იყო 5 შაური. ვირის საპალნეზე კი — 2 შაური, 1 ბისტი და 1 ფული. ასევე იყო ენდროსა და მატყლზე, ხოლო კიტრზე შესაბამისად 12 და 6 შაური<sup>252</sup>.

ამ ცნობებით არა მარტო ის შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხენის, ჯორის და ხარის საპალნე მეტნაკლებად ერთი სიდიდისა იყო, არამედ ისიც, რომ ვირის საპალნე მათ 2—2,5 ჯერ ჩამორჩებოდა. ცხენის საპალნეს თუ 147 კგ-ით განესაზღვრავთ, ვირის საპალნე საშუალოდ 65 კგ-ით უნდა ვიანგარიშოთ.

სხვადასხვა საპალნეთა ჩვენ გაანგარიშებებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან მათ გამოყენებას ართულებს ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში, როგორც წესი, ამა თუ იმ გამოსაღების განსაზღვრის დროს საპალნის სახეობა მითითებული არ არის.

უშუალოდ ირანის გავლენით დამკვიდრდა საქართველოში საპალნის ერთი სახეობა — ხ ა რ ვ ა რ ი.

სიტყვა-სიტყვით სპარსულში ხარვარი აღნიშნავს „ვირის ტვირთს“, მაგრამ ირანში სხვადასხვა დროს ის გამოიყენებოდა არა მარტო ვირის, არამედ ჯორის, ცხენის და მსხვილფეხა რქიანი საქონლის ტვირთის აღსანიშნავადაც. ვ. ჰინცის თანახმად, XIV ს. შუა ხანებიდან ხარვარი განისაზღვრა 100 დიდი მანით — ანუ 288 კგ-ით<sup>253</sup>.

საქართველოში ამ საზომს, თუ ადრე არა, XVI ს. ბოლოდან მაინც იცნობდნენ. ჩვენ ხელთა გვაქვს 1591 წ. ალექსანდრე II-ის ბრძანება ნინოწმინდელი ვაჭრის ერთი საპალნე აბრეშუმის დამლისგან განთავისუფლების შესახებ, როგორც სპარსული ისე ქართული ტექსტი. სპარსულში ქართულ საპალნეს ხარვარი შეესატყვისება<sup>254</sup> და ეს შემთხვევითი არ არის. ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები აღმოსავლურ-ქართული საპალნის ზომა უახლოვდება ხარვარის ზემომოტანილ მნიშვნელობას.

<sup>252</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 393.

<sup>253</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>254</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 43.

ხარვარი მტკიცედ მკვიდრდება საქართველოში XVIII ს.-დან<sup>255</sup>. ქართულ წყაროებში ის სპარსულის ანალოგიით 100 ლიტრით არის განსაზღვრული<sup>256</sup>. მაგრამ ლიტრის ზრდის გამო ხარვარიც ზრდას განიცდიდა. თუ XVIII ს. I ნახევარში ის 300 კგ-ს შეადგენდა, XVIII ს. II ნახევარში დამრგვალებულად 340 კგ იქნებოდა...

აღსანიშნავია, რომ XIX ს. 40—50-იან წლებში აღმ. საქართველოში საპალნის დიდ ზრდას ვხედავთ<sup>257</sup>. XIX ს. მასალებით აქ საპალნე შეიძლება 368 ლ-ით განისაზღვროს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ქართული საპალნეს ქვეშ უკვე ხარვარის სიდიდე იგულისხმებოდა.

აღმ. საქართველოსაგან განსხვავებით აღნიშნული ზანის დასავლეთ საქართველოში საპალნის ზრდა არ შეიმჩნევა.

XV—XVIII სს. საბუთებში დადასტურებულია საპალნეს პარალელური ტერმინი „ტ ვ ი რ თ ი“. ივ. ჯავახიშვილისა<sup>258</sup> და ს. კაკაბაძის<sup>259</sup> აზრით, საპალნე და ტვირთი ექვივალენტებია. აღნიშნული მოსაზრება სავსებით მისაღებია და მას ანალოგია შეიძლება აღმოსავლურ მეტროლოგიაშიც მოუძებნოთ. ასე, მაგ., არაბ. حلال — ჰიმილი ტვირთი შესატყვისებოდა ვ ა ს კ ს — აქლემის ტვირთს, აქლემის საპალნეს<sup>260</sup>.

საპალნესთან არის დაკავშირებული აგრეთვე საზომი — ც ა ლ ი, რომელიც გვხვდება XIII—XVIII სს. წყაროებში<sup>261</sup>.

მ. ბერძნიშვილის ზუსტი განმარტებით ცალი არის „საპალნის ნახევარი, ცხენზე, ვირზე და მისთანაზე აკიდებული ტვირთის ნახე-

<sup>255</sup> იხ. 1741 წ. თუმანიშვილების სურსათის ნუსხა ავშარის ქარისა, „მასალები... საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“. წიგნი III, გვ. 45; 1741 წ. მალუჯათის ნუსხა თუმანიშვილებისა, იქვე, გვ. 47; 1790 წ. 1 მისის პურის და ქერის ანგარიშგასწორების წიგნი, იქვე, გვ. 84.

<sup>256</sup> იხ. 1745 წ. მალუჯათის ნუსხა თუმანიშვილებისა, „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი III, გვ. 51; თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>257</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560—562. ნ. ხანიკოვის მონაცემები (2-დან 27 ფუთამდე) რამდენადმე გაზრდილი და გადაჭარბებულია. უფრო სანდოდ გვეჩვენება სხვა მასალები. იხ. საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131; Кавказский календарь на 1917 г., стр. 189.

<sup>258</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 76.

<sup>259</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული მეტროლოგია, გვ. 83.

<sup>260</sup> Al-K h o w a r e z m i, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

<sup>261</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 76.

ვარი, ცალ მხარეზე აკიდებული<sup>262</sup>. ცალობით იზომებოდა ყველა ის საქონელი, რომელიც იზომებოდა საპალნეებით.

თუ ცალი საპალნის ნახევარი იყო, საპალნის მეოთხედს ცალბარი ეწოდებოდა. ეს ტერმინი დადასტურებულია ს.—ს. ორბელიანის ლექსიკონში<sup>263</sup>.

ს ა ც ი ქ უ ე ლ ი

ლომის საზომად გვხვდება მხოლოდ 1549 წ. ჭავახ ჭილაძის სიგელში<sup>264</sup>. მაგრამ აქაც მისი ოდენობა ფიქსირებული არ არის.

ს ა ღ ვ ი ნ ე

ზოგადი მნიშვნელობით საბას განმარტებით „საღვინენი არიან: სურა, საწდე, ქიშა, ფარჩი და მისთანანი. ქურნი და წედანიცა საღვინედ ითქმიან“<sup>265</sup>. მაგრამ კონკრეტული მნიშვნელობით საღვინე ღვინის საწყაოც იყო. „დასტურლამალში“ ნათქვამია, რომ კავთის-ჩევის მოურავის სარგოდ საააზალწლოდ კომლზედ „ღვინო თვითო საღვინე“ უნდა აღებულიყო<sup>266</sup>.

საღვინე თუნგისა და ლიტრის ტოლფას საწყაოს წარმოადგენდა<sup>267</sup>.

ს ა წ ყ ა ვ ი

ღვინის საზომად გვხვდება XVI—XVIII სს. დასავლეთ საქართველოში<sup>268</sup>. საწყავი უპირატესად გურიაში იყო მიღებული, თუმცა დადასტურებულია მისი გამოყენება იმერეთსა და ოდიშშიც<sup>269</sup>. XIX ს. I ნახევრის მასალებით საწყავი გურიაში 30 „ბუტილკას“ ანუ 18,4 ლ-ს შეადგენდა<sup>270</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ გურიაში გავრ-

262 მ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, თბილისი, 1957, გვ. 49; „ცალი“ რომ საპალნეს ნახევარია. კარგად დასტურდება 1801 წ. ერთი საბუთით: „იმით ვისაც ვენახი აქვთ კულუხი ძქვე(ეს) მთელ საკომლოზე ერთი ცალი ღვინო, რომ იქმნება სამოცი მთელი საკომლოს ღვინო წელწაღში ერთი საპალნე“. საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. 295.

263 „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 330.

264 ივ. ჭავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 92.

265 „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 64.

266 ივ. ჭავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 86.

267 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47; შდრ. ლ. ბოქორიშვილი, ქართული კერამიკა, გვ. 210.

268 ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

269 1578 წ. დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი. ზეგარისა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 317; 1616—1621 წწ. საციშლოს გამოსავალი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 453.

270 Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.



ცელებული იყო აგრეთვე ჩაფი და დოქი, საწყავის სისტემა ასე წარმოგვიდგება:

ცხრილი XIII			
ს ა წ ყ ა ვ ი	1		
ჩ ა ფ ი . .	2	1	
დ ო ქ ი	6	3	1

ს ო მ ა რ ი

ტერმინი და საზომი სომხური წარმომავლობისაა. სომხეთის გარდა გავრცელებული იყო ის ოსმალეთის ზოგიერთ პროვინციაშიც. სომარი დამკვიდრდა სამხრეთ საქართველოში — ახალციხის მაზრაში, სადაც ის XIX ს. მასალებით 16 კოდს<sup>271</sup> ან 288 კგ-ს შეადგენდა. ცხადია, რომ სომარი უფრო საანგარიშო ერთეული იქნებოდა, ვიდრე რეალური საწყაო.

ცხრილი XIV			
მარცვლეულის საწყაოთა სისტემა სამხრეთ საქართველოში XIX ს. მასალებით.			
ს ო მ ა რ ი	1		
კ ო დ ი	16	1	
რ უ ბ ი	64	4	1

ტ ა გ ა ნ ა ქ

საბაჟ ცნობით მარცვლეულის ეს საწყაო კოდის 1/8-ს<sup>272</sup> ე. ი. 1,25 ლიტრას, ანუ 3,75 კგ შეადგენდა. სხვა წყაროებში ის არა გვხვდება, მაგრამ ეთნოგრაფიულ ყოფაში აღმ. საქართველოში ეს სახელი შემორჩა ხის ჭურჭელს<sup>273</sup>.

უ რ ე მ ი

ერთ-ერთი უძველესი საზომია, საბუთებში გვხვდება XIII ს-დან<sup>274</sup>. გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ურმით იზომებოდა ყველაფერი, რაც კი მისი საშუალებით შეიძლებოდა გადატანილიყო, იქნებოდა ეს ლეინო, შეშა, ფიჩხი, ძნა, ხმელი თევზი თუ სხვ.<sup>275</sup>

<sup>271</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, гл. 559. ამ საზომს იხსენიებს ჟურნალში XVII ს-ში პოეტის ნოდარ ციციშვილი — „თუალ მარგალიტნი, გოარი, ამბარი ათი სომარნი“ — ნოდარ ციციშვილი, შეილი მთიები, ბარამ გური, პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევით და ლექსიკონით, თბილისი, 1930, გვ. 19., მაგრამ სხვა ქართულ წყაროებში ის არა ჩანს და ამდენად, სამხრეთ საქართველოს გარდა ამ საზომის გავრცელების შესახებ მსჯელობა არ შეგვიძლია.

<sup>272</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 382.

<sup>273</sup> ქ. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები, გვ. 86.

<sup>274</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა გვ. 77.

<sup>275</sup> ი ქ ე ე.

დასავლეთ საქართველოში ურემი და მისი პარალელური ფორ-  
მა უ რ მ ო უ ლ ი, ან უ რ მ ე უ ლ ი — ფეტვის, თივის, ღომის, ბზის  
და სხვ. საზომდაც ჩანს<sup>276</sup>.

ურემი არაერთგვაროვანი სიდიდის საზომი იყო.

1578 წ. ქუთაისის საყდრის გამოსავალში ნახსენებია ღომის  
ურემი „ოცდაოთხი სანაოთხალო“<sup>277</sup>.

თავის დროზე ივ. ჭავჭავიძემ „ნაოთხალი“ XVIII ს. ბოლო  
მეოთხედის ჩარექად მიიჩნია და ურემის ზომა 48 გირვანქით იანგარი-  
შა<sup>278</sup>. ს. კაკაბაძემ კი ნაოთხალი კოდს გაუტოლა და ურემის სიდი-  
დე 216 ლიტრით განსაზღვრა<sup>279</sup>.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ნაოთხალი აღნიშნული ხანის იმერეთ-  
ში კოდის მეოთხედს (და არა კოდს) შეადგენდა. ამდენად 24 სანა-  
ოთხალო ურემი 6 კოდის დამტევობის გამოდის და თუ ამ კოდს 10  
ლიტრის კვალობაზე ვიანგარიშებთ (ხოლო, ლიტრას კი — 1,8 კგ-  
ით), მაშინ ამ ურემის ზომად 108 კგ-ს მივიღებთ. მაგრამ ამ მონაცემის  
სხვა კუთხეებზე განზოგადება არ შეიძლება. მ. გეგეშიძის დაკვირ-  
ვებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახის ურემი  
გამოიყენებოდა. ამასთან ტვირთზიდვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობ-  
ი ფაქტორი იყო რელიეფური პირობები. ასე, მაგ., კახეთსა და ქი-  
ზიყში ურემის ტვირთზიდვა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქართ-  
ლური ურემისას<sup>280</sup>.

ეს არის ალბათ მიზეზი იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში  
ურემის ზომად ვხვდებით სრულიად სხვადასხვა მონაცემებს, რომელ-  
თა გაანგარიშება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა შე-  
დეგს იძლევა<sup>281</sup>. მაგრამ, ვფიქრობთ, XVIII ს-ში აღმ. საქართველო-  
ში მაინც ადგილი უნდა ჰქონოდა ურემის, როგორც საზომის გარკვე-  
ულად ფიქსირებას. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ურემი სამ  
საპალნე (ღვინოს) შეადგენდა<sup>282</sup>. XIX ს. სხვა მასალებითაც აღმ. სა-

<sup>276</sup> ივ. ჭავჭავიძე ი. ქართული საფას-საზომთა მკვლევარია. გვ. 77.

<sup>277</sup> ი ქ ვ ე, გვ. 117.

<sup>278</sup> ი ქ ვ ე.

<sup>279</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 82.

<sup>280</sup> მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახელოო საზიდი  
საშუალებანი, თბილისი, 1956, გვ. 121. მ. გეგეშიძის დაკვირვებით ქართლის  
გეოგრაფიულად შეზღუდულ ადგილებში ტვირთზიდვა ურემისათვის საშუალოდ 30  
ფუთის ფარგლებში ტრიალებდა. შიგნით კახეთს და ქიზიყში კი, სადაც ადგილმდებ-  
არებო ტვირთზიდვის ხელშემწყობია ურემზე 120 ფუთსაც უღებდენ.

<sup>281</sup> იხ. ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 82.

<sup>282</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 46.

ქართველოში ურემი სამ საპალნეს უდრის<sup>283</sup>. ამდენად XVIII ს-ში ურემის საშუალო, სავარაუდო ზომად შეიძლება 822 კგ/ლ მივიღოთ, ხოლო XIX ს-ში კი — 1080 კგ/ლ. ამ უქანასკნელ მონაცემს კარგად უდგება მ. გეგეშიძის მიერ ეთნოგრაფიულ მასალებზე მიღებული დასკვნა, რომ ურემზე დადებული გადასახიდი ტვირთის საშუალო წონა 65 ფუტს (1064 კგ) შეადგენდა<sup>284</sup>.

### ფ ა რ ჩ ი

ს. — ს. ორბელიანი ფარჩს მომცრო საღვინეს უწოდებს. მას ეს სიტყვა სომხურად მიაჩნია და მის ქართულ შესატყვისად კუტალს ასახელებს<sup>285</sup>.

საწყაო ფარჩი გვხვდება XV ს. ქართლის ერთ საბუთში. აქ ნახსენებია „ორმოცფარჩიანი ჭური“<sup>286</sup>. მის განსაზღვრას კი მხოლოდ თეიმურაზ ბაგრატიონი იძლევა. ფარჩი ჩარქქას ტოლფასი საწყაო ყოფილა, ე. ი. 0,8 — 1 ლ-ს უდრიდა<sup>287</sup>.

ფარჩი XIX ს-ს I ნახევარში საწყაოდ ჩანს საქართველოს მეზობელ ყარაბაღში, სადაც ის 3 13/16 რუსულ „ფუნტს“, ან 1,56 კგ შეადგენდა<sup>288</sup>.

### ფ ი ს ო ს ი

სიტყვა სპარსულია (چوب) და რკინის ან სპილენძის ფიალას ან ჯამს ეწოდება<sup>289</sup>.

X ს. ოშკის ტაძრის წარწერაში ფისოსი პირველად არის მოხსენიებული ღვინის საწყაოდ<sup>290</sup>. უფრო გვიან, „დასტურლამალში“ ფისოსი ქონის საზომ კურტულად ჩანს<sup>291</sup>, მაგრამ არცერთ შემთხვევაში მის ტევადობის განსაზღვრა არა ხერხდება<sup>292</sup>.

### ფ ო ხ ა ლ ი

ამ საწყაოს გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა.

<sup>283</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 561, 562; საქართველოს კალენდარი 1879 წლისა. ტფილისი, 1879, გვ. 42; საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 108.

<sup>284</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>285</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV.) გვ. 185, გვ. 521.

<sup>286</sup> ქრონიკები, ტ. II, გვ. 224.

<sup>287</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>288</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая мерология, стр. 15).

<sup>289</sup> ივ. ჯაფარიძე, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 89.

<sup>290</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 49.

<sup>291</sup> ივ. ჯაფარიძე, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 87.

<sup>292</sup> XVIII ს. საბუთებში ფისოსი ხშირადაა დასახელებული კურტულის მნიშვნელობით, მაგ., სია ვახუშტი ორბელიანის მოძრავი ქონებისა, „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 214.

ის გავრცელებული იყო იმერეთში უკვე XVI ს. ბოლოს ლომია საწყაოდ (1578 წ. ქუთაისის საყდრის გამოსავალის დაფურის მიხედვით)<sup>293</sup>. ლომის საწყაოდ ჩანს ფოხალი იმერეთთან დაკავშირებულ (XVIII ს.) სხვა საბუთებშიაც<sup>294</sup>. XVI ს. მიწურულის ცაგერის საყდრის გამოსავლის დავთარი მოწმობს ფოხალის მარცვლეულის საწყაოდ გამოყენებას ლეჩხუმში<sup>295</sup>. პურის საწყაოდ ჩანს ფოხალი ლეჩხუმში XVII ს-იც, 1656 წ. გაბრიელ ცაგარელის მიერ ხეამლის ეკლესიისადმი შეწირულების წიგნში („ორი ფოხალი პური“<sup>296</sup>).

XVIII ს. წერილობითი წყაროების მიხედვით ფოხალი მარცვლეულის საწყაოდ გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში<sup>297</sup>, ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ ფოხალის გავრცელებას თბილისის და მცხეთის რაიონებში<sup>298</sup>. საბას ფოხალი კოდის სისტემაში შეაქვს და ქილაკს (იხ.) უიგივებს. ამასთან ლექსიკოგრაფი აღნიშნავს „ფოხალი ქართული არ არის“ და „უქმარცა“<sup>299</sup>, რაც არასწორია, ვინაიდან, როგორც მანამდე, ისე საბას შემდეგ, ფოხალი ფართოდ იხმარებოდა ჩვენში.

მარცვლეულის გარდა ფოხალით წყავდნენ სითხეს — ღვინოს. XVII ს-დან ის დადასტურებულია ოდიშში (აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის დავთრის, საცაიშლოს გამოსავლის დავთრის და სხვ. მიხედვით)<sup>300</sup>.

„დასტურლამალის“ ანალიზის საფუძველზე ივ. ჭავჭავაძის მიერ ფოხალის სიდიდე 5 ლიტრით<sup>301</sup> — ე. ი. 15 კგ-ით განსაზღვრა, რაც კარგად უდგება საბას განმარტებას, რომ ქილაკი — ფოხალი უდრე-

<sup>293</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 299

<sup>294</sup> ი ქ ე ე, გვ. 923; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართულ. საფას-საზომთამყოფნობა, გვ. 80.

<sup>295</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 374.

<sup>296</sup> ი ქ ე ე, 521.

<sup>297</sup> დასტურლამალი, გვ. 306, 309; იხ. აგრეთვე 1801 წ. ბრძანება ანტონ II-ისა ზაზა ეგაძისადმი ღალის მიზარების შესახებ, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 1065.

<sup>298</sup> ჯ. ს. ო. ნ. დ. უ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., მემინდვრეობასთან დაკავშირებული ხის საწყაოები, გვ. 288.

<sup>299</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 198.

<sup>300</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 413, 439, 473, 479, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა, გვ. 151, № 157.

<sup>301</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

და 10 ლიტრიანი კოდის ნახევარს<sup>302</sup>. მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ საწყაოს უფრო მცირე ტევადობა ჰქონდა.

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, იმერეთში 2 ფოხალი ნახევარ კოდს შეადგენდა<sup>303</sup>, ე. ი. კანონიკური კოდის საფუძველზე ფოხალი 2 1/2 ლიტრით იანგარიშებოდა. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობის გაუთვალისწინებლად ანალოგიური დასკვნა გამოიტანა XVIII ს. იმერეთის საბუთების ანალიზით ლ. მუსხელიშვილმა<sup>304</sup>. ამასვე ადასტურებს კ. ვორონკევიჩ-ბასსანცი, რომლის მიხედვითაც ფოხალი იმერეთში იყო კოდის 1/4.

ცხრილი XV				
მარცვლეულის საწყაოთა სისტემა იმერეთში თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით (XVIII ს. ბოლო—XIX ს. 1 მესამედი)				
კოდის . . . . .	1			
ქასრი . . . . .	2	1		
ფოხალი . . . . .	4	2	1	
ქასრულქა . . . . .	16	8	4	1

ამდენად XVIII ს-ში ფოხალის წონით ოდენობად იმერეთში შეიძლება მივიღოთ საშუალოდ 7,5 კგ. დაახლოებით ამავე სიდიდეს იძლევა XIX ს. 40-იანი წლებისათვის კ. ვორონკევიჩ-ბასსანცი იმერული ფოხალისათვის<sup>305</sup> და XIX ს. სხვა მასალები.

ლეჩხუმში, როგორც ეს გარკვეული აქვს ნ. ბრეგაძეს, ფოხალი შეადგენდა გოროს ნაოთხალს<sup>306</sup>. ამდენად ლეჩხუმური ფოხალი წონით უახლოვდება იმერულს. გარდა ამისა, XIX ს. მასალებით ფოხალი ჩანს რაჭაშიც, ასევე პურის საწყაოდ და იქ ნაოთხალის ნახევარია<sup>307</sup>. ვინაიდან ნაოთხალი 8—10 კგ-ს შეადგენდა, ეს ფოხალი საშუალოდ შეიძლება 4,5 კგ-ით ვიანგარიშოთ.

რაც შეეხება სამეგრელოს, აქ ფოხალი XIX ს-ში 15 „ფუნტიანი“ საწყაო იყო<sup>308</sup>, ე. ი. 6 ლ ღვინოს იტევდა.

ფსოშიარე

ლომის საწყაოდ ეს საზომი გვხვდება მხოლოდ 1578 წ. ქუთაი-

<sup>302</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>2</sub>), გვ. 198.

<sup>303</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>304</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

<sup>305</sup> К. Воронкевич-Бассанц, დასახ. ნაშრ., გვ. 402.

<sup>306</sup> ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

<sup>307</sup> იქვე; საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131.

<sup>308</sup> საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131.

სის საყდრის გამოსავლის დაეთრის ბოლო ნაწილში<sup>309</sup>. ეს ნაწილი ეგება გურიის, უმთავრესად სოფ. ბახვის მეკომურთა გამოსაღებს და ამდენად გურული საწყაოა<sup>310</sup>. ფსომიარეს ოდენობა მართალია აქ განსაზღვრული არ არის, მაგრამ ეს უნდა იყოს იგივე მ ს უ მ ი ა რ ე, რომელიც გურიის მეზობელ ჭანეთში XX ს. დასაწყისამდე შემორჩა. მსუმიარე (ფსომიარე) 20—30 ოყას<sup>311</sup>. ან საშუალოდ 30 კგ შეადგენდა<sup>312</sup>.

### ქ ი ლ ა

ტერმინის ძირი არაბულია (ზმნა ქს ნიშნავს გაზომვას<sup>313</sup>). ამ საწყაოს შემოღება და დამკვიდრება ირანში ყაზან ყაენს მიეწერება XIV ს. დამდეგს. აქედან ის გავრცელდა ოსმალეთში და ოსმალეთიდან კი დასავლეთ საქართველოში, სადაც ქილა XVI ს-დან გვხვდება<sup>314</sup>.

ქილის განსაზღვრის შესაძლებლობა უფრო ნაგვიანევი მასა-

<sup>309</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 335—337.

<sup>310</sup> ი ქ ვ ე. გვ. 1161; დაეთრის ეს ნაწილი ს. კაკაბაძის აზრით, შედგენილი უნდა იყოს მე-14—15 სს-ს მიჯნაზე. ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქუთაისის საყდრის დაეთრის უძველესი ნაწილი, „საისტორიო მოამბე“, წ. I, 1925, გვ. 217. ო. დოლიძე ვარაუდობს, რომ დაეთრის ეს ნაწილი შედგენილია არა უადრეს XV ს-ისა (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1161). ს. კაკაბაძის მოსაზრების ერთი არგუმენტი-თავანი იყო ძეგლის ამ ნაწილში დასახელებული ფულის ერთეუ ლ ი ჩ ი ო ა ხ ე რ ი. „შეიძლება ჩითახური ყოფილიყო მე-14-15 საუკ. ცხუმერთან ან კირმანელთან (ქართული ფულის ნომინალებია, — გ. ქ.) ახლო მდგარი ერთეულიო“ — წერდა მკვლევარი (დასახ. ნაშრ., გვ. 246—247). ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ ჩითახური პირველი XV ს. დათარიღებულ ერთ საბუთში ჩანს (С. С. К а к а б а ძ е, Грузинские документы Института Востоков, Азии, Москва, 1937, стр. 185, № 256), ხოლო, უკანასკნელად კი—XVII ს. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბილისი, 1926, გვ. 107). ამდენად ამ ტერმინის მიხედვით დაეთრის აღნიშნული ნაწილი და ფსომიარეს გავრცელებას ხანაუ გურიამ: XV—XVII სს-ში თავსდება.

<sup>311</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქუთაისის საყდრის უძველესი ნაწილი, გვ. 215.

<sup>312</sup> რაც შეეხება ტერმინს, მისი წარმოშობა-წარმომავლობა სადაოა. იე. ჯ ა ვ ა - ხ ი შ ვ ი ლ ი, მას ბერძნულ „ფ ს ო მ ი ო ნ ს“ („ლუკმა პურისა“) უკავშირებდა (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 143), ხოლო ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე კი სომხურ სომარის (ქუთაისის საყდრის დაეთრის უძველესი ნაწილი, გვ. 244).

<sup>313</sup> X. К Б а р а н о в, Арабско-русский словарь, Москва, 1953, стр. 964. ამ ძირიდან არის ნაწარმოები არაბულში ტერმინ „ს ა წ ყ ა ო ს“ აღნიშნული სიტყვები—*كيل* (მრ. *اكياس*) და *مكياس* (მრ. *مكاييل*) და აგრეთვე მთელი რიგი სხვა საწყაოებიც: *كيلجة*, *كيل* და სხვ.

<sup>314</sup> იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 80.

ლებით შეიძლება. 1808 წ. დას. საქართველოს ერთ საბუთში დასახელებულია „პური ორი ბათმანი — ერთი ქილა“<sup>315</sup>. ორი ბათმანით საზღვრავს ქილას ნ. ხანიკოვიც<sup>316</sup>.

თუ დას. ქართულ ბათმანს 7,3 კგ-ით განვსაზღვრავთ, ქილისათვის XIX ს. დასაწყისამდე მივიღებთ 14,6 კგ-ს, ხოლო XIX ს. 50-იანი წლებისთვის კი დამრგვალებულად 16 კგ-ს.

აღმ. საქართველოში ეს საზომი არა ჩანს. ქართლში ქილა მხოლოდ კურტკლის მნიშვნელობით იხმარებოდა და იხმარება.

### ქ ი ლ ა კ ი

ტერმინი უყავშირდება ასევე არაბულ ზმნა ქ-ს. თვით საზომი, საფიქრებელია, ქართულ ნიადაგზე წარმოიშვა. ს. — ს. ორბელიანს ეს საწყაო კოდის სისტემაში შეაქვს და მის ნახევრად მიაჩნია<sup>317</sup>. ამასთან ლექსიკოგრაფი ქილას ფოხალს უიგივებს. საბას თუ აღმ. ქართული ფოხალი ჰქონდა მხედველობაში, ქილაკი 15 კგ შეესაბამება, რაც ზომით უახლოვდება დას. საქართველოს ქილას. სხვა წყაროებში ან ეთნოგრაფიულ მასალებში ქილაკი საზომად არ შეგვხვებდრია.

### ჩ ა ნ ა ხ ი /

ტერმინი თურქულია და აღნიშნავს კურტკელს, კალათს<sup>318</sup>, მაგრამ საზომი, ვფიქრობთ, ქართულ ნიადაგზეა შექმნილი. საბა მის ქართულ შესატყვისად მოდას ასახელებს და ამ უკანასკნელს კი განმარტავს როგორც დიდ პინას<sup>319</sup>.

თავდაპირველად ჩანახსს იხსენიებს დაუდ ხანი თავის „იადვარ დაუდში“ (XVI ს. II ნახევარი<sup>320</sup>), მაგრამ ეს საწყაო ფართოდ გავრცელებული ჩანს ქართლში მხოლოდ XVIII ს-ში<sup>321</sup>. იოანე ბაგრატიონის თანახმად ჩანახი გამოიყენებოდა ფქვილის საზომად და იყო „სიგრძითა და სიგანით ერთი ფეხის ნების ოდენი, ხოლო სიმალლით კუნთამდის სიმაღლე“<sup>322</sup>.

ჩანახის განსაზღვრის რეალური შესაძლებლობა XIX ს-მდე არა გვაქვს. XIX ს. მასალებით კი ქართლში ორგვარი ჩანახი ყოფი-

<sup>315</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 261.

<sup>316</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 558.

<sup>317</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.), გვ. 383; (ტ. IV.) გვ. 226.

<sup>318</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 89.

<sup>319</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV.) გვ. 314.

<sup>320</sup> იადივარ დაუდი, გვ. 408.

<sup>321</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88; XVIII ს. II ნახევრის დევთარი სამთავისის გამოსავლისა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 1044.

<sup>322</sup> ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, კალმასობა, გვ. 33.

ლა გავრცელებული: დიდი, 8 კგ-იანი — გორის მაზრაში და პატარა 9—10 გირვანქიანი, საშუალოდ 4 კგ — თბილისის მაზრაში<sup>323</sup>. ეს უკანასკნელია ე. წ. ჩ ა ნ ა ხ ი - ლ ი ტ რ ა, რომელიც კოდის 1/8-ს შეადგენდა.

### ჩ ა რ ე ქ ა

საწყაოთა სისტემაში ჩარეკი თუნგის მეოთხედს შეადგენდა და სითხის საზომად გამოიყენებოდა. ამ მნიშვნელობით ის XVIII ს-დან გვხვდება და უკვე XIX ს-ში გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოშიც (კერძოდ — შორაპნის და რაჭის მაზრებში). XVIII—XIX სს-ში ამ საწყაოს ტევადობა საშუალოდ 0,8—1 ლ-ს შეადგენდა<sup>324</sup>.

### ჩ ა ფ ი

საბუთების მიხედვით ჩაფი პირველად ჩანს XIV ს. დასავლეთ საქართველოში<sup>325</sup>. XVI—XVIII სს-ში მან ფართო გავრცელება პპოვა მთელ საქართველოში<sup>326</sup>.

ტერმინი ჩაფი სომხურია და აღნიშნავს ზომას. სომხეთში ის საწყაოდაც გამოიყენებოდა და XIX ს. რუსული მასალებით ერევნის მაზრაში 1/4 რუსულ „ვედროს“<sup>327</sup>, ანუ 3 ლ შეადგენდა.

საქართველოში ჩაფის ტევადობის შესახებ XVIII ს-მდე ცნობები არ გავაჩნია. ს. — ს. ორბელიანი ჩაფის ტოლფას საწყაოდ მიიჩნევს დორაკსა და გუერდს და მას კოკის ნაოთხალად თვლის<sup>328</sup>.

საბას ცნობით, სწორე საწყაევი იყო ათლიტრიანი კოკა. ამდენად ჩაფის ტევადობა 2 1/2 ლიტრით ე. ი. 7,5 ლ განისაზღვრება. მაგრამ ჩაფი შეიძლება ვიგულისხმობთ 12 ლიტრიანი (თუნგიანი) კოკის მე-

<sup>323</sup> С. П. З е л и н с к и й, Объяснительный словарь, стр. 75. საქართველოს კალენდარი 1879 წლისა, ტფილისი, 1879, გვ. 42; საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131; Кавказский календарь на 1917, Тифлис, 1916, стр. 190; ან. ხ ა ნ ი კ ო ვ ი გ ო რ უ ლ ჩ ა ნ ა ხ ს 4,7 კგ-ით ანგარიშობს (О весах и мерах, стр. 561), მაგრამ ეს სხვა მასალებით არ დასტურდება. გორული ჩანახი რომ 8 კგ იყო ძველ ხალხს ახლაც ახსოვს (ინფორმატორი 62 წლის თელო იოსების ძე ბ ო რ ჩ ა ძ ე, გორის რ-ნ სოფ. ქორდიდან).

<sup>324</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 558.

<sup>325</sup> მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, თბილისი, 1964. გვ. 82.

<sup>326</sup> ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 86.

<sup>327</sup> Н. В о р о н к е в и ч-Б а с с а н и, დასახ. ნაშრ., გვ. 403.

<sup>328</sup> ლექსიკონი ქართული (ტ. IV), გვ. 383; გუერდი ზემოთ ჩვენ ცალკე განვიხილეთ. რაც შეეხება დ ო რ ა კ ს, მისი შეტანა ქართულ საზომთა რიცხვში არ შეიძლება. თეთრ საბა ლექსიკონის ერთ ნუსხაში წერს „ჩაფს დორაკი ეწოდება საღო წერილთა შინაო“. ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 383, B რედაქცია.



ოთხედადაც, რაც 3 ლიტრას (თუნგს) იძლევა. XIX ს. 30-იან წლებში თეიმურაზ ბაგრატიონისა<sup>329</sup> და ო. ევეცკის ცნობებით, ქართლ-კახეთში ჩაფი შეიცავდა 3 თუნგს<sup>330</sup> და 12 თუნგისანი (ლიტრიანი) კოკის მეოთხედს შეადგენდა. ასევე საზღვრავს ჩაფს ცოტა მოგვიანებით ნიკო ჩუბინაშვილიც<sup>331</sup>. ამდენად ჩაფის ტევადობა 3 თუნგისანობის კვალობაზე XVIII ს-ში დამრგვალებულად 9 ლ-ს, ხოლო XIX ს. I მესამედში 11 ლ-ს უდრიდა.

9,2 ლ-იანი იყო ჩაფი XIX ს. 50-იან წლებში იმერეთსა და გურიაში<sup>332</sup>.

საბას დროს 7,5 და 9 ლ-იანი ჩაფების გარდა არსებობდა უფრო მოზრდილი ჩაფიც. ლექსიკოგრაფი ერთგან ჩაფის წონით მნიშვნელობად 8 თუნტს ასახელებს<sup>333</sup>, რაც 4 ლიტრას, ან დღევანდელ 12 ლ-ს შეესაბამება. 4 თუნგისანი ჩაფს იხსენიებს ქართლ-კახეთში გავრცელებულად ნ. ხანიკოვი XIX ს. 50-იანი წლებისათვის<sup>334</sup>. ასეთი ჩაფი აქ სხვა მასალებით 20 „ბუტილკას“ ან 12,3 ლ იტევდა<sup>335</sup>.

ამ სამი მნიშვნელობიდან, ვფიქრობთ, დაკანონებული იქნებოდა 10 და 12 ლიტრიანი თუნგების სისტემაში შემავალი ჩაფები — 7,5—9 ლ ტევადობისა. ყოველ შემთხვევაში XIX ს. I მესამედის ჩათვლით საპალნესთან თანაფარდობაში (ცხრილი XII) ასეთი ჩაფები გვხვდება<sup>336</sup>.

### ჭ ა რ ი კ ი

ს. —ს. ორბელიანის თანახმად, ჭარიკი ზომით დორას ფარდი იყო<sup>337</sup>. სხვა წყაროებში ის არა გვხვდება, მაგრამ დღეისათვის ჭარიკი შემორჩენილია გურიასა<sup>338</sup> და აჭარაში. აჭარაში ეს არის თიხის ფართო ყელიანი ჭურჭელი წყლისა და ღვინისთვის<sup>339</sup>.

<sup>329</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის მიმოწერა, 46.

<sup>330</sup> О. Е в е д к и й, Статистическое описание, стр. 154—155.

<sup>331</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 430.

<sup>332</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557—558.

<sup>333</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>2</sub>), გვ. 315.

<sup>334</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560—562.

<sup>335</sup> С. П. З е л и н с к и й, Объяснительный словарь, стр. 111; Д. Ц х а к а я, История математических наук, стр. 124.

<sup>336</sup> ჩაფი XVIII ს-მდეც ზემოდასახელებული ტევადობის საწყაოდ არის საგულისხმო, თუმცა დრე, ის, შესაძლოა, არა 10 და 12 ლიტრიანი, არამედ უფრო მოზრდილი კოკის მეოთხედი იყო.

<sup>337</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV<sub>2</sub>), გვ. 383.

<sup>338</sup> ცნობა მოგვაწოდა პროფ. ალ. კალანდაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>339</sup> (ავტორთა კოლექტივი) ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, გვ. 662.

## ჭ ი კ ლ ა

საბას ლექსიკონში ჭიკლა დასახელებულია „კეცის (თიხის — გ. ჯ.) მცირე საღვინედ“<sup>340</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით კი ჭიკლა იყო მეოთხედი „ნახევარი ფარჩი-ჩარექასი“<sup>341</sup>, ე. ი. 0,1 ლ საშუალოდ. ქიზიყის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჭიკლა ეწოდება ჭურ-ქელს, რომელშიც ერთი ჭიკა ღვინო ჩადის<sup>342</sup>.

## ყ უ რ ი ა ნ ა . .

მარცვლეულის ეს საწყაო ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გამოიყენებოდა ლეჩხუმში და იწონიდა ნახევარ ბათმანს<sup>343</sup>, დამრგვალებულად 4 კგ-ს.

## წ ი ფ ხ ა ,

ფქვილის და მარცვლეულის ეს საწყაოც დადასტურებულია ლეჩხუმში. ის 2—4 კგ-ს შეადგენდა<sup>344</sup>.

## ჭ ე ლ ა დ ა

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, 1 ჯელადა ნახევარი თუნგის, ე. ი. 1,5—1,8 ლლ ფარდი იყო. ხელადაში ორი ჩარექა ჩადიოდა<sup>345</sup>.

საწყაო ჯელადა დამოწმებულია კახეთის ყოფაში. გვხვდება ის ზემოიმერეთში. აქ არსებობდა ჩარექიანი და ორჩარექიანი ჯელადა<sup>346</sup>.

## ჯ ა მ ი .

სიტყვა სპარსულია — چا. როგორც ჭურჭელი დადასტურებულია უკვე XII ს-ში, „ვისრამიანში“<sup>347</sup>. საწყაოს სახით (ლომის, პურის საზომად) გვხვდება XVI—XVII სს-ში იმერეთსა და ოდიშში<sup>348</sup>.

1578 წ. ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარში მითითებულია „საწყავი ხუთი თორმეტ ჯამ შემავალი“. ე. ი. საწყავში 14 ჯამი

<sup>340</sup> ლექსიკონი ქართული (ტ. IV ), გვ. 402.

<sup>341</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>342</sup> ნ ა ნ თ ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზის კულტურა ქიზიყში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი, 1960, გვ. 156.

<sup>343</sup> ნ . ბ რ ე გ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

<sup>344</sup> ი ქ ე ე, გვ. 183.

<sup>345</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 45.

<sup>346</sup> ლ . ბ თ კ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, I, კახური, გვ. 198; მისივე, ეთნოგრაფიული ნაწერები, ზემოიმერული კერამიკა, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VII, თბილისი, 1956, გვ. 35.

<sup>347</sup> „ვისრამიანი“, გვ. 264.

<sup>348</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 317, 405, 404—419, 422, 478—480. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 75 .

შედიოდა<sup>349</sup>. თუ საწყევს 18,4 ლ-ით განესაზღვრავთ, ჯამისთვის 1,3 კგ/ლ მივიღებთ.

ჭ ი ნ ი .

საბას განმარტებით, ჯინი არის გოლორ-მარხილი<sup>350</sup>. ჯინი იწნებოდა წნელისაგან, ან კეთდებოდა ფიცრისაგან და შემოიღებოდა ურემზე<sup>351</sup>. კახეთში ჯინი დღემდე გამოიყენება ხორბლის გადასაზიდად. ის 30 ფუთამდე<sup>352</sup>, ე. ი. 491 კგ-მდე მარცვლეულს იტევდა.

XVIII ს. ქართლში „დასტურლამალის“ მიხედვით ჩანს, რომ ჯინი გამოიყენებოდა პატივის ოდენობის საზომადაც<sup>353</sup>.



---

<sup>349</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 317.

<sup>350</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV ), გვ. 455.

<sup>351</sup> გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდერეობა კახეთში, გვ. 296.

<sup>352</sup> ი ქ ე ე.

<sup>353</sup> ი ე. ჯ ა ე ხ ი შ ე ლ ი, ქართული საფას-საზომთაშეცოდნეობა, გვ. 125.

## თ ა ვ ი IV

### სივრცის საზომი ერთეულები

სივრცის (სიგრძის, მანძილის, ფართობის) საზომ ერთეულებს როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ძველად „გასაზომი“, ან „საზომი“ ეწოდებოდა.

სიგრძის და მანძილის ძველი ქართული საზომები დასახელებული არიან ბიბლიის და სახარების ქართულ თარგმანებში, სამედიცინო ხასიათის შრომებში, ისტორიული და გეოგრაფიული მწერლობის ძეგლებში, სიველ-გუჯარებში და სხვ. ჩვენ უძველესად მიგვაჩნია ისეთი საზომები, როგორებიცაა: თ ი თ ი, გ ო ჯ ი, გ ო ჯ ე უ ლ ი, ც ი დ ა, მ ტ კ ა ვ ე ლ ი, მ ზ ა რ ი. ესენი დაკავშირებული არიან ადამიანის სხეულის ნაწილებთან. ანალოგიური მოვლენა კი შეიმჩნევა მრავალი სხვა ხალხების მეტროლოგიაში. ასე, მაგ., ქართულ წყრთას ტერმინოლოგიურად შეესატყვისება სანსკრიტული „პასტა“, ძვ. ეგვიპტური „მეხ“, ბაბილონური „ამმატუმ“, ბერძნული „პეხუს“, რომაული „კუბიტუმ“, არაბული „ზირა“, სპარსული „გაზ“ და სხვ. თითს — ბაბილონური „უბანუ“, ბერძ. „დაკტილ“, ლათ. „დიგიტუს“ და ა. შ.

ორიგინალური ქართული სიგრძის საზომების გვერდით ჩვენში მკვიდრდებოდა მეზობელი ხალხების საზომებიც. საქართველოს გზებზე, ალბათ უკვე IV—VI სს-დან, ბიზანტიასა და სპარსეთთან ურთიერთობის შედეგად გამოიყენებოდა მანძილის საზომები მილიონი და ფარსანგი, რომლებიც შეიძლება ითქვას, იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო საზომებად იყვნენ მიჩნეულნი. უცხოური (სპარსული და თურქული) სიგრძის საზომები ხშირად გვხვდება საბუთებში XVIII ს-ში, მაგრამ მათ არ ქონდათ ფართო გამოყენება და ცალკეული უცხოური ერთეულები მაშინ ქმნიდნენ გარკვეულ სისტემას, როცა ისინი ქართულ საზომებს შეესატყვისებოდნენ — მაგ. ჩარეჟი — მტკაველს. გოჯეული — გრეს, აღლი — გაზს.

თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოში მთლიანად თურქული საზომი სისტემა დაინერგა. ზოგიერთი საზომი აქედან, უკვე XIX ს-ში გავრცელდა დას. საქართველოშიც. ქართული მეტროლოგიის შესწავლის დროს, ცხადია, ვერც ამ საზომებს ავუვლით გვერდს.

სამწუხაროდ, XVIII ს-მდე ქართულ წყაროებში თითქმის არ აისახა ცალკეულ ქართულ საზომთა შორის ურთიერთმიმართება. ფარსანგისა და მილიონის შემთხვევებში, ცხადია, შეიძლება გამოვიყენოთ სპარსული და ბიზანტიური მეტროლოგიის მონაცემები, მაგრამ სხვა დროს, ქართულ საზომთა გარკვეული თანაფარდობის წარმოდგენა (აღლისა და წყრთის გამოკლებით) ბერხდება მხოლოდ XVIII ს. მასალებით.

ჩვენთვის უცნობია რაიმე ფაქტიური მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამა თუ იმ ერთეულის (უძველესი ქართული წყრთის გამოკლებით) განსაზღვრას. ასეთი მონაცემები მხოლოდ XVIII—XIX სს-ში გვაქვს, თუმც ვფიქრობთ, რომ სიგრძის საზომები, ისევე როგორც მათი სისტემები, ყველაზე ნაკლებ განიცდიდნენ ცვალებადობას.

სიგრძის, მანძილის თუ ფართობის საზომების გაანგარიშება რომ მოვახდინოთ, საჭიროა დავადგინოთ ერთი რომელიმე ერთეულის სიდიდე, რომლის საფუძველზეც განვსაზღვრაეთ სხვებსაც. ასეთი ერთეული არის ადლი, რომლის შესახებაც წერილობით წყაროებში ყველაზე მეტი ცნობა მოგვეპოვება.

ადლს უკავშირდება მთელი რიგი ერთეულებისა — წყრთა, მტკაველი, ციდა, გოჯეული, გოჯი და სხვ., რომლებიც მასთან გარკვეულ ურთიერთმიმართებაში არიან. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ცალკე გამოვყოთ ადლი და მასთან დაკავშირებული ერთეულები — ე. ი. ადლის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის სხვა საზომებთან შედარებით ადლი გვიან ჩანს (VXI ს.) ქართულ წყაროებში.

## § 1. ადლი და მისი სისტემა

ადლი

სიგრძის საზომი ეს უაღრესად პოპულარული ერთეული საქართველოში, წერილობითი წყაროების მიხედვით მხოლოდ XVI ს-დან ჩანს<sup>1</sup>. თავდაპირველად ის დასავლეთ საქართველოში (1513 წ. გე-

<sup>1</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მაცოდნეობა; გვ. 134.

ლათის შეწირულობის წიგნში) იხსენიება, XVII ს-დან კი აღმოსავლეთ საქართველოს წერილობით ძეგლებშიც არის დადასტურებული<sup>2</sup>.

ს.-ს. ორბელიანის თანახმად ადლი ორი წყრთა იყო<sup>3</sup>.

მეტრულ სისტემაში ამ ერთეულის განსაზღვრის შესაძლებლობა გვეძლევა მხოლოდ XVIII—XIX სს. მასალების მიხედვით.

აკად. გიულდენშტედტის ცნობით, ადლი 3 ინგლისურ ფუტს და 4 დიუმს, ე. ი. 101,6 სმ შეადგენდა<sup>4</sup>.

1794 წ. დავით ბაგრატიონის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილ „სამგზავრო გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ 1 ადლი და 14 1/2 გრე შეადგენდა ერთ გეომეტრიულ ნაბიჯს<sup>5</sup>. აქვე აღნიშნულია, რომ ეკვატორის ერთი გრადუსი უდრიდა 105 რუსულ ვერსს, ვერსი კი — 571 45/105 გეომეტრიულ ნაბიჯს<sup>6</sup>. გრადუსი შეიცავდა 60 000 გეომეტრიულ ნაბიჯს<sup>7</sup>.

ამ ცნობების თანახმად, დავით ბაგრატიონის მიერ გაანგარიშებულ გრადუსის. სიგრძედ (1 080 მ X 105) მივიღებთ 113,4 კმ-ს, ხოლო გეომეტრიული ნაბიჯის ზომად კი (113,4 კმ:60 000 ან 1080 მ:571 45/105)—1,89 მ-ს.

1 ადლი და 14 1/2 გრე ფაქტიურად არის 30 1/2 გრე (ვინაიდან ადლი = 16 გრეს). აქედან გრე (1,89 მ:30 1/2) დამრგვალებულად = 0,62 მ-ს, ხოლო ადლი კი (6,2 სმ X 16) — 99,2 სმ-ს.

ო. ევეკის ცნობით ადლი 22 რუსულ „ვერშოკს“<sup>8</sup> ე. ი. 99 სმ-ს უდრიდა. ასევე საზღვრავს ამ ერთეულს ნ. ხანიკოვიც<sup>9</sup>.

კ. ვორონკევიჩ-ბასსანცის მიხედვით ადლი საქართველოში იყო 106,59 სმ<sup>10</sup>, ხოლო ქართლში კი — თბილისის გუბერნიაში გავრცელებული არშინი (იგივე ადლი-გ. ჯ.) — 101,56<sup>11</sup> სმ.

ზემომოტანილი ექვსი მონაცემიდან ადლისთვის საშუალოდ ვღებულობთ 101,15 სმ-ს, იმ მონაცემს, რომელიც უახლოვდება.

<sup>2</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფილისი, 1926, გვ. 6, 100.

<sup>3</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV). გვ. 395.

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 237.

<sup>5</sup> კ. ევეკის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, S:141, გვ. 11.

<sup>6</sup> ი ქ ვ ე, გვ. 3.

<sup>7</sup> ი ქ ვ ე, ტექსტში შეცდომით წერია 6000 გეომეტრიული ნაბიჯი.

<sup>8</sup> Орест Евевкии, Статистическое описание, стр. 154.

<sup>9</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 561.

<sup>10</sup> К. Воронкевич-Бассанц, დასახ. ნაშრ., გვ. 395.

<sup>11</sup> ი ქ ვ ე.

გიულდენშტედტისეულ ცნობას. ამ უკანასკნელის თანახმად კი ადლის ზომა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთი და იგივე იყო.

ადლის წარმომავლობის საკითხი პრობლემატურია. იოანე ბატონი ადლს „აზიელთაგან“ შეთვისებულ საზომად მიიჩნევდა<sup>12</sup>. არაბულ ტერმინად თელიდნენ მას დ. ჩუბინიშვილი<sup>13</sup> და ნ. ხანიკოვი<sup>14</sup>. ხოლო ს. კაკაბაძე მას იაფეტურ სამყაროს უკავშირებდა<sup>15</sup>.

ივ. ჭავჭავიძე შესაძლებლად მიიჩნევდა ადლის არაბულ  $\text{كلا}$ -სთან კავშირს, მაგრამ ამასთან, მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ ამ სახელის მატარებელი სივრცის საზომი არაბულში, სპარსულში და ოსმალურში არ მოიძიებოდა<sup>16</sup>.

დ. ცხაკაიას აზრით, ადლი წარმოიშვა წყრთისაგან, ამ უკანასკნელის თანდათან გადიდების შედეგად და ის დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმთან, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ქართულ საზომთა სისტემაში მტკაველს მოსდევდა წყრთა, წყრთას კი ადლი<sup>17</sup>.

ადლის ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნის თუ უცხოეთიდან შეთვისების საკითხს ჩვენ ჯერ-ჯერობით, მასალის უქონლობის გამო ღიად ვტოვებთ. გვსურს მხოლოდ ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ გარემოებაზე.

მართალია, სიგრძის საზომ ადლს არ იცნობს მუსლიმური მეტროლოგია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მეტნაკლებად, ადლის სიდიდის ერთეული არსებობდა ირანში გვიან შუა საუკუნეებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „გაზ-ე შაჰი“ (შაჰის წყრთა), რომელიც XVII ს-ში 95 სმ-ს შეადგენდა<sup>18</sup>. XIX ს. I ნახევარში ეს წყრთა უკვე 101,49<sup>19</sup> სმ იყო, დღეისათვის კი 104 სმ-ს უდრის<sup>20</sup>.

„გაზ-ე შაჰი“ ქართულ წყაროებში ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ის „ყაენის ადლია“, რომელსაც ინსენიებს ფასადან გორგიჯანიძე<sup>21</sup>.

<sup>12</sup> იოანე ბატონი, კლმასობა, გვ. 227.

<sup>13</sup> ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, გვ. 5.

<sup>14</sup> Н. Х а н и к о в, О весах и мерах, стр. 545.

<sup>15</sup> „ნახჩიურში (ჩაჩნურში) დეოლ ეხლაც ნიშნავს ხელის ნაწილს ამის და მიხედვით სიტყვა ადლი შესაძლებელია ხელის მნიშვნელობის მქონი, შეთვისებული უნდა იყოს ქართულში ერთ-ერთი იაფეტური ტომის მიერ, როგორც საზომი. ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 54.

<sup>16</sup> ივ. ჭავჭავიძე, ქართული საფას-საზომთა მიმოხილვა, გვ. 135.

<sup>17</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 29—30.

<sup>18</sup> В. Х и н и ц, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

<sup>19</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 388.

<sup>20</sup> В. Х и н и ц, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

<sup>21</sup> ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 134.

XVIII ს-ში შეინიშნება, რომ ქართული ადლისთვის დამახასიათებელი გახდა გაზ-ე შაპის მსგავსად ჩარექებად და გრეებად დაყოფა<sup>22</sup> და ალბათ ამან მისცა საფუძველი იოანე ბაგრატიონს ეთქვა, რომ ძველად საქართველოში „მკარვალთა აქუნდათ მწყრთა, განყოფილი ოთხად და უკანასკნელ აზიელთაგან მიიღეს ადლი, ჩარექებად განყოფილი და გრეებად“<sup>23</sup>...

XVIII ს. თბილისურ საბუთებში ხშირად მოიხსენიება „გაზანდარი გაზი“ ანდა „გაზანდარი ადლი“. მაგ. 1713 წ. ერთ საბუთში ნათქვამია: „ამ ჩემის მოცემულის სახლისგან განი და სიგრძე გაზანდარის გაზითა არის სამოცდათხუთმეტი ადლი“-ო<sup>24</sup>. აქ და სხვა საბუთებში ტერმინი „გაზი“ „ადლთან“ არის გაიგივებული და „გაზანდარი გაზი“ „გაზანდარ ადლს“ უდრის<sup>25</sup>.

XIX ს. I ნახევრის რუსული მასალებით ეს გაზანდარის<sup>26</sup> ადლი ან „ხაზანდარის არშინი“ გაიგივებულია ხანის არშინთან<sup>27</sup>. ხანის არშინი კი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მეზობელ ყოფილ მუსლიმურ სახანოებში. ნ. ხანიკოვის განსაზღვრით, ალექსანდროპოლის მაზრაში ხანის არშინი უდრიდა 101,3 სმ-ს, ახალბაიაზეთის მაზრაში — 103,08 სმ-ს, შემახის მაზრაში — 104 სმ-ს, ბაქოს მაზრაში — 1,076 მ-ს, ნუხაში — 101,67 სმ-ს, ხაჩმაზის რაიონში 103,75 სმ-ს, შუშის მაზრაში 98,46 სმ-ს<sup>28</sup>. მართალია, ეს მაჩვენებლები არაერთგვაროვანია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ აქ ერთი ერთეულის სახესხვაობებთან გვაქვს საქმე და ამის ერთი მიზეზი ის იყო, რომ ნ. ხანიკოვს ყოველთვის ზუსტი მასალები არ ჰქონდა ხელთ. ამ მაჩვენებლებიდან ხანის არშინის საშუალო ზომა არის 101,86 სმ და თუ გავიხსენებთ, რომ თ. პეტრუშევსკის განსაზღვრით ამ პერიოდში სპარსული შაპის წყრთა იყო 22,86 „ვერშოკი“ — ე. ი.

<sup>22</sup> იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, XV—XIX სს. წიგნი პირველი შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 66, №58; საქართველოს სიძველენი, ტომი III, გვ. 162, № 175, № 176; ვ. ბერძენი, XVIII ს-ის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები. „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“ ტ. XIV, 1947, გვ. 223.

<sup>23</sup> იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, გვ. 227.

<sup>24</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 75, № 65, გვ. 149, № 126, გვ. 221, № 183.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 102, № 86, 1713 წ. საბუთი.

<sup>26</sup> ეს ტერმინი სპარსული მეტროლოგიის შესახებ შრომებში არ შეგვხვედრია. ის არც სპარსულ ლექსიკონებში არ არის შესული.

<sup>27</sup> И. Абессаломов, О весах и мерах, стр. 129; Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 564.

<sup>28</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 566—571.



101,49 სმ<sup>29</sup>, არავითარი ექვი აღარ რჩება, რომ ხანის არშინი იგივე შაპის წყრთა — გაზ-ე შაპი არის.

ხანის არშინს იცნობდნენ საქართველოშიც. ნ. ხანიკოვი ადლს ლანის არშინს უიგივებს<sup>30</sup>.

ამრიგად, XIX ს. მასალებით ადლი, გაზანდარის გაზი (ადლი) და ლანის არშინი ტოლფასი საზომები იყო.

ეს გარემოება თითქოსდა ადლის სპარსული საზომი სისტემიდან წარმომავლობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს, მაგრამ მაინც ჭერ-ჭერობით ამის გადაჭრით თქმა არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ XVIII ს. ქართულ წყაროებში გვხვდება ხოლმე გამოთქმა „ქართული ადლი“<sup>31</sup>. ეს კი იმას მიუთითებს, რომ არსებობდა არა ქართული ადლებიც, კერძოდ გაზანდარისა, რომელსაც ქართული უპირისპირდებოდა.

ჩვენ არ ვიცით, ემთხვეოდა თუ არა XVIII ს-ში გაზანდარი გაზის და ქართული ადლის სიდიდე ერთმანეთს. უფრო სავარაუდოა, რომ მათ შორის რაღაც, შესაძლოა მცირე განსხვავება არსებობდა. და თუ გაზანდარ გაზს ზოგჯერ გაზანდარი ადლიც ეწოდებოდა, ეს იმითაც შეიძლება აიხნას, რომ საქართველოში იყო ტრადიცია წყრთაზე მოზრდილი ერთეულისთვის ადლი ეწოდებინათ. ასე, მაგ., რუსულ არშინს რუსულ ადლსაც ეძახდნენ<sup>32</sup>.

<sup>29</sup> Ф. Петрушевский, Сбшая метростгня, стр. 388.

<sup>30</sup> Н. Ханыков, О весах и мерах. стр. 561; იხ. აგრეთვე Ив. Абесаломов, О весах и мерах, стр. 129; საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სომხეთშიც ი. შოპენის მიხედვით ქსოვილებს ზომადნენ სპარსული არშინებით, რომელთაც ადლი ეწოდებოდა И. Шопен, Исторический памятник, стр. 887, შოპენის მონაცემით ეს სპარსული არშინი 101,6 სმ იყო.

<sup>31</sup> იხ. მაგ. ვ. ბერიძე, XVIII ს-ის ქართველ ზურთომძღვართა ნახაზები - აქ XVIII ს. 20-ანი წლების პროექტში ნათქვამია: „კედლის სისქე იქნება ზუთი ჩარეკი ქართული ადლისა“, გვ. 223, იქვე ნახსენებია „ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი ა დ ლ ი ც“.

<sup>32</sup> იხ. დავით რეჭტორის-მესხიშვილის თარგმნილი თხზულება „სახსოვარი ძნიალ საპოვართა ნიეთთა“. გვ. 1 „რუსული სამი ადლი, რადლიცა იქმნების ქართული რვა ჩარეკი ერთი გრე და ნახევარი, გინე ერთი საყენი... რუსული სამი ადლი, გინა საყენი, ანუ ერთი მხარი სამეც ერთი საზომია“... (ვ. კვეციძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, S:200 ა.); იოანე ბატონიშვილის ძიერ რუსეთიდან გამოგზავნილი ნიეთების სია („ოთხი გვარი ფერით ფრანგის ატლასი რუსის ადლი ას ორმოცდაცამეტი ადლი“). - „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი III, გვ. 456; გვ. 457- („საფილონე შტოფის თეთრი ფარჩა, რუსის ადლი შვიდი“).

ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ადლას კავშირის სპარსულ საზომ სისტემასთან სათუოდ ხდის. ადლასთვის როგორც ვთქვით XVIII ს-დან დამახასიათებელი გახდა ჩარეკებად და გრეებად დაყოფა, მაგრამ ადრე მისთვის დამახასიათებელი იყო მტკაველებად, გოჭეულებად, ცილებად და გოჭებად დაყოფაც. ცილა უცნობია გაზ-ე შაჰის ან ხანის არშინის სისტემაში. ორი წყრთა ქმნიდა ერთ ადლს, ორი ადლი კი ერთ მხარს. საზომთა ასეთ ერთდებლობასაც არ იცნობდა სპარსული სისტემა.

### წყრთა

წყრთა შინაარსობრივად გამოხატავდა მანძილს იდაყვიდან შუა თითის წვერამდე. ის ერთ-ერთი უძველესი ქართული საზომია. დამოწმებულია ჯერ კიდევ დაბადების ქართულ თარგმანში<sup>33</sup>.

საბას განმარტებით, წყრთა „ნახევარადლი“<sup>34</sup> ე. ი. საშუალოდ 50,6 სმ იყო. ამ ზომის უნდა ვიანგარიშოთ წყრთა ადლს სისტემაში თუ ადრე არა XVI ს-დან მაინც.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს უძველესი ქართული წყრთის ზომის შესახებ.

ა. სოხაძე ფიქრობდა, რომ „სახელმწიფო ორგანოების მიერ დაცანონებული, ანუ ოფიციალური წყრთა... თავდაპირველად... ისეთივე სიგრძისა უნდა ყოფილიყო, როგორცაა ბერძნული „პეხუსი“, რომელიც 444 მილიმეტრს უდრიდა, ვინაიდან ამ საზომის აღმნიშვნელად სხარების ქართულ თარგმანში ნახმარია „წყრთა“<sup>35</sup>.

მაგრამ ეს არ არის მტკიცე არგუმენტი და არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დამამტკიცებლად, რომ საქართველოში უეჭველად მოხდა ბერძნული „პეხუსის“ კალკირება.

უძველეს ქართულ წყრთას უფრო სავარაუდოა, რომ მკვიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მსგავსი დასახელების იმ ერთეულთან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში და 49—53 სმ შუა მერყეობდა.

ი. ციციშვილმა ბაგინეთში არქეოლოგიური გათხრების დროს II—I სს. ნაგებობათა მრავალგზის გაზომვის დროს გამოარკვია, რომ ბაგინეთის მშენებლები ეყრდნობოდნენ განზომილების განსაზღვრულ ერთეულს, რომელიც უახლოვდება 52 სმ-ს<sup>36</sup>. განზომილების

<sup>33</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 133.

<sup>34</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 395, რედაქცია CqD.

<sup>35</sup> ა. ს. ო. ხ. ა. ძ. ე, სიგრძის საზომი ერთეულები, გვ. 32.

<sup>36</sup> ი. ციციშვილი, ძველ საქართველოში ხმარებულ სიგრძის საზომთა შესახებ, გვ. 331; იხ. აგრეთვე Андрия Апакидзе, Города Древней Грузии, Тбилиси, 1968, გვ. 106—107.

მსგავსი ერთეული შემჩნეულია უფლისციხეში და გორის ციხის ძველი კედლების გაზომვის დროსაც.

ირ. ციციშვილის მოსაზრება, რომ ეს ერთეული არის წყრთა, სავსებით მისაღებია. აღსანიშნავია, რომ თითქმის ამავე სიდიდისა იყო (51,8 სმ) მეზობელი ურარტუს წყრთაც<sup>37</sup>.

წყრთების ის მრავალფეროვნება, რომელიც დამახასიათებელი იყო მუსლიმური აღმოსავლეთის მეტროლოგიისათვის<sup>38</sup> საქართველოში არ შეინიშნება. განსხვავება უძველეს და შედარებით გვიანდელი ხანის (XVI ს-დან) წყრთებს შორისაც (14 მმ) დიდი არ არის<sup>39</sup>.

მ ტ კ ა ვ ე ლ ი — ჩ ა რ ე ქ ი

წყრთას ზომით მოსდევს მტკაველი.

საბას მტკაველი საზომთა რიცხვში შეაქვს და ამბობს, რომ ის არის „ცერი და ნეკი გაჭიმული“<sup>40</sup>, მაგრამ არ იძლევა მის მიმართებას სხვა საზომებთან.

XVIII ს. არითმეტიკის ერთ ქართულ სახელმძღვანელოში ადლიოთხ მტკაველად არის დაყოფილი<sup>41</sup>. ადლის მეოთხედი — ე. ი. 25,3 სმ იყო მტკაველი ანუ ჩარექი თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობითაც<sup>42</sup>.

მტკაველი უძველესი ქართული საზომია. ის დამოწმებულია დაბადების ქართულ თარგმანში<sup>43</sup> და იხმარებოდა ოფიციალურად XIX ს-შიც კი<sup>44</sup>.

<sup>37</sup> ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

<sup>38</sup> В. Х и н ц, დასახ. ნაშრ., გვ. 64—71.

<sup>39</sup> ივ. ჭავჭავაძის საცაიშლოს გამოსაღების მე-17 ს. პირველი მეოთხედის დაჯიშის ცხრილში დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ამ პერიოდში მოხდა წყრთის გადიდება ადლის ზომამდე (ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 134). ცნობაში მოხსენებულია, რომ ორს კომლს ფათხაებს ცაიშელის სასარგებლოდ მართებს „ორი-ორი წონა სანთელი“ და „300 წყრთა ტილო“, ხოლო გამოსაღების ჭუმალში კი ნახსენებია 4 წონა სანთელი და 300 ადლი ტილო (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III გვ. 472, 474). მაგრამ აქ უეჭველია, რომ ორი წონა სანთელი და 300 წყრთა ტილო თითო კომლზე მოდიოდა. ეს აღნიშნა თავის დროზე ს. კაკაბაძემ. იხ. მისი რეცენზია ივ. ჭავჭავაძის ნაშრომზე „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა“, „საისტორიო მოამბე“, I, გვ. 289. ამის და მიუხედავად. დ. ცხაკაია სრულიად უსაფუძვლოდ უარყოფს ს. კაკაბაძის შესწორებას და ფიქრობს, რომ XVII—XVIII ს-ში წყრთა ორჯერ გაიზარდა (История математических наук, стр. 31).

<sup>40</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV.), გვ. 528.

<sup>41</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>42</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47.

<sup>43</sup> ივ. ჭავჭავაძის ციხილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 132.

<sup>44</sup> ვახტანგ მეფის ძის წერილი ალალო ყორღანაშვილისად მი, „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, გვ. 319; გ. ქალაქიძე, მემინდერეობა კახეთში, გვ. 289- (სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ერთი საბუთი XIX ს-ისა).

XVIII ს-ში მტკაველის ნაცვლად სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ჩ ა რ ე ქ ი<sup>45</sup>, რომელიც ასევე ადლის 1/4-ს შეადგენდა.

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში ხალხურ საზომად იყო გავრცელებულ ტ კ უ, რომელიც მტკაველის შესატყვისია. ტკუ „საქართველოს კალენდრის“ მიხედვით 5 „ვერშოკს“ — ე. ი. 22 სმ-ს შეადგენდა<sup>46</sup>.

### ცი და

ციდა უძველესი ქართული საზომია. ის მოიხსენიება ჯერ კიდევ დაბადების ქართულ თარგმანში (ეზეკ. 40<sub>4</sub>).

ამ ერთეულს ასახელებს საბა<sup>47</sup>, მაგრამ არ იძლევა მის მიმართებას სხვა საზომებთან. ნ. ჩუბინაშვილს განმარტებით კი, ციდა იყო მანძილი სალოკ თითსა და ცერს შორის<sup>48</sup>.

ა. სოხაძის აზრით, ციდა დაახ. 2 სმ-ით ნაკლებია მტკაველზე და 22,2 სმ შეადგენდა<sup>49</sup>, მაგრამ რა წყაროს ემყარება მკვლევარი, არა ჩანს. დ. ცხაკია XIX ს. შედგენილ ნატროვეის არითმეტიკის სახელმძღვანელოში მოცემული ცნობის საფუძველზე ციდას 17,5 სმ-ით საზღვრავს<sup>50</sup>. 1892 წ. საქართველოს კალენდარში კი ციდა რუსული არშინის 1/4-ით არის ნაანგარიშები, ე. ი. = 17,8 სმ-ს<sup>51</sup>.

მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა. რომლის თანახმადაც ციდა ჩარეჟის ნახევარი, ან წყრთის 1/4 იყო<sup>52</sup> და ამრიგად 12,65 სმ შეადგენდა.

### მ უ ჭ ა

ამ საზომს ადლის სისტემაში და საერთოდ ქართულ საზომთა რიცხვში ასახელებს მხოლოდ და მხოლოდ დავით ბაგრატიონი და მას ადლის 1/8-ით საზღვრავს<sup>53</sup>. ამრიგად, მუჭა ციდას ტოლი გამოდის.

<sup>45</sup> მანძილის საზომი ჩარეჟი ჩანს მხოლოდ XVIII ს. დასაწყისიდან. იხ. „ლოკე-მენტები თბილისის ისტორიიდან“, გვ. 66, № 58 და სხვ.“

<sup>46</sup> საქართველოს კალენდარი 1892 წ. გვ. 131.

<sup>47</sup> ლექსიკონი ქართული (IV.), გვ. 30, რედ. ZAA.

<sup>48</sup> ნ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, გვ. 435.

<sup>49</sup> ა. სო ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>50</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., გვ. 35. ამ სახელმძღვანელოში ადლი 1 რუსული „არშინით“ და 6 „ვერშოკით“ არის განსაზღვრული, ხოლო ციდა — 4 „ვერშოკით“. სწორედ შემთხვევაში ადლის განსაზღვრა არაზუსტია. ვფიქრობთ, რომ ასევე არაზუსტია ციდას განსაზღვრაც.

<sup>51</sup> საქართველოს კალენდარი 1892 წლის, გვ. 131.

<sup>52</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47.

<sup>53</sup> იღუჯ და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ. 115.

## გოჭეული

გოჭეული უძველესი ქართული საზომია. ის დამოწმებულია დაბადების ქართულ თარგმანში<sup>54</sup>.

საბას განმარტებით, გოჭეული იყო „ორთავ ცერთ გოჭები შეყრით სიგრძეზედ“<sup>55</sup>. ვინაიდან გოჯის ზომად ჩვენ მიღებული გვაქვს 3,16 სმ (იხ.) გოჭეული შეიძლება 6,32 სმ-ით განესაზღვროთ. გოჭეული ადლის 1/16-ს შეადგენდა.

## გრე

ქართულმა საზომმა სისტემამ ეს ერთეული ირანიდან შეითვისა (სპარს. گره), სადაც ის გაზ-ე შაჰის 1/16 ნაწილს შეადგენდა<sup>56</sup>.

საქართველოში ეს საზომი ჩვენ XVIII ს-დან გვხვდება<sup>57</sup>, როგორც ქართული ადლის შემადგენელი ნაწილი.

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით გრე გოჯის (იხ.) ფარდი იყო<sup>58</sup>, მაგრამ ამგვარი განმარტება არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, ვინაიდან სპარსული გერეჰ 3-ის ანალოგიით გრე ადლის არა 1/32, არამედ 1/16 ნაწილად უნდა გვეგულისხმა.

მართლაც დავით რექტორ-მესხიშვილის ცნობით, რუსული სამი ადლი (ე. ი. არშინი — გ. ჯ.) იქმნების რვა ჩარეჟი<sup>59</sup>, ერთი გრე და ნახევარი, ე. ი. 33 1/2 გრე = 216 სმ, ხოლო გრე კი — 6,4 სმ-ს.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც გრე ადლის 1/16-ია. ე. ი. ეს საზომი გოჭეულის ფარდი ყოფილა<sup>60</sup> და ამგვარად მისი ზომაც 6,3 სმ-ით შეიძლება ვიანგარიშოთ.

## გოჯი

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, გოჯი წყრთის 1/16 ან ადლის 1/32 ნაწილი ყოფილა<sup>61</sup>, ე. ი. 3,165 სმ შეადგენდა.

უკნინეს ერთეულებად ქართულ სიგრძის საზომთა სისტემაში გვევლინება ხორბლის მარცვალი, ქერის მარცვალი და ცხენის ფაფარი.

<sup>54</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მკოდნეობა, გვ. 132.

<sup>55</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 172.

<sup>56</sup> В. Х И Н Ц, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

<sup>57</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, №№ 175, 176, გვ. 162.

<sup>58</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47.

<sup>59</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S:200 ა. „სახსოვარი ძნაღ საპოვნთა ნივთთა“, გვ. 1.

<sup>60</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 181.

<sup>61</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 46—47.

ზორბლის მარცვალ თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტე-  
ზით იყო გოჯის 1/9<sup>62</sup>, ე. ი. 0,351 სმ.

ქერის (ან ქრთილის) მარცვალ ვახუშტი ბაგრატიონ-  
ნის თანახმად თითის 1/6-ს<sup>63</sup>, ე. ი. 0,356 სმ შეადგენდა. ამგვარად,  
ზორბლის და ქერის მარცვლების ზომა ემთხვევა ერთმანეთს.

რაიმე მარცვლის საზომად გამოყენება აღმოსავლურ მეტროლო-  
გიაში ჩვეულებრივი ამბავი იყო. საქართველოც ამ მხრივ გამონაკ-  
ლისს არ წარმოადგენდა. სულ ახლო წარსულში ხევსურეთში ქერის  
მარცვალი კეჭნაობის დროს მიღებული ჭრილობის გასაზომად გამო-  
ყენებოდა. ეს ჩვეულება ადრეც ყოფილა გავრცელებული. 1793 წ.  
28 იანვრის განაჩენის წიგნში, რომელიც ეხება მორდალი გიორგის  
მიერ ნაზირ ბარამის დაქრას, ნათქვამია: „ბარამის ჭრილობა გაეზო-  
მეთ, ცხრა ქერის მარცვლის ზომა ჭრილობა ჰქონდა... ბა-  
რამ რადგან მესამე თავადათ არის აღრიცხული, მესამე თავადის ერ-  
თი ქერის მარცვლის ზომის სისხლი არის 3 თუმანი და ოთხი მინალ-  
თუნი“<sup>64</sup>...

### ცხენის ფაფარი

ვახუშტი ბაგრატიონი ცხენის ფაფარს ქრთილის მარცვლის  
1/6-ით<sup>65</sup> ე. ი. 0,06 სმ-ით საზღვრავს. ცხენის ფაფარში უეჭველია  
ცხენის ფაფრის თმის დიამეტრია საგულისხმო.

თანამედროვე ირანელი მეცნიერი იმამ შუშტერი თმას მუსლი-  
მურ საზომთა სისტემაში ასახელებს<sup>66</sup>. ნ. ხანიკოვის თანახმად კი  
ცხენის ფაფარი XIX ს. I ნახევარში საზომად გამოიყენებოდა ორ-  
ღუბადის მაზრაში და ქერის მარცვლის 1/7-ს შეადგენდა<sup>67</sup>. უფრო  
ადრე ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად თარგმნილ  
წიგნში „ქმნულებისა ცოდნა“ ცხენის ფაფარი სწორედ ქერის 1/6-  
ად არის დასახელებული<sup>68</sup>. ამდენად საქართველოში ამ საზომის დამ-  
კვიდრება, გარკვეულად, ირანულ საზომთა გავლენას შეიძლება და-  
ვუკავშიროთ.

<sup>62</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 46.

<sup>63</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29.

<sup>64</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 517, გვ. 476.

<sup>65</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29.

<sup>66</sup> محمد علی امام شوشتری، تاریخ مقیاسات و نقود در حکومت  
الاسلامی، تهران، ۱۳۲۹، ص. ۳۱.

<sup>67</sup> Н. Ханыков, О весах и мерах, стр. 566.

<sup>68</sup> Д. Цхакая, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

სხვა ქართულ წყაროებში ეს საზომი არ შეგვხვედრია. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქვეთხუროები ქვაზე მუშაობის დროს იყენებდნენ ე. წ. ბ ა ლ ნ ი ს ზ ო მ ა ს<sup>69</sup>. მოწმობს თმის, როგორც საზომის გამოყენებას პრაქტიკაში.

აღლის სისტემა XVI—XVIII სს-ში		ცხრილი XVI						
		2 აღლი=1 მხარს						
		აღლი=101,15სმ-ს						
აღლი	1							
მუცლი	2	1						
(ჩარქევი)	4	2	1					
ცილიანი (მუქა).	8	4	2	1				
გუჯული								
(გრა)	16	8	4	2	1			
გვარბი	32	16	8	4	2	1		
მარცხენი	288	144	72	36	18	9	1	
ცხენი	1728	864	432	216	108	54	6	1

## § 2. სიგრძის საზომი სხვა მცირე ერთეულები

### ალაბი

ეს საზომი საქართველოში თურქეთიდან გავრცელდა XIX ს-ში<sup>70</sup>. რუსული მასალებით ის გამოიყენებოდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. იმერეთში ალაბი უდრიდა ერთ რუსულ არშინს<sup>71</sup>, ე. ი. 71,12 სმ-ს, ხოლო ახალციხის მაზრაში კი — 15 1/2 „ვერ-შოკს“<sup>72</sup> ე. ი. 68,8 სმ-ს.

### გულაჩი

ტერმინი თურქულია და შინაარსობრივად შეესაბამება მხარის ზომას. XIX ს. რუსული მასალებით გულაჩი გავრცელებული იყო ახალციხის მაზრაში, სადაც ის 1 რუსულ „საეენს“<sup>73</sup>, ე. ი. 213,6 სმ შეადგენდა.

<sup>69</sup> ს. ბ ე ლ უ კ ა ძ ე, ქვეთხურობის ხალხური მუზეუმი. „ძეგლის შეგობაჩი“, კრ. მეშვიდე, 1966, გვ. 17.

<sup>70</sup> პროფ. ს ე რ გ ი ჯ ი ა ს აზრით საზომის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს ქ. ჰ ა ლ ა ბ თ ა ნ (ალეპოსთან).

<sup>71</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 557.

<sup>72</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 455, ამ საზომით მომდებოდა რუსული და ევროპული საქონელი.

<sup>73</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 559.

## ე ნ დ ა ზ ე

ტერმინი წარმომავლობით ფალაურია — (h)andāzak.<sup>74</sup> ახ. სპარსულში გვაქვს *اسازان* — ენდაზე<sup>75</sup>. თვით საზომი ჩვენში თურქეთიდან დამკვიდრდა სამხრეთ საქართველოში და იხმარებოდა თურქული ქსოვილის საზომად. XIX ს. რუსული მასალებით ის 15 „ვერშოკს“<sup>76</sup> ე. ი. 66,6 სმ შეადგენდა.

### თ ი თ ი

უძველესი ქართული საზომია. ის მოხსენებულია დაბადების ქართულ თარგმანში<sup>77</sup>. ხშირად გამოიყენება საზომად ქართულ სამედიცინო ხასიათის ნაშრომებში<sup>78</sup> და საერთოდ ხმარებაშია XVIII ს. ჩათვლით<sup>79</sup>.

ძველ ხალხებში თითი გავრცელებული საზომი იყო და აღნიშნავდა საშუალო ტანის ადამიანის შუა თითის სიგანეს<sup>80</sup>.

ქართულ წყაროებშიც თითი — თითის სიგანის აზრით იხმარება<sup>81</sup>. თითის სიგანით იზომებოდა მაგ. წყლის ჭავლის დიამეტრი. ამას კარგად მოწმობს 1713—1717 წწ. ერთი დოკუმენტი სადაც ნათქვამია, რომ „მელიქიშვილი როსტომი ნაზარალი ხანს შეხვეწოდა, სამეფო კარის აბანოდამ ერთი თ ი თ ი წყალი ეთხუენა, იმასაც შებრალებოდა და ცოტა წყალი ებოძა“<sup>82</sup>..

ვახუშტის ცნობით, თითი აღლის 1/32-ია<sup>83</sup>. ამით თითი და გოჯი სინონიმები გამოდიან, რაც არასწორია. ვახუშტის აღლი რუსული „არშინის“ სინონიმი ჩანს<sup>84</sup> და ამიტომ თითის ზომად (72 სმ : 32) 2,25 სმ ვლებულობთ.

<sup>74</sup> D. H. J. A s a, The Book of Arda - Viraf, Bombay-London. 1872, XXVII, ცნობა მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა თ. ჩხეიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>75</sup> Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Р у б и н ч и к а, т. I, Москва, 1970, стр. 133, მნიშვნელობა ამ სიტყვისა არის ზომა, გაზომვა, სილიღე.

<sup>76</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 455.

<sup>77</sup> ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 132.

<sup>78</sup> Q: 916, გვ. 1145, 1147.

<sup>79</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 112, № 94.

<sup>80</sup> Н. К а м е н ц е в а, Метрология, ИЭ, т. IX, Москва, 1966, стр. 402.

<sup>81</sup> ქართულ სამედიცინო ნაშრომებში არც თუ იშვიათად შევხვდებით გამოთქმას „ოთხი თითის სიგანე“, „თითის სიგანე“ და ა. შ. (Q:916, გვ. 1145, 1147).

<sup>82</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 112, № 94.

<sup>83</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29, სქოლიო 1.

<sup>84</sup> ი კ ვ ე. აქ ვახუშტი მხარს რუსული საზომი სისტემის გავლენით ყოფს 3 აღლად. აღლი ამდენად არშინს შეესაბამება.



თითის ზომის განმარტებისათვის უაღრესად საინტერესოა დავით რექტორის განმარტება: „ფუტი რომ რუსულად აღმირიცხავს ერთი ქართული ჩარეკი, ერთი გოჯი და ერთი თითი არის“—<sup>85</sup>.

ინგლისური საზომი ფუტი=30,48 სმ-ს. აქედან თითი (30,48 სმ —25,3 სმ/ჩარეკი —3,165 სმ/გოჯი) = 2,20 სმ-ს. ამრიგად ორი მონაცემის საფუძველზე თითის ზომა საშუალოდ 2,137 სმ იქნება.

### თ ო ფ ი

ტერმინი წარმომავლობით თურქულია (طوب, طوب) და ნიშნავს გარკვეული სიდიდს ქსოვილის ნაჭერს<sup>86</sup>.

ქსოვილის თოფობით გაზომვას ქართულ წყაროებში XVIII ს-დან ვხვდებით<sup>87</sup>. XVIII—XIX ს. დასაწყისის ქართული დოკუმენტური წყაროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თოფის ზომა. ის შეადგენდა 2 ტანს (იხ.) და უდრიდა 8—10 ადლს<sup>88</sup> ანუ 8—10 მ-ს.

### კ ა ბ ლ ო

საბას განმარტებით, კაბლო საფარცხაეის ფიცარია<sup>89</sup>, მაგრამ ამავე დროს, სხვა მასალებით, კაბლოს საზომის მნიშვნელობაც აქვს. ამ სახით ის დღესაც არის შემორჩენილი ყოფაში.

კაბლოს პირველ განსაზღვრას იძლევა ნ. ხანიკოვი<sup>90</sup>. კახეთში, სიღნაღის მაზრაში ეს საზომი 12 მტკაველს, მტკაველი კი 24,86 სმ შეადგენდა. აქედან კაბალოს ზომა დამრგვალებულად 3 მ-ია. კაბ-

<sup>85</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. S:200ა- „სახსოვარი ძნიალ საპონთა ნივთა“, გვ. 44.

<sup>86</sup> Л. З. Б у д а г о в, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб, 1869, стр. 741.

<sup>87</sup> 1705 წ. ვახუშტი ორბელიანის მოქრავი ქონების სია. „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, № 175, გვ. 212. დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი), გვ. 214 და სხვ.

<sup>88</sup> 1808 წ. დანახარჯის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ადლი ნარმა ღირდა 3 შაური, თოფი ნარმა კი 1 მინალთუნი და 10 შაური—ე. ი. 30 შაური (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 265, № 13439). ე. ი. ადლა ნარმა თოფთან შედარებით 10-ჯერ მცირე ღირებულა. თოფსა და ადლს შორის პროპორცია ამ შემთხვევაში არის 1:10. 1814 წ. ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ 3 1/2 ადლი ტილო ღირდა 14 შაური, 1 თოფი ტილო კი—4 მინალთუნი და 14 შაური—ე. ი. 34 შაური (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I გვ. 333, № 3754). აქედან პროპორცია 1 თოფ ტილოსა და 1 ადლ ტილოს ღირებულებას და ზომას შორისაც გამოდის 1:8,5. დაწერილებით იხ. ტ ა ნ ი.

<sup>89</sup> „ლექსიკონი ქართული“, (ტ. IV), გვ. 349.

<sup>90</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 552.

დოს მსგავს მნიშვნელობას XIX ს. ქართველი მათემატიკოსის ნატროევის ცნობის საფუძველზე იძლევა დ. ცხაკაია<sup>91</sup>.

მ ა ნ ძ ი ლ ი

გზის საზომად ეს ერთეული დამოწმებულია XVIII ს. ქართულ წყაროებში<sup>92</sup>. ტერმინი თავისთავად არაბულია (مِزْل) და ნიშნავს

სადგურს, გაჩერებას, მაგრამ როგორც საზომი ირანიდან უნდა შემოსულიყო, სადაც ის დაახ. 3 ალაჯს<sup>93</sup> ე. ი. 15 კმ-ს შეადგენდა

მ ქ ა რ ი

უძველესი ქართული საზომია. დამოწმებულია დაბადების ქართულ თარგმანში და საერთოდ ხშირად გვხვდება X—XIX ს. წერილობით წყაროებში<sup>94</sup>.

საბას ცნობით მხარი 4 წყრთას, ე. ი. 2 ადლს შეადგენდა<sup>95</sup> და ამდენად საშუალოდ 2 მ-ს უდრიდა.

ნ ი შ ა ნ ი

სიგრძის ეს საზომი გავრცელებული იყო ახალციხის მაზრაში, სადაც ის თურქული მეტროლოგიის გავლენის შედეგად დამკვიდრდა (თურქ. نَشَان). ნიშანი ალაბის 1/8-ს შეადგენდა<sup>96</sup> და 8,9 სმ-ს უდრიდა პრაქტიკაში გამოიყენებოდა აგრეთვე ნახევარნიშნის<sup>97</sup> (4,5 სმ) საზომიც, ე. წ. იარიმ-ნიშან.

<sup>91</sup> Д. Ц х а к а я, დასახ. ნაშრ., 35; დღეისათვის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მესხეთსა და კახეთში კაბლო სხედასხვა ზომისაა. მესხეთში ის 1,75—2 მ-ის ფარგლებში მოდის. იხ. ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მესხეთის მემინდერობის ზოგიერთი საკითხისათვის. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბილისი, 1968, გვ. 36. კახეთის სოფლებში კი, მაგ. ახალსოფელში, ჭიკანში თუ გაეაზებში კაბლო ფართობის საზომია და მის ქვეშ 200 კვ. საუენს ვარაუდობენ. გ. ქ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდერობა კახეთში, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XXV-B, 1968, გვ. 285.

<sup>92</sup> ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 117.

<sup>93</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 388.

<sup>94</sup> ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 133.

<sup>95</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV,) გვ. 557: საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში მხრის შესატყვის ტერმინად დამოწმებულია ო რ გ ი ა (საქართველოს კალენდარი 1892 წლისა, გვ. 131). ეს სიტყვა ბერძნულია და საგულისხმოა, რომ აქ ბიზანტიის გავლენით დამკვიდრდა, ალბათ ჭერ კიდევ VII ს-მდე.

<sup>96</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 455; Н. Х а н ы - х о в, О весах и мерах, стр. 560.

<sup>97</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 455.

## ტ ა ნ ი

სიტყვა სპარსულია — ქ. ქსოვილის საზომად ის გვხვდება ჭართულ დოკუმენტებში XVIII ს<sup>98</sup>. დასაწყისიდან. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით ტანი იყო „ერთი ადამიანისთვის სამოსლად სამყოფი ქსოვილი რამე“<sup>99</sup>. მკვლევარის დაკვირვებით ტანი 4 ადლს შეადგენდა. საბუთები მოწმობენ, რომ ტანში 5 ადლიც შეიძლებოდა ყოფილიყო<sup>100</sup> და ის საერთოდ თოფის ნახევარს უდრიდა<sup>101</sup>. მისი ზომა 4—5 მ-ია.

## შო ლ ტ ი

ეს ტერმინი ტყავის საზომად გამოიყენება XI—XV სს. ქართულ წყაროებში<sup>102</sup>. მისი სიდიდე ფიქსირებული არ არის. ეთნოგრაფიული მონაცემებით კი სვანეთში შოლტი არის ტყავის ნაჭერი სიგრძით 65 სმ და სიგანით — 20 სმ, საიდანაც ერთი წყვილი ქალამანი გამოდის<sup>103</sup>.

### § 3. დიდი მანძილის საზომი ერთეულები

## ფ ა რ ს ა ნ გ ი

ტერმინი მომდინარეობს საშ. სპარს. farsang-იდან (ძვ. სპარს. parāthanga, პართული frasakh).<sup>104</sup> ფარსანგი გვხვდება ახალ სპარსულ-

<sup>98</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, № 235. გვ. 284.

<sup>99</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, გვ. 379.

<sup>100</sup> 1808 წ. „დანახარჯის ნუსხაში“ აღნიშნულია, რომ 1 ტანი ნარმა ღირდა 8 აბაზი. 5 ჩარეკი კი—1 აბაზი (მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის—წიგნი I, გვ. 265, № 13439). ე. ი. „ტანის“ ღირებულება და ამდენად მისი ზანაკე 4-ჯერ მობრძლი იყო. აქედან ტანში გამოდის 20 ჩარეკი ან 5 ადლი.

<sup>101</sup> 1808 წ. დანახარჯის ნუსხაში 1 თოფი ნარმა ღირს 1 მინალთუნი და 10 შაური, 1 ტანი ნარმა კი—4 აბაზი, ე. ი. 16 შაური. ფასების შეფარდების მიხედვით თოფი დამრგვალებულად 2 ტანს შეადგენს. XVIII ს. დამლევის უცნობი პირის ხარჯის ნუსხაში („მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი II, მასალები შეარჩია და გამოსაქმებად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1953, გვ. 302, № 402) 1 ტანი ნარმა 4 აბაზი ღირს, 1 თოფი ნარმა კი—8 აბაზი. ე. ი. 1 თოფი 2 ტანს. XVIII ს. მიწურულის საბუთებით („მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი I, № 3852, გვ. 170—171) 1 ტანი ხამი ღირს 4 აბაზი, ხოლო 1 თოფი ხამი კი—8 აბაზი. აქაც, როგორც სხვაგან, ფასების შეფარდების მიხედვით თოფი უდრის ორ ტანს.

<sup>102</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 32, 234—235; ივ. ქ ა ვ ა ხ ი - შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 136.

<sup>103</sup> В. Д о и д у а, К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания. „საისტორიო ძიებანი“, თბილისი, 1967, გვ. 62—53.

<sup>104</sup> W. H i p z. Farsakh. «EI<sup>2</sup>» vol. II, p. 812—813.

შიც, თუმცა მის პარალელურად არაბულის გავლენით იხმარება ფარსანაც.

თავდაპირველად ფარსანგი იყო მანძილი, რომელიც შეიძლება ბოდა დაფარულიყო ფეხით და ცხენით ერთ საათში. შემდეგ კი, არა უადრეს სასანელთა ხანისა, ის გადაიქცა სტანდარტულ ზომად.

პეროდოტე ფარსანგის ზომად ასახელებს 30 სტადიონს. ვ. პინციის აზრით ეს იყო ბაბილონურ-სპარსული (და არა ატიკური) სტადიონი სიგრძით 198 მ<sup>105</sup>. ამდენად ფარსანგის ზომა 5, 94 კმ-ია. მაგრამ ეს იყო მხედრის ფარსანგი. ქვეითის ფარსანგი ქსენოფონტეს მონაცემებით უდრიდა დაახ. 4 კმ-ს<sup>106</sup>.

VI ს. ბიზანტიელი ავტორის აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, რასაც პირველად ყურადღება მიაქცია ს. კაკაბაძემ<sup>107</sup>, ფარსანგი გამოიყენებოდა საქართველოშიც.

აგათია აღნიშნავს, რომ იბერები, სპარსელების მსგავსად, ფარსანგში 21 სტადიონს ანგარიშობდნენ. „ასე ფიქრობდნენ ლაზებიც — წერს აგათია, ხოლო ამ სახელს კი არ უწოდებენ, „ანაპავლას“ (შესასვენებელს) ეძახიან და ვფიქრობ, სრულიად სამართლიანად, ვინაიდან მათში თითოეული ფარსანგის გავლისას ტვირთმზიდავეები ტვირთსაც ჩამოიღებენ ხოლმე და ცოტათი შეისვენებენ კიდევ. მათ სხვები შეენაცვლებიან და რამდენჯერაც ასე მოიქცევიან, იმდენით ზომავენ და ანაწილებენ მანძილს. ამას ვუწოდებთ ფარსანგს“<sup>108</sup>.....

ამგვარად აშკარად ჩანს, რომ VI ს. საქართველოში გავრცელებული ფარსანგის ზომა ირანულის მსგავსად იყო 21 სტადიონი. თუ კი სტადიონი 198 მ-ია, ეს ფარსანგი დამრგვალებულად 4 კმ შეესაბამება.

არაბთა შემოსევების შემდეგ საქართველოში უნდა მომხდარიყო ფარსანგის სიდიდის შეცვლა. IX—X სს. არაბ გეოგრაფთა შრომებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ა/კავკასიაში მანძილების აღნუსხვა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს შორის ძირითადად ფარსანგებშია მოცემული. ფარსანგებშია ათვლილი მანძილი

<sup>105</sup> W. Hinz, Farsakh, p. 812—813.

<sup>106</sup> ი ქ ვ ე.

<sup>107</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 57.

<sup>108</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო, ს. ყაუხჩიძე, შილმა, ტფილისი, 1936, გვ. 37.

იმ გზაზეც, რომელიც თბილისს უკავშირებდა აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებს<sup>109</sup>.

არაბ. ფარსახი (فرسخ), რომელიც თავის მხრივ სპარს. ფარსანგიდან მომდინარეობს, ჩვეულებრივ, გზების საზომად გამოიყენებოდა სახალიფოს აღმოსავლურ პროვინციებში. ფარსახის სიდიდე შეესაბამებოდა მხედრის ფარსანგის ზომას და დამრგვალებულად 6 კმ შეადგენდა. თვით ქართულ წყაროებში ფარსახი ამ დროისათვის უაღრესად იშვიათად გვხვდება<sup>110</sup>. საბასთავის ფარისხი (ფარსახი) — ფარსანგი იყო „უცხო ენა“ რომლის ქართულ შესატყვისადაც ლექსიკოგრაფს ეჭი მიაჩნდა<sup>111</sup>. ეჭი, რომლის სიგრძეც დაახ. 6—7 კმ იყო, საქართველოს გზებზე ძირითად საზომად ჩანს XII ს-დან. უფრო გვიან, XVII—XVIII სს-ში ირანთან პოლიტიკური და ეკონომიური კავშირების შედეგად, საქართველოში კვლავ გამოიყენება ფარსანგი<sup>112</sup> (სპარ. فرسخ) რომელიც ეჭის სიდიდისა იყო.

### მილიონი

წარმომავლობით ეს საზომი რომაულ საზომთა სისტემას მიეკუთვნება. დიდ მანძილებს რომში ათასი ბიჯით (milia passuum) ითვლიდნენ. აქედან ჩამოყალიბდა რომაული მილი<sup>113</sup>, რომელმაც ბიზანტიაში მიიღო მილიონის ფორმა. ეს ტერმინი დამკვიდრდა ჩვენშიაც.

მილიონი უაღრესად პოპულარული საზომი იყო საქართველოში. მისი კვალი ქართულმა ტოპონიმოკამაც შემოგვინახა<sup>114</sup>.

თუშეთში მილიონაყ გზის მაჩვენებელ სვეტის მსგავს ქვის

---

<sup>109</sup> ე. ს. ი. ხ. ა. რ. ლ. ი. ძ. ე., ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1963, გვ. 177, 179 და სხვ.

<sup>110</sup> ისე; მაგ., ეს ტერმინი დამოწმებულია X ს. „წმინდა ნისიმეს ცხოვრების“ ხელნაწერში. იხ. Ф. Жардания, Описание рукописей церковного Музея, т. I, № 249, стр. 263.

<sup>111</sup> „რუსულანინი“, გვ. 76, 108, 110, 418; ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29.

<sup>112</sup> „ლქსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 184.

<sup>113</sup> Греческая и римская метрология по Гюльшцу, стр. 16.

<sup>114</sup> თერგს კოპი ერთვის მდ. მილიოკი. ჭავჭავთვი არის მთა „მილიონი“. თბილის-ჭავჭავთვის გზებზე უჩვენებენ ამ მილიონებს. იხ. ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 118, დავით მუსხელიშვილი, „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1966, გვ. 177.

ყოფილი ნიშნავს. მისი ერთ-ერთი ფუნქცია არის გზის მაჩვენებლობა<sup>115</sup>.

წერილობით წყაროებში მილიონი IX—X სს-დან ჩანს<sup>116</sup>, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საქართველოში მისი შემოსვლა გაცილებით ადრე IV—VI სს-ში მაინც უნდა მომხდარიყო. საქართველოს მეზობელ სომხეთში ის უკვე VII ს-ში არის დამოწმებული<sup>117</sup>.

მილიონთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს თბილისში, სეიდაბადში აღმოჩენილი არაბული მანძილის აღმნიშვნელი ქვა, რომელზედაც წარწერაა „სამი მილი თბილისიდან“ (سَمِي مِيلًا مِنْ تَبْرِيْطِ).<sup>118</sup> გზის ეს მაჩვენებელი აკად. გ. წერეთლის განსაზღვრით პიჯრის პირველი საუკუნის ბოლოს (ე. ი. VIII ს—ს.) მიეკუთვნება<sup>119</sup>.

არაბული მილი სხვა არაფერია, თუ არა ლათინურ-ბერძნული მილიარიუმი — მილიონი. ყოფილ ბიზანტიურ პროვინციებში არაბულმა საზომმა სისტემამ ეს ერთეული ისევე შეითვისა, როგორც ფარსახი — აღმოსავლურ, ყოფილ სასანურ პროვინციებში.

ხსენებული გზის მაჩვენებელი, ვფიქრობთ, კარგი ილუსტრაციაა იმისა, რომ არაბებმა ანგარიში გაუწიეს იმ ტრადიციას, რაც ჩვენში გზებზე მანძილის ათვლას ეხებოდა და პირველ ხანებში მაინც უცვლელად დატოვეს ის.

უფრო გვიან, IX—X სს-ში არაბ გეოგრაფთა თხზულებებში მანძილი აკაკასიის სამარშუტო გზებზე, ისევე როგორც ყველა

---

<sup>115</sup> თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ერთი ლათინური სიტყვა ბერძნული ფორმით ქართული ენის თუშურ დიალექტში, „მაცნე“, IV, 1965, (მილიონა-ში აუკნინობით სუფიქსია), გვ. 211.

<sup>116</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945, გვ. 14; იხ. ართვეზ ბასილიზარზელი, ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სრაპიონისი. „ჩვენი საუნჯე“, ტ. I, გვ. 101; გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, (XI ს.) „ჩვენი საუნჯე“, ტ. I, გვ. 405.

<sup>117</sup> Н. М. Токарский, Об основной армянской линейной мере, Известия Российской Академии наук Историко-материальной культуры, т. III, 1924, стр. 329; А. И. Орбели, Вопросы и решения Анани Ширакского, стр. 49; ანანია შირაკელს მილი სომხურ საზომთა სისტემაში შეაქვს.

<sup>118</sup> გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო სესიები, № 2, მოხსენებათა კრებულები, თბილისი, 1947, გვ. 46.

<sup>119</sup> იქვე.

აღმოსავლურ პროვინციაში ფარსახებშია ათელილი<sup>120</sup>, მაგრამ მილიონებად დაყოფის ტრადიცია დავიწყებას არ მისცემია.

971—981 წ. შედგენილ სომხურ გზამკვლევაში მანძილები ა/კავ-კასიის გზებზე კვლავ მიღებულია განსაზღვრული<sup>121</sup>.

XIII ს-ის შემდეგ მილიონი ქართულ წყაროებში იშვიათად იხმარება<sup>122</sup>. მართალია, საქართველოს გარეთ მას იყენებს ტიმოთე გაბაშვილი (XVII ს.<sup>123</sup>) და ჩანს XVII ს. ლიტერატურულ ძეგლში „რუსულდანიანში“<sup>124</sup>, მაგრამ ეს ძველი ტრადიციის ასახვა უნდა იყოს და საერთოდ, ამ დროისთვის, მილიონი უკვე მივიწყებული საზომი იყო.

რა ზომის იყო მილიონი?

ქართულ წყაროებში მის განსაზღვრას მხოლოდ ს. —ს. ორბელიანი იძლევა:

საბა უცხოური მილის ანალოგიით მილიონის ზომად 1000 ბიჯს ანდა 2000 წყრთას ასახელებს<sup>125</sup>, რაც 1016 მ შეესაბამება. პრინციპში საბასეული განმარტება სწორია, ვინაიდან მილიონი ათას ორმაგ ნაბიჯს, ე. ი. ბიჯს შეიცავდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ საბასეული ბიჯი ადლის სიდიდისა იყო, ხოლო რომაულ-ბიზანტიური მილი-მილიონის სისტემაში შემავალი ბიჯი კი-სხვა ზომისა, კერძოდ 1,48 მ. ამდენად მილიონი 1480 მ შეადგენდა.

საქართველოში შემოსულ ამ უცხო საზომს ბუნებრივია, ჩვენში ეს ზომა უნდა დამკვიდრებოდა. ამასთან საფიქრებელია, რომ საქართველოს გზებზე, ისევე როგორც ყველგან, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მილიონი ფარსანგთან გარკვეულ თანაფარდობაში მოექცეოდა.

ფარსანგის და მილის ტრადიციულ შეფარდებას 1 : 3 თუ მივიღებთ მხედველობაში, მილიონის ზომა საქართველოში 1386 მ გამოდის, რაც 100-იოდე მეტრით ჩამორჩება რომაულ-ბიზანტიურ მილიონს.

<sup>120</sup> ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177, 179.

<sup>121</sup> Я. М а н а н д я н, Средневековый итинерарий в армянской рукописи X столетия, „Академия наук СССР Академику Н. Я. Марру“, М.-Л., 1935, стр. 734.

<sup>122</sup> ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 135.

<sup>123</sup> ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მ ე ტ რ ე ე ე ლ შ ა, თბილისი, 1956, გვ. 51.

<sup>124</sup> „რუსულდანიანი“, გვ. 103, 398.

<sup>125</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>) გვ. 485.

XIX ს. მასალებით, სამხრეთ საქართველოში უკვე მივიწყებულ საზომი მილი 1450,8 მ უდრიდა<sup>126</sup>.

ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენში მილიონის ზომა იყო არა უმცირეს 1386 მ და არა უმეტეს 1480 მ-ისა, ე. ი. საშუალოდ 1,4 კმ.

### უ ტ ე ვ ა ნ ი

მანძილის საზომი ეს ერთეული გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში IX ს-დან XIII ს. ჩათვლით. სახარებაში ეს ტერმინი ბერძნულ „სტადიონს“ შეესატყვისება<sup>127</sup>.

საბა შეეხო ამ ერთეულს და სწორედ აღნიშნა, რომ ის იყო ბერძნულ-ლათინური სტადიონის და სომხური ასპარეზის ქართული შესატყვისი, მაგრამ ამავე დროს ლექსიკოგრაფმა 1 მილიონი 7 უტევანით განსაზღვრა, უტევანი კი — 143 ბიჯით<sup>128</sup>.

თუ ბერძნულ და რომაულ სტადიონების ზომას გავიხსენებთ, ენახავთ, რომ ყველაზე მიღებული ბერძნული სტადიონი = 100 მხარს, ან 184,97 მ-ს<sup>129</sup>, რომაული კი — 125 ბიჯს, ან 187,5 მ-ს<sup>130</sup>. რომაულ მილიარიუმში 8 სტადიონი შედიოდა<sup>131</sup>. საბასეული მონაცემები, ამრიგად, ბერძნულ-რომაულ სტადიონების სისტემას არ უდგება. სამაგიეროდ 143 ბიჯიან 7 ასპარეზს (ქართ. უტევანს) მილი უდრიდა სპარსულ საზომთა სისტემაში<sup>132</sup>. ეს მილი თავის მხრივ ფარსანგის 1/3 იყო. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული უტევანი სპარსული სტადიონი — ასპარეზის ფარდი იყო და 198 მ შეადგენდა.

მილიონთან და უტევანთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ისეთი ერთეულები, როგორებიცაა ბ ი ჯ ი, ნ ა ბ ჯ ი, და ტ ე რ ფ ი - ბ რ ჯ ა ლ ი. რომლებიც მართალია დიდი ზომისა არ არიან, მაგრამ ჩვენი აზრით, თავდაპირველად შედიოდნენ მილიონის საზომ სისტემაში.

### ბ ი ჯ ი

საბას ეპოქაში ბიჯი შინაარსით ფეხის ორჯერ გადადგმას გულისხმობდა, ორ წყრთას შეადგენდა<sup>133</sup> და 1 ადლს, ე. ი. 101,15 სმ უდრიდა.

<sup>126</sup> Ф. Петрушевский, Общая метрология, стр. 455.

<sup>127</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა ენციკლოპედია, გვ. 135.

<sup>128</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 172.

<sup>129</sup> Греческая и римская метрология, стр. 5.

<sup>130</sup> ი ქ ე ე, გვ. 16.

<sup>131</sup> ი ქ ე ე; გვ. 18.

<sup>132</sup> Я. А. М а н а н д я н, Средневековый итинерарий, стр. 724.

<sup>133</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV), გვ. 109, 486.



მაგრამ უფრო ადრე, XIII ს-მდე მაინც, ბიჯი, ვფიქრობთ, დაკავშირებული იყო მილიონის საზომ სისტემასთან. მილიონი უდრიდა 7 უტევანს, უტევანი კი — 143 ბიჯს<sup>134</sup>. აქედან ბიჯის თავდაპირველი ზომა დამრგვალებულად 1,4 მ გამოდის.

### ნ ა ბ ი ჯ ი

საბას დროს ნაბიჯი, რომელიც ფეხის ერთ გადადგმას გულისხმობდა<sup>135</sup>, თავისი ზომით წყრთას, ე. ი. 50,6 სმ შეესაბამებოდა. მაგრამ უფრო ადრეულ ხანაში, XIII ს-მდე მაინც, მილიონის საზომთა სისტემაში ის ბიჯის ნახევრად ან 70 სმ სიგრძის საზომად უნდა ვიგულისხმოთ.

### ბ რ ჭ ა ლ ი — ტ ე რ ფ ი

ბრჭალი უძველესი ქართული საზომია. ის დამოწმებულია გიორგი მონაზონის „ბრონოლრაფის“ ქართულ თარგმანში („ქვაბთა შენებულებისა მისისათა აქუნდა თითოეულსა ოცი წყრთა სიგრძე და ათი ბ რ ჭ ა ლ ი სიგრცე“... „სიდიდე თითოეულისა ქვისა იყო ორმეოცი ბ რ ჭ ა ლ ი“)<sup>136</sup>.

საბას განმარტებით ბრჭალი იყო მანძილი „მელთა ნებისა (ე. ი. ხელის გულიდან — გ. ჯ.) თითით ფრჩხილამდე და ფერჯთა ქუსლთა ვიდრე თითთა ფრჩხილამდე“<sup>37</sup>.

გიორგი მონაზონის თხზულების ბერძნულ ორიგინალში ბრჭალის შესატყვისად არის *πῶδς*, *πῶδς*, ე. ი. ფუტი, ანუ ქართული ტერფი. ეს უკანასკნელი კი საზომად დასახელებული აქვს საბას, რომელიც მას ბიჯის 1/5-ად მიიჩნევს<sup>139</sup>. ამათან ტერფი განხილულია იქ, სადაც საბა ეხება მილიონს და მილიონის შემადგენელ ერთეულებს. საფიქრებელია, რომ ბრჭალი-ტერფი სწორედ საქართველოს გზებზე დამკვიდრებული მილიონის სისტემაში შედიოდა

<sup>134</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 172. რედ. ДЕ „12 ათასი უტევანი 1714 მილიონია“. ეს ცნობა უმნიშვნელო დამრგვალებით მილიონისთვის გააძლევს 7 უტევანს.

<sup>135</sup> „ლექსიკონი ქართული“ (IV<sub>1</sub>) გვ. 561. საბას განმარტება ბიჯი-ნაბიჯისა („ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთის (ა) ფერჯის (ა) გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორის(ა) გარდანაცვლება. „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 109. არასწორად ჰქონდა გაგებული სარგის კაკაბაძეს. მას ბიჯი და ნაბიჯი არსებითად ერთ საზომად მიაჩნდა (ქართული მეტროლოგია, გვ. 54). ზემოთხსენებული დაზუსტება ეკუთვნის დ. ცხაკაიას. Д. Ц х а к а я, История математических наук, стр. 33.

<sup>136</sup> ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბრონოლრაფი გიორგი მონაზონისა, გვ.

137•

<sup>137</sup> „ლექსიკონი ქართული“ (IV<sub>1</sub>), გვ. 121.

<sup>138</sup> ცნობა მოგვაწოდა აკად. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>139</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 487. სხვა წყაროებში ეს ერთეულები საზომებად არ შეგვეხვედრია.

და თუ იმდროინდელ ბიჯს 1,4 მ-ით განვსაზღვრავთ, ბრჭალი — ტერფის ზომად 28 სმ-ს მივიღებო.

ცხრილი XVII						
ფარსანვისა და მილიონის საზომი სისტემა						
ფარსანვი უდრის-4 კმ-ს						
ფარსანვი	1					
მილიონი	3	1				
უტყვანი	21	7	1			
ბიჯი	3003	1001	143	1		
ნაბიჯი	6006	2002	286	2	1	
ტერფი	15015	5005	715	5	2 1/2	1

ეჭი

საქართველოს გზებზე მანძილის საზომად ეჭი XII ს-დან ჩანს და გამოიყენებოდა XVIII ს. ბოლომდე. ტერმინი სომხურია და აღნიშნავს სადგურს, გაჩერებას<sup>140</sup>, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ასეთი საზომი სომხეთში არ არსებობდა. მისი შექმნა ქართულ ნიადაგზე მოხდა.

ეჭს მკვლევარები სხვადასხვაგვარად საზღვრავდნენ. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ის 4440 მ-ია<sup>141</sup>, ს. კაკაბაძის თანახმად 3725 მ ანდა 9144 მ<sup>142</sup>, ზოლო დ. ცხაკაიას აზრით, 3 კმ, ანდა 5310 მ<sup>143</sup>.

ჩვენ არცერთი ეს განსაზღვრა არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად.

რიგი მასალებისა საშუალებას გვაძლევს ახლებურად, დაახლოებით განვსაზღვროთ ამ საზომის საშუალო სიდიდე.

დაახლოებით იმიტომ, რომ ეჭი არ იყო ისე მყარად დადგენილი ერთეული, როგორც მილიონი, ფარსანვი თუ ფარსახი.

დავით ბაგრატიონის აღნიშვნით ეჭი იყო მანძილი, რომელსაც აქლემი სწორეზე სიარულით ერთ საათში გაივლიდა<sup>144</sup>. ამდენად უსწორ-მასწორო ადგილზე ეჭის სიდიდე არ დაემთხვეოდა იმას, რაც იყო ვაკეზე.

„ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში რამდენჯერმე ეჭი ორიგინალ-

<sup>140</sup> იუსტიციის აბულაძე. მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო, „რუსთველოლოგიური ნაშრომები“, თბილისი, 1967, გვ. 23. ნ. მარის განმარტებით ეჭი არის «слезание с коня, остановка, привалы, стоянка». მკვლევარს ის მიაჩნდა არაბ. *مسير*-ის ქართულ შესატყვისად, მანძილი კი-გზად ორ სადგურს შორის.

ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 89.

<sup>141</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-აზომთაშკობა, გვ. 135.

<sup>142</sup> ს. კაკაბაძე, ქართული მეტროლოგია, გვ. 57, 58.

<sup>143</sup> Д. Ц х а к а я, История математических наук, стр. 37, 33, 1).

<sup>144</sup> დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ. 115.

ლის ფარსანგის ადგილზე გვხვდება<sup>145</sup>. საბას განმარტებაც, რომ ეგი უცხოური ფარსანის ქართული შესატყვისი<sup>146</sup> იყო მიუთითებს ამ ერთეულების იდენტურობაზე. ახ. სპარს. ფარსანგი და არაბ ფარსანხი კი 6 კმ შეადგენდა. ერთმანეთს უიგივებს, სხვათა შორის ექს და ფარსანგს ვახუშტი ბაგრატიონი<sup>147</sup>.

საბა პირველია, რომელმაც მოგვცა ეგის განსაზღვრება. მისი მონაცემები რომლებიც ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციებშია შესული ერთი შეხედვით არაერთგვაროვანია:

- I. სამი მილი ერთი ეგი არის (რედ. ZA).
- II. ეგი არის სამი ათასი ბიჯი, რომელსაც ფრანგნი ლელას უწოდებენ (რედ. Cab).
- III. ა(1) ეგი — ვ(6) მილიონი არის (რედ. D).
- IV. ერთი ეგი არს ექვსი ათასი ბიჯი (რედ. CqD).
- V. ერთი ეგი თორმეტი ათასი ადლია (რედ. E)<sup>148</sup>.

პირველ ორ ცნობაში ლექსიკოგრაფი იყენებს ფრანგულ საზომებს. საბასეული მილი რომ ფრანგულია, ჩანს მის ლექსიკონშიც. „მილი ფრანგულად ათასი ბიჯია“ —ო წერს ის<sup>149</sup>. ევროპაში მოგზაურობის დროს ს.-ს. ორბელიანი ჩვეულებრივ მანძილს ამ მილებში ითვლიდა. სამი ასეთი მილი მისი ცნობით იყო ეგი<sup>150</sup>.

ვინაიდან ფრანგული მილის ზომა ამ დროს იყო 1949 მ<sup>151</sup> ეგისათვის ვლებულობთ 5847 მ-ს.

III—IV ცნობებში საბას ეგი 6 მილიონით ანდა ექვსი ათასი ბიჯით აქვს განსაზღვრული. როგორც ადრე ვთქვეთ ლექსიკოგრაფი მილიონს 1000 ქართული ბიჯით საზღვრავდა, რომელიც ადლის ტოლფასი იყო. ამის გამო მილიონის ზომა მას არასწორად აქვს მოცემული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს არასწორი განსაზღვრა ეგისთვის იძლევა ზუსტ განმარტებას. 6000 ბიჯიანი ეგი უდრიდა 6069 მ-ს.

განსხვავება 5847 და 6069 მეტრებს შორის შეადგენს 222 მ-ს,

<sup>145</sup> ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

<sup>146</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 184.

<sup>147</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 29.

<sup>148</sup> „ლექსიკონი ქართული“ (ტ. IV<sub>1</sub>), გვ. 254 (სიტყვა „ეგი“).

<sup>149</sup> ი ქ ე ე, გვ. 486 (სიტყვა „მილი“).

<sup>150</sup> ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მკოდნეობა, გვ. 135.

<sup>151</sup> Ф. П е т р у ш е в с к и й, Общая метрология, стр. 518.

რაც ასეთ დიდ მანძილზე უმნიშვნელოა და დამრგვალებულად ამ საზომისათვის, საბას ცნობების თანახმად, შეიძლება მივიღოთ 6 კმ<sup>152</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ განცალკევებით დგას საბას განმარტება, რომ ეჭი 12 000 ადლია, მაგრამ ამასაც აქვს თავისი გამართლება.

XVIII ს. საქართველოში ეჭის პარალელური საზომი იყო ალაჯი, ალაჯი კი ზოგიერთ აღმოსავლურ წყაროში 12.000 ორმაგი წყრით არის განსაზღვრული<sup>153</sup>. ასე იყო მაგ., აკავკასიის ზოგიერთ მუსლიმურ სახანოში<sup>154</sup>. ორმაგი წყრთა კი ქართულში ადლის შესატყვისია. შემომოხსენებული ცნობა საბას შეედლო მოეტანა რომელიმე ინფორმატორის შეშვეობით.

განსაკუთრებით საყურადღებოდ ეჭის განსაზღვრისთვის ჩვენ ნიგვაჩნია ვახუშტის ცნობები.

ვახუშტის გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ექვსი ვერსი ერთი ეჯიარ<sup>155</sup>.

ვახუშტის გეოგრაფიული რუკების მასშტაბი სწორედ ამ პრინციპით არის შედგენილი. აქაც ერთი ეჭი ექვს რუსულ ვერსს ე. ი. 6,4 კმ-ს უდრიდა<sup>156</sup>.

ეჭის ზომას ეხება დავით ბატონიშვილი. თავის ლექსიკონში, როცა ის ლაპარაკობს ეჭზე, აღნიშნავს, რომ მასზე „კუალად იტყვიან ალაჯსა (ალაჯსა — გ. ჯ:), რომელ იყოს სამი მილი და სამი მილი იყო ოთხი ათასი ნაბიჯი“. აქ უნებლიე უზუსტობაა. „სამი მილის“<sup>157</sup> ნაცვლად უნდა იყოს „მილი“, ე. ი. თითოეული მილი არის ოთხი ათასი ნაბიჯი ამგვარად ეჭი = 6069 მ.

რამდენადმე განსხვავებულია თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა, რომლის თანახმად ეჭი 7 ვერსი<sup>158</sup>, ან მეტ-ნაკლებად გერმანული მილი, ე. ი. 7,5 კმ იყო.

---

<sup>152</sup> ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ აღნიშნული ბიჯი არის რომელი ბიჯი 1.48 მ-ის ზომისა. აქედან 3 მილიანი ეჭი 4440 მ გამოდის, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთაშეკრებობა, გვ. 135; დ. ცხაკაია კი, რომელაც ეჭის ერთ სავარაუდო სიდიდედ მიიჩნევდა 3 კმ-ს, იქიდან გამოდიოდა, რომ აღნიშნულ ბიჯს სწორედ ადლს უტოლებდა. Д. Ц х а к а я, История математических наук, стр. 37—38. აქვე დ. ცხაკაიამ საესებით სამართლიანად უჩვენა ს. კ ა კ ა ბ ა შ ი ს შ ი ე რ ე ჯ ის 9144 მ-ით განსაზღვრის უსაფუძვლოება.

<sup>153</sup> Cl. H u a r t, M. B o w e n, Agač, „EI“ vol. I, p. 247.

<sup>154</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 566.

<sup>155</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29.

<sup>156</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Н:2079.

<sup>157</sup> დავით და იოანე ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ. 115.

<sup>158</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47.

ამრიგად, ზემომოტანილი მონაცემების მიხედვით, ეჯის ზომა შეიძლება 6—7,5 კმ ფარგლებში მოვაქციოთ.

ა ლ ა ჯ ი

მანძილის ეს საზომი ქართულ წყაროებში პირველად XVII ს-დან ჩანს<sup>159</sup>.

ეს ტერმინი თურქულია და აღნიშნავს ხეს, ხის მორს, ბოძს. ვარაუდობენ რომ გზებზე დასმული ამგვარი ბოძებით ანგარიშობდნენ სწორედ მანძილს თავდაპირველად, რის გამოც საზომმაც ეს სახელწოდება მიიღო<sup>160</sup>, შემდეგ კი ალაჯი დროზე დამყარებული საზომი გახდა<sup>161</sup>. ის ფართოდ იყო გავრცელებული თურქეთში, სპარსეთში და საქართველოს მეზობელ აკაკეასის მუსლიმურ სახანოებში.

არსებული მასალებით ალაჯის ზომა არაერთგვაროვანია. ამას ის განაპირობებდა, რომ ხშირად ალაჯი მხედრის მიერ ერთ საათში განვლილ მანძილს გულისხმობდა<sup>162</sup>. ამდენად სხვადასხვა ადგილზე (რელიეფის მიხედვით) ალაჯის ზომა მერყევი იქნებოდა.

ერთ საათში განვლილი გზა საშუალოდ 5 ვერსს შეადგენდა<sup>163</sup>, რაც 5,3 კმ უდრის. XVIII ს. 20-იან წლებში სწორედ 5 რუსული ვერსით საზღვრავდა ამ საზომს ირანში სარგის გილანენცი<sup>164</sup>.

ამ მონაცემებს უახლოვდება დ. ცხაკაიას გაანგარიშებაც. მან ალაჯი განსაზღვრა ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან თარგმნილი წიგნის „ქმნულებისა ცოდნა“-ს მიხედვით. აქ დედამიწის დიამეტრად

---

<sup>159</sup> ს. კ ა ჯ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 104; რუსულანაბნი, გვ. 169—175.

<sup>160</sup> Н. Шопен, Исторический памятник, стр. 887. С. Н у а г т, Н. В о w е n, Aghač, EI<sup>2</sup>, vol. I, p. 247.

<sup>161</sup> И. Шопен, დასახ. ნაშრ. გვ. 887. ამასთან დაკავშირებთ მუულებლად გვეჩვენება დ. ცხაკაიას მოსაზრება, რომ ტერმინი ალაჯი ინდურია; „Ардажний (Arđhajya) индусы называли расстояние какой-нибудь точки окружности до диаметра или половинну хорды, т. е. то, что мы теперь называем линией синуса. Д. Ц х а к а я. История математических наук. стр. 29. Ард иჯუის არავითარი საართო არა აქვს ალაჯთან არც შინაარსით და არც ტერმინოლოგიური მსგავსებით.

<sup>162</sup> Дневник Закария Акулисского, Ереван, 1939, стр. 16; И. Шопен, დასახ. ნაშრ., გვ. 887. ალაჯს ზაქარია აკელისელის ცნობით აქლემი ზოპიერი ნაბაჯით 2 სა.თში გადიოდა (Дневник, стр. 16).

<sup>163</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 560.

<sup>164</sup> Дневник осады Испагана Афганими веденый Петросом дн-Саргис Гиланенци в 1722 и 1723 годах. перевод и объяснения К. П а т к а н о в а. СПб, 1870, стр. 3.

ნაჩვენებია 2485 ალაჯი. ვინაიდან ეს უკანასკნელი 12 730 კმ შეესაბამება, ალაჯი დ. ცხაკაის მიხედვით 5 122 მ გამოდის<sup>165</sup>.

5,2—5,4 კმ უნდა ყოფილიყო ალაჯი ირანში.

რადლოვი თურქული ალაჯის ზომად 6—7 რუსულ ვერსს (6,4—7,6 კმ) მიუთითებს<sup>166</sup>.

ბ. ხანიკოვის მონაცემებით სწორედ ამ ფარგლებში მერყეობს ძირითადად ალაჯის ზომა ა/კავკასიის ყოფილ მუსლიმურ სახანოებში XIX ს. I ნახევარში<sup>167</sup>.

ქართული წყაროების მიხედვით ალაჯი ეჯის იდენტური საზომია.

ვახუშტი ბაგრატიონის, დავით ბაგრატიონის და დავით რექტორის მიხედვით ალაჯი 6 ვერსია<sup>168</sup>, ე. ი. 6,4 კმ, ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით კი — 7 ვერსი<sup>169</sup> ე. ი. 7,5 კმ. თუ ირანის და თურქეთის ალაჯების ზომასაც გავითვალისწინებთ ალაჯის სიდიდე საქართველოში 5,4—7,6 კმ ფარგლებში უნდა მოვაქციოთ.

#### § 4. დროზე დამყარებული მანძილის საზომები

როცა ტრადიციული, ფიქსირებული საზომების გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა დიდი მანძილების ათვლას დროის გარკვეული მონაკვეთით იწყებდნენ.

VIII ს. „აბო ტვილელის წამებაში“ ნათქვამია, რომ „ნერსე წარემართა აფხაზეთამდე „ს ა მ ი ს ა თ ვ ს ა გ ზ ა ს ა“<sup>170</sup>...

X ს-ის სტეფანე მტბევეარის „გობრონის წამებაში“ დასახელებულია „ს ა დ ი ლ ო ბ ი ს გ ზ ა“<sup>171</sup>.

ჯუანშერის ისტორიულ თხზულებაში სინდთა მეფე მიმარ-

<sup>165</sup> Д. Ц х а к а я, История математических наук, стр. 23—29.

<sup>166</sup> С. I. Н u a r t, Н. В o w e n, Aghač, p. 247.

<sup>167</sup> Н. Х а н ы к о в, О весах и мерах, стр. 565—569.

<sup>168</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q:401, გვ. 87 v. დავეთ და იოანე ბაგრატიონების ლექსი-კოგრაფიული ნაშრომები, გვ. 115.

<sup>169</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, გვ. 47.

<sup>170</sup> ი ო ვ ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა აბოასი. „ჩვენი საუწყე“, ტ. I. თბილისი, 1960, გვ. 54; შდრ. ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ე ო ლ ი, გზები... გვ. 117.

<sup>171</sup> ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ე ა რ ი, წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი. „ჩვენი საუწყე“ ტ. I, გვ. 87. შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ე ო ლ ი, გზები... გვ. 117.

თავს ვახტანგ გორგასალს „მოგივლია ო რ ი ს ა წ ე ლ ი წ ა დ ი ს ა გზა“<sup>172</sup>...

